

മിടുക്കൻ
കുറുപ്പൻ
മിടുക്കൻ
മിടുക്കൻ
കുറുപ്പൻ

മിടുക്കൻ
കുറുപ്പൻ

«მშრომელი წარვალს და ნაშრომი ჰგეის»
ხელნაწერი A 1048

«მშრომელთა ქელი მიწდების და ნაშრომი განძად დაშთების»
H 507

«...გალატონი და ხურონი რა მორჩენ თვისსა შრომასა,
მათს სიხარულსა ვინ დასთელის, ანუ შევებისა ზომასა.»

პირველნაბეჭდი ქართული წიგნები
მინაწერიებიდან. 1721 წ.

წი ნ ა ს რ ი ტ ყ ვ ა ო ბ ა

«თუმცა ძეგლები „ხელმოწერილი“ არაა, თუმცა ძეგლები წარმოგვიდგება, როგორც მთელი თემის ღვაწლისა და მთელი ეპოქის ძიებათა ნაყოფი, ისინი მაინც არ არიან მოკლებულნი „ადამიანურ“ თვისებებს; ამიტომაც, რომ თითქმის ერთნაირ შენობებშია ცი ბევრი წერილმანი, მრავალი ამოყანის ახლებური, მარჯვე ამოსხნა ამულაუნებს ამშენებლის მიროვნებას, მისი გენიის კვალს».

მ ა რ ს ე ლ ო ბ ე რ ი.

1956 წელს «ხელოვნებამ» გამოსცა ჩემი პატარა წიგნი «ძველი ქართველი ხუროთმოძღვრები». იგი შეიცავდა ცნობებს ძველი ქართველი მშენებელი ოსტატების შესახებ, რომელთა სახელები მოხსენებულია თვით ძეგლთა წარწერებში ან სხვა წერილობით წყაროებში.

წიგნს, დაბეჭდილი რეცენზიებისა და პირადად გამოთქმული შთაბეჭდილებების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, მკითხველი საზოგადოება ინტერესით შეხვდა. ერთ რეცენზიაში ასეთი სურვილიც იყო გამოთქმული — კარგი იქნება, რომ ამ წიგნს მოჰყვეს მსგავსივე ნაშრომები ძველ ქართველ მხატვართა, ოქრომქანდაკებელთა და კალიგრაფთა შესახებო.

ეს ჩემი სურვილიც იყო და მე ნელ-ნელა ვაგროვებდი კიდეც მასალას. «ძველი ქართველი ოსტატები» ამ მუშაობის შედეგია. ახალ წიგნში მთლიანად შევიდა «ძველი ქართველი ხუროთმოძღვრების» ტექსტი (გარდა შესავალი წერილისა), იმ ხუროთმოძღვრების

ღვრებს მიემატა კიდევ რამდენიმე მშენებლის, რამდენიმე ათეუ-
ლი ოქრომჭედლისა და მხატვრის სახელები, ყველაზე მეტი ად-
გილი კი კალიგრაფებმა დაიჭირეს. ძველი ქართული ხელოვნე-
ბის სხვადასხვა დარგის მუშაკთაგან მხოლოდ წიგნების გადამ-
წერნი არ ერიდებოდნენ თავისი სახელის მოხსენიებას. პირიქით,
თუ ხუროთმოძღვრებასა, მხატვრობასა და ოქრომჭედლობაში ავ-
ტორის სახელი მხოლოდ გამონაკლისის სახით გვხვდება, წიგ-
ნების გადაწერისას კალიგრაფის ხელის მოწერა წესად იყო მი-
ღებული.

«ძველი ქართველი ოსტატების» მკითხველმა შემდეგი უნდა
გაითვალისწინოს: ა) აქ ყველა ძველი ქართველი ოსტატი არაა
აღნუსხული. რა თქმა უნდა, შემდეგ აღმოჩნდება ისეთი სახელე-
ბიც, რომლებიც ჩემთვის უცნობი იყო. მაგრამ მე მომიხდა თა-
ვის შეზღუდვაც: ვეცადე მშენებელთა, მხატვართა, ოქრომჭე-
დელთა სახელები არ გამომეტოვებინა, ასევე — IX—XV საუ-
კუნეთა კალიგრაფების სახელებიც. მაგრამ XVI—XVIII საუ-
კუნებში სახელითა და გვარით ცნობილ კალიგრაფთა და მდი-
ვან-მწიგნობართა რაოდენობა იმდენად დიდია, რომ მათი ამ-
ბის მოყოლა ერთ უზარმაზარ ტომს მაინც მოითხოვდა. ასეთი
სრული კრებულიც ალბათ თავის დროზე გამოიცემა, მე კი შე-
ვარჩიე უფრო მნიშვნელოვანი და დამახასიათებელი ოსტატები
(არა მარტო ცალკეული პირები, არამედ კალიგრაფთა დინასტი-
ებიც — მაგ., მესხიშვილები, მიქაძეები, გაბაშვილები, თუმანი-
შვილები და სხვანი) — მათი რაოდენობაც საკმაოდ დიდია.
ბ) ამა თუ იმ ოსტატისადმი მიძღვნილი ნარკვევის მოცულობა
ყოველთვის არ შეესაბამება ამ ოსტატის წონასა და მნიშვნე-
ლობას სხვებთან შედარებით. მაგალითად, რომელიმე ჩვეუ-
ლებრივ კალიგრაფს შეიძლება მეტი ადგილი ეჭიროს (და უჭი-
რავს კიდევც), ვიდრე გენიალურ ხუროთმოძღვარს საკოცარს, ან
არსუკისძეს. ტექსტის მოცულობას განსაზღვრავდა დარჩენილი
ცნობების სიუხვე ან სიმწირე. კალიგრაფები კი ამ მხრივაც
უკეთეს მდგომარეობაში არიან: ჯერ ერთი, ზოგიერთის ბიოგ-
რაფია საკმაოდ კარგადაა ცნობილი; ჩვენ ვიცნობთ ბევრი მათ-
განის არა ერთ, არამედ ბევრ ნაწარმოებს; ამას გარდა, მათი
«ანდერძები», ე. ი. ის მინაწერები, რომლებშიაც წიგნის დამზადე-

ბის გარემოებაა მოთხრობილი, ხშირად ძალიან საინტერესო საყოფაცხოვრებო ცნობებს შეიცავს — მათი უგულვებელყოფა და გამოტოვება დასანანი იქნებოდა. ეს მინაწერები ზოგჯერ ისეთი უშუალო და ემოციური, რომ დღევანდელ მკითხველს სრულიად ცოცხლად წარმოუდგება წიგნის მწერალი — «მჩხრეკალი» ან «მჩხაბავი» (ასე უწოდებდნენ ისინი თავის თავს), რომელიც ხშირად მძიმე პირობებში, მშვიერ-მწყურვალ, უსახლკარო, მოხუცი და სნეული — «თვალებს იწყალებდა» და მაინც შრომობდა. ხუროთმოძღვრებისა, მხატვრებისა და ოქრომჭედლებისათვის, სამწუხაროდ, ამდაგვარი არაფერი გაგვანჩნია: სულ მცირე გამოჩაღისით (თვედორე მეფის მხატვარი, ბექა ოპიზარი, მამნე ოქრომჭედელი და ორიოდე სხვა), ჩვენ ვიცნობთ ამ ოსტატთა მხოლოდ თითო ნაწარმოებს: მათი ბიოგრაფიის, მით უფრო, შემოქმედებითი ბიოგრაფიის შესახებ საუბარი შეუძლებელია¹.

ძველ ქართველ ოსტატებს მშვენივრად ესმოდათ თავისი შრომის საზოგადოებრივი მნიშვნელობა. საკოცარმა, ივანე მორჩაისძემ, ბავრელმა, არსუკისძემ კარგად იცოდნენ, რომ მათი ხელით შექმნილი ტაძრები მხოლოდ სამლოცველოები კი არ იყო, არამედ ეპოქის ძეგლები, რომელთა მიხედვითაც განსჯიდნენ იმ ეპოქას შთამომავლები. წიგნების გადამწერებმა, რომელნიც საქართველოსა და უცხოეთის ქართულ საგანეებში იღვეწოდნენ, კარგად იცოდნენ, რომ მათი ხელით იქმნებოდა უდიდესი განძი, რომელიც ეროვნული კულტურის საფუძველს შეადგენდა. არა მარტო კალიგრაფებმა, რომელნიც ხშირად იმეორებდნენ ამ სიტყვებს, არამედ ყველა დარგის ოსტატმა იცოდა, რომ «მშრომელი წარვალს და ნაშრომი ჰგეის».

საუკუნეთა მანძილზე ოსტატთა მრავალი თაობა არა მარტო აგროვებდა, აღრმავებდა და ავითარებდა პროფესიულ ცოდ-

¹ დასავლეთ ევროპასა და მუსლიმანურ აღმოსავლეთში მაინც უფრო მეტი სახელი გადარჩა შუა საუკუნეთა ოსტატებისა, ვიდრე ჩვენში. ქართველ ოსტატთა სახელების ნაკლებობა ნაწილობრივ წარწერათა დაღუპვასა და დაზიანებასაც მიეწერება. ბაგრატის ტაძრის აღმოსავლეთი სარკმლის წარწერა ასე მთავრდება: «აღეშენა წმიდა... ესე აღსადარი ქელითა...» გაგრძელება, სადაც ხუროთმოძღვრის სახელი უნდა ყოფილიყო, აღარ ჩანს.

ნას, არამედ აგრეთვე მემკვიდრეობით უანდერძებდა ერთმანეთს, როგორც წმინდათა-წმინდას, თავისი საქმის უსაზღვრო სიყვარულს: ამ ღრმა, მხურვალე სიყვარულის, შემოქმედებითი გატაცებისა და რწმენის გარეშე, რა თქმა უნდა, ვერ შეიქმნებოდა ჩვენი ძველი ხელოვნების ის შესანიშნავი ძეგლები, რომელნიც დღესაც კი, მრავალი ასეული წლის შემდეგ, როდესაც მათი შემქმნელი ისტორიული ვითარება დიდი ხანია წარსულს ჩაბარდა, ინარჩუნებენ თავის უჭკნობ სილამაზესა და შთამაგონებელ ძალას.

შ ე მ ო კ ლ ე ბ ა თ ა ს ი ა

ე. თაყაიშვილი. არს. მოგზ. შენ. — ე. თაყაიშვილი. არხეოლოგიური მოგზაურობანი და შენიშვნანი. წიგნი I, თბ., 1907, წიგნი II, თბ., 1914.

ე. თაყაიშვილი. ლეჩხუმ-სვანეთი — ე. თაყაიშვილი. არქეოლოგიური ექსპედიცია ლეჩხუმ-სვანეთში 1910 წელს. პარიზი, 1937.

ს. კაკაბაძე. ისტ. საბ. — ს. კაკაბაძე. ისტორიული საბუთები.

კ. კეკელიძე. ისტორია — კორნელი კეკელიძე. ძველი ქართული მწერლობის ისტორია. ტ. I, თბ., 1951; ტ. II, თბ., 1952.

ლ. მენაბდე. ძვ. ქართ. მწერლ. კერები — ლევან მენაბდე. ძველი ქართული მწერლობის კერები. ტომი I, ნაკვეთი პირველი, თბ., 1961; ნაკვეთი II, მეორე, თბ., 1962.

თ. ქორდანია. ქვეები — ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა, შეკრებილი, ქრონოლოგიურად დაწყობილი, ახსნილი და გამოცემული თ. ქორდანიას მიერ. წიგნი I, ტფ., 1892; წიგნი II, ტფ., 1897.

სსმ — ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი.

სსმ ხელნ. აღწ. — ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა.

ს. სიძე. — საქართველოს სიძველენი. ე. თაყაიშვილის რედაქტორობით. ტ. I, ტფ., 1920; ტ. II, ტფ., 1909; ტ. III, ტფ., 1910.

ხელნაწ. ინსტ. ხელნ. აღწ. — ხელნაწერთა ინსტიტუტი. ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა.

Бакрадзе, АПГА — Д. Бакрадзе. Археологическое путешествие по Гурии и Адчаре.

М. Джанашвили. Опис. рукоп. Ц. М. — М. Г. Джанашвили. Описание рукописей Церковного музея духовенства Грузинской Епархии, книга III, Т., 1908.

Ф. Жордания. Опис. рукоп. Ц. М. — Описание рукописей тифлисского Церковного музея карталино-кахетинского духовенства, составленное Ф. Д. Жордания. Книга I, Т. 1902—1903; книга II, Т., 1902.

КИАИ — Кавказский историко-археологический институт.

Н. Кондаков. Д. Бакрадзе. Опись. — Опись памятников древности в некоторых храмах и монастырях Грузии, составленная по Высочайшему повелению профессором С-Петербургского Университета Н. Кондаковым. Грузинские надписи прочтены и истолкованы Дмитрием Бакрадзе. СПб, 1890.

МАК — Материалы по археологии Кавказа.

Е. Такайшвили. Опис. рукоп. ОРГ — Е. Такайшвили. Описание рукописей Общества распространения грамотности среди грузинского населения, т. I, Т., 1902. т. II, Т., 1906.

Е. Такайшвили. АЭРЗ — Е. Такайшвили. Археологические разыскания, экскурсии и заметки, I—V.

А. Цагарели. Сведения — А. А. Цагарели. Сведения о памятниках грузинской письменности.

Г. Чубинашвили. Грузинское чек. иск. — Г. Н. Чубинашвили. Грузинское чеканное искусство. Т., 1959.

Р. Шмерлинг. Образцы — Образцы декоративного убранства грузинских рукописей. Альбом из 32 таблиц. Введение и замечания к таблицам Ренэ Шмерлинг. Тб., 1940.

Brosset. Rapports — Rapports sur un voyage archéologique dans la Géorgie et dans l'Arménie, exécuté en 1847—1848 par M. Brosset. 2^e livraison, SPb, 1850; 3^e livraison, SPb, 1851.

ტ

აბესალმა კლდელი — მშენებელი ოსტატი, რომელიც მოხსენებულია სოფ. ფორთის (კლარჯეთში, ახლა თურქეთის ფარგლებშია) სამრეკლოს წარწერაში (ნ. მარის თანახმად, ფორთა ძველი შატბერდია, პ. ინგოროყვას თანახმად — ხანძთა). აი ნ. მარის ცნობები ამ წარწერის შესახებ: «გარედან სამრეკლოს აგრეთვე ორი წარწერა აქვს...: ა) აღმოსავლეთ მხარეს, გუმბათის ყელზე (მარი, უეჭველია, გულისხმობს, სამრეკლოს ფანჩატურს), ზემოდან მესამე რიგის სამ ქვაზე .. «ქრისტე შეიწყალე ამისი ოსტი (sic!) ვალატოზნი კლდელი აბესალმას, მისნი ამხანაგნი ქამირსა ყაზანსა მსახურსა შეუნდვენ ღმერთმან, ვინცა შენდობა ბარძანონ». ნაწერი ასომთავრულია, კუთხოვანი ასოებით, ასოები უთანაბრო სიმაღლისაა.

სამრეკლო ირსართულიანია, იმ ტიპისა, რომელიც XIII ს-დან გვხვდება: ქვემოთ კუბი ერთი შესასვლელით დასავლეთიდან, დაუმუშავებელი ქვით ნაშენი; ზემოთ — რვათაღიანი გამჭოლი ფანჩატური თლილი ქვისა. ნ. მარი მას XII — XIII სს-თა ნაგებობად თვლის, მაგრამ ეს დიდად საეჭვოა: XIII ს-ზე ადრინდელ ქართულ სამრეკლოებს ჩვენ საერთოდ არ ვიცნობთ. ამას გარდა, თვით წარწერის პალეოგრაფიული ხასიათი, ენობრივი შეცდომები მაფიქრებინებს, რომ აქ უფრო გვიანდელ შენობასთან გვაქვს საქმე. მარტო ფოტოსურათებით, რომლებზედაც სამრეკლო რიგიანად არც ჩანს, მე მიძნელებდა უფრო დაბეჯითებით რისამე თქმა თარიღის შესახებ: შესაძლებელია, XIII—XIV საუკუნეები იყოს.

Н. Марр. Дневник поездки в Шавшию и Кларджю: Георгий Мерчул. Жизнь св. Григория Хандзтуйского. Грузинский текст. Введение, издание, перевод Н. Марра. СПб, 1911, гв. 144—145, 150, სურ. 51.

აბრაჰამ სავანი — კალიგრაფი. ცხოვრობდა XIV ან XV ს-ში. დარჩენილია მის მიერ გადაწერილი გრაგნილი, რომელიც ს ა კ ვ ი რ ა ო ს ტექსტს შეიცავს (ხელნაწ. ინსტ. H 1328). ტექსტის ბოლოს ასეთი ანდერძია: «ეს წიგნი რომით მოვიდა. დაუკლებლად დაგვწერია. კრებულნი ღვთისანო, მამანო! ესე საკვრიაო მე აბრაჰამ სავანმან გარდამოვიწერე. კარგი ღედოა [ე. ი. ღედანი, ვ. ბ.] ამისი წიგნი ვნახე და მიეკეთა. ვინც შენდობაა სთქუათ, თქვენცა შეგიწოდოს ღმერთმან.

ამინ. დაიწერა ქრონიკონსა ოცდაოთხსა, მეფობას ღვთივ გვრგვინოსნისა კონსტანტინესა».

სულ ბოლოს, უფრო წერილი ხელით, კიდევ ორიოდ სტრიქონია, სადაც, სხვათა შორის, იკითხება: «უმეცარსა კაცსა, რომე წიგნისა პატივი არ იცოდეს, მათიმცა ჭელი ნუ შეეხებას». გრაგნილის ზომაა 325×19 სმ. ერთი მხარე მთლიანადაა დაწერილი, მეორე — ნაწილობრივ. ტექსტი ნუსხურია, შავი მელნით ნაწერი, ძალიან მკაფიო, საკმაოდ ლამაზი ხელით. საზედაო ასოები უმეტესად მელნითვეა გამოყვანილი, მაგრამ აქა-იქ სინგურის ასოებიც ურევია.

დასათარიღებლად გასათვალისწინებელია კონსტანტინე მეფის დასახელება. ერთი კონსტანტინე — დავით ნარინის ძე — XIV ს-ის დასაწყისში მეფობდა დასავლეთ საქართველოში და 1327 წელს გარდაიცვალა, ორი სხვა კონსტანტინე — XV ს-ში.

გრაგნილი სვანეთიდანაა ჩამოტანილი. იქნებ «სვანიც» ანმეტობის შედეგია და აბრაჰამიც სვან იყო?

სსმ ხელნ. აღწ., II — III, 1948, გვ. 268—269.

აბუსმარისძე, ტბელი (ტბელი, როგორც ჩანს, სახელი იყო) — ავტორი თხზულებისა, რომელშიაც მოთხრობილია «გალატოზის» ბოლოკ-ბასილის მიერ ეკლესიის აგების ამბავი (იხ. ბოლოკ-ბასილი). ცხოვრობდა XIII ს-ში (ლ. მუსხელიშვილის აზრით, დაახლ. 1190—1240 წლებში), ეკუთვნოდა ერისთავთა გვარს: მისი წინაპრები არტანუჯის ერისთავები იყვნენ, მამამისი ერისთავთა ერისთავი ივანე იყო, დედა — «დიოფალთ დიოფალი ხათუთა». ივანე 1206 წ. დაიღუპა თურქთა ხელით, რის შემდეგაც ხათუთა მონოზენად აღიკვეცა. ტბელი, რომლის თხზულებაც 1233 წ. მიეკუთვნება, თვითონაც იცნობდა სამშენებლო საქმეს: ამავე ნაწარმოებიდან ჩანს, რომ მას თავისი ძმების, ერისთავთა ერისთავების აბუსერისა და ვარდანის, დავალებით აუშენებია წმ. გიორგის ეკლესია ზემო აჭარაში, ხიხანში, სამცხის საზღვარზე. ძველი ეკლესია დაშლილიყო, ახლის ასაგებად ვერ მოიცალეს ვერც პაპამ, «ვერცა ბიძამან და მამამან ჩუენმან და ვერცა ძმათა ჩემთა და ვერცა მე», ახლა კი «ჭელეყავ შენებაჲ», რაკი «მეიძულა ეკლესიისა მცირობითა ერისა ვერდატევენამანო», წერს ავტორი. მერე ნათქვამი აქვს, რომ ამ მშენებლობისათვის «მამულისა ჩუენისა კაცთა, წესისაებრ, დიდი ჭირი ნახესო» და განსაკუთრებით აღნიშნავს, რომ წმ. გიორგის წყალობით, ეკლესიის «მუშაკობასა შინა მრავალნი სასწაულნი აღესრულნეს».

აბუსერისძის მიერ აშენებული ეკლესიის შესახებ ჩვენ რეალურად არაფერი არ ვიცით.

1. თ. ეორდანია. ქ-ები, II, გვ. 111--122 (აქ გამოცემულია აბუსერისძის თხზულება).

2. აბუსერისძე ტბელი. გამოსცა ლ. მუსხელიშვილი. 1941 (გამომცემლის გამოკლევა და თხზულების ტექსტი).

3. ი. სიხარულიძე. ტბელ აბუსერისძე. 1963 (აქვეა მითითებული სრული ლიტერატურა).

აპალიშვილი, გიორგი იოანეს ძე (1769—1850) — თავადი, პოლიტიკური მოღვაწე, მწერალი, მთარგმნელი, პირველი ქართული თეატრის დამაარსებელი. განათლება რუსეთში მიიღო, იცოდა რუსული, სომხური და თათრული ენები; რუსეთიდან ჩამოსვლის შემდეგ ერეკლე II-ის კარზე შექმნა მსახიობთა დასი. ამ თეატრის რეპერტუარი კლასიციზტური პიესებისაგან შედგებოდა; გარდა თვით გიორგი ავალიშვილის ორიგინალური პიესებისა, იღვმებოდა მის მიერ რუსულიდან ნათარგმნი პიესები, მაგ., სუმარკოვისა. თეატრმა იარსება ალა-მაჰმად-ხანის შემოსევამდე (1795 წ.). გიორგი ერთი აქტიური დიპლომატიური მოღვაწეთაგანი იყო საქართველო-რუსეთის ურთიერთობის საკითხებში. 1819—20 წწ. მოიარა აღმოსავლეთის წმიდა ადგილები და დაგვიტოვა ამ მოგზაურობის დაწერილებითი, უაღრესად საინტერესო, აღწერილობა. ცხოვრების ბოლო წლები რუსეთში გაატარა, იქაც განაგრძობდა ლიტერატურულ შრომას. ჰქონდა «დეისტვიტელნი სტატსკი სოვეტნიკის» წოდება.

გიორგი ავალიშვილი XVIII—XIX სს-თა მიჯნის ქართული კულტურის ერთი ყველაზე თვალსაჩინო მოღვაწეთაგანია. ამ წიგნში იმიტომ მოვიხსენიეთ, რომ იგი მუშაობდა, როგორც გადამწერიც. დარჩენილია არა მარტო მის საკუთარ თხზულებათა და თარგმანთა ავტოგრაფები, არამედ მის მიერ შედგენილი და გადაწერილი კრებულები სხვადასხვა ავტორებისა. გიორგი ავალიშვილის კალიგრაფიული მხედრული იშვიათი სილამაზისაა, ეს ერთი ყველაზე ბრწყინვალე კალიგრაფთაგანი იყო, უკანასკნელი ოსტატთაგანი ხელოვნების ამ ტრადიციული დარგისა საქართველოში. ნიმუშად შეიძლება დეასახელოთ მისი ხსენებული მოგზაურობის აღწერა: «მ გ ზ ა ვ რ ო ბ ა თ ბ ი ლ ი ს ი თ ი ე რ უ ს ა ლ ი მ ი ს ა დ მ ი ს ა ბ ე რ ძ ნ ე თ ს ა ზ ე დ ა და უ კ უ ნ ქ ც ე ვ ა ი ე რ უ ს ა ლ ი მ ი დ ა ნ თ ბ ი ლ ი ს ა დ მ ი ვ ე, კ ი ბ რ ი ს ჭ ა ლ ა კ ი ს ა, მ ც ი რ ი ს ა ა ზ ი ი ს ა და ა ნ ა - ტ ო ლ ი ს ძ ლ ი თ» (ხელნაწ. ინსტ. A 450), დიდი წიგნი, რომელსაც დართული აქვს რუკა, გეგმები და ნახატები (თუ ეს ნახატები გიორგისივე შესრულებულია, ამ საქმეშიც პროფესიულად დახელოვნებული ყოფილა).

1. ცნობები მისი თხზულებებისა და მის მიერ გადაწერილი წიგნების შესახებ: იხ. სსმ და ხელნაწ. ინსტ. ხელნ. აღწ., სხვადასხვა ტომები A, S, H, Q სერებისა.

2. А. Цагарели. Сведения..., вып. 2, 1889, გვ. XXI—XXXI.

3. კ. კეკელიძე. ისტორია, II, გვ. 578.

4. ტრ. რუხაძე. ქართული ეპოსი „გარდამავალი ხანის“ ლიტერატურაში. გვ. 164—173.

ავალიშვილი, იოანე — სასულიერო მოღვაწე, კალიგრაფი. ცხოვრობდა XVI ს-ის მეორე ნახევარსა და XVII ს-ის პირველ ნახევარში. 1595—1600 წლებში სამცხეში ყოფილა, XVII ს-ის დასაწყისში — ქართლში. 1609 წ. ქვათახევის წინამძღვრად იხსენიება. ამ წელს მან ქეთევან დედოფლის (წამებულის) ბრძანებით გადაწერა ი ბ ა კ ო ნ ი ლ ე თ ი ს მ შ ო ბ ლ ი ს ა ნ ი (ხელნაწ. ინსტ. H 284), რომელსაც ასეთი ანდერძი აქვს: «ქრისტე ღმერთო, აღიდე ორთავე შინა ცხოვრებათა და ამზევგრძელე დედოფალთ დედოფალი პატრონი ქეთაონ, რომლისა ბრძანებითა აღიწერა წმიდაჲ ესე წიგნი დღითი-დღე სალოცველი, ქორონიკონსა სჟზ. მრავალმცა არიან წელნი ცხოვრებისა მისისანი, ამინ. კელითა ფრიად ცოდვილისა ქუათაქვევის წინამძღვარისა ავალიშვილის იოანესითა» (ფურც. 137—138). ეს ნუსხურით გადაწერილი პატარა წიგნია (9×6, 5 სმ, 138 ფურც.), რომლის ყოველი ფურცელი მოთქრულ ჩარჩოშია ჩასმული. 1612 წ. ავალიშვილი უკვე ალავერდის მთავარეპისკოპოსია, 1630 წ. — ქართლის მთავარეპისკოპოსი, 1639 წ. კი უკვე გარდაცვლილად იხსენიება.

მისი ხელითაა შესრულებული თეიმურაზ I-ის სიგელი 1612 წლისა, ბოძებული ალავერდის ტაძრისათვის. ეს ლამაზი კალიგრაფიული მხედრულით ნაწერი გრაგნილია, ოქროსფერით გამოყოფილი სტრიქონებით. «დაიწერა მტკიცე და უცუალეხელი წიგნი და ბრძანება ესე ქორონიკონსა ტ. თუესა მაისსა აოსა, ინდიქტიონსა მეფობისა ჩუენისა ვ, ხოლო კელითა ფრიად ცოდვილისა ავალიშვილისა მთავარეპისკოპოსისა იოანესითა...» და სხვ.

თეიმურაზის სხვა სიგელში, რომელიც არსენი საფარელ ავალიშვილისადმია ბოძებული, იოანე მოხსენებულია, როგორც «სწავლათა უფსკრული» და «ფილასოფოსი».

ს. კაკაბაძე იოანე ავალიშვილს მიაწერდა «ვეფხისტყაოსნის» ცნობილ ხელნაწერს (H 2074), რომელსაც მდიდრულად მორთული არშიები აქვს, მაგრამ ეს მოსაზრება არ დადასტურდა.

1. ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი. საქართველო, III, 1910, გვ. 539.
2. გ ა ბ რ ი ე ლ ჩ ა ხ ა ნ ი ძ ე. თეიმურაზ I-ის სიგელი 1612 წლისა, მიცემული ალავერდის ტაძრისადმი: საისტორიო შოამბე, 1, 1925, გვ. 146—154.
3. სსმ ხელნ. აღწ., H—I, 1946, გვ. 200—201.
4. ლ. მ ე ნ ა ბ დ ე. ძველი ქართ. მწერლ. კერები, I, 1961, გვ. 239.

ავბაროზ ბანდაქსიძე — მწიგნობარი, კალიგრაფი და მხატვარი. ცხოვრობდა XIV ს-ში. დაიბადა, ვარაუდით, ოცდაათიანი წლების დასაწყისში, გარდაიცვალა 1400 წელზე ადრე. როგორც ჩანს, ქსნის ერისთავების მწერალი იყო. მისი გადაწერილი ლარგვისის მონასტრიდან ჩამოტანილი პ ა რ ა კ ლ ი ტ ო ნ ი (ხელ-

ნაწ. ინსტ. A 575), რომელსაც საყოფაცხოვრებო ცნობების შემცველი ბეჭერი საინტერესო მინაწერი აქვს. 310-ე ფურცელზე წერია: «სახელითა ღვთისაათა და თანაშეწევნითა წმიდის თევდორე ლარგუსისაათა ღირს ვიქმენ არა ღირსი მწერალი ავგაროზ ბანდაისძე აღწერად წმიდისა ამის წიგნისა... ქელეყავ და ვიწყე წერად დიდსა სიგლახაკესა და ეტრატისა სიძკრესა და შფოთსა და უცალობასა შინა წელსა მას, რომელსა იყო დიდი სიკუდილობა. ქორონიკონი იყო ლე [1348 წ.]... ოდეს ვიწყე წერად, ყმა ვიყავ და აქა მიმქცოვნიებულმან სრულეყავ ქორონიკონსა მიგ [1365 წ.]». ამგვარად, წიგნის გადაწერას ავგაროზი 17 წელიწადს მოუწია, ახალგაზრდამ დაიწყო (ამისდამიხედვით ვეგარაუდობთ მისი დაბადების თარიღს) და ჭალარაშერეულმა დაამთავრა. უეჭველია, იგი ინტერვალებით იმუშაებდა, მით უფრო, ისეთ მძიმე დროს, როცა საერთოდაც დიდი გაჭირვება და ეპიდემია ყოფილა და მასალის შოვნაც ჭირდა.

მეორე ადგილას (გვ. 311) ავგაროზი საკმაოდ თავმომწონედ მოგვითხრობს, რომ მან უმასწავლებლოდ შეითვისა ათი ხელობა (ამ ტექსტს ნახევარი გვერდი უჭირავს და განსაკუთრებული მონდომებით, ეფექტურადაა გადაწერილი: ყოველი სტრიქონი სინგურით მოხაზული ერთნაირი მთავრული ასოთი იწყება):

«წყალობითა ღთისათა მომეცა თვნიერ მოძღურისა ქელოვნება ესე ვითარი: პირველად

- ქელი სწავაჲ ხუცობისა.
- ქელი მეორე მწიგნობრობისაჲ.
- ქელი მესამე წერაჲ ხუცურისაჲ.
- ქელი მეოთხე შექმნაჲ ეტრატისაჲ.
- ქელი მეხუთე შეკრევაჲ წიგნისაჲ.
- ქელი მეექუსე მხატვრობაჲ.
- ქელი მეშვიდე მკერვალობაჲ.
- ქელი მერვე ტყავის კერვისაჲ.
- ქელი მეცხრე ხუროვნობისაჲ.
- ქელი მეათე მსოფლიო მუშაობისაჲ».

როგორც ვხედავთ, ავგაროზს მარტო შეეძლო მთელი წიგნის შესრულება სხვა ხელოსანთა გარეშე — დაწყებული ეტრატის მომზადებითა და დამთავრებული წიგნის აკინძვით. იმავე დროს, მხატვარი და მშენებელიც ყოფილა და სხვა საერისკაცო, უფრო ზუსტად, სასოფლო-სამეურნეო საქმეც ემარჯვებოდა («მსოფლიო» აქა ამას უნდა ნიშნავდეს). მის მიერ გადაწერილი პარაკლიტონი მოწმობს, რომ ავგაროზი რიგიანი კალიგრაფი იყო და რომ, საერთოდ, იმ დროს

(XIV ს.) ეს ხელობა კვლავ სათანადო დონეზე მდგარა. ნაწერი ნუსხურია, ყავისფერი მელნით, ერთ სვეტად, ტექსტშივე ჩართული სინგურით გამოყვანილი მთავრული ასოებით. გადაწერილია ლამაზად, გამოცდილი და დაჯერებული ხელით. არშიებზე გატანილი სინგურის ინიციალები შეიკული არაა, მხოლოდ ოდნავ ორნამენტირებულია. ტექსტის დასაწყისში მოთავსებული თავსამკაული — კიდევამოკეცილი სწორკუთხა ზოლი ხაზოვანი ხლართით, მცენარეული ელემენტებითა და, მგონი, გველის თავებითაც — პრიმიტიულია (მარტო ყავისფერთაა მოხაზული).

ავგაროზის წიგნს ერთგვარი «ქანრული» მინაწერებიც აქვს: მაგ., «აქა თევდორე ერთი ლიტრა ბანბაა მიბოძა, შეუნდვენ ღმერთმან» (274-ე გვერდის ქვემო არშიაზე); «აქა თევდორე ღვინითა ფლავი მომიტანა» («აქა» ნიშნავს: როცა ამ ადგილს ვწერდი, მაშინ მომიტანაო). ეს თევდორე სხვაგან იხსენიება, როგორც ავგაროზის ძმა, რომელმაც დიდი ამაგი დასდო ამ წიგნის შექმნას. მოხსენებული არიან აგრეთვე ავგაროზის მეუღლე თათუთაა, ვაჭები გრიგოლი და გიორგი.

ავგაროზის სახელი გვხვდება ქსნის ერისთავ ვირშელისთვის გიორგი თაბაურის (იხ.) მიერ გადაწერილ სახარებაშიაც (ხელნაწ. ინსტ. H 2122, 2125): მას შეუსრულებია ამ წიგნის კამარები და მახარებელთა სურათები: მე-3 ფურცელზე, მათე მახარებლის სურათის ქვემოთ, მიწერილია: «ესე ოთხნი მახარებელნი და ზემოთ კამარანი დაიხატნეს ქელითა ავგაროზ ბანდაჰსისაჲთა, შენდობა ყავთ». კამარებიცა და მინიატურებიც, რომლებშიაც ყვითელი, სინგური და მორუხო-მოციისფრო ფერები სჭარბობს, მხატვრულად მდარეა, ხელოსნურ დონეს არ სცილდება. აღარც ნახატია რიგიანი, აღარც ფერთა შესამება; ყურადღებას იპყრობს ზოგი საყოფაცხოვრებო დეტალი, მაგ., მწერლის იარაღების გამოსახულება.

შოთა მესხიამ გამოთქვა მოსაზრება — ჩემი აზრით, სავსებით დასაბუთებული, რომ ავგაროზ ბანდაისძის შედგენილი უნდა იყოს! ქსნის საერისთაოს ცნობილი მატთანე «ძველი ერისთავთა». მესხიას აზრით, ბროსეს არქივში აღმოჩენილი ორიგინალი მისი დაწერილია, მისივე შესრულებულია ქსნის ერისთვის ვირშელ III-ის პორტრეტიც ამ ხელნაწერშიო.

ხელობა ბანდაისძეებს, ეტყობა, საგვარეულოდ ჰქონდათ. ამავე პარაკლიტონში წინათ ყოფილა კიდევ ერთი გრძელი შინაწერი (ბროსენს უნახავს, ახლა აღარაა — ალბათ წიგნის რამდენიმე ფურცელი დაიკარგა), რომელიც ავგაროზის სხენებულ ვაქს გრიგოლს ეკუთვნოდა. მინაწერში მოთხრობილია 1400 წელს თემურ-ლენგის შემოსევის ამბავი. იმ ხანებში გრიგოლს ხუთი ძმა გარდაცვლია (ავგაროზი უკვე აღარ იყო ცოცხალი), შემდეგ ექვსი შვილი; იგი ბერად აღკვეცილა და თავის სამარხად კარიბჭე აუშენებია. ამ კარიბჭის შესახებ გრიგოლი

წერს, «დავსატე ხელითა ჩემითა, დავიდე კანდელი ვერცხლისა და ორი საცეცხლური... შიგნით ეკლესია მოვსატე და შევამევე ყოველი მოშლილი ხატებიო» და სხვ. (გრიგოლის მხატვრობას ჩვენ, სამწუხაროდ, არ ვიცნობთ, რაკი ლარგვისის მაშინდელი ტაძარი აღარ არსებობს: ახლანდელი XVIII საუკუნისა).

311-ე გვერდზე, იმ ტექსტის ზემოთ, რომელშიაც ავეგაროზი თავის ამბავს ყვება, სხვა ხელით ჩაწერილია საბუთი (პირველი სტრიქონები გადაშლილია), საიდანაც ჩანს, რომ გრიგოლისა და მისი შეილებსათვის ერისთავს სხვადასხვა ქონება უბოძებია «ქაშოეთისა დახატვისათუს». ეს ავეგაროზის ძე გრიგოლია, თუ მისი შთამომავალი, ძნელი სათქმელია, მაგრამ უეჭველია, აქაც ამავე გვარის პირებთან გვაქვს საქმე. უეჭველია, ავეგაროზისა და გრიგოლის წინაპარია მოხსენებული XIV ს-ის დასაწყისის ამბებთან დაკავშირებით «ძეგლი ერისთავთაში». იქ ნაამბობია, როცა გიორგი ბრწყინვალემ სპარსელებისაგან იერუსალიმის კლიტის გამოსახსნელად შალვა ქსნის ერისთავის ძე პიპა გაგზავნა, მას თან გაჰყვა დევანოზი იოანე ბანდას (თუ ბადანდას) ძეო. იქ ეს იოანე ქრისტეს საფლავის მოძღვართ-მოძღვრად უკურთხებიათ. ბანდას (ბანდაის) ძეთა გვარი, ეტყობა, ქსნის საერისთაოში კულტურის მოღვაწეთა დინასტიას წარმოადგენდა.

1. Brosset. Voyage, III-6, გვ. 77—78 (ბროსე შეცდომით ბანდაისძის მაგიერ შინდასძეს კითხულობდა).

2. Ф. Жордания. Опис. рукоп. Ц. М., II, 1902, გვ. 92—94.

3. თ. ქორდანიძე. ქრონიკები, II, 1897, გვ. 204.

4. სსმ ძველ ხელნაწერთა საცავების გზამკვლევი. თბ. 1952, გვ. 122—123.

5. ძეგლი ერისთავთა (ქსნის ერისთავთა საგვარეულო მატთან). ტექსტი გამოსცა, გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებელი დაურთო შოთა მესხიამ: მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის. თბ., 1954, გვ. 316—321.

აპოკალიფიკური შულავკრელი — XVIII ს-ის ოსტატი, რომელმაც ააშენა ე. წ. ბარაკონის დეთის მშობლის ტაძარი სოფ. წესთან რაჭაში (ამბროლაურის რაიონი, რიონის ხეობა). მისი სახელი მოხსენებულია აღმოსავლეთის ფასადის წარწერაში: «ამისი ოსტატი შულავერელი ავთანდილ. ვინც ნახოთ შენდობა ბძანეთ». მეორე წარწერის მიხედვით, ძეგლი 1753 წლით თარიღდება. ოსტატი, რომლის შესახებაც სხვა ცნობები არ მოგვეპოვება, როგორც ჩანს, აღმოსავლეთ საქართველოდან უნდა ყოფილიყო. მის მიერ რაჭის ერისთავის როსტომის ბრძანებით აგებული ტაძარი — ძველი ქართული გუმბათოვანი ხუროთმოძღვრების ერთ-ერთი უკანასკნელი მნიშვნელოვანი ნიმუშია. აშკარაა მშენებელთა პრეტენზია: მათ სურდათ უკეთეს ეპოქათა «დიდ ხუროთმოძღვრებას»

გასწორებოდნენ. საერთო სახით შენობა XII—XIII ს-თა ეკლესიებს უახლოვდება. ოსტატს იგი მრავალრიცხოვანი ჩუქურთმით შეუშვია, მას აღუდგენია ფასადთა კომპოზიციის ზოგიერთი ძველი, უკვე მივიწყებული, ელემენტი (მაგ. აღმოსავლეთის ფასადის ნიშები). ეს ელემენტები და მორთულობა არქიტექტურასთან ორგანული კავშირის გარეშეა დახვავებული. ავთანდილის შემოქმედება ეკლექტიკურია. იგი იმ ეპოქის დამახასიათებელ პროდუქტს წარმოადგენს, როცა მრავალსაუკუნოვანი ძველი ქართული ხუროთმოძღვრება უკვე ნიადაგამოცლილი იყო და თავის ბუნებრივ აღსასრულს უახლოვდებოდა.

გ. ბ. ო. კ. რ. ი. ძე. რაკის ისტორიული ძეგლები: საქართველოს მუზეუმის მოამბე, ტ. VII, 1933. გვ. 248.

აზრალი აქოლისი — «მხატვართ-უხუცესი და ხუროთმოძღვარი», რომელიც მოხსენებულია 1939 წელს საამთავროს ნეკროპოლის რაიონში ნაპოვნ ბერძნულ ეპიტაფიაში. წარწერის შინაარსი ასეთია: «აქ განისვენებს მხატვართ-უხუცესი და ხუროთმოძღვარი ავრელი აქოლისი. ჩემი მეუღლითურთ, ბევრაზურითურთ, ვთხოვე მეგობრებსა და გამვლელებს ყური უგდონ [...], რათა არაეინ და[აზიანოს?.. თუ] ვინმე [გაბედავს დასაფლავებას] ჩვენთან ერთად, ან ჩვენი ტომისაგანი ან სხვა უცხოელი, პასუხს აგებს თავისი აღდგომის დროს». ს. ყაუხჩიშვილი, რომელმაც გამოსცა და გამოიკვლია წარწერა, ჩვენი წელთაღრიცხვის .IV ს-ით ათარიღებს მას (დამწერლობის სასიათით, ტექსტის ენობრივი ფორმებითა და შინაარსით). მისივე დასკვნით, ტერმინი «მხატვართ-უხუცესი» («არქიზოგრაფოს») «ბერძნულ სამწერლო ძეგლებში არ გვხვდება, არც ძველ ბერძნულში, არც ბიზანტიურში X.II საუკუნემდე, იმიტომ, რომ ამ ტერმინით გამოსახატავი ცნება ბერძნულ სინამდვილეში არ არსებობდა... ეს ბერძნული ტერმინი ადგილობრივი საჭიროებისათვის არის სპეციალურად შექმნილი მცხეთაში არსებული თანამდებობის პირის («მხატვართ-უხუცესის») გამოსახატავად. მაშასადამე, ავრელი აქოლისი მცხეთაში შემთხვევით მოხვედრილი პირი კი არ უნდა იყოს, არამედ ადგილობრივ მუდმივად მომუშავე..., თუნდაც რომ დაეუშვათ, რომ აქოლისი საბერძნეთიდან ჩამოსული ოსტატია და არა მკვიდრი ქართველი, რომაული სახელის მატარებელი. მაინც იგი ჩანს ისეთ პირად, რომელიც მცხეთაში დამკვიდრებულა, ადგილობრივ დაოჯახებულა და მხატვართ-უხუცესისა და ხუროთმოძღვრის მაღალი თანამდებობა სჭერია».

.IV ს-ში ამგვარი თანამდებობის არსებობა, რა თქმა უნდა, ბევრის მოქმედი საქართველოს იმდროინდელი მხატვრული და ხუროთმოძღვრული კულტურის შესახებ.

ს. ი. მ. ყაუხჩიშვილი. მცხეთა-სამთავროს ახლად აღმოჩენილი ბერძნული წარწერა: საქართველოს სსრ მეცნ. აკად. მოამბე, ტ. VI, № 6, 1943.

ათანასე — კალიგრაფი. ცხოვრობდა XI ს-ში, ოპიზის მონასტრის ბერი იყო. ერისკაცობაში არვანდი რქმევია. ჩვენ ვიცნობთ მის მიერ 1093 წელს გადაწერილ ერთ მოზრდილ წიგნს — პარაკლიტონს (33,6×25 სმ, 207 ფურცელი, ხელნაწ. ინსტ. A 93); გადაწერის თარიღი და ვითარება მოთხრობილია ანდრეშში (ფურც. 206): «მე უღირსი და ფრიალ საწყალობელი, სულით და ჯორციით უღები და დაქსნილი ათანასე არვანდ ყოფილი ღირს ვიქმენ დაწერად და აღსრულებად ყოველითურთ ბრწყინვალესა სულთა და ჯორცთა განმანათლებელსა, დიდებასა ყოველთა ეკლესიათასა წმიდასა ამას პარაკლიტონსა სრულსა და უკლებსა, ვითა ეთარგმნა წმიდასა მამასა გიორგი მთაწმინდელსა... დაიწერა ქრონიკონსა ტიგ (313 + 780 = 1093), დიდებულსა ლავრასა შინა ოპიზას. დედა [დედანი] გიორგი მთაწმინდელისა ნუსხითგან დაწერილი მქონდა. მაგრამ ეზომ წურილად ნაწერი იყო, რომელ კაცისა თავისა თმასა ჰგვანდა და მე კაცი ვიყავ ზოდღევნებული...». უკვე მოხუც ათანასეს, როგორც ვხედავთ, გაჭირვებია ორიგინალის წერილი ნაწერის გარჩევა და თავისი გაჭირვება ამ სტრიქონებში აღუბეჭდია. ამოდენა წიგნის გადაწერა ადვილი არ იქნებოდა, მაგრამ ხელნაწერი თავიდან ბოლომდე ერთი ღირსებისაა: ძალიან მკაფიო ნუსხურითაა ნაწერი, ერთ სვეტად. დამახასიათებელია, რომ ასოები შვეულია და არა დახრილი. გადამწერი ეტყობა კალამს ძლიერად არ აჭერდა, ასოების კონტურის მსხვილი და წერილი ნაწილები კონტრასტული არაა, იქნებ ეს სწორედ ათანასეს მოხუცებულობასა და ფიზიკურ სისუსტესაც მიეწეროს. არშიებზე გატანილი მრგლოვანი საზედაო ასოები — წერილი ხაზებით გამოყვანილი — უმეტესად მელნისავე ფერისაა (ყავისფერი), ცოტაა სინგურით ნაწერი. ტექსტში სინგურით გამოყოფილი სიტყვები (ზოგი მრგლოვანით ნაწერი) აქა-იქ გვხვდება. საერთოდ, წიგნის გაფორმება ძალიან მარტივია.

ათანასესეული პარაკლიტონი ერთი მრავალრიცხოვან ნიმუშთაგანია სამხრეთ საქართველოს სავანეებიდან გამოსული წიგნებისა, ხოლო თვით ათანასე ერთი რიგითი მუშაკთაგანი შავშეთ-კლარჯეთის ქართველ სასულიერო მოღვაწეთა დიდი გუნდისა.

Ф. Жордания. Опис. рукоп. Ц. М., I, გვ. 95.

ათანასე — კალიგრაფი. ცხოვრობდა XI ს-ში. მისი გადაწერილია გიორგი ათონელის დიდი სვინაკსარი (ხელნაწ. ინსტ. A 840) — ეს ყოფილა ორიგინალიდან მეოთხე გადაწერილი — «გადმოწერე მესამე წიგნისაგან მეოთხედ წიგნადო», წერს ათანასე და მერე მოგვითხრობს, რომ შრომა გაუწევია «ფრიადითა ჭირითა და გულს მოდგინებითა»: «ღმერთმან იცის, ვამე და ვამე ჭირნი უსახლობისა და უადგილობისანი, რომელ სხვასა არავის წაჰკიდებია ესე ვითარი:

რამეთუ სოფლისა ღელვათა და განსაცდელთა შინა ვეფალ ყელამდისინო» (ფურც. 171). ამ გაჯირვების ბრალია, თუ თვით ათანასეს ნიჭისა და დახელოვნებისა, მისი გადანაწერის მხატვრული ღირსება მაინცდამაინც მაღალი ვერაა. წიგნი საშუალო ზომისაა (29×22 სმ). ტექსტი ნუსხურია, სეპიისფერი მელნით ნაწერი ერთ სვეტად, მკაფიო ხელით, რომელსაც სილამაზე მაინც აკლია. შიგადაშიგ სინგურის მთავრული ასოებია ჩართული, ძალიან ცოტაა არშიაზე გატანილი დეკორაციული ენიციალი: ამ ასოების ტანი ორი ფერის მონაცვლეობითაა შელამაზებული — ან წითელ-ყავისფერია, ან წითელ-მწვანე.

1. М. Джанашивили. Опис. рукоп., Ц. М., III, 1908, გვ. 51—52.

2. სმ ძველ ხელნაწერთა საცავების გზამკვლევი, გვ. 124.

აპპკი — კალიგრაფი, ცხოვრობდა XV ს-ის მეორე ნახევარსა და XVI ს-ის დასაწყისში. მუშაობდა სამცხის ათაბაგთა კარზე. 1504 წელს ყვარყვარე ღიდისა და დედისიმედის ასულის დედოფალთ დედოფლის თამარის «ბრძანებითა» გადაწერა ოთხთავი (ხელნაწ. ინსტ. Q 920), პატარა ნუსხური წიგნი (15,2×10,5 სმ, 264 ფურცელი), რომელიც საგანგებო შეკვეთით იყო შესრულებული, მდიდრულად მოკაზმული (მასხარებელთა მინიატურები, თავკაზმულობანი, ასოები — ყველაფერი ოქროთი და საღებავებით) და აბრეშუმის ქსოვილგადაკრულ ყდაში ჩასმული. ანდერძი: «ყუთხეულ არს ღმერთი! სრულ იქმნა წმიდაჲ ესე ოთხთავი ქრონიკონსა მეთათხმეტედ მოქცეულსა რაიბ, მარტსა 8, ჟელითა ცოდვილისა აკაისითა» (192+1312=1504; 8 მარტი=8 მარტს). უფრო გვიან სახარება გელათში ინახებოდა.

1. Brosset. Rapports..., II, 1851, გვ. 42—43.

2. Кондаков. Бакрадзе. Опись, გვ. 54.

3. უორდანი, ქუევი, II, გვ. 319—320.

4. Р. Шмерлинг. Образцы, გვ. 65—66.

5. ხელნაწ. ინსტ. ხელნ. აღწ., Q—II, 1958, გვ. 347—349.

აპკილა მტბეპარი — გადამწერი; ცხოვრობდა X—XI სს-თა მიჯნაზე, ბაგრატ III-ის დროს. 1002 თუ 1003 წელს გადაწერა წმინდანთა ცხოვრება, რომელიც ახლა ათონის ივერიის მონასტერში ინახება: «ღმერთო ადიდე ბაგრატ აფხაზთა მეფე და ქართველთა კუროპალატი, ... რომელმან ინება აღწერაჲ წმიდისა ამის წიგნისა წმიდათა მოწამეთაჲ, ინდიქტიონსა მეფობისა მათისა კე, დასაბამიდგან წელსა ხქზ, ქრონიკონსა სკზ. დაიწერა და შეიმოსა წმიდაჲ ესე წიგნი შაორს, სოფელსა წმიდისა ღვთისშობლისასა... ჟელითა გლახაჲის აკვილა მტბეპარისათა».

(ქართული ქრონიკონი 1002 წელს უდრის, «დასაბამიდგან სოფლისა» —

:003; ბაგრატის მეფობის ინდიქტიონი — 23-ეა: ბაგრატ III 978 წ. გამეფდა — აქ 1002-იც შეიძლება ვიგულისხმოთ, თუ ჩავთვლით, რომ 23-ე წელი მიმდინარეობს, და 1003-იც, თუ ჩავთვლით რომ 23 წელია გასული).

რომელი სოფელი შორი იგულისხმება აქ ან რა კავშირია ამ სოფელსა და ტბეთის ეპისკოპოსის შორის (მტბევეარი ამას ნიშნავს) — არ ვიცით. ცაგარლის ცნობით, აკვილასული წიგნი ლამაზი ნუსხურითაა ნაწერი.

1. A. Цагарели. Сведения, I, 1886, გვ. 83.

2. R. P. Black. Catalogue des manuscrits Géorgiens.

ამონა — ხანძთის ეკლესიის მაშენებელი. ცხოვრობდა X ს-ის პირველ ნახევარში. მოხსენებულია გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში. მისი ხელმძღვანელობით აუგიათ ხანძთის მეორე ეკლესია, რომელიც «გურგენ კურაპალატის ძემან... აშოტ ერისთავთა ერისთავმან» დაიწყო (ეს აშოტი, კუხად წოდებული, 896 წლიდან 918 წლამდე იყო ერისთავთ ერისთავად). ამ დროს ხანძთის წინამძღვარი იყო მამია არსენი. «ამისითა განზრახვითა იქმნა დაწყება ახლისა მის და შუენიერისა ეკლესიისა ფიცხელსა მას კლდესა ზედა, რომელიცა ფრიადითა შრომითა და ქეთა-კირითა მყარითა მრავალთა ქამთა დააუაკეს». ეს იმდენად რთული საქმე ყოფილა, რომ ამ ადგილის «შემზადება» (დავაება, ბაქნის ამოშენება ეკლესიის ასაგებად) ისე მიუჩნევიათ, თითქოს მთელი მშენებლობა დაესრულებინოსთ («ესრქ შეჰრაცხის შემზადება ადგილისა მის, ვითარცა სრულიად აღეშენა»). შემდეგ ნათქვამია, რომ «აკურთხა: ქრისტემან ამონა სიბრძნით სრულიად მაშენებელი და შემწენი ყოველნი, რომელთაგან კეთილად განემარჯვებოდა შშენება მის». დიდად გამძნელებულა საშენი მასალის მოზიდვა: ქვა და კირი «ფრიად შორით მოაქუნდა ძნელთა მათ გზათა კაცთა ზურგითა». ამ მასალას ყიდულობდნენ და ამის გამო ყველაფერი სასწორით იწონებოდაო. ეკლესიის აგება დამთავრებულია აშოტის ძმისწულის გურგენ ერისთავთ ერისთვის (918—941) დროს.

როგორი იყო ამონას მიერ აგებული ეკლესია? პასუხი დამოკიდებულია იმაზე, თუ რომელ ადგილს მივიჩნევთ ხანძთად. ხანძთა, სამხრეთ საქართველოს ერთი უმნიშვნელოვანესი სამონასტრო ცენტრთაგანი, გვიან ფეოდალური ხანაში, ამ კუთხეში თურქების დამკვიდრების შემდეგ, დაცარიელდა. ხალხში დაიკარგა თვით მისი სახელიც კი, ასე რომ, ხანძთის ადგილმდებარეობა თავიდან ვახდა დასადგენი. ბოლო დრომდის ხანძთად, ნიკო მარის თანახმად, მიჩნეული იყო შედარებით მცირე ზომის ბაზილიკური ეკლესია, აგებული მაღალი ციციბო კლდის საფეხურზე, სოფ. ფორთის ჩრდილოეთით (მდ. იმერხევის მიდამოებში, მდ. კარჩხა-

ლის ხეობაში. ახლა მას უწოდებენ «ნუკა-საყდარს»). პ. ინგოროყვამ და-
ასაბუთა, რომ ხანძთა დღევანდელი ფორთაა, ე. ი. ის, რაც ნ. მარს შატბერდად
მიანდა. ფორთის ტაძარი გაცილებით უფრო მნიშვნელოვანი ნაგებობაა, ვიდრე
ნუკა-საყდარი, ე. ი. მარისეული ხანძთა. თავისი გეგმით (სწორკუთხედი, რომლის
ფარგლებშიაცაა მოქცეული საკურთხეველის აფსიდი; ტაძრის შიგნით მკაფიოდ გა-
მოყოფილი მაღალი ჯვაროვანი შუა სივრცე და უფრო დაბალი ნაწილები კუთხე-
ებში, ჯვრის მკლავებს შორის; ორი თავისუფლად მდგომი გუმბათქვეშა ბურჯი;
ბოძების კიდევ ერთი წყვილი დასაველეთის მკლავში და სხვ.), გარეგანი მასებით,
პროპორციით, ფორთის ტაძარი შუალედ საფესურზე დგას ადრინდელი ფეოდა-
ლური ხანისა და XI—XIII სს. ქართულ ხუროთმოძღვრებას შორის. დიდად
საყურადღებოა ფასადთა მორთულობის დეკორაციული ელემენტებიც: გუმბათის
ყელის დეკორაციული თაღები და ხერხულა კარნიზი, რომლის გამოც გუმბათის
საბურჯეს ნახევრად დაკეცილი ქოლგის სახე აქვს, სარკმლების სათაურები და
სხვ. ჩუქურთმა და გრეხილი ჯერ კიდევ არ არის. თუ ამონა სწორედ ამ ტაძრის
მშენებელია (ეს კი სარწმუნო ჩანს), მაშინ იგი მხატვრული ნიჭით დაჯილდოებულ
და თავისი დროისთვის მოწინავე ხუროთმოძღვრად შეგვიძლია მივიჩნიოთ.

1. Н. Марр. Дневник поездки в Шавшню и Кларджию. СПб., 1911,
зв. 124—131.

2. პ. ინგოროყვა. გიორგი მერჩულე, თბ., 1954, გვ. 311—314, 318—322.

ამონა — კალიგრაფი, ცხოვრობდა IX ს-ში. უძველესი დათარიღებული
ქართული ხელნაწერის — სინას მთის მონასტრის 864 წლის მრავალთა-
ვის — ერთ-ერთი გადამწერთაგანი. ამ წიგნის შექმნის ინიციატორი მაკარი
ლეთეთელი — ამონას მამიდაშვილი — მას ასახელებს, როგორც თავის შემწეს
«ქელთწერითა»; სხვაგან იგი თვითონ უწოდებს თავის თავს «მწრქეალს», მაგ-
რამ არა აქვს მითითებული, რომელი ნაწილია მისი გადაწერილი (ა. შანიძე სი-
ნური მრავალთავის ხელნაწერში სამ სხვადასხვა ხელს არჩევს).

იხ. მაკარი ლეთეთელი.

ანანი — მხატვარი-მინიატურისტი. ცხოვრობდა XV ს-ში, როგორც ჩანს,
სამცხის ათაბაგების კარზე. ჩვენ ვიცნობთ მის მიერ შესრულებულ ორ მინიატურ-
რას, რომლებიც ჩაკრულია კალიგრაფის შავზაქარიას მიერ (იხ. ეს სახელი) XI
ს-ში გადაწერილ სახარებაში (ხელნაწ. ინსტ. A 845). ეს მათე და მარკოზ
მასარებლების სურათებია. პირველის (მათეს) ზურგზე (ფურც. 9) მშვენიერი ხე-
ლით, ნუსხურად წერია: «პატრონისა ათაბაგ ამირსპასალარისა ყუარყუარეს ძეთა
პატრონისა ბაადურს ცოდვანი მათნი შეუნდენეს ღმერთმან. და მათსა ძმასა პატ-

რონსა ქაიხოსროს შეუნდენეს ღმერთმან. და მათსა მონასა და ამისა მხატვარსა ანანიას შეუნდენეს ღმერთმან». იგივე პირნი არიან მოხსენებულნი ნარკოზის სურათიან ფურცლის ზურგზედაც (ფურც. 102): იქაც წერია — ამის მხატვარი ანანიას. ეს პირნი XV ს-ში ცხოვრობდნენ: ესენი არიან ყუარყუარე I და მისი ძენი, რომელთაგან ბაადური 1475 წელს გარდაიცვალა 21 წლისა. მამასადამე, ეს მინიატურები XV ს-ის 60—70-იანი წლებისა უნდა იყოს. ანანია თავისი დროისთვის ძალიან კარგ ოსტატად უნდა ჩათვალოს. მახარებელთა მჯდომარე ფიგურები კარგადაა დახატული; დამახასიათებელია რამდენადმე წაგრძელებული პროპორციები, ძალიან წვრილი ხელები და ტერფები; თვალს ერთბაშად ხედება სინგურის ფერი — სახლების სახურავი, შარავანდისა და საწიგნეს კონტურები, მუთაქა, რომელზედაც მათე ზის, მინიატურის სწორკუთხა ჩარჩო და სხვ., რადგანაც სხვა ყველაფერი — მახარებელთა ტანსაცმელი, სავარძლები, სხვა ნივთები — ყრუ და მკრთალი ფერებითაა შეღებილი: ნახმარია მორუხო მწვანე (თეთრანარევი მწვანე), ყავისფერი, ყვითელი; ამ ფერების გვერდით სინგური მჭახედ ჩანს. სახეები — მათესი მოყავისფრო, მარკოზისა მომწვანო — ძალიან ფაქიზადაა დაწერილი: თვალწარბი მუქი, სოლო ნაოჭები თეთრი წვრილი ხაზებითაა გამოყვანილი. წარწერები მოოქრული სინგურისაა.

ანანიას შესახებ ჯერჯერობით სხვა არაფერი ვიცით. არც ისაა ცნობილი, როგორ მოხვდა შავ მთაზე გადაწერილი სახარება ათაბაგთა ოჯახში.

М. Джанашивили. Опис. рукоп. Ц. М., III, гв. 62 (აქ არაა მითითებული, რომ ანანიას წარწერები მინიატურებიან ფურცლებზეა. ამიტომ გაუგებარია მათი ურთიერთობა თვით ხელნაწერთან).

არსენი — კალიგრაფი. მისი გადაწერილია ხელნაწ. ინსტ. ოთხთავი H 1707, რომელსაც XII ს-ის მიაკუთვნებენ. 192-ე ფურცელზე ანდერძში ნათქვამია: «... ადიდე და დაიციე ყოველთაგან ენებათა სულიერთა და ჯორციელთა ვარდან ავლეველი..., რომელმან... აღმაწერია წმიდაჲ ესე ოთხთავი მლოცველსა მათსა უნდოსა არსენის...».

არსენი მაღალი დონის პროფესიონალი იყო. ოთხთავი (23×18 სმ, ეტრათი) მშვენიერი ხელითაა ნაწერი, ნუსხურად, ორ სვეტად. მელანი მუქი ყავისფერია. ფურცლების გაფორმება მარტივია — მხოლოდ სინგურის საზედაო ასოები (ბევრი) სამკაულის გარეშე. მაგრამ კამარა (ლურჯი სვეტებით, ზემო ნაწილში კი ლენტოვანი ყლორტის რთული ხლართით, ფოთლებისა და ყვავილების სტილიზებული სახეებით), ყოველი სახარების წინ მოთავსებული თავსამკაული (ასევე — წიგნებისა და ყვავილების სტილიზაციით), სახარებათა პირველი საზედაო

ასო — ფერადი, ადამიანის ფიგურებისა და მცენარეული მოტივების სტილიზაციით — ყველაფერი მოწმობს დეკორაციულობის მნიშვნელობის ზრდასა და განვითარებას. კამარასა და თავსამკაულებში მთავარია ლურჯისა და ოქროსფერის შეხამება. ოქროთივება ნაწერი სახარებათა სათაურებიც, ჩართული თავსამკაულის არეში.

სახარებას, ამას გარდა, ამკობს ორი შესანიშნავი მინიატურა (მჯდომარე ლუკა მახარებელი და იოანე, რომელიც პროსოორეს უკარანახებს), რომლებიც მაშინდელი ქართული მხატვრობის საუკეთესო ნიმუშთა რიგს შეიძლება მიეკუთვნოს. მაგრამ ჩვენ არ ვიცით, ვინ არის მათი ავტორი (იოანეს სურათის ქვეშ ძალიან ღამაზი წვრილი ნუსხურით წერია: «მახარებელნო მათე, მარკოზ, ლუკა, იოანე შემეწყალე ცოდვილი...»). სახელი ამოშლილია განგებ. შესაძლებელია, სწორედ მხატვრის სახელი იყო).

სსმ ხელნ. აღწ., H — IV, გვ. 136.

არსენი — XIV ს-ის მხატვარი, რომელმაც 1381 წელს მოხატა ჭულის ეკლესია. ეკლესიის ჩრდილო დასავლეთის ბოძზე, საღებავებით შესრულებული წარწერა: «შეწევითა ღვთისაათა და წმინდისა გიორგი ჭულისაათა სრულ იქმნა ეკლესიაი ესე ჭულისაი ხატებითა კელითა მხატვრისა არსენი თ [.]თა: შუენდენეს ღმერთმან [.]ათა. საკუთარი სახელის მომდევნო სიტყვას ბროსე აღადგენდა «თფილელისათა», თაყაიშვილიც «თბილელს» გულისხმობდა, ხოლო შ. ამირანაშვილის აზრით, აქ «თორელი» ან «თმოგველი» უნდა იყოს. დანამდვილებით არსენის სადაურობა ჩვენთვის უცნობი რჩება, მაგრამ თბილელი იგი მართლაც არ უნდა ყოფილიყო, თუნდაც იმიტომ, რომ მაშინ «ტფილისი» იწერებოდა და არა «თბილისი».

მხატვრობა ძლიერ დაზიანებულია და მხოლოდ ფრაგმენტების სახითაა დღემდე მოღწეული. მაინც ხერხდება მისი საერთო სქემის აღდგენა. გუმბათში გამოსახული იყო ამალღება, გუმბათის ყელზე — წინასწარმეტყველნი, აფრებში — მახარებელნი; საკურთხევის კედელზე — მოციქულთა ზიარება და მის ქვემოთ დიაკონთა და წმ. მამების ფიგურები; საკუთრივ ნაოსის კედლებზე — სახარების სცენები და განკითხვის დღე, აგრეთვე წმ. გიორგის ცხოვრების სცენებიც (ეკლესია წმ. გიორგის სახელობისაა). განსაკუთრებით საინტერესო იყო სამცხის ათაბაგთა პორტრეტები სამხრეთის კედელზე: სარგის-საბა, ბექა მანდატურთუხუცესი, სარგის II, ყუარყუარა, შალვა. ბექას ეკლესიის მოდელი უჭირავს ხელში. 1381 წ., როცა ეს მხატვრობა შესრულდა, ამ პირთაგან აღარც ერთი არ იყო ცოცხალი. მე მგონია, ეს ჯგუფური პორტრეტი რომელიმე უფრო ადრინდელი ნიმუშიდანაა გადაღებული და ეკლესიის მოდელიანი ბექაც არსენიმ ალბათ უც-

ვლელად გადმოიღო. ჯაყელთა ფიგურები, ისევე როგორც სარწმუნოებრივი სცენების მოქმედ პირთა ფიგურებიც, უჩვეულოდ გრძელია, ნახატი რამდენადმე დუნე; სტილისტიკური ნიშნებით არსენის ნამუშევარი ე. წ. «პალეოლოგოსთა ხანის» ნიმუშია, რამდენადმე პროვინციული, სხვა იმდროინდელ ქართულ ფრესკებთან შედარებით.

1. B r o s s e t . R a p p o r t s , II₂, გვ. 136.

2. E . T a k a i ш в и л и . АЭРЗ, I, გვ. 107—108.

3. Д . П . Г о р д е е в . Отчет о поездке в Ахалцихский уезд в 1917 году; Расписи в Чуде, Сапаре и Зараме: Изв. КИАИ, I, 1939, გვ. 12—36 (აქ დაწერილებითაა აღწერილი მხატვრობა).

4. შ . ა მ ი რ ა ნ ა შ ვ ი ლ ი . ბეჟა ოზიზარი, 1937, გვ. 10.

5. ვ ა ხ ტ ა ნ გ ბ ე რ ი ძ ე . სამცხის ხუროთმოძღვრება. XIII—XV საუკუნეები. 1955. გვ. 150—151.

6. Ш . А м и р а н а ш в и л и . История грузинского искусства. М., 1963, გვ. 286.

არსენი ნინოფინდელი და იოვანე ბრძეღისძე — X ს-ის მეორე ნახევრისა და XI ს-ის დასაწყისის სასულიერო მოღვაწენი, მთარგმნენი და კალიგრაფები, რომლებიც დიდი ხნის განმავლობაში ერთად ცხოვრობდნენ და იღვწოდნენ. ცნობები მათ შესახებ მოიპოვება გიორგი მთაწმინდელის მიერ დაწერილ იოანე და ექვთიმე მთაწმინდელთა ცხოვრებაში და გიორგი მცირის გიორგი მთაწმინდელის ცხოვრებაში.

არსენი და იოვანე, როგორც ჩანს, პირველად ოთხთა ეკლესიის სავანეში (ჭოროხის ხეობაშია) შეხვდნენ ერთმანეთს. არსენი — «კაცი მაღალი სათნოებითა და მუშაკი ქრისტეს მცნებათაჲ» — ნინოწმინდის ეპისკოპოსი ყოფილა. მაგრამ მან «ღუთისათჳს დაუტევა ეპისკოპოსობაჲ და დავით კურაპალატისა წინაშე მოვიდა». ტაოს მფლობელმა დავითმა არსენი «ღირსად სიწმინდისა მისისა შიკითხა და ოთხთა ეკლესიასა წარმოგზავნა». იმ ხანებში «ბერი იოანე გრძელისძე ცხოვნდებოდა, ვითარცა უწორცოჲ, დაყუდებით ოთხთა ეკლესიათა ლავრასა შინა». არსენი და იოანე დიდად დამეგობრებულან: «მათ უკუე ნეტართა მამათა ჩუენთა იოანეს და არსენის ფრიადი სიყვარული აქუნდა ერთმანერთისაჲ და მრავალქამ იღუწიდეს მუნ კეთილსა მას ღუაწლსა მონაზონებისასა». მაგრამ ოთხთა ეკლესიაში ისინი ამქვეყნიური ცხოვრებისაგან საქმოდ გარიდებულად ვერ გრძნობდნენ თავს, «მყუდროებით ცხოვრებაჲ ვერ იყოფებოდეს». ამიტომ მათ «განიზრახეს, რათა წამოვიდენ უცხოსა ქუეყანასა», «წარვიდეს კერძოთა პონტოხასათა» და იქ რომელიღაც მონასტერში დაემკვიდრნენ. მათი იქ ყოფნა შეუტყვიათ იოანე და ექვთიმე მთაწმინდელთ, რომელნიც ამ დროს ახლად დაარსებულ ათონის ქართველთა მონასტერში იღვწოდნენ და წერილი მოუწერიათ არსენისა

და იოანესათვის: გავიგეთ თქვენი მანდ ყოფნა და «ფრიად გულკლებულ ვართ, რომელ არა ინებეთ ამას წმიდასა და სახელოანსა მთასა მოსლვაჲო». არსენი და იოანე აიბარგნენ თავისი სამყოფელიდან და ათონის მთისკენ გაემგზავრნენ: იქ ისინი მეორე წელს (წერილის მიღებიდან) ჩასულან და მხარში ამოდგომიან ექვთიმეს, რომელსაც მამის გარდაცვალების შემდეგ წინამძღვრობის მთელი სიმძიმე დააწვა. ეს ორი ბერი ძალიან დაუახლოვდა და დაუმეგობრდა ექვთიმეს: ისინი «დიდად თანაშემწე ექმნეს წმიდასა მამასა... ეფთვმეს თარგმანებასა შინა წმიდათა წერილთასა და მოშურნე და მობაძვე წმიდათა სათნოებათა მისთა იქმნნეს და მრავალნი წიგნი ეკლესიისანი ქამსა სიბერისასა თუსითა ჳელითა აღწერნესო», მოკვეითხრობს გიორგი მთაწმინდელის ბიოგრაფი («აღწერნეს» ნიშნავს — გადაწერესო).

არსენი, კ. კეკელიძის აზრით, 1018 წლის ახლო ხანებში გარდაიცვალა, იოვანე გრძელისძის გარდაცვალების წელი უცნობია. ორივენი დაუკრძალავთ «გარეჲან მონასტრისა... ერთსა შინა ეკლესიასა წმიდისა სუმეონ მესვეტისასა». მაგრამ გიორგი მთაწმინდელმა, როცა ივერიის მონასტრის წინამძღვრად აირჩიეს, გადაასვენა ისინი ექვთიმე მთაწმინდელის გვერდით, დიდ ეკლესიის საგანგებო სამარტვილეში.

არსენისა და იოანეს ნათარგმნი შრომები არ არის ცნობილი. მაგრამ მათ მიერ გადაწერილი წიგნები დღემდეა შემონახული, თუმც კი სულ ცოტა.

ერთია 1011 — 1019 წლებში გადაწერილი კრებული (ხელნაწ. ინსტ. A 1103), რომელიც შეიცავს სხვადასხვა სასულიერო თხზულებებს («გრიგოლ ჰრომთა ჰაპის ცხოვრება», «დილოლონი», «წმ. ბასილის საკითხავი» და სხვ.). მათთან ერთად გადაწერაში მონაწილეობდა იოვანე ოქროპირი, რომელიც აგრეთვე მოხსენებულია — გრძელისძესა და არსენისთან ერთად — იოანესა და ექვთიმეს ცხოვრებაში, როგორც ათონელი მოღვაწე. გადამწერნი რამდენიმეჯერ არიან მოხსენებულნი (მაგ.: «ლოცვა ყავთ ნეტარისა ბერის იოვანე გრძელისძისა და სულიერის შვილისა მათისა იოვანე ოქროპირისთუს, რომელნი ფრიად დაშურეს შრომასა და წერასა ამის წმიდის წიგნისა» — ფურც. 285; «კუალად ლოცვა ყავთ წმიდისა მამადმთავრისა არსენისათუს. ფრიად უშრომია და უკეთესი მათი დაწერილია», და სხვ.).

ეს დიდი წიგნია (36×29,2 სმ, 286 ფურცელი), ნუსხური, ორ სვეტად ნაწერი, დიდი, ნაკლებ გადაბმული, ასოებით (ეს დამახასიათებელია X—XI სს. ნუსხურისათვის); იშვიათია სინგურის საზედაო ასოები და აქა-იქ ტექსტშივე ჩართული სიტყვები. წიგნი შესრულებულია მორთვის პრეტენზიის გარეშე. რომელი ნაწილი ვისი გადაწერილია, არ ჩანს, თუმცა სხვადასხვა ხელი კი გაირჩევა: ნა-

წილი კალიგრაფიული ოსტატობითაა ნაწერი, ნაწილი არა (მაგ., ერთ-ერთი ხელის დამახასიათებელი ისაა, რომ კალმის დაჭერის გარეშეა ნაწერი, ასოების მთელი მოხაზულობა თანაბარი სისქისაა. მოხუცის, ფიზიკურად სუსტის, ნაწერს კვავს).

აღ. ცაგარლის ცნობით, მათივე გადაწერილია ათონის ივერიის მონასტერში დაცული იოანე ოქროპირის განმარტება სახარებისა. ნათარგმნი ექვთიმე მთაწმინდელის მიერ. ეს განმარტება რამდენიმე ტომად უნდა იყოს: ცაგარელს ისინი აღნიშნული აქვს სხვადასხვა №-ით: 66 (რომელიც მეორე ტომს შეადგენს), 67 და 70—ესაა, როგორც ჩანს, I ტომი, რომლის ბოლოს, ანდერძში, ნათქვამია: «ბრძანებითა ღმერთშემოსილისა მამისა ჩუენისა ეფთჳმესითა, ჩვენ გლახანი და ცოდვილნი არსენი ნინოწმინდელი და იოვანე გრძელისძე და ოქროპირი ღირს ეიქმენით დაწერად ჳელითა ჩუენითა წმიდათა ამათ წიგნთა, თარგმანებულთა განმანათლებელისა წმიდისა მამისა ჩუენისა ეფთჳმესითა ბერძულისაგან ქართულადო». № 66-ის ანდერძში ასეთი ცნობებია: «დაიწერა მეორე ესე წიგნი ჳელითა ჩვენ ცოდვილთა არსენი, იოვანე და ოქროპირისათა... მთაწმიდას ათონის მონასტერსა წმიდათა მამათა იოვანეს და ეფთჳმისა... ქრონიკონი იყო სჳშ». თარიღი 1008 წელია. № 67-ით აღნიშნულ ტომში ტექსტის ნაწილი თვით ექვთიმე მთაწმინდელის გადაწერილია.


აღ. ცაგარლის თანახმად, ეს წიგნები ნუსხურითაა ნაწერი, № 66-ის შესახებ იგი ამბობს, მსხვილადაა ნაწერი ორ სვეტად, სამკაულების გარეშე, ადვილი საკითხავიაო.

1. ათონის ივერიის მონასტრის 1074 წლის ხელნაწერი აღაპებით. საიუბილეო გამოცემა საეკლესიო მუზეუმისა. 1901, გვ. 21, 22, 52, 62, 301.
2. А. А. Цагарели, Сведения, I, 1886, გვ. 86—88, 91—92.
3. R. P. Blake. Catalogue des manuscrits Géorgiens.
4. კ. კეკელიძე. ძველი ქართული მწერლობის ისტორია, I, 1951, გვ. 165. 192. 160.
5. ი. ლ. აბულაძე. ქართული წერის ნიმუშები. 1949, გვ. 306.
6. სსმ ხელნ. აღწ., A—IV, 1954, გვ. 76—84.

არსენ ოსტატი — მანგლელი ეპისკოპოსი, ცხოვრობდა XVII ს-ის მეორე ნახევარში. მოხსენებულია მანგლისის ტაძრის გალავანში ჩატანებულ წარწერაში: «ღმერთო, შეიწყალე ამისი ამშენებელი მანგლელი ეფისკოპოზი არსენ ოსტატი, თებერ გქრონიკს ტნე» (= 1667 წელს). ე. თაყაიშვილის აზრით, არსენის აშენებული უნდა ყოფილიყო გალავანში შესასვლელი ბჭე.

Е. Такайшвили. АЭРЗ, IV, 1913, გვ. 140.

არსუქისძე — შესანიშნავი ხუროთმოძღვარი, ცხოვრობდა XI ს-ის პირველ ნახევარში. შუასაუკუნეთა უდიდესი ქართული ტაძრის — სვეტიცხოვლის — შემქმნელი. გარდაიცვალა 1029 წელს. მისი სახელი მოხსენებულია ტაძრის ორ წარწერაში: ა) აღმოსავლეთის ფასადზე, შუა თაღის ქვემოთ, მედალიონებში: «ადიდენ ღმერთმან ქრისტეს მიერ მელქიზედეკ ქართლისა კათალიკოზი, ამენ. აღე შენა ესე წმიდა ეკლესიაჲ ქელითა გლახაკისა მონისა მათისა არსუქისძისაჲთა, ღმერთმან განუსუენე სულსა მისსა»; ბ) ჩრდილოეთით, აგრეთვე მთავარი სარკმლის ზემოთ, ორ ქვაზე, რომელთა შორის ჩასმულია მესამე ქვა ხელისა და გონიოს რელიეფით: «ქელი მონისა არსუქისძისაჲ. შეუნდეთ» (აღბათ ამ რელიეფმა წარმოშვა ცნობილი ლეგენდა იმის შესახებ, რომ სვეტიცხოვლის ოსტატმა აჯობა თავის მასწავლებელს და ამის გამო მას ხელი მოჰკვეთეს: «ხეკორპულას წყალი მისვამს, მცხეთა ისე ამიგია, დამიჭირეს, ხელი მომჭრეს, რატომ კარგი ავიგიაო». დარჩენილია ლექსის სხვა ვარიანტებიც).



სვეტიცხოვლის ჩრდილოეთ ფასადის წარწერა, რომელშიაც მოხსენიებულია ხუროთმოძღვარი: «ქელი მონისა არსუქისძისაჲ, შეუნდეთ»

ისტორიკოსმა ლ. მუსხელიშვილმა გამოარკვია, რომ არსუქისძეს სვეტიცხოვლის აგება დაუწყია 1010 წელს, მელქიზედეკ კათალიკოსის ტახტზე ასვლისთანავე. მშენებლობა 1029 წელს დამთავრდა და, როგორც წარწერებიდან ჩანს («განუსუენე სულსა მისსაო»), იმავე წელს გარდაიცვალა თვით ხუროთმოძღვარიც. უეჭველია, რომ არსუქისძემ გამოიყენა ძველი (V—VI საუკუნეების) სვეტიცხოვლის ცალკეული ნაწილები და ფრაგმენტები, მაგრამ, არსებითად, მან სრულიად ახალი, დამოუკიდებელი, ნაწარმოები შექმნა. სვეტიცხოველი ორგანულად უკავშირდება ქართული ხუროთმოძღვრების მთელ წინა განვითარებას: მისი გეგმა წაგრძელებული სწორკუთხედიან, ოთხი თავისუფალი გუმბათქვეშა ბურჯით; გარე მასები — ჯვრის მკლავების მძლავრი საფეხურებისგან შედგება; მკლავების შეგვირდინების ადგილას აღმართულია მაღალყელიანი გუმბათ-



მცხეთა, სეკიტცხოველი. 1010--1029 წწ. აშენებელია ხეროთოპოლეს არსუკისძის შივრ

თი; ფასადების მოსართავად გამოყენებულია დეკორაციული თაღების განვითარებული სისტემა და სარკმელთა საპირეები. საესებით განვითარებული ხასიათისაა მდიდარი, მრავალფეროვანი ჩუქურთმებიც, რომელთაგან დღემდის მხოლოდ ნაწილმა მოაღწია. მაგრამ ყველა ეს ფორმა და მოტივი, რომლებიც საუკუნეთა მანძილზე მუშავდებოდა, არსუკისძის ნაწარმოებში შანამდის არნახული მასშტაბითაა ხორცშესხმული.

ს ე ე ტ ი ც ხ ო ე ლ ი ს საერთო პროპორციები, მისი გარეგანი მასების ჰარ-



მცხეთა, სვეტიცხოვლის გალავნის კარიბჭე (1965 წლის რესტავრაციის შემდეგ).
XI ს-ის პირველი ნახევარი

მონიული წყობა, გრანდიოზული შინაგანი სივრცე, ფასადების კომპოზიცია, მრავალფეროვანი მორთულობის გააზრებული სისტემა, რთულ ტექნიკურ ამოცანათა დაძლევა მოწმობს როგორც მთელი იმდროინდელი ქართული ხუროთმოძღვრების სრულ მხატვრულ მომწიფებას, ისე თვით არქიტექტორის შესანიშნავ მხატვრულ ნიჭს, დიდ პრაქტიკულ გამოცდილებასა და ოსტატობას. არსუისძის ნაწარმოებს შუა საუკუნეთა ქართული არქიტექტურის ისტორიაში საეტაპო ძეგლის მნიშვნელობა აქვს: ქუთაისის ბაგრატის ტაძარსა და ალავერდის კათედრალთან ერთად, სვეტიცხოველი მომწიფებული ფეოდალიზმის დროინდელი სტილის საბოლოოდ დამაყვანებელი ნაწარმოებია.

არსუკისძის ნაგებობამ დროთა განმავლობაში რამდენადმე იცვალა სახე: გუმბათის ყელი და კედლების ზოგიერთი ნაწილი XV—XVII სს-ებს მიეკუთვნება. XV ს-ში შენობა ნაწილობრივ შეგნითაც გადააკეთეს.

საფიქრებელია, რომ არსუკისძევე უნდა იყოს ტაძრის დასავლეთით მდებარე კარიბჭის მშენებელი: კარიბჭისა და ტაძრის ერთდროულობა ეჭვს არ იწვევს.

1. თ. ეორდანიას. ქ-ეები I, 1892 გვ. 175 (ეორდანიას სწორად არ ქონდა ამოკითხული წარწერები და ვერც ხუროთმოძღვრის სახელს კითხულობდა მართებულად. აღმოსავლეთის ფასადის წარწერაში მან წაიკითხა: „აღუშენა ესე წმიდა ეკლესია ქელითა ბესიკისა“, ხოლო ჩრდილოეთისაში: „ქელი მონისა არს კოსტანტინესი, რათა შეუნლოთ“).

2. ს. კაკაბაძე. როდის არის აშენებული სევეტიცხოვლის ტაძარი?: საისტორიო კრებული, 1, 99 (ს. კაკაბაძემ პირველმა ამოიკითხა ხუროთმოძღვრის გვარი: „ამ წარწერებიდან ირკვევა, რომ მცხეთის ტაძრის აღმაშენებელი არის მელქისედეკ კათალიკოზი. ხუროთმოძღვარი კიდევ არსაკისძე“).

3. ნ. ბერძენიშვილი. მცხეთის საბუთი XI საუკუნისა: საქართველოს მუზეუმის მოამბე, VI, 1931;

4. ლ. მუსხელიშვილი. მცხეთის სევეტიცხოვლის ტაძრის უძველესი წარწერები და მათი დამოკიდებულება მელქისედეკ კათალიკოსის ანდერძთან: ქართული ხელოვნება, I, 1942, გვ. 136—137 (ლ. მუსხელიშვილმა პირველმა წაიკითხა „არსუკისძე“: „რადგანაც მოქცევაჲ ქართლისაჲს მატანე დაეინებით ასახელეს „არსუკს“, ხოლო არც აქ, არც სხვა ქართულ წყაროებში სახელი „არსაკ“ ცნობილი არაა და თანაც ჭერ კიდევ საკითხავია ამ ორი სხვადასხვა ფორმის იგივეობა... ამიტომ, ჩემის აზრით, მცხეთის წარწერაში ეს სახელი ზემომოყვანილი ფორმით უნდა გაეხსნათ“).

ასათ მოქმედი — X ს-ის შესანიშნავი ოქრომქანდაკებელი, ავტორი დავით კურაპალატიისთვის შესრულებული გვრისა, რომელიც 1898 წ. აღმოჩნდა სოფ. ბრილში. გვარი (მკლავების ღერძებზე მისი ზომაა 27,2×16,2 სმ.) წარმოადგენს მთლიან მასიურ ფირფიტას, რომლის წინა მხარეს მირჩილულია გვარცმული ქრისტეს ფიგურა გვრითურთ, სხვა წმინდანთა ფიგურები (მარიაში და იოანე გვარცმულის ორსავე მხარეს, ღვთისმშობელი ჩვილით ქვემო მკლავზე, მამა ღმერთი ზემოთაზე) და მედალიონები ნახევარფიგურებით. დანარჩენი არე, როგორც წინიდან, ისე ზურგიდან, დაფარულია გრავირებული ორნამენტით და შემკვეთის წარწერით (ქვემო მკლავზე).

წინა პირის წარწერა ასეთია: «ქრისტე აღიდგ დღეგრძელობით დავით კურაპალატი, ამინ». ზურგზე, ქვემოთ, აწერია: «ასათ მოქმედი».

თავისი დანიშნულებითა და საერთო სახით გვარი მიეკუთვნება იმ გვუფს, რომელსაც შეადგენენ X—XI სს. ქართული ოქრომჭედლობის შესანიშნავი ნიმუ-

შები — იშხნის, ბრეთისა და მარტვილის ჯერები. ასათის ნაწარმოები მნიშვნელოვანია თავისი მხატვრული და ისტორიული ღირებულებით. ასათი უკვე გარკვევით ამქდავენებს ინტერესს ფიგურების პლასტიკური, საკუთრივ სკულპტურული, გადმოცემისადმი, რაც პირველად თავს იჩენს ქართულ ხელოვნებაში სწორედ X ს-ის უკანასკნელ მესამედში. მაგრამ მის ნაწარმოებში ჯერ კიდევ საგრძნობია სიუჟეტის გადმოცემის ემოციურობა, ფიგურისა და კომპოზიციის ცალკეულ ნაწილთა ძლიერი ხაზგასმა ექსპრესიულობის გასაძლიერებლად. ქრისტეს არაჩვეულებრივად მეტყველი, ზმუნვარებითა და ტანჯვით აღბეჭდილი სახე, იოანეს მოკრძალებული ფიგურა, მშვენიერად მოდელირებული ნაქცეები იოანესა და მარიამის სამოსლისა, მთელი კომპოზიციის ცალკეულ ნაწილთა გააზრებული დაქვემდებარება საერთო მიზნისადმი, მოწმობს, რომ ასათი დიდი ნიჭით დაჯილდოებული შემოქმედი იყო. გ. ჩუბინაშვილი აღნიშნავს, რომ თვით ფაქტი ნაწარმოების «ხელმოწერისა» ავტორის მიერ გვიჩვენებს, რომ იმ დროს შემოქმედი — ოქრომქანდაკეული უკვე გამორჩეული იყო ხელოსანთაგან; შესაძლებელია «მოქმედის» ცნებას ერთგვარი სოციალური მნიშვნელობაც ჰქონდესო.

1. Г. Н. Чубинашвили. Золотых дел мастера Асата работа для Таосского владетеля, царя царей Давида Куропалата: საქართვე. სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, ტ. XV-B, თბ., 1948, გვ. 115—134.

2. მისივე. Грузинское чеканное искусство, გვ. 162—169. სურ. 85.

3. მისივე. ქართული ოქრომკვებლობა, ტაბ. 6.

ახმერდა — მ ა რ ტ ყ ო ფ ის მონასტრის სამრეკლოს მამულებელი კალატოზი. სამრეკლოს სამხრეთის კედლის წარწერაში ნათქვამია: «ამენდა სამრეკლო ესე წელითა ქალატოზისა ახვერდასითა, შენდობა უთხარით». ჩრდილოეთის კედლის წარწერის თანახმად, სამრეკლო 1699 წელს ამენებულა მარტყოფის «საჯეთმპყრობელის», «ქისიყის მოურავის შვილის ზაქარია ენდრონიკაშვილის» ბრძანებით.

Brosset. Voyage... II., SPb, 1850, გვ. 55.

ბავრელი — XI ს-ის ოსტატი, ს. ფოკას ეკლესიის (ჯავახეთში, ბოგდანოვის რაიონში) მშენებელი. სახელის მიხედვით, თვითონაც ჯავახელი უნდა ყოფილიყო სოფ. ბავრიდან. ეკლესიის სამხრეთის კედელზე ამოკვეთილ წარწერაში იგი ამბობს: «სახელითა ღმრთისაჲთა, მე ბავრელი დირს ვიქმენ შენებისა წმიდაჲსა ამის ეკლესიისა. საფუძველი დაიდვა, მე თანა დავშუერ ქელოსანი ვიყავ ოქროპირისა ქართლისა კათალიკოზისა». შენობის აგება, აქ მოხსენებული ოქროპირ კათალიკოზის მღვდელმთავრობის წლების მიხედვით, 1031—1053 წლებს შუა ექცევა. ბავრელის ნაწარმოები ერთნაეიანი ეკლესიაა, XI ს-ისათვის დამახასიათებელი მდიდარი და მაღალხარისხოვანი მორთულობით. ეს ჯავახეთის საუკეთესო ხუროთმოძღვრული ძეგლია კუმურდოს შემდეგ. ოსტატი, უეჭველია, თავისი დროის მოწინავე მსატერულ მიღწევათა დონეზე იდგა.

ნ. ბერძენიშვილი. მცხეთის საბუთი XI საუკუნისა: საქართვე. მუზეუმის მოაზრებ., VI, 1932, გვ. 258.

ბარნაბა — კალიგრაფი. ცხოვრობდა XIV ან XV ს-ში — ამ ხანას მიაკუთვნებენ მის მიერ ქსნის ერისთავ შალვასთვის გადაწერილ ზატეკს (ე. წ. ლარგვისის ზატეკი, ხელნაწ. ინსტ. A 25). ბარნაბა მოხსენებულია 239-ე გვერდზე. ეს 338-გვერდიანი მომცრო წიგნია (25,8×20 სმ), მშვენიერი ნუსხურით ნაწერი ერთ სვეტად (ეტრატი, ყავისფერი მელანი). ასოები წერილია, მტკიცე, თანაბარი ხელით გამოყვანილი. ტექსტი გაცოცხლებულია სინგურის სტრიქონებით და მარვენებლებით არშიებზე, პირველი გვერდის თავსამკაული — კიდებჩამოკეცილი სწორკუთხა ზოლია, შიგ ლურჯ-წითელ-თეთრი ლენტების ჭილობისებრი წნულით (ეს მოტივი XIV ს-დან გავრცელდა ფართოდ). შესრულება არ არის ოსტატური. წიგნს 7 მინიატურა ამკობს: თომას ურწმუნოება, მენელსაცხებლე დედანი 3. ვ. ბერიძე


და იოსებ არიმათიელი, ქრისტე და სამარიტელი ქალი, განრღუეულის განკურნება, შობითგან ბრმის განკურნება, ამალღება, ნიკეის კრება. მინიატურების ავტორი — შესაძლებელია, თვით ბარნაბა (?) — ძალიან ყრუ და მძიმე კოლორიტს არჩევს, დამახასიათებელია მუქი ლურჯი, თითქმის შავი, ფონი, სამოსლის ლურჯი და ყავისფერი, მჭახე წითელი ფერი (წარწერებიც წითელია, მთავრული ასოებით); ოქროს ნაცვლად შარავანდებისთვის ყვითელია ნახმარი. მინიატურები მხატვრული თვალსაზრისით უკვე დაშორებულია საუკეთესო ხანების ნიმუშებს.

1. თ. ჟორდანია. ქუები, II, 1897, გვ. 20.
2. Ф. Жордания. Опис. рукоп. II. М., I, გვ. 19.
3. Р. Шмерлинг. Образцы, გვ. 63—64, ტაბ. XXIV.

ბასილი — გრიგოლ დვთისმეტყველის თხზულებათა კრებულის გადამწერი (ხელნაწ. ინსტ. A 1), XI საუკუნის ერთი საუკეთესო კალიგრაფთაგანი. მის მიერ გადაწერილ წიგნში უმეტესად ექვთიმე მთაწმინდელის (აგრეთვე სხვათა) მიერ ნათარგმნი თხზულებებია შესული. ერთ-ერთ ანდერძში (გვ. 875) წერია: «ლოცვა ყავთ უღირსისა და ფრიად ცოდვილისა უცბად მჩხრეკელისა ბასილისათს...» და სხვ. ხშირად იხსენიება «ზაქარია სვინგელოზი, ბანელი მამადმთავარი», რომელსაც რაღაც დეაწლი მიუძღვის ამ წიგნის შექმნაში. თვით ბასილი სხვა ანდერძებშიაც ხშირად იხსენიებს თავის თავს. მისი წიგნი საშუალო ზომისაა: 28,7×21,2 სმ, ძალიან სქელი (908 გვერდია). ნაწერია ძალიან ლამაზი ნუსხური ხელით, ნაკლებ გადამბული, მკაფიო ასოებით (როგორც XI ს-ის ახასიათებს). ჩვეულებრივ ფურცლებს მკაცრი «აკადემიური» იერა აქვს — არც სინგურია, არც რაიმე სამკაული. სამაგიეროდ, ყოველი თხზულების დასაწყისს ბასილი კარგად მოფიქრებული სამკაულით აფორმებს: ზოგან თავსამკაულებია — სწორკუთხა ზოლი, ან ასეთივე კიდებჩამოკეცილი ზოლი; ზოგან კი მთელი გვერდი ერთიანადაა ჩასმული ორნამენტულ სწორკუთხა ჩარჩოში. ჩარჩოების (და თავსამკაულების) არე ერთიანად შევსებულია სინგურით ნაწერი მთავრული ტექსტით (აქ სათაურიცაა და ცნობები იმის შესახებ, თუ ეს თხზულება როდის და რა ვითარებაში დაწერა გრიგოლ დვთისმეტყველმა). ეს მთავრულიც მშვენიერი კალიგრაფიული ნაწერია, ლამაზი პროპორციის ასოებით.

ყოველი თხზულების ტექსტის დასაწყისში, ამას გარდა, ორნამენტული სახედარო ასოებია, კიდევ ერთი ელემენტი დეკორაციული ანსამბლისა. მაინც ტექსტის არე არსად არაა შეღასული მორთულობის მიერ, ინიციალები ნაწერში არ იჭრება, მთლიანი ჩარჩოები მკაცრი გეომეტრიული ფორმისაა.

ჩარჩოებისა და თავსამკაულების დამუშავება მსგავსია. ესაა 2 სმ და ცოტა მე-



ფურცელი გრიგოლ ღვთისმეტყველის თხზულებათა კრებულიდან
(ხელნაწ. A 1). XI ს. გადაწერილია „ბასილი უტბად მხსრეკალის“ მიერ

ტის სიგანის არშიები მუქი წითელ-შინდისფერი, ოდნავ სოსან-ნაკრავი, ფერისა; ნახატი ლურჯი საღებავითა დ თეთრათია გამოყვანილი: წრეების მწკრივი, ერთ-მანეთს წაბმული სხვადასხვა ორნამენტული საზებით, წრეებში — სტილიზებული ფოთლები; ზოგან ფოთლოვანი სახეებია წრეების გარეშეც. ბასილის ნახელავი «ხალხური» ხელოვნების ნიმუში არაა, ეს ნამდვილი პროფესიონალის ნამუშევარია. შესრულების ხასიათი გრაფიკული კი არ არის, არამედ ფერწერული: სქლად დადებული წამალი, თეთრათი «მოღელირებული» ფოთლები, ფოთლები გადმო-ნაკეცებით, დაჩრდილული ნაწილებით და სხე.

თარიღი ამ ხელნაწერს არ უზის, მაგრამ თ. ქორდანი 1031 წლით ათარიღებს: ხელნაწერ A 16-ს, რომელიც ამის პირს წარმოადგენს (XVIII ს-ში გადაწერილს), შერჩენია ანდერძი: «დაიწერა ქალაქსა შინა კონსტანტინეპოლეს... ქართველთა ქორონიკონსა სნა, საბერძნეთს მეფობასა რომანოზისსა... ქართლს მთავრობასა ბაგრატ ყრმისასაო...» და სხე. (ჩამოთვლილი არიან კიდევ სხვა ისტორიული პირები. სნა — $251 + 780 = 1031$ წ.).

Ф. Жордан и я. Опис. рукоп. Ц. М., I, 1—2.

ბასილი ეტრატატი მალუშისძე — კალიგრაფი. ცხოვრობდა XI ს-ში, მოღვაწეობდა კონსტანტინეპოლის ხორას მონასტერში. ცნობილია მის მიერ გადაწერილი ერთადერთი წიგნი — ექვთიმე მთაწმინდელის მიერ ნათარგმნი ს ჯ უ ლ ი ს კ ა ნ ო ნ ი მეექვსე საეკლესიო კრებისა (ხელნაწ. ინსტ. A 96), რომელიც მას 1031 წელს შეუსრულებია. 184-ე ფურცელზე ასეთი ანდერძია (მთავრულით): «დაიწერა რჩულის კანონი ესე ქალაქსა ღვთივ დაცეულსა (sic) კონსტანტინეპოლის (sic), ახალსა რომსა, ნებითა და ბრძანებითა ღმერთშემოსილისა წმიდისა მამისა ჩვენისა გრიგოლ მთაწმინდელისაჲთა, ქელითა გლახაკისა მწარედ ცოდვილისა ბასილი ეტრატატი მალუშის ძისაჲთა. შრომისათვის ლოცვა ყავთ და უცბად ჩსრეკისათვის შემინდვეთ, ერნო ღმერთშემოსილნო. დაიწერა წიგნი ესე მონასტერსა ხორას, მეფობა (sic!) რომანოზისსა და ქრონიკონი იყო: [სხვა ხელით] სნა». 72-ე ფურცლის არშიაზე ტექსტის პერპენდიკულარულად: უცბად მწერალი გლახაკი ბასილი ეტრატატი ლოცვასა მომიჯსენეთ» (ესეც მთავრულია). რომანოზი 1028—1034 წლებში იყო ბიზანტიის იმპერატორად, ასე რომ თარიღი 1031 (სნა: $251 + 780$), თუმცა კი სხვა ხელითაა მიწერილი, სინამდვილეს შეეფერება. ამასვე მოწმობს წიგნის შესრულების ხასიათიც.

ეს პატარა წიგნია (21,3 × 17,3 სმ, 184 ფურც.); მასალა ეტრატია, ნაწერი — ნუსხური, ყავისფერი მელნით, ერთ სვეტად; ასოები მსხვილი, გადაუბმელი, სქელ-საზოვანი, კუთხოვანი, საკმაოდ ღამაზი. სათაურები მთავრულია, სინგურით ნაწერი; საზედაო ასოები — ზოგი უბრალო, მელნისავე, ზოგი სინგურით ნაწერი,

ზოგი ოქროგადამსული სინგურით (პირველ ფურცლებზე). ტექსტის დასაწყისში, მეორე ფურცელზე, მშვენიერი, ნამდვილი პროფესიული ოსტატობით შესრულებული, თავსამკაულია II-სებრი მოხაზულობისა: ოქროს ფონზე ლურჯი ნახატი (წრეები ფოთლებით), რომლის დეტალები თეთრათი და წითლითაა გამოყვანილი. მთელი ეს გვერდი მთავრული ასოებითაა ნაწერი, ოქროგადამსული სინგურით: შექმნილია წიგნის «საზეიმო» შესავალი. თავსამკაულის სახეები და ფერადოვნება დამახასიათებელია XI ს-ის ხელნაწერებისთვის; დამახასიათებელია ისიც, რომ ტექსტის არე შეუბღალავია ინიციალების ან სამკაულების მიერ (აქ სამკაულები საერთოდ არაა იმ თავსამკაულის გარდა; ზოგან გვხვდება მხოლოდ იმ დროს გავრცელებული X-სებრი ნიშნები ხაზებს შუა ჩასმული წერტილებით).

ბასილი ეტრატაი თავისი დროის დახელოვნებულ ქართველ კალიგრაფთა რიგს მიეკუთვნება. გაკვირვებას იწვევს მხოლოდ, რომ მის ანდერძში რამდენიმე შეცდომაა დაშვებული (მის მიერ გადაწერილი წიგნი, როგორც მინაწერიდან ჩანს, ერთ ხანს საბა-სულხან ორბელიანს ეკუთვნოდა, მერე დავით გარეჯის ნათლისმცელის მონასტრისათვის შეუწირავს).

1. Ф. Жордания. Опис. рукоп. II. М., I, гл. 114.

2. სსმ ხელნაწ. გზამკვლევი, 1952, გვ. 129.

ბაღსარაშვილი, ქაიხოსრო (ცხოვრობდა XVII ს-ის მეორე ნახევარში) — ანანურის დიდი ტაძრის (1689 წ.) მშენებლობის ხელმძღვანელი. ეს ტაძარი აშენდა არაგვის «ერისთვისშვილის მდივანბეგის» ბარძიმის ბრძანებით. სამხრეთის კედლის წარწერაში ქაიხოსრო თავის თავს ბარძიმის «წინამდგომელსა» და «ბოქაულთუხუცესს» უწოდებს. ბარძიმმა — წერს ქაიხოსრო — «დამადგინა მწინდას ამას მონასტერსა ზედან სარქრადა, უწყის ღმერთმან, რაც შექლება მქონდა, ჯღივ და ღამ მოუსვენებლად ვშვებოდი, არ ვეც ძილი თვალთა ჩემთა, ვიდრემდის განასრულებდენ მონასტერსა მასო».

ანანურის დიდი ტაძარი გვიანწყოდალური საქართველოს არქიტექტურის ერთი უმთავრესი ძეგლთაგანია. აღმოსავლეთ საქართველოს იმდროინდელ ძეგლთა უმეტესი ნაწილისაგან განსხვავებით, იგი თლილი ქვითაა ნაშენი და მდიდრულადაა მოჩუქურთმებული. მორთულობა დიდი პრეტენზიითაა შესრულებული, მაგრამ, ისევე, როგორც ყველა სხვა იმდროინდელ ძეგლში, აქაც იგრძნობა ხელოსნური სიმშრალე, დახვეწილი გემოვნებისა და ზომიერების გრძნობის უქონლობა, ბევრი რამ ხუროთმოძღვრულ ფორმებთან გააზრებული შეთანხმების გარეშეა გაკეთებული. ტექნიკურად ტაძარი კარგადაა ნაშენი.

3. ზ ა ქ ა რ ა ი ა. ანანურის ხუროთმოძღვრული ანსამბლი. თბ., 1953, გვ. 11—13.

ბედისმწერლიშვილები — კალიგრაფების გვარი. მისი წარმომადგენლები XVII ს-ის მეორე ნახევარში მოღვაწეობდნენ. ცნობილი არიან: მღვდელი იესე, ზოგჯერ ბაღდაშვილად ან ბაღდღიაშვილად წოდებული, ფარეშე, მღვდელი ნათანაილ, რომელიც თავის თავს ბაღდადიძეს ან ბაღდადელიძეს უწოდებს, და გიორგი. იესე და ფარეშეში ძმები იყვნენ და ხშირად ერთად მუშაობდნენ ამა თუ იმ წიგნის გადაწერაზე. შესაძლებელია, ნათანაილიც მათი ძმა იყო, რადგან ბაღდაშვილი და ბაღდადიძე ერთსა და იმასვე უნდა ნიშნავდეს. გიორგიც მათივე ძმა უნდა იყოს. ბედისმწერლიშვილების შემკვეთნი ვახტანგ V-ის ოჯახთან ახლომდგომი პირები იყვნენ, ამას გარდა, ისინი დაკავშირებული ყოფილან ორბელიანთა ოჯახთან.

1664 წელს იესემ (რომელიც ა. ბაქრაძის აზრით, ციციშვილების კარის მდივანი უნდა ყოფილიყო) და ფარეშეშმა ქართლის მთავარეპისკოპოსის ნიკოლოზ ჩხეიძისათვის გადაწერეს კურთხევაანი (ხელნაწ. ინსტ. II 1742). ეს 335-ფურცლიანი მომცრო ზომის წიგნია (21,5×16 სმ), ნუსხური, შავი მელნით ნაწერი არაჩვეულებრივად მტკიცე, თანაბარი ხელით, კუთხოვანი ასოებით, რომლებიც ერთი შეხედვით ძალიან მოგვაგონებს გუთურ შრიფტს. 150-ე ფურცელზე «ამის მწერლად» იხსენიება ფარეშეში, 315—316 ფურცლებზე კი ფარეშეშიცა და იესეც. წიგნში ტრადიციულადაა ჩართული სინგურის ასოები, პირველი გვერდი კი საგანგებო სწორკუთხა ჩარჩოშია ჩასმული (ჩარჩო შედგება ლურჯი, სინგურის, შავი და ოქროსფერი ხაზებისაგან); 1667 წელს მათ მიერვეა გადაწერილი მარხვანი (Q 663), აგრეთვე გუთურის მსგავსი ნუსხურით.

1669 წელს ეკუთვნის იესეს მიერ გადაწერილი კრებული (A 179), ესეც ნუსხური, ფრიად მარტივად გაფორმებული. 153-ე ფურცელზე მელნით, სწრაფი ხელით, ესკიზურად შესრულებული ნახატია — გრძელწვეროსანი სამღვდლო პირი ხელში ჯვრით, მხედრული წარწერის თანახმად — «საბა ღირსი».

1673 წელს მანვე გადაწერა ქვეშის სახარება (A 517), პატარა წიგნი (13×10 სმ), რომელიც პრეტენზიულადაა გაფორმებული ტექსტის შემომფარგვლელი ჩარჩოებით (ნაწერი ორ სვეტადაა და ჩარჩოც ყოველ სვეტს აქვს), მცენარეული მოტივებით და სხე... თავში დართული 15 მინიატურა, რომლებშიაც ბევრია ბრჭყვიალა ოქრო (ფონი, შარავანდები), წითელი, სინგური, ლურჯი, ყავისფერი — ხელოსნურ დონეზე დგას, კამარებში ჩიტების, მცენარეებისა და წმინდანების გამოსახულებებია ჩართული. ეს ყველაფერი საკმაოდ მდარე გემოვნებისაა, თუმც თვით ტექსტი ლამაზადაა ნაწერი. ანდერძში იესე მღვდლად იხსენიება.

ამავე იესეს გადაწერილი უნდა იყოს (უფრო ადრე, მთავარდიაკნობისას), საბა-სულხანის მამის, მდივანბეგ ვახტანგ ორბელიანისათვის, ოთხთავი (S 1247).



ანანურის დიდი ტაძრის სამბრეთის შესასვლელი. 1689 წ. მშენებლობას
ხელმძღვანელობდა სარქარი ქაიხოსრო ბაღსარაშვილი

ნუსხურად ნაწერი პატარა წიგნი (13,3×9,8, 262 ფურცელი). აქ ყოველი გვერდი სწორკუთხა ჩარჩოშია (ჩარჩო ტრადიციულად ოქროსფერი, ლურჯი და წითელი ხაზებისაგან შედგება), სახედაო ასოები ხან ამ ჩარჩოებზევეა დასმული, ხან კეთის მათ: გემოვნების მხრივ კარგი ვერ არის. თავსამკაულების შესრულება პრიმიტიულია (გადამწერის ანდერძის გვერდით, 229-ე ფურცელზე, შემკვეთის მინაწერია: «უფაღონო ჩემნო, აქ ვახტანგ სწერია და ბოლოს ორბელი, ორივე მე მქვიან»).

იესე საბუთებსაც წერდა. მისი — როგორც გადამწერის — სახელი გვხვდება 70-იან წლებშიაც და 1695 წელსაც.

ნ ა თ ა ნ ა ი ლ ი, ალბათ, უმცროსი ძმა იყო: 1772 წელს გადაწერილი წიგნის (ქ ა მ ნ ი, H 1755, 12,4×9,4 სმ) ანდერძში იგი თავისთავს «ახლად მოსწავლეს» უწოდებს, მაშინ, როცა იესე და ფარემუზი უკვე სამოციანი წლების პირველ ნახევარში ჩამოყალიბებული მწერლები იყვნენ. ეს ქ ა მ ნ ი ნათანაილმა «აღასრულა» იმავე ვახტანგ ორბელის ბრძანებით. «ახლად მოსწავლის» კვალობაზე ძალიან მტკიცე ხელითაა ნაწერი, ძალიან წვრილად (ნუსხურით). წიგნს დართული აქვს მინიატურები სახარების სცენებით, მაგრამ ვინაა მათი ავტორი, არ ვიცით.

ღ ა ვ ი თ ნ ი (H 16) შანწავაზ მეფის ძის ლუარსაბის მეუღლის, რევაზ ერისთავის ასულის მარიამისათვის — უკვე ოციოდე წლით უფრო გვიან, 1691 წელსაა გადაწერილი. «შენდობა ყავთ მწერლისათჳს. ღმერთმან იცის, სიკეთესა და სიმართლეს მოვიჭირვე, როცა ოდენ ძალ მედვა და რაცა დედასა ეწერა, სხუა მეტი არა დამიწერია რა, არც რა ჩამირთავს, საცა გასაკეთები იყო, ორჯელ ჩავამოწმე და ისრე გამიკეთებია. ბევრი სიტყუა გეუცხოებათ და ტყუილი ნუ გგონია»... — ნათქვამია ანდერძში (ფურც. 191). ნათანაილი ამ დროს უკვე მღვდელი იყო. ესეც პატარა ზომის წიგნია (9,8×7,5 სმ, 212 ფურც.), იმდროინდელი ტიპის სწორკუთხა ჩარჩოებში ჩასმული ტექსტით; ნაწერი ნუსხურია, ტრადიციული სინგურის ნაცვლად ყველგან ოქროს საღებავია ნახმარი (მთავრული ასოები, სათაურები, ცალკეული სიტყვები); დასაწყისში ოქროსფერ ლაპლაპა ფონიანი თავსამკაულია ფაქიზად გამოყვანილი წითელი რტოებითა და ყვავილებით. ეს თავსამკაულიც და ნაწერიც ოსტატურადაა შესრულებული. გაფორმება (ჩარჩოები ყოველ გვერდზე, ოქრო სინგურის ნაცვლად) მოწმობს, რომ ეს საგანგებო შეკვეთა იყო, რაც გასაგებია, თუ გავითვალისწინებთ შემკვეთის ვინაობას.

ბ ი ბ ლ ი ა (H 1207, 333 ფურც., 27,5×20 სმ) უთარიღოა. ამის დამკვეთიც «ბაატონი (sic!) ყაფლანის ძე ორბელია», ე. ი. იგივე ვახტანგ ორბელი, საბასულხანის მამა. ნაწერია მსხვილი, სქელხაზოვანი, კუთხოვანი ნუსხურით, გამოცდილი გაწაფული ხელით. მაგრამ ასომთავრული (სახედაო ასოები) ასევე ლამაზი და მტკიცე ვერაა.

ნათანალი, ისევე როგორც იესე, საბუთებსაც წერდა.

1. Жорданин. Опис. рукоп. Ц. М., I, გვ. 187--188; II, 1902, გვ. 67--68.
2. სსშ ხელნ. აღწ., H—I, 1946, გვ. 10—11; H—III, 1948, გვ. 157—158; H—IV, 1950, გვ. 174—176, 185—186; Q—II, 1958, გვ. 141.
3. ს. სიძე, II, 1909, გვ. 148, 155, 166, 241 და სხვ.
4. ს. კაკაბაძე. ისტ. საბ. IV, გვ. 51.
5. P. Шмерлинг. Образца, გვ. 68—69, ტაბ. XXV, XXXI.
6. ლ. მენაბდე. ძვ. ქართ. მწერალ. კერები, I, გვ. 260—261.
7. ა. ბაქრაძე. XVI—XVIII სს. საქართველოს საკათალიკოსო და სათავადო მდივანმწიგნობართა ქრონოლოგიური რიგი: პალეოგრაფიული ძიებანი. I, თბ., 1965. გვ. 24—27.

ბერამკაშვილები — ქართველი ოსტატები ქუთაისის რაიონის სოფ. კურსებიდან. წარწერებით დადასტურებულია მათ მიერ რამდენიმე ეკლესიის აშენება დასავლეთ საქართველოში XIX საუკუნის სამოციანი წლებიდან. ცნობილია სახელები ლევან, მოსე, ისიდორე, კალისტრატე და იოსებ ბერეკაშვილებისა. დღემდის დარჩენილია იოსებ ბერეკაშვილის მიერ აშენებული ეკლესია სოფ. ნაგარევეში, ისიდორეს მიერ აშენებული ეკლესია სოფ. გოდოგანში (ორივე ქუთაისის რაიონშია) და სხვ.

ნაგარევის ეკლესია აგებულია 1883 წ.: «სოფლის ნაგარევის შტატის წმინდის მთავარანგელოზის ეკლესია. ოსტატი იოსებ ბერეკაშვილი და აშენება ჩუბგ წელსა», აწერია დასავლეთის შესასვლელის ზემოთ.

ეკლესია ერთნავიანია, დარბაზული ტიპისა, შვერილი აფსიდით. როგორც ამ შენობაში, ისე ბერეკაშვილების სახელთან დაკავშირებულ სხვა შენობებშიაც, ყურადღებას იპყრობს ძველი ქართული საკულტო სუროთმომღვრების ტრადიციათა გამოყენების ცდა. კედლები გარედან თლილი ქვის პერანგითაა შემოსილი. ქვის თლა და წყობა დიდი ოსტატობითაა შესრულებული, ტექნიკური თვალსაზრისით არც კი ჩამოუვარდება საუკეთესო ეპოქათა ძველი ქართული შენობების კედლის წყობას. თუმცა ჩუქურთმები არაა, მაგრამ გამოყენებულია დეკორატიული თაღების სისტემა (შვერილ აფსიდზე), შეწყვილებული ლილვებით შედგენილი თალი შესასვლელების გარშემო, ამ ლილვების ბურთულეებიანი სამკაულები, შემუშავებული შუა საუკუნეთა ქართულ არქიტექტურაში. შიგნით ტრადიციულია კედლებისა და კამარის დაყოფა კედლის სვეტებით, კედლის თაღებითა და საბჯენი თაღებით. XIX ს-ის დამახასიათებელი ფორმები, რა თქმა უნდა, მაინც სავსებით თვალსაჩინოა: ასეთია განიერი სარკმლების, ცალკეული რელიეფების ხასიათი (ჯვრები შესასვლელს ზემოთ), ცალკეული პროფილები, უცხო ძველი ქართუ-

ლი არქიტექტურისათვის, საერთო ხელოსნური სიმშრალე, მიუხედავად ტექნიკური შესრულების მაღალი დონისა.

გოდოგნიის ეკლესია (1873 წლისა) ნაგარევის ეკლესიის მსგავსია. დასავლეთის შესასვლელის თავზე, ტიმპანში, მოთავსებულ წარწერაში მოხსენებულია «ოსტატი ამა ეკლესიისა ისიდორე ბერეკაშვილი. ჩყოვ წსა». ადგლობრივი მცხოვრებლების გადმოცემით, ბერეკაშვილების აშენებულია აგრეთვე სოფ. ჭალასთავის ერთნავიანი ეკლესიაც (ნაგარევის მეზობელი სოფელია). ეკლესიას თარიღი აწერია — 1876, ამშენებლის ვინაობა კი არა. ქართულ ტრადიციულ მოტივებთან ნათესაობა აქაც ჩანს (შვერილი აფსიდის დეკორაციული თაღები; სამხრეთისა და ჩრდილოეთის შესასვლელთა შემომფარგვლელი დეკორაციული თაღები, გამოყვანილი ორმაგი ღილებით, ისეთივე ბურთულები, როგორც ნაგარევეში, საკმლების საპირეთა პროფილები, რომელთა მსგავსი XVIII ს-ში მოიძებნება), მაგრამ XIX ს-ის ფორმები უფრო მკაფიოდაა გამომქლავებული, ვიდრე ნაგარევეში (მაგ., დასავლეთის შესასვლელის პროფილები და ფრონტონი). ქვის თლა და წყობა მაღალხარისხოვანია, მაგრამ საერთო დონე მაინც ჩამოუვარდება ნაგარევისას. საფიქრებელია, რომ ჭალასთავის მშენებელი იყო არა იოსებ ბერეკაშვილი, არამედ ამავე გვარის რომელიმე სხვა წარმომადგენელი (ადგილობრივ მკვიდრთა გადმოცემით. ხის სამუშაოები, კერძოდ, იკონოსტასი, ჭალასთავში შეუსრულებია ოსტატს ექვთიმე ტოფაძეს სოფ. დაბალძვლიდან).

1905 წ. იოსებ და კალისტრატე ბერეკაშვილებმა ააშენეს ქვის ერთნავიანი ეკლესია ს. კოკაში (კურსების მახლობლად, მდ. წყალწითელას მარცხენა ნაპირზე).

ბერეკაშვილები უფრო შორეულ კუთხეებშიაც აშენებდნენ. როცა იმერეთის ეპისკოპოსმა გაბრიელმა თავის სამშობლო სოფელ ბახეში ეკლესიის აგება განიზრახა, მშენებლად მან ბერეკაშვილები მიიწვია: ცხადია, ამ ოჯახის წარმომადგენლები უკვე მაშინ — სამოციან წლებში — ცნობილი იყვნენ თავისი ოსტატობით. ეკლესია დღეს აღარ არსებობს. მის შესახებ გვაქვს მხოლოდ მ. კელენჯერიძის მოკლე ცნობები: «ეკლესია ადგილობრივ ცისფერი, ძლიერ ლამაზი, ქვითაა აშენებული ქუთაისის საკრებულო ტაძრის გეგმაზე, თუმცა უფრო მცირე ზომით. საშხრეთის კარის თავზე ეკლესიას აქვს წარწერა მხედრული ასოებით:

«1867 წ. შეწევნითა ღვთისათა შესრულდა ტაძარი ესე ჩყაზხა წელსა აღშენებული საფასითა გაბრიელ იმერეთის ეპისკოპოზისა და სოფლის ბახევის შემწეობითა, ხოლო ხელოვნებითა ლევან და მოსე ბერეკაშვილებისა». ეკლესია გუმბათიანი იყო.

ბერეკაშვილების აგებული ეკლესიები ყურადღებას იპყრობს არა მარტო

ტექნიკური შესრულების მაღალი დონით. როგორც ითქვა, მათში იგრძნობა ეროვნული ტრადიციების გაგრძელების სურვილი, მაშინ, როცა XIX ს-ის მეორე ნახევარში, კაპიტალიზმის სწრაფი განვითარების ხანაში, ეს ტრადიციები უკვე სრული მოსპობის გზაზე იყო დამდგარი. ამ მხრივ ბერეკაშვილების შენობები თვალსაჩინოდ განსხვავდება იმ ეკლესიათაგან, რომელთაც საქართველოში XIX ს-ის მანძილზე აგებდნენ ჩვენში მრავლად მომუშავე ბერძენი ოსტატები.


ბერეკაშვილების ოჯახის სამშენებლო მოღვაწეობა საგანგებო შესწავლას იმსახურებს.

მ ე ლ ი ტ ო ნ კ ე ლ ე ნ ჯ ე რ ი ძ ე. გაბრიელი, ეპისკოპოსი იმერეთისა, ტომი პირველი, ქუთაისი, 1913, გვ. 5.

ბეძა შპიზარი — ოქრომქანდაკეელი. ცხოვრობდა XII ს-ის მეორე ნახევარსა და XIII ს-ის დასაწყისში. ბიოგრაფიული ცნობები მის შესახებ არ გავიანია. სახელწოდება ოპიზარი მოწმობს, რომ ან წარმოშობით იყო კლარჯი (ოპიზა კლარჯეთშია), ან თავისი მოღვაწეობით იყო დაკავშირებული ამ ცნობილ საენანსთან. ბექა, ეტყობა, დიდად მიღებული და დაფასებული ოსტატი იყო, რადგანაც მისი დამკვეთნი მაღალი სასულიერო წოდების პირნი (თვით მეფის კართანაც დაახლოებულნი) იყვნენ, მისი ხელიდან გამოსულ ნამუშევრებში მისი სახელი ყოველთვის თვალსაჩინოდ აღვილსაა, მას პატივისცემით იხსენიებენ შემკვეთთა წარწერებშიაც.

დღემდე გადარჩენილია ბექის მხოლოდ ორი ნაწარმოები — ანჩისხატის ჩარჩოს მოჭედბეჭობა და წყაროსთავის სახარების ყდა. არსებობს ცნობა მესამის შესახებაც, მაგრამ თვით ნამუშევარს აღარ მოუძღვევიათ: ეს ანჩის სახარების ყდა იყო.

წყაროსთავის სახარების ყდა XII ს-ის ბოლო წლებს მიეკუთვნება. სახარება, როგორც მოწმობს მისი ასომთავრული წარწერა, გადააწერინა და მოაჭედინა ტბეთის ეპისკოპოსმა, «გლახაკმა» იოანე საფარელ-მტბევარმა. ყდაზევეა ბექას ხელმოწერაც: «ქრისტე შეიწყალე ოქრომჭედელი ბექა ოპიზარი». საკუთრივ ხელნაწერის ერთ მინაწერში აღნუსხულია, რა მასალა გამოყენებული ყდისთვის და ნათქვამია, რომ ოქრომჭედელს, ე. ი. ბექას, გასამრჯელოდ მიუღია 23 დრამა: «ამას ოთხთავსა ზედა არს ორასი დრამისა ვერცხლი და ოცისა დრამის ოქროა, თვლები და მარგალიტი და ოქრომჭედლისა ქელფასი კვდა ვინც ცუარი ანუ ლილოკილოა დააკლოს და შეუცვალოს რაა ამას ნაჭედსა, კრულმცა არს მკედარი და ცოცხალი გაუსხნელად». სხვა მინაწერში ნათქვამია რომ ეს სახარება გადაწერა ორმა მწერალმა — იოანე ფუკარალისძემ და გიორგი სეთაისძემ (იხ. ეს სახელები) «ქრონიკონსა უიე» (415 + 780 = 1195). რაკი გა-



წყაროსთაის სახარების ყდა. XII ს. დასასრული. შესრულებულია
ბეკა ოპიზარის მიერ. ქრისტეს ტახტის მარცხნივ მოთავსებულ
წარწერაში მოხსენიებულია ოსტატის სახელი



ანჩისხატის ჩარჩოს მოკედილობა. XII ს-ის დასასრული. შესრულებულია
ბეკა ოპიზარის შიერ

დაწერის თარიღი 1195 წელია, ყდის გაკეთების თარიღიც იქვე უნდა იყოს — ან იგივე წელი, ან მომდევნო.

ანჩის სახარების ყდა უკვე აღარ არსებობდა 1895 წელს: როდესაც ეს სახარება ე. თაყაიშვილმა ნახა წალკის სოფელ წინწყაროში, თურქეთიდან მოსული ერთი ბერძნის ოჯახში, მას უკვე ხის ყდა ჰქონდა. მაგრამ ხელნაწერის ბოლოს დართულ ანდერძში ნათქვამია, მე სოფრომ მწიგნობარმა ეს სახარება «მოვაჭედინე ღმრთისა მიერ კურთხეულს, ღირსსა ოქროს მქანდაკებელსა ბექასაო» ეს სიტყვები იმითაცაა საყურადღებო, რომ გვიჩვენებს, რამდენად აფასებდნენ ბექას თანამედროვენი. ანდერძში მოხსენებული პირების მიხედვით (მოხსენებულნი არიან «ღმრთივ გვირგვინოსანი თამარ მეფეთა მეფე და დედოფალი», დავით მეფეთა-მეფე, ე. ი. დავით სოსლანი, და მათი ძე ლაშა) ირკვევა, რომ ბექას ეს ნაწარმოები 1193-სა და 1207 წლებს შუა შეუსრულებია.

ანჩის მონასტერთანაა დაკავშირებული ბექას მესამე ნაწარმოებიც — სახელგანთქმული ანჩის ხატი, რომლის ჩარჩოც მან ანჩის ეპისკოპოსის იოანე ანჩელ-რკინაელის შეკვეთით მოჭედა. მაშინ მიჩნეული იყო, რომ ეს ხატი — მაცხოვრისა, ე. წ. ხელთუქმნელი ხატის ტიპისა — საქართველოში ანდრია მოციქულმა ჩამოიტანა: «ანდრიაჲ თავი მოციქულთა... იერაპოლით მოვიდა და ხატი ესე საშინელი ჩუენ მოსავთა მისთა მოგვანიჭაო», წერს იოანე ანჩელი მის მიერ შეთხზულ ანჩისხატის საგალობელში. ამ «საშინელი», განსაკუთრებით პატივცემული, ხატის შემკობა, რა თქმა უნდა, მხოლოდ დიდად გამოცდილი და აღიარებული ოსტატისთვის შეეძლოთ მიენდოთ. ანჩისხატი თამარ მეფის სურვილითა და მისივე ხარჯით მოუჭედავთ. ხატის ჩარჩოს ქვემო წარწერაში ნათქვამია: «ქ. ბრძანებითა და ნივთისა ბოძებითა ღმრთივ გვირგვინოსნისა დიდისა დედოფალთ დედოფლისა თამარისათა, მე იოანე ანჩელმან რკინაელმან ქელეყავ საშინელისა ამის ხატისა პატივის მოჭედად, მფარველმცა არს მეფობისა მათისა აქა და საუკუნესა. მოიჭედა კელითა ბექასითა, ქრისტე შეიწყალე». უფრო გვიან მაცხოვრის ხატი სამცხის ათაბაგთა ოჯახს ეკუთვნოდა, XVII ს-ში კი თბილისს ჩამოიტანეს და დაასვენეს ძველ ეკლესიაში, რომელსაც ამის შემდეგ ანჩისხატის ეკლესია ეწოდა. ამჟამად ანჩის ხატი საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმშია, ხოლო წყაროსათვის სახარება სსრ მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტში ინახება (Q 907).

სახარების ყდა ვერცხლისაა, მოქრული (ზომა 20×17 სმ). მას ორი რელიეფური კომპოზიცია ამკობს: ერთ მხარეს ე. წ. ვედრების გამოსახულება (ტახტზე მჯდომი ქრისტე, მის მარჯვნივ ღვთისმშობელი, მის მარცხნივ — იოანე ნათლისმცემელი), მეორე მხარეს — ჯვარცმა (ჯვარცმულ ქრისტეს აქეთ-

იქით — ღეთისმშობელი და იოანე მოციქული, ჯერის განივი მკლავის ზემოთ — ორი ანგელოზი წელზევით). ორივე გამოსახულება ჩასმულია ფართო ორნამენტულ ჩარჩოში. ჩარჩოები უწყვეტი არაა: ოთხსავე მხარეს შუა ადგილას წყდება და ადგილს უთმობს ან ძვირფასი თელის ბუდეს (ჯვარცმის გარშემო), ან ასეთ-სავე ბუდეებს და თვით სკულპტურულ ფიგურებს — მარიამსა და იოანე — რომელნიც, ამგვარად, ჩარჩოს ხაზის არეში არიან შეჭრილნი (ვედრების სცენა). საერთო სურათში ჩართულია წარწერებიც: *ჯვარცმაში მხოლოდ მოქმედ პირთა დასახელებაა, ვედრებაში შემევეთისა და ავტორის ლამაზად შესრულებული გრძელი ასომთავრული წარწერები, რომელთაც კომპოზიციის თანაბარუფლებიანი ელემენტის მნიშვნელობა ენიჭებათ. ორივე სცენაში ფიგურები მკაფიოდ გამოიყოფა სრულიად გლუვ, მოურთავ ფონზე.*

წყაროსთავის სახარების ყდის სკულპტურული სცენები თავისი აღნაგობით დიდად უახლოვდება ბექას უფროსი თანამედროვის ბეშქენ ოპიზარის მიერ უფრო ადრე შესრულებულ კომპოზიციებს ბერთის სახარების ყდისათვის (იხ. ბეშქენ ოპიზარი).

ანჩისხატის ბექასეული მოჭედილობა (ესეც მოოქრული ვერცხლია) ერთგვარად ენათესავება წყაროსთავის სახარებისას, განსაკუთრებით ვედრების კომპოზიციას (ბექას ეკუთვნის მხოლოდ ხატის ჩარჩო; ხატის კარებისა და საკუთრივ მაცხოვრის გამოსახულების მოჭედილობა გვიანდელია, სხვადასხვა დროისა). ხატის ჩარჩო (სიმალლით 1 მეტრზე მეტია, სიგანით 70 სმ-ს აღემატება) მცენარეული ჩუქურთმით მორთული ფართო არშიაა, რომელიც ადგილ-ადგილ წყდება და აქაც ადგილს უთმობს სკულპტურულ ფიგურებს: მარცხენა შვეულ არშიაზე, შუაში, მოთავსებულია ღეთისმშობელი, მარჯვენაზე, მის პირდაპირ, იოანე ნათლისმცემელი; ორივე მაცხოვრის გამოსახულებისკენაა მიმართული. ამგვარად, აქაც, ისევე, როგორც წყაროსთავის სახარების ყდაზე, არსებითად, ვედრების კომპოზიცია გამოდის, ჩარჩოს ორი ზემო კუთხე მიქედ და გაბრიელ მთავარანგელოზებს უჭირავთ, ხოლო მათ შორის, ცენტრში, ე. წ. «საყდარია», სიმბოლურ-ალეგორიული გამოსახულება — სამეფო ტახტი, ზედ აღმართული ჯვრით; ქვემო არშიაზე, შესაბამისი ადგილები განკუთვნილი აქვთ პეტრე და პავლე მოციქულებს (კუთხეებში) და იოვანე მახარებელს (შუაში). ამგვარად, სკულპტურული ფიგურები აქ ჩართულია ჩარჩოს მძლავრ ორნამენტულ არშიაში, როგორც მისი დეტალები. ორნამენტული არშია შედგება სტილიზებული ფოთლებისაგან, რომლებიც რელიეფური ზოლით გამოყვანილ სამმავე წრეხაზებში ზის; ფოთლიანი წრეები უფრო დიდი მასშტაბისაა, ვიდრე ფიგურები. ჩუქურთმის მნიშვნელობას ისიც ზრდის,


რომ ორი მთავარი ფიგურა — მარიამი და ნათლისმცემელი — ორნამენტულ ფონზეა, თანაც ისე, თითქოს შემდეგ იყოს დადებული ხალიჩისებრ ჩუქურთმაზე.

ბექას ორნამენტების რეპერტუარი ადრევე იყო ცნობილი: წრეებში ჩასმული ფოთლების ამგვარ მოტივს უკვე XI ს-ში ვხვდებით. ახალი, ეპოქისთვის დამახასიათებელი, ისაა, რომ ჭედურ ნაწარმოებში უმთავრესი მნიშვნელობა ენიჭება არა სკულპტურულ გამოსახულებას, როგორც ეს XI ს-ში იყო, არამედ დეკორაციულ-ორნამენტულ მხარეს. თვით სკულპტურულ ფიგურებშიაც, რომლებიც მტკიცედ, მთელი სიმძიმით კი აღარ დგანან მიწაზე, არამედ ოდნავ ეხებიან მას (ანჩისხატის მარიამი და ნათლისმცემელი, წყაროსთავის სახარების ფიგურები), მათს დაგრძელებულ პროპორციებში, ჯვარცმულ ქრისტეს რამდენადმე მანერულ ფიგურაშიაც დეკორაციულობისკენ გადახრა იგრძნობა. ბექას ხანა სწორედ ამით განსხვავდება XI ს-საგან, როცა ქართული ოქრომქანდაკელობა (ისევე, როგორც ქვის პლასტიკაც) თავის უპირველეს მიზნად საკუთრივ სკულპტურულ-პლასტიკურ ამოცანათა ამოხსნას ისახავდა. როგორც პროფესიონალი ბექა ფრიად მაღალ დონეზე დგას. ამას მოწმობს, უპირველეს ყოვლისა, ვირტუოზული ბრწყინვალეობით შესრულებული ორნამენტული სახეები, აგრეთვე ცალკეული სკულპტურული ფიგურებიც: ბექას, რა თქმა უნდა, გამოყენებული აქვს წინა ხანის მხატვრული მონაპოვარი, თუმცა, როგორც ვთქვით, წმინდა პლასტიკური თვალსაზრისით, იგი ახალ პრობლემებს არ სახავს. ბექა ოპიზარი ერთი უკანასკნელი წარმომადგენელთაგანია ქართული ხელოვნების დიდი ეპოქისა. მომდევნო ხანის ოქრომჭედლობა როგორც ტექნიკური, ისე მხატვრული თვალსაზრისით, უკვე დაქვეითებას გვიჩვენებს.

1. შ. აპირანაშვილი. ბექა ოპიზარი თბ., 1937 წ.
2. Г. Чубинашвили. Грузинское чек. иск. 1959. გვ. 617.
3. Е. Такашвили. АЭЗ, III, 1907. გვ. 34—42
4. Е. Такашвили. Тбетское четвероевангелие XII века: МАК, XII, 1909. გვ. 159—161.
5. М. Джанашвили. Опис. рукопис. Ц. М., III, 1908. გვ. 308—312.
6. Ш. Амирашвили. История грузинского искусства, М., 1963. გვ. 249—254. ტაბ. 134—138.

ბექას ოპიზარი — ოქრომჭედელი. ცხოვრობდა XII ს-ში, იყო უფროსი თანამედროვე მეორე ცნობილი ოქრომჭედლის ბექა ოპიზარისა. თავისი მოღვაწეობით და, საფიქრებელია, წარმოშობითაც, დაკავშირებული იყო სამხრეთ საქართველოსთან. ჩვენთვის ცნობილია მისი ერთადერთი ნამუშევარი — ბ ერთის სახარების ვერცხლის ყდის მოჭედილობა, რომელიც გელათის მონასტერში ინახებოდა (ამჟამად — ხელნაწ. ინსტ. Q 906).

ყდის ერთ მხარეს გამოსახულია ჯვარცმა, მეორე მხარეს—ვედრება (ამასვე იმეორებს ბეჭაც). ჯვარცმიან მხარეს ყდის ოთხივე კუთხე უჭირავს ჩუქრთმიან არშიებს, ინტერვალები ამ არშიების მონაკვეთებს შორის განკუთვნილია ძვირფასი თვლებისთვის. ქრისტეს, მარიამისა და იოანეს ტრადიციული ფიგურები პროფესიული ოსტატობითაა შესრულებული, მაგრამ ჯვარცმულის სხეული ნამდვილად კი არ ჰქილია, არამედ რამდენადმე მანერულადაა დაყენებული. ვედრების მხარეს ორნამენტული ნაკვეთები აგრეთვე კუთხეებშია მოთავსებული. მან-



ბრეთის სახარების ყდა. XII ს. შესრულებულია ბეშქენ ობიზარის მიერ

ძილი მათ შორის ზემო და ქვემო არშიებზე შეესებულია მშვენივრად შესრულებული რელიეფური ასომთავრული წარწერებით, მარჯვნივ და მარცხნივ კი მათ შორის ჩასმულია მარიამისა და იოანე ნათლისმცემლის ხელებაპრობილი, რამდენადმე დაგრძელებული, ფიგურები (ეს ორი ფიგურა ბევრად უფრო მეტყველია, ვიდრე ჯვარცმის მარიამი და იოანე). შუა ადგილი უჭირავს ტახტზე მჯდომი ქრისტეს მძლავრ ფიგურას, რომელიც თავისი ზომით დიდად აღემატება ორ დანარჩენს.

მისი ტანსაცმლის რთული ნაკეცები, რომლებიც რამდენადმე დეკორაციულ შთაბეჭდილებას ტოვებს, ქრისტეს ტახტის ჩუქურთმები, არშიების ორნამენტაცია მოწმობს, რომ ბეშქენი ფრიად დახელოვნებული ოსტატი იყო და როგორც მისი დროის სხვა ოქრომჭედლებს, ამასაც განვითარებული ჰქონდა დეკორაციული დამუშავების ალღო.

ყდის წარწერები მოგვითხრობს, რომ «ოქროპირისა ნივთითა მოიჭედა სახარებაი ესე», რომ «მოიჭედა კელითა ბეშქენ ოპიზარისაითა».

თვით წიგნის მრავალრიცხოვან მინაწერთა შორის არის ერთი ასეთიც: «დეკანოზო, გვედრები, რომელ ესე სახარება დიაკონთა სათრეველად არა შექმნა და უეკლესიოდ დამესა არასადა გაარებდე. და უკუეთუ ვინმე სენაქსა შინა დაიდვას, ესემცა წმიდანი მახარებელნი შრისხანენი არიან მისნი...», და სხვ. მინაწერებიდანვე ჩანს, რომ სახარება ბერთის მონასტერს ეკუთვნოდა (ბერთა მნიშვნელოვანი მონასტერი და კულტურული ცენტრი იყო კლარჯეთში).

1. Н. Кондаков, Д. Бакрадзе. Описание..., გვ. 44—47, ტაბ. 133.

2. Е. Такайшвили. Тбстское четвероевангелие XII века: МАК, XII, 1909, გვ. 161. თაყაიშვილმა გამოთქვა მოსაზრება, ბეშქენი და ბექა მამა-შვილი იქნებოდნენო.

3. შ. ამირანაშვილი. ბექა ოპიზარი, 1937. გვ. 33—35, ტაბ. XXIX, XXX.

4. ხელნაწ. ინსტ. აღწ., Q—II, 1958, გვ. 317—322.

5. Г. Чубинашвили. Грузинское чек. иск., გვ. 617.

6. Ш. Амيرانашвили. Ист. грузинск. искусства, 1963, გვ. 249—254.

ბოქშიჩაშვამ, გაბრიელ — მღვდელი, კალიგრაფი. მისი გადაწერილია 1667 წელს, მოძღვართ მოძღვრის, წალენჯიხელ ილარიონის შეკვეთით, კურთხევანი, ხელნაწ. ინსტ. H—1719. «ამის უცბად მჩხრეველსა, უგუნურსა და დიდად ცოდვილსა გაბრიელ მღვდელსა ბოკუჩავას ცოდვანი მისნი შეუნდოს ღმერთმანო». წერია ანდერძში (298-ე ფურც.). წიგნი (24,5×20 სმ) ნუსხურია, ერთ სვეტად შავი მელნით ნაწერი. ასოები — მსხვილია, მოკლე, სქელსახოვანი, რიგიანი კალიგრაფიული ღირსებისა. სამკაულები არაა, არც არშიებზე გამოტანილი საზედაო ასოები, სინგური ტრადიციულადაა გამოყენებული ინიციალებისთვის და ტექსტის ცალკეული სიტყვებისთვის. ბოკუჩავას ნამუშავევი მოწმობს, რომ წიგნების გადაწერის ხელოვნება XVII ს-ში საქართველოს შორეულ კუთხეებშიაც კარგ დონეზე იდგა.

სსმ ხელნ. აღწ., H—IV, 1950. გვ. 152—153.

ბოლოკ-ბასილი — «ქვით-ხურო, რომელსა ეწოდების გალატოზი». მის მიერ შუარტყალში (სამცხეში, ფოცხოვის ხეობაში) ეკლესიის აგების ამბავი მოთხრობილი აქვს XIII ს-ის ავტორს ტბელ აბუსერიძეს (იხ. ეს სახელი).

თვით ბოლოკ-ბასილი, ლ. მუსხელიშვილის გამოთვლით, XII ს-ში ცხოვრობდა, სოლო შუარტყალის ტაძარი 1155—1160 წლების ახლო ხანებში ააგო. ეს ტაძარი ჩვენთვის უცნობია. როგორც აბუსერიძის ტექსტით შეიძლება მივხედეთ, იგი მნიშვნელოვანს არც არაფერს წარმოადგენდა. საინტერესოა მხოლოდ ის ცნობები, რომელთაც აბუსერიძე გვაწვდის მშენებლის მდგომარეობისა და მშენებლობის ვითარების შესახებ.

ბოლოკ-ბასილი, დარბი გლეხი, ერთი უღლეული ხარის პატრონი, ალბათ, აბუსერიძეთა ყმა (ლ. მუსხელიშვილი), საშოვარზე მიდის «ქუეყანასა სომხითისსა, მანლობელად თფილისისსა». ტექსტიდან ჩანს, რომ მისი კუთხის გლეხები, ბოლოკ-ბასილის მსგავსად, საერთოდ, მიდიოდნენ (საკმაოდ შორეულ ადგილებშიაც კი) «მოსარეწელად», ე. ი. სეზონურ სამუშაოზე: მათ გაჭირვება აიძულებდათ შორს წასვლას, ხშირად ამ მოგზაურობის დროს ხიფათსაც გადაეყრებოდნენ სოლმე. სომხითში ბოლოკ-ბასილის გამოცხადა წმინდა გიორგი და უბრძანა, «ადმიშენე ტაძარი: ჳელთა მიერ ოდენ შენთა და ნუმცა ვინ კადნიერი იქნების მუშაკობად და შუელად შენ თანაო», ე. ი. ამიშენე ეკლესია, მაგრამ ისე, რომ მარტო შენ იმუშავე, სხვა ნურაფინ მოგვხმარებაო. წმინდა გიორგიმ აუწყა ბასილის — უნდა წახვიდე კლარჯეთს, ოპიზას, იქაურ ბერ-მონაზონს სტეფანეს გამოართვა ჯორი და რკინა საშენი იარაღების მოსამზადებლად და დაიწყო შენება მხოლოდ შენი უღლეული ხარის გამოყენებითო. შეშინებულმა ბასილიმ შეასრულა ეს ბრძანება, დაბრუნდა სახლში, სადაც მის ნამბობს არ დაუჯერეს და თვით ბასილი ჳკუიდან გადამცდარადაც კი მიიჩნიეს, და «იწყო მუშაკობად საკვრეელისა ამის ტაძრისა». მშენებლობის ამბავში აბუსერიძე უმთავრეს მნიშვნელობას ანიჭებს წმ. გიორგის სასწაულებს — მისი მიზანი სწორედ ამ სასწაულების აღწერაა და არა მშენებლობის ამბის მოყოლა. მაგრამ თხრობაში, როგორც ითქვა, გვხვდება მშენებლობისათვის საყურადღებო ცალკეული ცნობები და ტერმინები.

ავტორის თანახმად, ბასილიმ «ერთი ტაძარი სსუჲ ალაშენა სახელისაჲე ზე-და წმიდისა მთავარმოწამისა გიორგისსა, გამოცხადებითჲე მისითა და შენდობითა კაცთა თანაშეწეუნისაჲთა, ვითარცა არს ჩვეულებაჲ და წესი სოფლის დასაბამითაჲანი», ე. ი., ამჯერად — როგორც წესია დასაბამიდან — მას მშენებლობაში სხვებიც ეხმარებოდნენო.

ლიტ.—იხ. ა ბ უ ს ე რ ი ს ძ ე, ტ ბ ე ლ ი.

ბაბაშვილები — გვარი, რომელმაც XVII ს-ში ქართულ კულტურას რამდენიმე თვალსაჩინო მოღვაწე მისცა: ზაქარია და მისი შვილები იოანე, იოსებ, ოსე, ბესარიონი. ეს უკანასკნელი — ბესიკი — როგორც ცნობილია, შესანიშნავი პოეტი იყო; სხვები — სასულიერო პირები და კალიგრაფები იყვნენ.

ზაქარია (1707—1783 წლის 6. II) — იოანე ბატონიშვილის სიტყვით, «იყო ძველთა ფილოსოფიისა სწავლათა შინა გამოცდილი და ღვთისმეტყველება-საცა მიწეწილი, მშვენიერი რიტორი და უცხო მოქადაგე... მშვენიერი მწერალი [იგულისხმება გადამწერი-კალიგრაფი, ვ. ბ.] და მთხზველი მაღალსა ფრასსა ზედა, უცხო პიიტიკოსი და მღვდელობითა სრული»...

ადრე ზაქარია თბილისში იღვწოდა და ქართლ-კახეთის მეფეთა კარის მოძღვარი იყო. იგი აქტიურად მონაწილეობდა პოლიტიკურსა და სასულიერო ცხოვრებაში, ჩართული იყო ინტრიგებსა და ბრძოლაში, რომელთაც უმაღლესი ხელისუფლების ახლო მდგომ წრეებში ჰქონდათ ადგილი. ნინოწმინდელ მთავარეპისკოპოს საბასთან ერთად, ზაქარია მეთაურობდა ანტონ კათალიკოსის მოწინააღმდეგეთა პარტიას. როცა ანტონ I-მა კათალიკობა მიიღო, მაშინ ზაქარიას პარტიამ გაიმარჯვა და ანტონი გააძევეს. მაგრამ როცა 1764 წლის დამდეგს ანტონი რუსეთიდან დაბრუნდა და კვლავ საკათალიკოსო ტახტზე დაჯდა, ბუნებრივია, ზაქარიას საქმე კარგად ვეღარ წავიღოდა, მით უფრო, რომ იგი განაგრძობდა ანტონის წინააღმდეგ მოქმედებას. ზაქარია მღვდლობიდან განკვეთეს და შეაჩვენეს. ამის შემდეგ ერთ ხანს რუსეთში იყო, 1771 წელს კი საქართველოს დაუბრუნდა, იმერეთს დამკვიდრდა და აქვე, გელათის მონასტერში, ცხოვრობდა სიცოცხლის ბოლომდე. იმერეთის მეფეთა კარზე ზაქარიაც და მისი ვაჟებიც დაწინაურდნენ. ზაქარია გაცხოველებულ ლიტერატურულსა და მთარგმნელობით საქმიანობას ეწეოდა, იმავე დროს დიდ დროს ანდომებდა წიგნების გადაწერას. იგი ითვლება მთელი კალიგრაფიული სკოლის დამფუძნებლად გელათში.

მისი კალიგრაფიული ოსტატობის ნიმუშად შეიძლება დავასახელოთ ქ ა მ ი ს

წ ი რ ვ ა 1772 წლისა, ხელნაწ. ინსტ. Q 331 (160 ფურც., 28×18 სმ). ეს წიგნი არა მარტო გადაწერილია ზაქარიას მიერ, არამედ მოხატულიც; მანვე შეადარა ტექსტი რუსულსა და ბერძნულ ტექსტებს და მათ მიხედვით გამართა ქართული თარგმანი.

ანდერძში (ფურც. 113-114) ნათქვამია: «...ზახარია ყოვლად უღირსმან ხუცეს-მომღუარმან ხოლო სქესტომობით ვიდრემე გაბაონმან... აღვსწერენ წმიდანი ესე სამნი ლიტურდიანი, გამოსხატებითა წმიდათა სამთა მღვდელმომღვარათა ხატთათა, თანად-შეზაფებითა ოქროთხზულ წერილ ასომთავრულითათა... განიკარგა გვენათისა დიდისა ეკლესიისა ეზოსა შინა... ოდეს იხილვიდეთ შრომილსა, შენდობას ყოფდეთ ჩემ ზახარია საწყალობელისათვის. და თუ რამე ცთომილი პპოვოთ, სიმშვიდით განმართეთ. რამეთუ სამოცდახუთისა ქამისა წელნი წარმეღლნეს და მოხუც-მცოცონებითა მხედველობითნი უძღურ-ქმნილ იყვნეს. დეკემბერსა იბ: ქრისტეს აქეთ ჩლობ».

ეს ანდერძი ძალიან ღამაზი კალიგრაფიული მხედრულითაა დაწერილი. თვით წიგნის ტექსტი ნუსხურია და მოწმობს, რომ ზაქარია ნუსხურის დიდი ოსტატიც ყოფილა: ნაწერიც თანაბარი და ზუსტია, ასოები მსხვილი, სქელხაზოვანი. დიდად უცნაურია მღვდელთმთავართა სურათები, რომლებშიაც გამოყენებულია აპლიკაცია ფერადი, ამობურცულსახეებიანი, ქალაღით. სამოსლისთვის ოქროსფერი ქალაღია, ჩარჩოებს რელიეფური დილები მისდევს, ყველაფერი ძალიან მდარე გემოვნებას მოწმობს. ასეთივე მდარე გემოვნებისაა სინგურითა და ოქროს საღებავით შესრულებული საზედაო ასოები.

ბევრი წიგნი აქვს გადაწერილი ზაქარიას ვაჟს ოსეეს, რომელიც XIX ს-ის პირველ ათეულ წლებშიაც მუშაობდა (1822 წ. ჯერ კიდევ ცოცხალი იყო). ბოლო წლები რუსეთში, ბელგოროდში გაუტარებია. 1822 წელს გადაწერილი ერთი კრებულის (ხელნაწ. ინსტ. A 301) ანდერძში ოსე წერს: «მათს უმაღლესობას, ჩემს კელმწიფას იმერთა კელმწიფეს ანნას, ორბელიანთა ასულს ებრძანა გადაწერა წიგნისა ამის და აღუწერე მე ზაქარია მოძღურის ძემან პროთოიერმან ოსე გაბაონმან. გარდა ამისა, ექსორიობასა შინა რუსეთს ბელგოროდის ქალაქსა, მონასტერსა წმინდისა ნიკოლოოსისასა, აღვწერე [ე. ი. გადავწერე, ვ. ბ.] ორი სამოციქულო, ორი დიდი მეტაფრასი, ერთი კონდაკი წლის წმიდის იამბიკოდ თქმული იოანე პეტრიწისა, ერთი კლემქისი, ერთი ქამნი მისის თვეებით, სხვა ლოცვები, დაუჯდომელი პარაკლისი, იესო ტბილი, ოთხი ესენი აღვწერე და ჯერეთ კიდევ აქ ვარ მადლითა ღვთისათა დაცულნი. ზ მე! ვითარ განმივგრძდა მე მწირობა ჩემი! წელთა ქრისტესით ჩყებ. დეკემბრის: კ».

მანამდე, ისევე, როგორც მამამისი, ოსეც იმერეთში ცხოვრობდა. მის მიერ

გადაწერილი წიგნების მიხედვით, ეს იყო ერთი ყველაზე უკეთესი ოსტატთაგანი მხედრული წერისა XVIII ს-ში (იხ. მაგ. Q 233, ვახტანგ VI-ის ს ა მ ა რ თ ლ ი ს წ ი გ ნ ი); ნუსხური ნაწერი 90-იანი წლების წიგნებში (Q 624, 638, 639, ს ა დ-ღ ე ს ა ს წ ა უ ლ ო ე ბ ი 1792, 1793 და 1794 წლებისა, და სხვ.) იმდენად ლამაზი და ოსტატური არაა, მაგრამ უფრო გვიანდლებში (Q 114 მ ა რ ხ ე ის ა და ზ ა ტ ი-კ ი ს მ ე ტ ა ფ რ ა ს ი 1800 წლისა; Q 115, ვ ნ ე ბ ი ს კ ე ი რ ი ა კ ი ს ს ა ხ ა-რ ე ბ ი ს თ ა რ გ მ ა ნ ი, ი მ ა ე ე წ ლ ის ა; Q 112 მ ე ტ ა ფ რ ა ს ი 1801 წლისა; Q 62, კ რ ე ბ უ ლ ი 1807 წლისა და სხვ.) უკვე ნამდვილი დახელოვნება ჩანს.

კალიგრაფიულ ხელოვნებას დაუფლებული იყვნენ გაბაშვილთა ოჯახის სხვა წევრებიც.

1. ი ო ა ნ ე ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი. კალმასობა, II, 1948, გვ. 195
2. Ф. Жордания. Опис. рукоп. Ц. М., I, გვ. 301—302.
3. სსმ ხელნ. აღწ. Q—I, 1957, გვ. 349—350. 82. 152—143; Q—II, 1958, გვ. 79. 90—91.
4. კ. კ ე. ე ლ ი ძ ე. ისტორია, I, გვ. 347, 349, 357.
5. ალ. ბ ა რ ა მ ი ძ ე. ერთი ფურცელი XVIII საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიიდან: ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, III, 1952, გვ. 353—358.
6. ნ. მ ა ი ს უ რ ა ძ ე. მწიგნობარ ვაბაშვილთა ოჯახი: ალ. წულუკიძის სახ. ქუთაისის სახ. პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, XIV, 1955, გვ. 89—101.
7. ლ. მ ე ნ ა ბ დ ე. ძე. ქართ. მწერლ. კერები, I, გვ. 519—521, 544 და სხვ.

გაბისულავა, ანდრონიკე და ქვაბალია, მასარობელი — ორი პერი, რომელთაც სამეგრელოს მთავრის ვაშეყ დადიანის (1384—1396) დავალებით კონსტანტინეპოლიდან ჩამოიყვანეს მხატვარი კირ-მანუელ ეუგენიკოსი წალენჯიხის ტაძრის მოსახატად. ტაძრის ერთ-ერთი ბომის წარწერაში ნათქვამია: «ქ. წარვეგზავნეთ მაცხოვრისა შეწვენითა კონსტანტიპოვლეს და მოვიყვანეთ მხატვარი ესე კირ მანუელ ჩვენ... მასარობელი ქვაბალია და ანდრონიკე გაბისულავა და ვევედრებით მაცხოვარსა, რათა გვიხსნას ჩვენც დიდსა დღესა მას განკითხვისასა. ამინ, ამინ, ამინ...». გამოთქმულია მოსაზრება, რომ გაბისულავა და ქვაბალია ესმარებოდნენ კირ-მანუელს ტაძრის მოხატვაში.

წალენჯიხის მოხატულობა XIV ს-ის ბიზანტიური მხატვრობის (ე. წ. პალეოლოგოსთა ეპოქის) დამახასიათებელი ნიმუშია.

1. Brosset. Rapports, II, 1850, გვ. 16—18.
2. ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი. არხ. მოგზ. შენ., II, გვ. 210—215.
3. Ш. Амиранашвили. История грузинского искусства. М., 1963, გვ. 281—283.

ბაბრიქლი — კალიგრაფი. მისი გადაწერილი უნდა იყოს ოთხთავი (ხელნაწ. ინსტ. A 98), რომელსაც თ. ქორდანია IX ს-ით ათარიღებს. 67-ე ფურცელზე მინაწერში აღნიშნულია: «უფალო იუსუ ქრისტე შეიწყალე მონაჲ შენი გაბრიელ». შედარებით მცირე ზომის წიგნია (22×19 სმ., ეტრათი), ყავისფერი მელნით ნაწერი ორ სვეტად ლამაზი მრგლოვანი. კალმის დაჭირების ადგილას მელანი ფართოდაა დადებული, «გადასვლები» იმდენად წერილია, რომ ზოგან სულ არ აჩნია. ხელნაწერის სამკაულს შეადგენს სინგურის ასოები არშიებზე (სათვალავეები, სპიბებლები), მელნით ნაწერი საზედაო ასოები შიგ ჩასმული სინგურის წერილი ასოებით; იშვიათად თვით საზედაო ასოებიც სინგურითაა. ყველა სახარების ბოლოს ტექსტი სოლისებრ მთავრდება. ზოგან შესამკობად ხმარობს სინგურის შტრიხებსა და მელნის წერტილებს მწკრივად.

ოთხთავს დართული აქვს ორი მინიატურა — ორ-ორი ფეხზე მდგომი მახარებლის გამოსახულებით en face — მელნით დაჯღაბნილი და მერე შეფერილი წითელ-მწვანე-ყავისფრად. ნახატი ბავშვურია, შეუმუშავებელი, უსწორო. ამავე ხელით შესრულებულს გავს კამარებიც — 8 კამარა, ორ-ორი ან სამ-სამი თალით: ესეც წმინდა გრაფიკული ნახატია, ყავისფერი მელნით მოხაზული, მერე შეფერილი, ზოგან შეუფერავიც, ძალიან მიღრეცილ-მოღრეცილი. თალები ნალისებრია. სვეტების ტანის ორნამენტები და თვით სვეტისთავეები ანტიკური მოტივების გამომახილია; კამარების თავზე და არშიებზე ჩიტებია, ზოგან წყვილ-წყვილი ჯელებგადაჭდობილი. ერთგან — გველია გამოსახული, აგრეთვე ხის ტოტებიც. ორი ზურგშექცეული ჩიტია პირველი მინიატურის ქვეშაც. თითქმის ყველა ფურცელი საღებავითაა დათხუნილი შესრულების დროსვე. ეს კამარები და მინიატურები — არა პროფესიული ხელოვნების ნიმუშებია, არამედ ხალხურისა, რომელსაც — დაუხელოვნებელ ნახატის მიუხედავად — უჭველი ექსპრესიულობა და უშუალობა ახასიათებს. საესებით შესაძლებელია, გადამწერი და მხატვარი ერთი და იგივე პირიც იყო.

ოთხთავი A 98 მეორედ აუქინძავთ 1070 წელს. ამას მოწმობს მინაწერი მეორე მინიატურის ზურგზე. ეს ნიშნავს, რომ თვით ხელნაწერი საგრძნობლად უფრო ადრინდელი უნდა იყოს.

Ф. Жорданія. Опис. рукоп. II. М., I, გვ. 116—117.

ბაბრიქლი — კალიგრაფი. ცხოვრობდა X ს-ში. იღვწოდა შატბერდის მონასტერში, სადაც 936 წელს, ვინმე გრიგოლ შირდატის ძის შეკვეთით, გადაწერა სახარება, ცნობილი ჯ რ უ ჯ ის I ო თ ხ თ ა ვ ის სახელით (ხელნაწ. ინსტ. H 1660). 291-ე ფურცელზე მოთავსებულ ანდერძში გრიგოლი წერს, «ღირს ვიქმენ... დაწერად წმიდაჲ ესე სახარებაჲ კელითა გაბრიელ მღვდელთა ნარჩევისათაო».

ქვემოთ ნათქვამია: «დაიწერა წმიდაა ესე სახარებაა შატბერდს ჯელითა უცხად მჩხრეკალისა გაბრიელისითა, თანა-შეწენითა და მოღუაწებითა გაბრიელისითა და გეორგისითა, რამეთუ დიდი გულს-მოდგინებაა მაჩუენეს ამის წმიდისა სახარებისა დაწერასა. ქსენებულმცა არიან კეთილსა შინა, ამენ.» გაბრიელს, ამგვარად, ორი თანაშემწე ჰყოლია, მაგრამ მისი საგანგებო გამოყოფა მოწმობს, რომ მთავარი ოსტატი და ხელმძღვანელი თვითონ იყო: ამ ხელნაწერი წიგნის მხატვრული სახე მას უნდა მიეწეროს.

ჯრუჭის ოთხთავი (297 ფურცელი, ზომით 26 X 21 სმ) ყავისფერ-მოყვითალო მელნითაა ნაწერი, მრგლოვანით, ორ სვეტად. ყოველ სვეტში 20—23 სტრიქონია. ამას გარდა, ქვემო არშიებზე წვრილად ნაწერი რამდენიმე სტრიქონი უჭირავს ამონიოსის «თანხმობას».

გაბრიელი მშვენიერი კალიგრაფი იყო. მისი ნაწერი ოსტატური და ლამაზია. ასოები მსხვილია, სქელკონტურიანი, კვადრატული, ოდნავ შემადლებული პროპორციისა. იმ დროის გემოვნებისა და მოთხოვნების შესაბამისად, ხელნაწერ ფურცელზე არავითარი გარეშე სამკაული (მაგ., მინიატურები, ან რთულად მოკაზმული საზედაო ასოები) არაა: არის მხოლოდ არშიებზე გატანილი დიდი ინიციალები, ჩვეულებრივ 4-5, ზოგან მეტი ან ნაკლები. ზოგი ასო, რომელიც ამის საშუალებას იძლეოდა, მაგ. შ, ჩ, ჯ და სხვ., ძალიან ჩამოგრძელებულია, ისე რომ, 4—5—6 სტრიქონის სიმაღლეს სწვდება: ეს მოწმობს, რომ თუმც კი ძალიან ზომიერ ფარგლებში, მაგრამ ფურცლის ერთგვარი გაცოცხლების, დეკორაციული «გაფორმების» სურვილი მაინც უკვე არსებობდა. ზოგან ეს ინიციალები — როცა ბევრი გროვდება ერთსადაიმავე ფურცელზე — მართლაც თვალსაჩინო დეკორაციულ ეფექტს ახდენს. ამას ხელს უწყობს სინგურის გამოყენება ქვემო არშიების სხენებული წვრილად ნაწერი სტრიქონებისათვის. ჯრუჭის ოთხთავი ოთხი წლის შემდეგ, 940 წელს, შესრულებული კამარებითა და მინიატურებითაა შემკული. იხ. თევდორე, «კამარათა მწერალი». იქვე ლიტერატურაც.

ბაბრიმლი — კალიგრაფი, რომელმაც გადაწერა ჰ ა ვ ლ ე მ ო ც ი ქ უ ლ ი ს ე პ ი ს ტ ო ლ ე თ ა კ რ ე ბ უ ლ ი (ხელნაწ. ინსტ. S 1138), საშუალო ზომის წიგნი (179 ფურცელი, 24,2 X 22 სმ), ასომთავრულით ნაწერი ორ სვეტად, ყავისფერი მელნით; აქა-იქ ტექსტი სინგურის სტრიქონებითაა გამოცოცხლებული. ეს გაბრიელი ერთი საუკეთესო კალიგრაფთაგანი იყო თავისი დროისა (მიჩნეულია, რომ იგი X ს-ში ცხოვრობდა, რაკი მის წიგნს ამ დროით ათარიღებენ). მისი წიგნის სილამაზეს თვით ასოების — ნაწერი ტექსტის — სილამაზე შეადგენს, მის მიერ გამოყვანილი ასოები ჰარმონიული პროპორციისაა, ნაწერი მტკიცე, გამოცდილ ხელს ამქადვენებს. მორთულობის მხრივ წიგნი ძალიან ძუნწია, საზედაო ასოებიც სულ მარტივია.

გაბრიელის სახელი 109-ე ფურცელზე: «ქრისტე, შეიწყალე გაბრიელ».

ხელნ. ინსტ. ხელნ. აღწ. S—11, 1961, გვ. 30—31 (აქ შეცდომით ნათქვამია, თითქოს ეს წიგნი ნუსხურით იყოს ნაწერი).

ბაბრიქალი — კალიგრაფი. მისი გადაწერილია ოთხთავი (ხელნაწ. ინსტ. S 405). მინაწერში, 45-ე ფურცელზე, ნათქვამია: «წმიდაო მასარებელო მარკოზ მეოხ მეყავ წინაშე ქრისტესა, ლოცვა ყავთ მონანო ქრისტესნო გაბრიელისათუს». ეს ეტრატის საშუალო ზომის წიგნია (28,5 × 23, 2 სმ), ნაწერი ყავისფერი მელნით ორ სვეტად ასომთავრულით. მსხვილი, სასიამოვნო პროპორციის (ოდნავ შემალღებული) ასოებია: სვეტში 19 სტრიქონია, სტრიქონში 8—11 ასო, სვეტებს შორის დიდი მანძილი; ტექსტი ფურცელზე თავისუფლად, შეუეწროვებლად მოთავსებული. ბევრი საზედაო ასოა, ყველა გაფერადებული და შემკულია; საღებავი ორია — ლურჯი და წითელი; ასოები, ჩვეულებრივ, ფოთლოვანი სახეებითაა შელამაზებული — ზოგან ქარაგმის ნიშანია ფოთლოვანი, ზოგან—ასოს კიდურები, სხვაგან ფოთლები შიგ ასოშია ჩასმული და სხვ. არშიებზე სინგურის ასოებია — სხვადასხვა საძიებლები და სათვალაულები. თავსამკაული II-სებრი: ოქროსფერი ფონი (წითელ სარჩულზე), ლურჯი ნახატი, თეთრათი ხაზგასმული; საღებავი სქლადაა წასმული, შესრულების ხასიათით ესეც ფერწერული მორთულობაა და არა გრაფიკული (როგორცაა «ხალხური» ტენდენციის ზოგი მორთულობა). გაბრიელი თავისი დროის უკეთეს კალიგრაფთა რიცხვს შეიძლება მივაკუთვნოთ. მისი ოთხთავი ძალიან ხალისიანი, საღღესასწაულო იერის წიგნია, ხოლო ნაწერი—მაღალი დონის ოსტატობის მაჩვენებელი.

გაბრიელის მიერ გადაწერილ ოთხთავს X ს-ეს მიაკუთვნებენ.

ხელნაწ. ინსტ. ხელნ. აღწ. S—I, 1960, გვ. 507—508.

ბაბრიქალი — ოქრომჭვდელი. ცხოვრობდა X ს-ში, მოღვაწეობდა ქვემო სვანეთში. მისი შესრულებულია სოფ. ჩიხარეშის (ლაშხეთის თემი) ეკლესიის კარედი ხატის შუა ნაწილი (ზომით 45 × 41 სმ). აქ გამოსახული არიან ტახტზე ფრონტალურად მჯდომი ღვთისმშობელი ყრმით, მის მარჯვნივ და მარცხნივ კი პავლე და პეტრე მოციქულები. ფიგურების ჩარჩოს შეადგენენ ტახტის ზურგისა და ფეხების ხაზები, თითო სვეტი განაპირას, საფუძვლის პორიზონტალური ხაზი, ზემოთ კი ფართო შუა და ვიწრო განაპირა თალები. ყველა ეს ხაზი და თალები ერთი სისქისაა და დამუშავებულია გრეხილისებრ. თვით ფიგურები, როგორც გ. ჩუბინაშვილი წერს, ელემენტარულად მოცულობითია. პავლესა და პეტრეს ფიგურები (პატარა თავებით, გრძელი სხეულებით) გაცილებით უფრო პატარაა, ვიდრე მარიამის ფიგურა. სახეების გამომეტყველება — დაჭყეტილი, თითქოს გაკვირვებული თვალებით, ოდნავ გაღიმებული ბაგეებით — გულუბრყვილო

იერს ანიჭებს ნაწარმოებს, რომელსაც, საერთოდ, არქაული ხასიათი აქვს. ქვე-
მოთ (გრეხილის გარეთ) ასომთავრული წარწერაა: «წმიდაო ღვთისმშობელო,
შეიწყალე ესე ქვეა და ქვეისა აზნაური»; ე. ი. ხატი შეწირულია ხევის მთელი
მოსახლეობის — გლეხებისა და აზნაურების მიერ. ოსტატი გაბრიელი მოხსენე-
ბულია მეორე, უფრო წვრილ, წარწერაში, რომელიც ღვთისმშობლის ფეხებს ქვე-
მოთაა: «ქრისტე შეიწყალე გაბრიელ». გ. ჩუბინაშვილს მიაჩნია, რომ ამავე გაბ-
რიელის შესრულებული უნდა იყოს ჩუკულის (ქვემო სვანეთი) ეკლესიის
ანალოგიური კარედი ხატის ფრთები, რომლებზედაც გამოხატულნი არიან ფართი,
შუბითა და მახვილით შეიარაღებული წმ. გიორგი და წმ. თეოდორე — ფეხზე
მდგომნი, en face. მათი შესრულება დიდად ენათესავენა ჩიხარეშის ღვთისმშობ-
ლისას. პ. უვაროვა და ე. თაყაიშვილი ამ კარედს XVI—XVII სს-ს აკუთვნებდნენ.

1. Г. Уварова. Поездка в Пшавию, Хевсуретию и Сванетию: МАК, X,
1904, გვ. 164, № 18 და გვ. 113.

2. ე. თაყაიშვილი. ლეჩხუმ-სვანეთი, გვ. 115, 121.

3. Г. Чубинашвили. Грузинское чек. иск. გვ. 409—412, ფოტო 45, 46, 47.

ბაბრიელი — ოქრომჭედელი, რომელმაც შეასრულა შემოქმედის მო-
ნასტრის ვერცხლის ფირფიტა (ეს ფირფიტა, სხვა ფირფიტებთან ერ-
თად, რომლებიც იქვე ინახებოდა, სანაწილეს მოჭედდებოდას შეადგენდა). მხედ-
რულ წარწერაში ნათქვამია: «ქ. ღმერთო და ამათნო მადლნო [იგულისხმება
წინა წარწერაში მოხსენიებული წმინდანები, ვ. ბ.] იხსენით სატანჯველისაგან
ცოდვილი გაბრიელ ოქრომჭედელი და მეუღლე მისი სათუთა, ამინ. მამა და დედა
ჩემი ცოდვილი იხსენით, ამინ. ძესა ჩემსა იესეს წარუმართე ღმერთო კარგი, ამინ.
ამინ».

E. Такайшвили. АЭРЗ, III, 1907, გვ. 33.

ბაბრიელი — XVIII—XIX სს-თა მიჯნის ოქრომჭედელი. 1797 წელს მო-
უჭედა ზურგი ალავერდის წმ. გიორგის დიდ ხატს, რომელიც — «ტრო-
იცე-სერგიევა ლავრას» სახელოსნოში დაიხატა, 1721 წელს კი ალავერდელი
ეპისკოპოსის ნიკოლოზ ჩოლოყაშვილის ბრძანებით მოიჭედა (წინა პირი).
გაბრიელის მიერ ხატის ზურგზე გაკეთებული ფართო ჩარჩო, აგრეთვე ზედა და
ქვემო შეოთხელები შუა არეში, მორთულია ჩუქურთმებით; რომლებიც გვიანი ევ-
როპული ბაროკოს ხასიათს ატარებს. 1801 წ., საქართველოს ტახტის მემკვიდრის
დავით ბატონიშვილის ბრძანებით, გაბრიელმა შეასრულა ბოჭორმის წმ.
გიორგის ხატის ჩარჩო.

გაბრიელის ნამუშევრები საერთოდ დამახასიათებელია XVIII ს-სთვის, რო-
დესაც ქართულ ჭედურ ხელოვნებაში გარკვევით შესამჩნევი ხდება ევროპული

ხელოვნების გავლენა (როგორც ორნამენტაციაში, ისე, ნაწილობრივ, ფიგურების გადმოცემაში).

Г. Чубинашвили. Грузинское чек. иск., გვ. 430, 643, სკოლი 6, სურ. 589.

ბაბრიელ ღიაკონი (ან დეკანოზი) — ოსტატი, რომელიც მოხსენებულა დოლისყანის ეკლესიის (X ს) ერთ-ერთ წარწერაში: სამხრეთის სარკმელთან გამოქანდაკებულია მიქელ და გაბრიელ მთაწარანგელოზების ფიგურები. გაბრიელის ფიგურის გვერდით, მედალიონში, კაცის რელიეფური ბიუსტია, მის ქვეშ კი წარწერა (ასომთავრული): «შეიქმნეს ქელითა გაბრიელ დაკენისაათა (პ. ინგოროყვა კითხულობს «დეკანოზისაათა», თუმცა წარწერაში «ზ» არ არის). პ. ინგოროყვას გაბრიელი მიაჩნია მთელი ტაძრის მამულებლად, მაგრამ შესაძლებელია გაბრიელი მხოლოდ ქანდაკების ავტორი იყოს. ფიგურები საქმაოდ რელიეფურია, მაგრამ ნამდვილი პლასტიკურობა, სკულპტურული მოდელირება, რომელიც ქართულ ქანდაკებაში XI ს-ის მიჯნაზე ჩნდება, აქ ჯერ კიდევ არ იგრძნობა. თვით დოლისყანის ტაძარი ე. წ. «გარდამავალი ხანის» ქართული არქიტექტურის საყურადღებო ძეგლია. გეგმით იგი სწორკუთხაა, შიგნით გამოყოფილია შუა ჯვაროვანი სივრცე. კედლები გარედან მოპირკეთებულია შედარებით ტლანქად და მუშავებული ქვის თანაბარი რიგებით (ქვას წინა პირი ჩამოთლილი აქვს), ხოლო გუმბათის ყელი სუფთად გათლილი, ზუსტად დაწყობილი, ქვის პერანგშია ჩასმული. ფართო გუმბათის ყელი, რომელსაც სულ ოთხი სარკმელი აქვს, გარედან მორთულია დეკორაციული თალებით, რომლებიც წყვილად დასმულ წვრილ კედლის სვეტებს ეყრდნობა. ქვემო სარკმლების თალები გამოყვანილია სოლებად და ლაგებული მუქი და ღია ფერის ქვებით, ხოლო ამ თალებს ზემოთ საგანგებო შეერილი «სათაურებია» გაკეთებული. სამხრეთის სარკმლის სათაური ჩუქურთმიანი სახეებითაცაა შემკული. ამგვარად, უკვე საგრძნობია ფასადებისა და გუმბათის ყელის დეკორაციული მორთვისადმი მისწრაფება, მაგრამ ეს მორთულობა ჯერ კიდევ ძუნწია, უმეტესად მხოლოდ ცალკეული აქცენტების სახითაა გამოყენებული.

1. Н. Марр. Дневник поездки в Шавшню и Кларджию, СПб., 1911, გვ. 184, სურ. 61.

2. პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე. თბ., 1954. გვ. 358—360.

ბაბრიელ პატარაი — X საუკუნის შესანიშნავი კალიგრაფი. მოღვაწეობდა სამხრეთ საქართველოს ერთ-ერთ სეფანეში, როგორც ჩანს, პარხალს. ცნობილია მის მიერ გადაწერილი რამდენიმე წიგნი: ა) სხვადასხვა სასულიერო ნაწარმოებთა უზარმაზარი კრებული (ხელნაწ. ინსტ. A 95); წიგნის ზომაა 45,5×34 სმ, შეიცავს 1310 გვერდს. მის მნიშვნელობას განსაკუთრებით ის ზრდის,

რომ იგი, სხვათა შორის, შეიცავს ქართული მწერლობის უძველეს თხზულებათა — შუ შ ა ნ ი კ ი ს მ ა რ ტ ვ ი ლ ო ბ ი ს ა და ა ბ ო ტ ფ ი ლ ე ლ ი ს მ ა რ ტ ვ ი ლ ო ბ ი ს — ნუსხებს. გადაწერილია ყავისფერი მეღვინით, ორ სვეტად, ლამაზი, ძალიან მკაფიო, ნუსხურით. ასოები მსხვილია. სამკაული თითქმის არაავითარი, თუ არ ჩავთვლით სინგურის ტალღოვან ხაზსა და მეღვინით შესრულებულ წერილი ჯგერების მწკრივს ერთ-ერთი თავის ბოლოს. საზედაო ასოების უმეტესობა მეღვინითაა ნაწერი, ცოტაა — სინგურით. გასაგებია, რომ გაბრიელ ჰატარაი, რომელიც 1213-ე გვერდზეა მოხსენებული, წერს, ამ წიგნის გადაწერისას «ჭირნა კულა დიდნი მინახვანო» — ამოდენა ხელნაწერის შესრულება გიგანტურ, თავდადებულ შრომას მოითხოვდა. გაბრიელის ანდერძი საინტერესო ცნობებს შეიცავს: «პირველად ოდეს ამას წიგნსა დავიწყე, ესრეთ მედვა გულსა, ვითა დედათა წამება და ცხორება ოდენ დავწერო. და ვიხარე დიდითა შრომითა და გულსმოდგინებითა ეძებნე დედა და ესთენ ვპოვე, ვერღარა შემეძლო ძებნა, მერმე ესე მამათა ცხორება, რომელ პარხალს არ ეწერა, იშხნით მოვიდე და მით გავასრულე.... გაბრიელ ჰსკავილი და გაბრიელ ხორგაი დიად დამიდგეს თანა, ოდეს მიმჭირდის, მათ მივმართი, პურაი მციან. იოვანე გაცუეთილმან კუტალითა ღვინოა მომართვა».

მაშასადამე, გაბრიელს საგანგებოდ უძებნია დედნები («დედა») კრებულში შესატანი თხზულებებისა — რაც თავის მონასტერში ვერ ნახა, იშხნის მონასტრიდან ითხოვა.

გაბრიელის კრებული XVI ს-ში ჯერ კიდევ პარხლის მონასტერს ეკუთვნოდა, XVII ს-ში კი, მინაწერის თანახმად, იგი «ურუმთ ქვეყნიდამ», ე. ი. თურქეთიდან, გამოიხსნა და განაახლა «დადიანის ასულმა დედოფალთ დედოფალმა მარიამ».

2) პ ა რ ხ ლ ი ს ო თ ხ თ ა ვ ი (ხელნაწ. ინსტ. S 4927). წიგნი (29,4×21,7 სმ, ეტრატე) ძლიერ დაზიანებული სახითაა გადარჩენილი. ესეც ნუსხურითაა ნაწერი ორ სვეტად, ყავისფერი მეღვინით, მსხვილი, მცირედ დახრილი, ძალიან მკაფიო ასოებით. ხელი სავესებით იდენტურია ზემოგანსილული კრებულის ხელისა. გაფორმებაც ისევე მარტივია.

გ) ს ა კ ი თ ხ ა ვ ე ბ ი და ს ი ტ ყ ვ ე ბ ი წ მ. მ ა მ ა თ ა (ხელნაწ. ინსტ. A 144). ესეც ძალიან ცუდად შენახული უზარმაზარი წიგნია (44,2×33 სმ). ნაწერი ნუსხურია, ყავისფერი მეღვინით, ორ სვეტად, მკაფიო, მსხვილი ასოებით. ფურცლების გაფორმება აქაც მარტივია; მკაცრი: უმეტესად მხოლოდ ერთი ფერის მეღვინით გადაწერილი ტექსტი. მარტო სათაურებია სინგურით და რამდენიმე საზედაო ასოა შელამაზებული შტრიხებით და წერტილებით, ზოგის თვით მოხა-

ზულობაშია შეტანილი ოდნავ შესამჩნევი ორნამენტულობა. ამ წიგნის ნაწერი (ასოთა დამწერლობა) რამდენადმე განსხვავდება წინა ორი წიგნისაგან და ოსტატობის მხრივ მათზე უკეთესიც კი არის.


ყველა ამ ხელნაწერს — პალეოგრაფიისა და წიგნის საერთო გაფორმების მიხედვით — X საუკუნეს მიაკუთვნებენ.

1. Ф. Жордания. Опис. рукоп. Ц. М., I, 113—114.
2. სსმ ძველ ხელნაწერთა საცავების გზამკვლევი. თბ., 1952, გვ. 126.
3. ლ. მენაბდე. ძვ. ქართ. მწერლ. კერები. 1, 1962, გვ. 459.

ბაბრიელ საშარაელი — ოქრომქანდაკებელი. ცხოვრობდა X ს-ის ბოლოს და, შესაძლებელია, XI ს-ის დასაწყისშიაც. ავტორი ბ რ ე თ ი ს ცნობილი საწინამძღვრო ჯვრისა. ჯვრის ტარის წარწერაში ნათქვამია: «შეიქმნა ჯელითა გაბრიელ საფარელისაითაო». სხვა წარწერებში მოხსენებული ისტორიული პირები და მათი ტიტულატურა (ბაგრატ აფხაზთა მეფე, ძე მეფეთა მეფის გურგენისა) მოწმობს, რომ გაბრიელს ეს ჯვარი 994-სა და 1001 წლებს შორის შეუსრულებია.

ჯვარი მოოქრული ვერცხლისაა, იმხანად გავრცელებული ტიპისა: იგი შესმულია ცილინდრულ ტარზე, რომელიც ზემოთ, თვით ჯვრის ძირში, ბურთულით მთავრდება. ტარი ერთიანად ფოთლოვანი სახეებითაა დაფარული, ბურთულზე კი, მედალიონებში, მასხარებელთა რელიეფური ფიგურებია წელხევით. საკუთრივ ჯვარი საქამოდ დიდია — 52,5×44,5 სმ (მკლავები), ტარი — 32,5 სმ. ბოლოებგაფართოებულ ჯვარზე დაკრულია ჯვარისებრი ფირფიტა თვით ჯვარცმულის ქანდაკებით; ჯვრის ბოლოებში მოთავსებული ორი მედალიონი — ანგელოზი და წვეროსანი წმინდანი, და ორი გამოსახულება — «წმიდა მარიამ დედაი ქრისტესი» და იოანე მასხარებელი — აგრეთვე ცალკე ფირფიტებზეა შესრულებული და დაკრული ჯვარზე. ჯვრის ზურგიც ერთიანად ორნამენტითაა დაფარული — აქ ფოთლების სტილიზაციით მიღებული ბრტყელი სახეებია.

გაბრიელ საფარელი ნიჭიერი და დახელოვნებული ოსტატი იყო: ტარისა და ზურგის ორნამენტაცია გვიჩვენებს, რომ მას დეკორატორის ადლო ჰქონდა, ხოლო ჯვარცმულის ფიგურა მოწმობს, რომ მას, როგორც მოქანდაკეს, იმ დროის ქართული სკულპტურის მოწინავე ინტერესები ამოძრავებდა — ეს იყო ინტერესი ადამიანის ფიგურის მოცულობითი, საკუთრივ სკულპტურული, გამოსახვისა. ამ მხრივ გაბრიელი ჯერ კიდევ ძიებათა ადრინდელი საფეხურის წარმომადგენელია. იმავე დროს, ქრისტეს სხეულის დაძაბულობა, გამხდარ სხეულზე მკაფიოდ ნაჩვენები ნეკნები, დახრილი თავი, დახუჭული თვალები, ჩაცვნილი ლოყები არაჩვეულებრივი მეტყველების ძალას ანიჭებენ ქანდაკებას.



ბრუნის კვ.ბ. X—XI სს. მიწის შესრულებული იქონივნების გამოხატული
საღვთის მთი

ამ ჯერის შესრულებისას გაბრიელს თანაშემწე ჰყოლია. ამას ეკუთვნის, კერძოდ, განივი მკლავების ბოლოს მოთავსებული გამოსახულებანი მარიამისა და იოანე ნათლისმცემლისა.

Г. Н. Чубинашвили. Грузинское чек. иск., გვ. 70—79, ფოტო 101—106.

ბარბანელი — ზარზმის პირველი ეკლესიის მაშენებელი, მოხსენებული სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებაში. გარბანელი თვით სერაპიონის თანამედროვე იყო (კ. კეკელიძის, ი. ჯავახიშვილისა და ე. თაყაიშვილის აზრით, ზარზმის მონასტრის პირველი დამაარსებელი ბერი სერაპიონი IX ს-ში ცხოვრობდა, მაგრამ ზოგიერთი მოსაზრების თანახმად, ეს თარიღი უკან შეიძლება გადაიწიოს. პაულე ინგოროყვა სერაპიონს VI—VII საუკუნეთა მოღვაწედ სთვლის; იხ. მისი გიორგი მერჩულე, გვ. 328). მემატიანის თანახმად, პირველი ეკლესიის შენების დროს, «იყვნეს ხუროთ-მოძღუარ და ზედამდგომელ საქმისა მის გარბანელი და ორნი იგი ძმანი...», ზარზმის მახლობლად მცხოვრებნი, რომელნიც სერაპიონის სასწაულთა შემდეგ ეკურთხნენ ბერებად. თვით გარბანელიც, კაცი «სახელოანი და კეთილი», აგრეთვე იმ კუთხიდან იყო წარმოშობით. იგი პირველად მაშინ შესვდა სერაპიონს, როცა სერაპიონი, რამდენიმე სხვა ბერის თანხლებით, ეკლესიისათვის ადგილს ეძებდა მდ. ძინძეს ხეობის მიდამოებში. გარბანელი, რომელსაც მეუღლე და ორი ვაჟი ჰყოლია, დაესმარა დაქანცულსა და სამოსშემოძარცულ მგზავრებს, შემდეგ, როგორც ჩანს, იგი სერაპიონის მოწაფე და, შესაძლებელია, ზარზმის მონასტრის პირველი ძმობის წევრიც კი გახდა. რაკი ეკლესიის შენება მან იკისრა, უეჭველია, ამ დარგში რაღაც გამოცდილება უკვე ჰქონია კიდევ. ეკლესიის შენებას სამ წელიწადს მოუწოდნენ. მუშაობა გაუძნელდათ, რადგანაც «ქვა მათ ადგილთანი ტყეთაგან დაფარულ იყვნეს». ადგილობრივი ფეოდალის გიორგი ჩორჩანელის რჩევით, საქმის გასაადვილებლად, მასალად გამოიყენეს სოფ. უმწის დანგრეული ეკლესიის ქვები, რომლებიც «იცნობიან ზოგნი რამეჲ კუთხთა მიერ და კამარათაო», წერს ბასილი ზარზმელი, ე. ი. ეს ქვები კონსტრუქციულად საპასუხისმგებლო ადგილებში გამოუყენებიათ. გარბანელის ეკლესიას, რომელიც უეჭველია, საქმოდ მარტივი იქნებოდა (ერთნავიანი ან ბაზილიკა), დღემდის არ მოუღწევია.

1. ადრინდელი ფეოდალური ქართული ლიტერატურა. პროფ. კ. კეკელიძის რედაქციითა და გამოკვლევით. თბ., 1935, გვ. 161—163, 167.

2. ვახტანგ ბერიძე. სამცხის ხუროთმოძღვრება, XIII—XVI საუკუნეები. თბ., 1955, გვ. 118—120.

ბენადი მონაზონი — კალიგრაფი, გადამწერი სვანეთიდან, კვირიკესა და ივლიტეს ეკლესიიდან, ჩამოტანილი დავითისა (19,5×12,5 სმ, 139 ფურც.

ქალადი), რომელიც ნუსხურითაა ნაწერი, საკმაოდ კარგი კალიგრაფიული ხელით. ნაწერის მიხედვით წიგნს XVII ს-ეს აკუთვნებენ. 138-ე ფურცელზე: «ამის-სა მწერალსა მოლაზონსა გენადის შეუნდნეს ღმერთმან მისნი ცოდვანი, ამინ».

სსმ ხელნ. აღწ., A—V, 1955, გვ. 14.

ბერასიმი — მღვდელ-მონაზონი, რომელიც ხელმძღვანელობდა სოფ. ხა-მისკურის (ხობის რაიონში, სოფ. ხეთასთან) პატარა ერთნავიანი ეკლესიის «ყვალადვე» აშენებას 1814 წელს. ეკლესია ააშენეს ცაიშელი მიტროპოლიტის გრიგოლ ჩიქოვანის ბრძანებითა და ხარჯით, «ყოვლად დიდისა მთავრისა და მფლობელისა ოდიშ ლენჩხუმთა და აფხაზთა და სევანთა, სხვათადასხვათა ორდენისა მიმღეთა ღენერალ მაიორისა მეორისა ლეონ დადიანის ქამსა». ეკლესია უმნიშვნელოა. წარწერა მოთავსებულია შიგნით, დასავლეთის კედელზე.

ბერამანოზი — კალიგრაფი; ცხოვრობდა XVI საუკუნეში. მისი გადაწერილია და ვ ი თ ნ ი (ხელნაწ. ინსტ. H 75). გადამწერი მოხსენებულია 262-ე გვერდზე ანდერძში: «იესუ ქრისტე, მეუფეო დიდებისაო, შეიწყალე ცოდვილი ამისი მწერალი თეთროსნის წინამძღვარი გერმანოზ...» და სხვ.... ამავე ანდერძში მოხსენებული არიან ამ წიგნის შესრულების მოთავენი, რომელთაც «ინებეს», გადააწერინეს და შეამკობინეს იგი — «დედოფალი ათაბაგის ქალი ბატონი თამარ და ძე მისი გურიელი ბატონი ქაიხოსრო». ეს პირები XVI ს-ში ცხოვრობდნენ. მიჩნეულია, რომ აქ მოხსენებული თეთროსანი — ჭანეთში, კინტრისის ხეობის სოფ. ღვარაში, არსებული თეთროსნის ეკლესიაა, მაშასადამე, გერმანოზიც იქაური ყოფილა. წიგნი დიდი ზომისა არ არის (23 X 17,5 სმ) მასალა ქალღვრა, შესრულებულია ნუსხურით, შავი მელნით, ერთ სვეტად. ბევრია სინგურით ნაწერი სტრიქონი და საზედო ასო. ნაწერი, თუმც კი კალიგრაფის ხელს ამქდავენებს, საშუალო ოსტატობისაა. თავსამკაულებად, პარაგრაფების გასაყოფად ყველგან გაკეთებულია სწორკუთხა ზოლი, შიგნით დაყოფილი წითელ-თეთრ-შავ რომბებად — ნახატი დაღრეცილი და პრიმიტიულია.

ამ წიგნის მთავარ სამკაულს შეადგენს 55 მინიატურა, მაგრამ მათი ავტორი გერმანოზი არაა, მინიატურები სხვა წიგნიდანაა ამოჭრილი და ჩაკრული.

1. სსმ ხელნ. აღწ. H—1, 1946, გვ. 60—61.

2. სსმ ხელნ. გზამკვლევი, გვ. 191.

ბვანაშაპისძემნი — ოქრომჭედლები. ცხოვრობდნენ XI ს-ში, მოღვაწეობდნენ ზემო სვანეთში.

ასან გვაზავაისძე — მის მიერ შესრულებულია წმინდა გიორგის ორი ხატი, რომლებიც ზემო სვანეთის სოფ. ნაკიფარში (იფარის თემი) ინახება. ორივე მხედარ გიორგის გამოსახატავს, ორივე მოქრული ვერცხლისაა.

ერთი მათგანი, ძალიან ცუდად შენახული, მას ახალგაზრდობის დროს უნდა ჰქონდეს შესრულებული. გ. ჩუბინაშვილის დასკვნით, ეს ხატი სტილისტიკურად XI ს-ის დასაწყისის ძეგლთა ჯგუფს მიეკუთვნება. ხატი ხელმოწერილია: დიოკლეტიანეს წაქცეული ფიგურის ქვემოთ, არშიის გასწვრივ, ასომთავრული წარწერა: «მოიჭედა ქელითა ასან გვაზავასძისაითა».

მეორე ხატი (50×41 სმ) ოსტატის სრული მოწიფულობის წლებშია შექმნილი. ეს თავისი დროის შესანიშნავი ნაწარმოებია. მხედარ გიორგის ცხენის ფეხებთან გართხმულია «დიოკლეტიანე: მეფე: უშჯულოი». წარწერის თანხმად, «მოიჭედა ხატი ესე წმიდისა გიორგისაჲ (sic!) იფარისა, ჩემგან მარუმის შიერ, სალოცველად და სახსრად სულისა ჩემისა დღესა მას განკითხვისასა, ჩემითა: ოქროითა და ვერცხლითა ქელითა ასან ოქრომჭედლისათა». წარწერა მოწმობს, რომ ხატი საგანგებოდ ამ ეკლესიისთვისაა შესრულებული, რაკი იგი სწორედ იფარის წმ. გიორგის იხსენიებს.

გ. ჩუბინაშვილი აღნიშნავს, რომ ამ ხატში, ისევე, როგორც XI ს-ის დასაწყისის სხვა ნამუშევრებში, ნიშანდობლივია პლასტიკურ-მოცულობითი მხარის წინ წამოწევა, თუმცა ადამიანის სხეულის ნაწილთა პროპორციული შეფარდება ჯერ კიდევ ვერაა დაცული: გიორგის თავი მეტისმეტად დიდია. მეორე მხრივ, როგორც კომპოზიციის აღნაგობა, ისე ხატის მოჩუქურთმებული ჩარჩო, მოწმობს, რომ ასან ოსტატს მახვილი დეკორატიული ალლო ჰქონდა და გარკვეული მიდრეკილებაც დეკორაციულობისადმი; ყურადღებას იპყრობს მკაფიოდ გამომჟღავნებული ჰორიზონტალები (ზემო წარწერა, ცხენისთავი — გიორგის მარჯვენა მკლავი — მოსასხამი, ცხენის ტანი, წარწერის სტრიქონები, დიოკლეტიანე) და ვერტიკალები (გიორგის შუბი, ასომთავრული წ-სა და გ-ს დაგრძელებული შეეული ხაზები და სხვ.), რომლებიც თითქოს მთელი გამოსახულების ჩონჩხს ქმნიან; დეკორაციულობას ხაზს უსვამს ცხენის ფიგურაც — წერილი გრძელი ფეხები, პატარა თავი, ფაფარი, გიორგისა და დიოკლეტიანეს სამოსლის მორთულობა. დასასრულ, ჩარჩო, რომელიც ფოთლოვანი ყლორტებითაა დაფარული. ჩარჩოს ჩუქურთმის ახლო პარალელები მოიძებნება XI ს-ის დასაწყისის ოქრომჭედლობაში.

ასან გვაზავაისძე თავისი დროის ერთი თვალსაჩინო მოწინავე ოსტატთაგანია.

თევედორე გვაზავაისძე — ამის შესრულებულია ტახტზე მჯდომი მაცხოვრის ვერცხლის ხატი (34×26,3 სმ) იელიის მაცხოვრის ეკლესიისა (ზემო სვანეთში). ხატს, რომელიც 1948 წლიდან მესტიის მუზეუმში ინახება, ასომთავრულით აწერია: «მოიჭედა ხატი ესე ქელითა თევედორე გვაზავაისძისათა». თევედორე აგრეთვე თავისი დროის დიდად ნიჭიერი და მოწინავე ოსტატია.

მას კარგად ესმის სხეულის პლასტიკურად გადმოცემის ამოცანა: ამას მოწმობს მშვენიერად მოდელირებული შთაგონებული სახე, სამოსლის რთული ნაკეცების ბუნებრივი გადმოცემა, სხეულის «საკვანძო» ადგილების კარგად გამოჩენა სამოსლის ქვეშ, ტახტის ზურგი და მუთაქა, რომელთა მოცულობა კარგადაა ნაჩვენები. ბუნებრივია, რომ სივრცისა და მოცულობის ამოცანები შუა საუკუნეთა ოსტატის მიერ მთლიანად გაგებული და დაძლეული მაინც ვერ არის: ხალიჩა, რომელზედაც ქრისტეს ფეხები უწყევია, ისეა ნაჩვენები, თითქოს სიღრმეში კი არ შედიოდეს, არამედ შეეუღლად იყოს აყირაებული.

თვედორესული მაცხოვრის ხატი XI ს-ის პირველი ნახევრის ერთი მნიშვნელოვანი ნაწარმოებთაგანია.

გიორგი გვაზავაის ძე — ავტორი სოფ. ლანჩხანის (ზემო სვანეთში) მაცხოვრის ვერცხლის ხატისა (51×40 სმ). აქაც ტახტზე მჯდომი ქრისტეა გამოსახული. ქვემოთ, ტახტის ფეხებთან, წარწერაა: «...შემიწყალე მე ცოდვილი ესე დღესა მას განკითხვისასა, იოანე დორობელასძე. ქელითა მოიჭედა გიორგი გვაზავასითა».

შესრულების თავისებურებათა და დასახულ პლასტიკურ ამოცანათა მიხედვით, გ. ჩუბინაშვილს უეჭველად მიაჩნია, რომ ეს ხატიც, რომელიც დიდი ოსტატობითაა შესრულებული, XI ს-ის პირველ მესამედს მიეკუთვნება.

1. გ. თაყაიშვილი. ლეჩხუმ-სვანეთი, გვ. 237 (ასანო), 232 (თვედორე; თაყაიშვილი შეცდომით კითხულობს „გლავასძისითა“).

2. Г. Чубинашвили. Грузинское чек. иск., გვ. 358—367, ფოტ. 184 (ასანო), გვ. 379—383, ფოტ. 375, 376, (თვედორე). 382—384 (გიორგი).

3. გ. ჩუბინაშვილი. ქართული ოქრომკერდობა, ტაბ. 93, 105, 106.

ბიორბი — მხატვარი, რომელიც იხსენიება თბილელ მიტროპოლიტის დომენტი ორბელიშვილის მიერ 1703 წელს მიცემულ სიგელში: დომენტი წერს, «ესე წყალობის წიგნი გიბოძეთ შენ, ჩვენის საყდრის ყმას მხატვარს გიორგის, შვილსა შენსა მიქაელს, შვილთა და მომავალთა სახლისა შენისათა, ასრე რომე წყალობას დაგვეაჯე, ვისმინეთ მოხსენება შენი და გიბოძეთ ჩვენს ქარვასლას უკან ქულბაქებო» და სხვ.

სხვა ცნობები გიორგისათვის არა გვაქვს, არც მის ნამუშევრებს ვიცნობთ.

ს. კაკაბაძე. ისტ. საბ., V, ტფ., 1913, გვ. 6.

ბიორბი — «მეგრელი მხატვარი». იხსენიება მისი ყოფილი ყმის თამაზას საბუთში 1722 წელს. თამაზა ნასყიდობის წიგნში დავით გარეჯის მონასტრის წინამძღვარს ონოფრეს წერს: «ესე ნასყიდობის წიგნი მოგეც მე, მეგრელი მხატვრის გიორგის ყმამ თამაზამ ცოლშვილითა, თქვენ წინამძღვარს ონოფრეს მოგ-

ყიდეთ ჩემი თავი შეილითა და თავითა. ჩემი ბატონისგანაც აზატ ნაქნარი ვიყავი»
და სხე.

ს. კაკაბაძე. ისტ. საბ., V ტფ., 1913, გვ. 36.

ბიორბი — «გალატოზი», რომელიც მოხსენებულია ჩხიკვის სამების ეკლესიისთან ე. თაყაიშვილის მიერ ნაპოვნ წარწერაში. რა კავშირი აქვს ამ წარწერას სამების ეკლესიასთან, ან რა გააკეთა გიორგი კალატოზმა, ჩვენთვის უცნობია.

E. Такайшвили. АЭРЗ, II, 1905, გვ. 13—14.

ბიორბი — ოსტატი, რომელმაც 1811 წ. ააშენა სოფ. ვაშლოვანის კოშკი (ვაშლოვანი თეთრი წყაროს რაიონშია, თბილისიდან 35-ილი კმ მანძილზე). მოხსენებულია კოშკის წარწერის ბოლოს: «ოსტატი ამის გიორგი, ქსა უქთ» (ე. ი. ქორონიკონსა 499, რაც = 1811 წ.). წარწერაში ნათქვამია: «კოშკი ავაგე სალხინოდ მე თამაზ ორბელიანმა, თანამეცხედრემ ქეთევან... ძეთა დიმიტრი, მაკარი, ივანემ კეთილ გზიანმაო» (იმავე წარწერის თანახმად, ეს თამაზი «ღენერალ მაიორად» ჰყო «რუსეთმა ნათელ დლიანმა»).

კოშკი მრგვალია, რიყის ქვითა და აგურით ნაშენი (გარედან რიყის ქვაა, რომელშიაც აგურის შრეებია ჩატანებული, შიგნით — აგური). თუმცა წარწერაში კოშკი «სალხინოდ» იხსენიება, მაგრამ აღჭურვილია თავდასაცავ ნაგებობათათვის საჭირო სათოფურებით. ახლა შენარჩუნებულია სამი სართული. ყოველ მათგანში თითო ოთახია. უმთავრესი (საცხოვრებელი) სადგომი — მეორე სართულზე იყო. იგი რვაწახნაგოვანია, გუმბათით გადახურული; წინა მხარეს მცირე აივანი აქვს. როგორც მთლიანი სივრცით, ისე ცალკეულ ფორმათა ხასიათით, დიდად ენათესავება XVII—XVIII სს. ქართული კოშკების ოთახებს. დამახასიათებელია ბუხრის, კარსარკმლებისა და სათოფურებიანი ნიშების ისრული მოხაზულობა. მესამე სართულის დარბაზს, როგორც ჩანს, ხის აივანი ჰქონდა. აივანზე გასასვლელი კარი, კოშკების კვალობაზე, საკმაოდ დიდია. კიბე კედლის სისქეშია მოქცეული. გარედან მთავარია სამხრეთის ფასადი, რომელიც სოფლისკენაა მიმართული. ოსტატმა გიორგიმ საგანგებოდ დაამუშავა იგი. შუა ნაწილში მან მკაფიო აქცენტის დასვა: ეს ნაწილი მცირედ გამოშვებულია და ამ შვერილში, ერთიმეორის ზემოთ, მოთავსებულია ორი ღრმა თაღი: ქვემოში — კოშკის შესასვლელია, მეორეში — საცხოვრებელი დარბაზის აივნის კარი, ხოლო მის თავზე — საგანგებოდ ჩასმული ყვითელი ქვა ორბელიანების გერბითა და წარწერით. ფასადის შვერილი ნაწილი აგურითაა ნაშენი, ზემო თაღის თავზე აგურის წყობა მარტივ გეომეტრიულ სახეებს ქმნის. უშუალოდ შვერილის თავზე იყო დასმული მესამე სართულის ხის აივანი. ფასადის ამგვარი დეკორაციული დამუშავება (საგანგებოდ გამოყოფილ:

შუა ნაწილი, თაღები, აივანი, აგურის სახეები) რამდენადმე უჩვეულოა კოშკებისათვის. ეს, უეჭველია, კოშკის მაშენებელი ფეოდალის სურვილითაა ნაკარნახევი. მას სურდა თავისი «სალხინო კოშკისთვის» საზეიმო-სადღესასწაულო იერი მიენიჭებინა. კოშკის საერთო პროპორცია, მისი გარეგნული სახე, რომელიც მოწმობს, რომ მშენებელს აქ სავესებით გარკვეული მხატვრული ამოცანა დაუსახავს, ტექნიკური შესრულების მაღალი დონე გვიჩვენებს, რომ გიორგი გამოცდილი, დახლოვებული პროფესიონალი იყო. იგი გვიანფეოდალური ხანის ხუროთმოძღვრულ ტრადიციებზეა აღზრდილი. ამას, სხვათა შორის, ისიც მოწმობს, რომ გიორგი იყენებს ქართლ-კახეთის იმდროინდელ მშენებლობაში გავრცელებულ ცალკეულ ხუროთმოძღვრულსა და დეკორაციულ მოტივებს, რომლებშიაც შემამჩნევია გვიანდელი ირანული არქიტექტურის ერთგვარი გავლენა.

მიუხედავად იმისა, რომ მრგვალი კოშკის თემა, XVI—XVIII სს-თა მანძილზე, მტკიცედ შემუშავებულ ფორმათა ფარგლებში იყო მოქცეული, ოსტატი გიორგი ასერხებს საკუთარი სიტყვის თქმას და ვაშლოვნის კოშკს გარკვეულ ინდივიდუალობას მაინც ანიჭებს.

უეჭველია, გიორგის არა ერთი სხვა შენობაც ექნებოდა აგებული, მაგრამ მისი სახელი სხვაგან არსად ჩანს.

ლ. რ ჩ ე უ ლ ი შ ვ ი ლ ი. „კოშკი სალხინოდ ნაგები“: სსსრ მეცნ. აკ. მოამბე, XXI. № 1, 1956, გვ. 115—121.

ბიორბი ბირი — კალიგრაფი. ცხოვრობდა XII ს-ის დასასრულსა და XIII ს-ის დასაწყისში. მოღვაწეობდა სირიაში, ალბათ, ანტიოქიის რომელსამე მონასტერში. მისი გადაწერილია ხელნაწ. ინსტ. ოთხთავი H 1791: ეს შედარებით პატარა ზომის წიგნია (21×15 სმ), სულ 153 ფურცელი ეტრატისა. გადაწერილია ნუსხურით, ორ სვეტად. მელანი მუქი ყავისფერია. ბევრია საზედაო ასო, ზოგი მელნისავე ფერი, ზოგი — დეკორაციული, სინგურით შეფერილი, თუმცა მელნითვე მოხაზული: ზოგში ჩიტია ჩასმული, ზოგი უბრალო ნასკეებითაა გამოყვანილი, ზოგს დაგრძელებული ფოთლოვანი კუდი აქვს. ნაწერი რივიანია, საზედაო ასოების შესრულება არც მაინცადამაინც ოსტატური.

გადამწერი მოხსენებულია სხვადასხვა ადგილას: «გიორგი ბერსა, გლახ მწარედ ცოდვილსა ულოცე მკითხველო ღთსათვს» (ფ. 153-ე; «მას ქამსა დაიწერა ესე ოთხთავი, ოდეს ანტიოქი სომეხთა აიღეს» (ფ. 151-ე). რაკი კილიკიელმა სომეხებმა ანტიოქია ორჯერ აიღეს — 1213 და 1216 წლებში — ხელნაწერიც ერთ-ერთ ამ წელს უნდა მიეკუთვნოს.

სსმ. ხელნ. აღწ., H—IV, 1950, გვ. 218.

გიორგი გიორგის ძე — მდივანი და კალიგრაფი, რომელიც XVIII—XIX სს-თა მიჯნაზე ცხოვრობდა და დადიანთა კარზე მოღვაწეობდა. მისი გადაწერილია ხელნაწ. ინსტიტუტის პარაკლიტონი Q 63 (22,8×19,1 სმ, 139 ფურცელი) და 1807 წლის კრებულის (Q 62) შუა ნაწილი — 70—287 ფურცლები (22,3×17,9 სმ). ორივე წიგნი ნუსხურია; წერდა თავისებური ხელით: ძალიან წერილად, შვეულად, თანაბარი სისქის ხაზით, კალმის დაჭირების გარეშე. ნაწერი ზუსტი და ფაქიზია. სინგურს ტრადიციულად ხმარობდა ცალკეული სტრიქონებისთვის, აგრეთვე კალმით ნახატი თავსამკაულებისათვისაც. სათაურებში სტილიზებული მთავრული ასოებია, ჩიტებისა და ცხოველების ფიგურებით, ასეთივეა თხზულებათა პირველი სახედაო ასოებიც. აქაც ერთგვარი ოსტატობა ჩანს, მაგრამ ეს უკვე დიდი ხელოვნება აღარ არის. თავ-ბოლო სამკაულებში ევროპული მოტივები იჩენს თავს. როგორც ტექსტის მწერალი გიორგი გიორგის ძე ფრიად კარგ ოსტატთა რიცხვს შეიძლება მივაკუთვნოთ.

პარაკლიტონი Q 63 გრიგოლ დადიანის შეკვეთითაა გადაწერილი. მას გადამწერის საინტერესო ანდერძები აქვს (ფურც. 134): «განმიგრძდა მწირობაა ჩემი ქვეყანასა მას მეგრელთასა, და ვიყავ რაა ხელოვან მწერლობისა, შევემეცნე უფალსა. რომლისა მიერ იპყრობებოდა ყოველივე ოდიშ-ლენსუმი და სეანთა თანა აფხაზეთი და მეორედ პყრობისა შემდგომად, ოდეს განაგებდა კეთილად განმგებელი, კეთილ-მორწმუნე დადიანი გრიგოლ, მას ქამსა გულსმოდგინებისა მიერ მათისა მებრძანა მე, მონასა მისსა, საღმრთოსა ამის და ნუგეშინის-ცემითისა პარაკლიტონისა აღწერაა, ხოლო ოდეს მებრძანა, მიერთგან აღვსწრაფე და დავიდევ თავსა შორის ჩემსა შრომა არა მცირედი და ჯერეთ გამოუცდელმან მებრ აღწერისამან ვიწყე ნუგეშინის-ცემითი ესე თვთ მე მხოლომან, თვნიერ მეორისა შეწუენისაგან... გარნა ვინაჲთგან მცთომ არს ბუნებაა კაცობრივი, იხილოთ თუ შეცთომა, შემინდევთ სიყვარულისათვს საღთოსა...» და სხვ. მეორე ანდერძში ნათქვამია, რომ ეს პარაკლიტონი «აღიწერა პალატა სამეუფოსა თავვერს, ჭელითა მდივანი გიორგის ძე მდივანი გიორგისათა».

აქედან ჩანს, რომ თვით გიორგი მეგრელი არ იყო, არამედ საიდანღაც ჩასულა იქ და შერჩენია იქაურობას. ჩასვლისას იგი უკვე «მწერლობის ხელოვანი» იყო (თუმცა კი მერე თავს იმდაბლებს — ასეთ წერაში გამოუცდელი ვიყავიო). მდივან-მწერლის ხელობა მის ოჯახში საგვარეულო ყოფილა, რაკი მამამისიც მდივნად იხსენიება.

(თავვერი, ვახუშტის თანახმად, მაშინ ლენსუმს ეწოდებოდა, იგი მოიხსენიებს თავვერის «ფრიად მაგარ» ციხესაც).

სსმ ხელნ. აღწ., Q—I, 1957, გვ. 82—83.

გიორგი გურიტიშვილი — ნიქოზის სამრეკლოს ერთი მშენებელთაგანი.
იხ. მეშარიანიშვილები.

გიორგი დეკანოზი — XVII—XVIII სს-თა მიჯნის მხატვარი. მოხატა დოლოს-რქის მონასტრის (დავით-გარეჯაში) კლდეში ნაკვეთი გუმბათიანი ეკლესიის იკონოსტასი და, შესაძლებელია, თვით ეკლესიაც. იკონოსტასი იმ ტიპისაა, რომელიც XVII ს-ის მიწურულიდან, უფრო კი XVIII ს-ში, გვხვდება, უმეტესად სწორედ დავით გარეჯის მონასტრებში: შედარებით მაღალი, ყრუ ტიხარი, რომლის ზედაპირიც რელიეფური ლილეებით (ან გრესილებით) დაყოფილია სახატეებად. იკონოსტასის მოხატულობა (=ხატები) ძლიერ დაზიანებულია. ავტორი მოხსენებულია ამ მხატვრობის მინაწერში (ასომთავრულად): «ღმერთო შეიწყალე ამზიდ (?) მშრომელი დეკანოზ გიორგი ამინ».

Г. Чубинашвили. Пещерные монастыри Дашид Гареджи. Тб., 1948, გვ. 101, ტაბ. 23, 127.

გიორგი დოდისი — ხუცეს-მონაზონი, კალიგრაფი; ცხოვრობდა XII ს-ში და იღვწოდა იერუსალიმის ჯვრის მონასტერში. 1156 წ. გადაწერა სვინაქსარი (ხელნაწ. ინსტ. H 1661). ხელნაწერი, ზომით 25×18 სმ, 340 ფურცელს შეიცავს. გადამწერი მოხსენიებულია 338-ე ფურცლის უკანა გვერდზე: «დაიწერა წიგნი ესე წმიდასა ქალაქსა იმლმსა (იერუსალიმსა), მონასტერსა შინა ჯუარისასა, ქელითა უცბად მჩხრეკალისა, ფრიად უღირისსა ხუცეს მონაზონისა ვიორგი დოდისითა. სრულ იქმნა... ბერძენთა ზედა მეფობასა მანოელისსა, ქართლს — დიმიტრისაჲ, იმლმს — ბულდიონისსაჲ, დასაბამითგან წელნი იყვნენ ზღნთ და ქორონიკონი ტომ» (მანოელი — ბიზანტიის იმპერატორი მანუელ I კომნენია, დიმიტრი — დიმიტრი I, დავით აღმაშენებლის ძე, ბულდიონი — იერუსალიმის მეფე ბოდუენ III, რომელიც 1142—1162 წლებში იჯდა ტახტზე).

გიორგი დოდისი ბრწყინვალე კალიგრაფი იყო. სვინაქსარი ნუსხურითაა ნაწერი ერთ სვეტად, ასოები წვრილია, ლამაზი, თანაბარი, სტრიქონები ზუსტად გამოყვანილი. დიდი ადგილი უჭირავს სინგურს: სინგურისაა არა მარტო საზედაო ასოები, არამედ მთელი სტრიქონებიც. ზოგან (303-ე ფურცლის შემდეგ) ყოველ სტრიქონში 4-5-ნ მთავრული ასოა სინგურით და მთელი გვერდი — შავი მელნით ნაწერი — ყაყაჩოებით აწითლებულ მინდორს ჰგავს.

წიგნის დასაწყისში, მე-3 ფურცლის უკანა გვერდზე, თაღოვან ჩარჩოში, გამოსახულია საფეხურებიან კვარცხლბეკზე საზეიმოდ აღმართული დეკორაციული ჯვარი: იგი მსხვილი ყვითელი კონტურითაა შემოსაზული. არე — სინგურის ფონია, ერთიანად შეესებული თეთრი წნულით. თაღოვანი ჩარჩოც კარ-

გად ცნობილი ქართული ორნამენტული მოტივითაა შემკული: უწყვეტ ტალღოვან ყლორტს ერთსა და მეორე მხარეს ფოთლები აქვს გამოსხმული. ფოთლოვანი თავსამკაულია მე-4 ფურცელზე, ტექსტის წინ. მთლიანად წიგნის შესრულება გადამწერის დიდ დახელოვნებას მოწმობს.

სეინაქსარი 1919 წლამდე ჯრუჭის მონასტერში ინახებოდა (როგორ აღმოჩნდა იქ, უცნობია).

სსმ ხელნ. აღწ., II—IV, 1950, გვ. 82—83.

გიორგი მთაბარძი — კალიგრაფი, რომელმაც ქსნის ერისთავ ვირშელისთვის გადაწერა სახარება (ხელნაწერთა ინსტიტუტში ორი ნომრითაა აღრიცხული — H 2122 და H 2125). ცხოვრობდა XIV საუკუნეში. მისი წიგნი ძალიან დაზიანებულია — დანესტიანებული, გადარეცხილი და შემოგლეჯილი. მაგრამ გადამწერის ანდერძი მაინც შემორჩენია (ფურც. 81): «ამისა მწერალსა თაბაურსა გიორგის შეუნდნეს ღმერთმან». ნაწერია ნუსხურით, ორ სვეტად, მელანი სეპიის ფერია. ზოგი საზედაო ასო სინგურითაა შესრულებული, მათი მოხაზულობა დიდადაა დაშორებული კლასიკური ხანის დახვეწილობასა და სიმკვრივეს. ტექსტის ხელი კალიგრაფიულია, ამ მხრივ გიორგის პროფესიული გაწაფულობა ეტყობა; მაგრამ ეს არის და ეს; მთავრულით ნაწერი სათაურები მიღრეცილ-მოღრეცილია, პრიმიტიული. ხელნაწერში ჩართული კამარები და მახარებელთა სურათები ავგაროზ ბანდაისძის შესრულებულია (იხ. ეს სახელი).

სსმ ხელნ. აღწ., V—H, 1949, გვ. 75, 79.

გიორგი მჭარალი — გადამწერი სოფ. მუხაყრუიდან (სამტრედიის რაიონში) ჩამოტანილი ოთხთავისა, ხელნაწ. ინსტ. A 1691 (20,6 × 15,8 სმ). ნაწერის მიხედვით წიგნს XV—XVI სს მიაკუთვნებენ. ფრიად ლამაზი კალიგრაფიული ნუსხურია, მაგრამ საზედაო ასოების შესრულებას ოსტატობა აკლია. მახარებელთა ოთხი მინიატურაც ხელოსნური დონისაა. 51-ე ფურცელზე: «გიორგის მწერალსა შეუნდნეს ღმერთმან, ამინ».

სსმ ხელნ. აღწ. A—V, 1955, გვ. 162—163.

გიორგი სმთაიძე — იხ. იოვანე ფუკარალიძე.

გიორგი სიმონის მხატვარი — იხსენიება XVIII ს-ის დასაწყისის საბუთებში. 1712 წ. მას და მის შვილებს მიქელსა და იოვანეს ვახტანგ VI-მ უბოძა სითარხნის სიგელი. მუშაობდა მბეჭდავად ვახტანგის სტამბაში. 1716 წლის დავითნს თავფურცელზე აწერია: «განსრულდა დავითი ესე თვესა ივნისსა, ქკსა უდ. სტამბის მეურნეობასა გიორგი მხატვარისასა», ხოლო 1720 წელს დაბეჭდილი პარაკლიტონის თავფურცელზე: «... მბეჭდავი წმიდისა ამის პარაკლი-

ტონისა, მდაბალი მონა და მოსამსახურე თქვენი ტფილისის სიონის მხატვარი გიორგი. დასაბამითგან ვიდრე აქამომდე შეიღიათას ას ოცდა რვა. ქრისტეს აქათათას შეიდას ოცსა».

გიორგის — როგორც მხატვრის — ნამუშევრებს ჩვენ არ ვიცნობთ.

1. ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი. ს. სიძე., II, გვ. 450—452.

2. ქართული წიგნი. ბიბლიოგრაფია, I, 1941, გვ. 24, 26.

ბიჭრაბი ხუცეს-მოწაზონი — კალიგრაფი. ცხოვრობდა XII—XIII სს. მიჯნაზე, მოღვაწეობდა შიომღვიმის მონასტერში. მისი გადაწერილია ე. წ. შ ი ო მ ღ ვ ი მ ი ს ო თ ხ თ ა ვ ი (ხელნაწ. ინსტ. H 1344) და ტ ი ბ ი კ ო ნ ი (H 1349). ო თ ხ თ ა ვ ი მოხსენებულია რამდენიმეჯერ: «ქრისტე, მფლობელო ყოველთა არსთაო, ნუ დასჯი ღღესა განკითხვისასა უცოდველესსა ყოველთა ცოდვილთასა გიორგის, ამის წმიდისა სახარებისა მწერალსა...» (ფურც. 185). არის ასეთი ცნობაც: «დაიწერა წმიდაჲ ესე ოთხთავი დიდი უდაბნოსა მღვმისსა, საყოფელსა წმიდისა და ღმერთშემოსილისა მამისა შიოხსსა». ამას მისდევს თარიღი, რომელიც აღნიშნულია ქართული ქორონიკონით, გვარცმიდან და დასაბამიდან: აქ ზოგი რამ არ ეთანხმება ერთმანეთს, ეტყობა, ერთგან გადაწერს შეცდომაც მოსვლია; ამან გამოიწვია აზრთა სხვადასხვაობა თარიღის შესახებ: ზოგს თარიღად 1304 წელი მიაჩნია, ზოგს — 1200 წელი. ჩემი აზრით, ეს უნდა იყოს უფრო სწორი. ტ ი ბ ი კ ო ნ ი ს ანდერძი ასეთია: «...მე, გიორგი, სახითა ოდენ მონაზონსუცესი, ხოლო სხუთა ყოვლითა აღსავეც ცოდვითა, ღირს ვიქმენ აღწერად ამის წიგნისა და შემდგომად აღსრულებისა აღმზრდელისა ჩემისა დავდეე ეკლესიასა მღვმისასა, საქსენებელად სულისა მისისა და ჩემისაჲცა», და სხვ. (ფურც. 129).

რომ ამ ორი ხელნაწერის შემსრულებელი ერთი და იგივე პირია, ჩემი აზრით, ეჭვს არ უნდა იწვევდეს: ორივე წიგნი შიომღვიმის მონასტრიდანაა და ხელიც ორივეში სრულიად იდენტურია (ტიბიკონს ხელნაწერთა აღწერილობის შემდგენელი ქრ. შარაშიძე მე-13 საუკუნეს მიაკუთვნებს. ესეც განამტკიცებს იმ აზრს, რომ შიომღვიმის ოთხთავი 1200 წლით უნდა დათარიღდეს, და არა 1304-ით).

გიორგი ხუცესი ძალიან კარგი კალიგრაფი ყოფილა: იგი ლამაზი, გაწაფული ხელით წერდა. ორივე წიგნი ნუსხურია, ორივე უბრალო სახედაო ასოებითაა მორთული. სინგურს, ჩვეულებისამებრ, არსებითი მნიშვნელობა ენიჭება (ოთხთავის ზომია 22×17 სმ, 264 ფურცელი; ტიბიკონისა — 26,5×620,5 სმ, 146 ფურცელი. ორივე წიგნი ეტრატისა).

ო თ ხ თ ა ვ შ ი ო თ ხ ი მ ა ხ ა რ ე ბ ლ ი ს ს უ რ ა თ ი ა ჩ ა რ თ უ ლ ი, ო თ ხ ი ვ ე კ ა რ გ ი ო ს ტ ა ტ ი ს ხ ე ლ ს ა მ ქ ლ ა ე ნ ე ბ ს ნ ა ხ ა ტ ი ს ა და ფერწერის მხრივ (ფერები მუქია: ყავისფერი და მწვანე ოქროსფერ ფონზე; არის კაშკაშა წითელი ფერიც). კამარები სავსებით

განვითარებული სახისაა, მორთულობის მთელი ასორტიმენტით (სვეტები კორინთული სვეტისთავეების შორეული რემინისცენციებით. ანტაბლემენტში ჩართული თაღები, ზემოთ — ჩიტების წყვილები, ყვავილები, ბუჩქები, ჭაღები და სხე.); აქ უმთავრესია ლურჯი და ოქროსფერი, აქა-იქ სოსანიც. XI—XII სს-თა ცნობილ ნიმუშებთან შედარებით აქ ერთგვარი დაქვეითება ჩანს, თუმცა მაინც დახელოვნებული პროფესიონალის ხელი იგრძნობა.

როგორც ყველა სხვა შემთხვევაში, აქაც ძნელია გადაჭრით თქმა, მინიატურებიც კალიგრაფის, ე. ი. გიორგი ხუცეს-მონაზონის, შესრულებულია თუ არა.

1. სმ ხელნ. აღწ. H—III, 1948, გვ. 289—291, 303—306.

2. გივი მიქაძე. ფილოლოგიური ძიებანი: სსრ მეცნ. აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების მოამბე, 1963, № 4, გვ. 192—196.

ბიორბი ხუცი — XI ს-ის (?) ოსტატი, რომელიც იხსენიება წალკის სოფ. იმერას ეკლესიის წარწერაში: «სახელითა ღმრთისათა აღვაშენეა საყდარი ესე ზეობასა, აღიდენ ღმერთმან, ღიპარიტ ერისთავთ ერისთავისა ქელითა გიორგი ხუცისა... შეიწყალე სული მაქარისა და სული გიორგი ხუცისა». გიორგის მიერ აგებულ ეკლესიას დღემდის არ მოუღწევია: მისი ქვები ჩატანებულია XIX ს-ის ბოლოს აგებულ ეკლესიის კედელში.

E. Такайшвили, АЭРЗ, IV, 1913, გვ. 12—13.

ბიორბი ხუცი — კალიგრაფი, რომელმაც გადაწერა სახარება, ხელნაწ. ინსტ. A 18 (22,5 × 16,6 სმ). ლუკას სახარების ბოლოს, მინაწერში, ნათქვამია: «დაიწერა წმიდაა ესე სახარებაა განმანათლებელი ყოვლისა სოფლისა ქელითა გიორგი ხუცისათა». თარიღი მითითებული არ არის, მაგრამ ნაწერისა და სამკაულის მიხედვით წიგნს XIII ს-ს მიაკუთვნებენ. ამ ნაწერის მიხედვით, რომელიც ნუსხურითაა შესრულებული (ყავისფერი მელნით, ორ სვეტად), გიორგი ძალიან კარგი ოსტატი ყოფილა. გვერდების გაფორმება მარტივია: მხოლოდ მარტივი საზედაო ასოები — ზოგი მელნითვე, ზოგი სინგურით; ფოთლოვანი მოტივებით შედგენილი თავსამკაულები სახარებათა თავში, მელნით მოხაზული და სინგურით ოდნავ შეფერილი (ფოთლები ან ფონი). სახარებას ერთვის მათე, მარკოზ და ლუკა მასხარებელთა სურათები, აგრეთვე მელნით მოხაზული და მხოლოდ სინგურითა და ყვითლით შეღებილი (ტანისამოსი და ზოგან ფონის ცალკეული ელემენტებიც. სხვა შეუღებავი ეტრატია). ნახატი პროფესიული არაა, სრულიად შეუმუშავებელია, ხალხური ხელოვნების ნიმუშია უფრო. შესაძლებელია, მათი ავტორიც გიორგი ხუცი იყოს.

Ф. Жордания. Опис. рукоп. Ц. М., I, გვ. 11—12.

გომიჩა, ნასყიდა, იოვანე, გეჟან და ნასყიდა კალატოზნი — გეგუთის წმ. გიორგის ეკლესიის მაშენებელი, მოხსენებულნი აფსიდის სარკმლის თავზე მოთავსებულ წარწერაში. ეკლესია XVIII ს-ს მიეკუთვნება (ლ. მუსხელი-შვილის აზრით: იხ. მისი ხელნაწერი მასალები გეგუთის გათხრების შესახებ. ს. კაკაბაძე XVII ს-ს მიაკუთვნებს). წარწერაში იხსენიება აგრეთვე «შიხაოილი დათვია ბანცაძე». «შიხაოილი» (= შიხაული, ჩიხაული), ს. კაკაბაძის აზრით, «მუშათ-უსუცესს» უნდა ნიშნავდეს. ეკლესია მცირეა, ერთნაეიანი, თლილი ქვისა. ს. კაკაბაძე. გეგუთის ეპიგრაფიკული მასალები: საისტორიო კრებული, წ. III, ტფ., 1928, გვ. 115.

ბრიმლოი — ოშკის ცნობილი ტაძრის მაშენებელი. ცხოვრობდა X საუკუნეში. დიდ სამშენებლო წარწერაში, რომელშიაც მოხსენებული არიან ადარნასე კურაპალატის ძენი ბაგრატ ერისთავთ ერისთავი და დავით მაგისტრისი («იწყეს ღმრთიუ გუირგუინოსანთა მეფეთა ჩუენთა შენებად ამის წმიდისა საყდრისა»), ნათქვამია: «მე გრიგოლ ღირს მყო ღმერთმან მსახურებასა ამას მათსა ღმრთისა მიმართ, და მე ვიყავე საქმესა ზედა მდგომიო». მოხსენებულ ისტორიულ პირთა მიხედვით, ეს წარწერა 958—961 წლებით თარიღდება. ე. თაყაიშვილს მიაჩნია, რომ გრიგოლი მხოლოდ «ზედა მდგომი», ე. ი. სამუშაოს მწარმოებელი, მშენებლობის ხელმძღვანელი იყო, და არა ხუროთმოძღვარი (ე. ი. შენობის ავტორი). მუხლმოდრეკილი, ხელებდაპყრობილი გრიგოლი გამოსახულია ტაძრის სამხრეთის გალერიაში, რელიეფებიან ბოძზე, ვედრების კომპოზიციის ქვეშ. ე. თაყაიშვილსავე აქვს გამოთქმული მოსაზრება, შესაძლებელია ეს გრიგოლი — ლიტერატურის ისტორიაში ცნობილი გრიგოლ ოშკელი იყოსო (გრიგოლ ღვთისმეტყველის ზოგიერთი ნაწარმოების მთარგმნელი). ტაძრის აღმოსავლეთის ფასადზე, კეხქვეშ, მოთავსებული იყო რელიეფი, რომელიც, როგორც ჩანს, ხუროთმოძღვარს გამოსხატავდა. რელიეფის გვერდით ამოკვეთილ წარწერას ე. თაყაიშვილი ასე კითხულობს: «ათსა წელსა აშენებდა». რაკი მთავარი წარწერა 961 წელზე გვიანდელი არ შეიძლება იყოს, გამოდის, რომ ტაძარი შენდებოდა დაახლოებით 950—960 წლებში. გრიგოლის მიერ აგებული ტაძარი შუა საუკუნეთა საქართველოს ერთ-ერთი უდიდესი საეკლესიო ნაგებობათაგანია. გეგმით იგი ტრიკონქია, ძლიერ წაგრძელებული დასავლეთის მკლავითა და დამატებებით ყოველი აფსიდის ორსავე მხარეს. ოსტატმა გამოიყენა ქართული ხუროთმოძღვრების ტრადიციული ფორმები, მაგრამ ეპოქის მოთხოვნილებისამებრ გადაამუშავა ისინი. მასების საერთო აღნაგობითა და პროპორციებით, ფასადების დამუშავებითა და მორთულობით, ოშკის ტაძარი ქართული ფეოდალური ხუროთმოძღვრების მეორე აყვავების ხანას მიეკუთვნება, იგი ერთი პირველი

დიდი ძეგლთაგანია ამ ხანისა. კერძოდ, საესებით შემუშავებულია ფასადის მორ-
თულობის სისტემა ორი სამკუთხა ნიშითა და ხუთი დეკორაციული თაღით.
ოშკის ტაძარს, მხატვრული და ისტორიული თვალსაზრისით, მნიშვნელოვანი
ადგილი უჭირავს ქართული ხელოვნების ისტორიაში.

1. ე. თაყაიშვილი. კატალოგი ქართული ხუროთმოძღვრების გამოფენისა.
1920, გვ. 6.

2. ე. თაყაიშვილი. 1917 წლის არქეოლოგიური ექსპედიცია სამხრეთ საქართვე-
ლოში. თბ., 1960, გვ. 47—51.

ბრიტოლი — სახელი ორი კალიგრაფისა, რომელნიც XV ს-ში ცხოვრობდნენ
და ვინმე მახარებელი ოქროსყმაღსძის შეკვეთით პეტრიწონში გადაწერეს სა-
კითხავნი დღესასწაულთანი (ხელნაწ. ინსტ. H 1760). ორი გადაწე-
რი გაირჩევა განსხვავებული ხელით. პირველი გრიგოლის გადაწერილია ფურ-
ცლები 1—225-მდე, მეორისა — 225-დან 365-მდე, ე. ი. ბლომდე.

წიგნი (29,5 × 20,5 სმ) ნუსხურია; დასაწყისები სინგურითაა ნაწერი, ყოველ
ახალ საკითხავს თავსამკაული აქვს.

გადაწერათა და მომგებლის ვინაობა და გადაწერის ადგილი ანდერძებშია
მოხსენებული.

სსმ ხელნ. აღწ., H—IV, 1950, გვ. 189—195.

ბრიტოლი — კალიგრაფი, რომელმაც 1538 წელს «პატრონისა და სახელ-
განთქმულსა ფანასკერტელთა და აწ ციციშვილისა... სულკურთხეულის ზაალის
შვილისა პატრონისა ქაიხოსროსა ბრძანებითა» გადაწერა მარხვანი
(ხელნაწ. ინსტ. H 1698). წიგნის ანდერძის თანახმად, ცხოვრობდა «სამცხეს,
აწყურისა ღვთისმშობლისა სამკვიდრებელსა აწყურისა ქალაქსა» და აღზრდილი
ყოფილა აწყურისავე მონასტერში. გრიგოლი კარგი კალიგრაფი იყო. მისი წიგ-
ნი (39,2 × 26,5 სმ, 194 ფურცელი, ქაღალდი) ფრიად წერილი, ლამაზი ნუსხური-
თაა ნაწერი, ორ სვეტად, მორთვა-შელამაზების აშკარა სურვილით: ამას მოწ-
მობს სინგურის საზედაო ასოების განლაგებაც, მათი მოხაზულობაც (ზოგი ბურ-
თულებითა და თაროებითა შემკული); ზოგი ასო დიდია, საგანგებოდ დაწულ-
დაჭრელებული, ფერადი. აქაც და ორიოდე თავსამკაულშიაც თავისებური ფერა-
დოვნებაა: შავი ფონი, ღია მწვანე და სინგურის ფოთლები. ნაწერი, ჩვეულები-
სამებრ, მარჯვნივაა დახრილი, ტექსტში ჩართული მთავრული ასოები კი —
მარცხნივ (ჩვეულებრივ, მთავრული ასოები შვეულია).

ხელნაწერს თარიღი უზის (ფ. 131, ასომთავრულით): «დაიწერა ესე წიგნი
ქორანიკონსა სკე» (226 + 1312 = 1538).

სსმ ხელნ. აღწ., H — IV, 1950. გვ. 122 — 123.

ბრიგოლი — XVIII ს-ის მხატვარი და ოქრომჭედელი. შემოქმედელი შიტროპოლიტის ნიკოლოზის შევეებით განაახლა ღვთისმშობლის ხატი, რომელიც «გურიელს ქაიხოსროს საათაბაგოდან ჩამოუსვენებია» შემოქმედს. ხატის ზურვის გრძელ წარწერაში, რომელშიაც ხატის თავდადასავალია მოთხრობილი, ბოლოს ნათქვამია: «ქ. ღმერთო, მოიხსენე უსტა ამის მხატვა[რი] და ოქრომჭედელი გრიგოლი. ამინ».

Д. Бакрадзе. АПГА, გვ. 139—141.

ბრიგოლ ვაჩეძორელი — კალიგრაფი. მოღვაწეობდა შატბერდის მონასტერში. მისი გადაწერილია კ რ ე ბ უ ლ ი (ხელნ. ინსტ. A 73), რომელიც შეიცავს ბასილი დიდის თხზულებას დაბადებისათვის სოფლისა ანუ ექუსთა დღეთა და გრიგოლ ნოსელის თხზულებას დაბადებისათვის კაცისა. თ. ქორდანია კრებულს XI ს-ს მიაკუთვნებს. ეს საშუალო ზომის წიგნია (25,6×16,5 სმ), შავი მელნით ნაწერი ერთ სვეტად, ნუსხურით, სრულიად უსამკაულოდ. მხოლოდ თავშია სინგურით შესრულებული ორიოდ სტრიქონი და პირველი საზედაო ასო. ნაწერი მკაფიოა, არც მანცადამანც ღამაზი. 210-ე ფურცელზე: «დაიწერა დიდსა ღაფრასა შატბერდს, საყოფელსა წმიდისა ღვთისმშობლისა, ქელითა ფრიად ცოდვილისა გრიგოლ ვაჩეძორელისათა. უცბად ჩხრევისათვის და რააცა დამეკლოს, შემინდევით».

Ф. Жордания. Опис рукоп. Ц. М., I, გვ. 73.

ბრიგოლ ხუცი — კალიგრაფი. ცხოვრობდა XI ს-ში. ამის გადაწერილია 1066 წელს იერუსალიმის ჯერის მონასტრის ს ე ნ ა ქ ს ა რ ი ოქტომბრის თვისა (ცაგარლის კატალოგი № 27). «სრულ იქმნა ერთ თუე, ქრონიკონსა სჲე, მონასტერსა სანატრელისა ეზრახსასა (?), ქელითა გლახაკისა გრიგოლ ხუცისათა, ფასად პურისა ჩემისა» (გადამწერის ანდერძი). ცაგარლის სიტყვით, გრიგოლის წიგნი ღამაზი ნუსხურითაა ნაწერი.

А. Цагарели. Сведения, вып. 2, 1889, გვ. 16.

ბულჯაპარასშვილი, გრიგოლ — XVII ს-ის მეორე ნახევრის მხატვარი. 1678—88 წლებში მისი ხელმძღვანელობით მოიხატა მცხეთის სვეტიცხოვლის შიგნით მდებარე «სვეტის» კედლები. წარწერაში ნათქვამია: «უფალო, შენისა დიდებისათვის, ბრძანებითა კათალიკოზის ნიკოლოზისითა, დაეხატე მე, ფრიად ცოდვილმა მოქალაქემ გულჯავარასშვილმა გრიგოლ, სვეტი ესე...». აქ მოხსენებული კათალიკოზი — ნიკოლოზ ამილახორია, რომელმაც იმ ხანებში საერთოდ შეაკეთა და შეამკო სვეტიცხოველი. «მოქალაქე გრიგოლ გულჯავარასშვილს», უეჭველია, თანაშემწეები ჰყოლია, რადგანაც სვეტის მხატვრობაში აშკარად გაირჩევა რამდენიმე მხატვრის ხელი. მოხატულობა სახა-

რების გავრცელებულ სცენებსაც შეიცავს, მაგრამ განსაკუთრებით საყურადღებოა წმ. ნინოს ცხოვრებისა და ქართლის მოქცევისადმი მიძღვნილი სცენების ციკლი, რომელსაც უმეტესი ადგილი აქვს დათმობილი. ეს ციკლი, სიუჟეტურად დაკავშირებული ძველ ქართულ გადმოცემებთან და მატრიანთა მოთხრობებთან, ორიგინალურია: თუ მისი ავტორი თვით გრიგოლი არ იყო, მისი პროტოტიპი მაინც ქართულ ნიადაგზეა შექმნილი. საინტერესოა, რომ გრიგოლმა თვით «ჯვარცმის» კანონიკურ სცენაშიაც შეიტანა ორიგინალური, ქართული მატრიანების ტექსტით ნაკარნახევი, დეტალი — მან დახატა წმ. ნინოს ცხოვრების პერსონაჟი, მცხეთელი ებრაელი ელიოზი, რომელიც ჯვარცმულს უყურებს და ორივე ხელით კვართი აქვს ჩაბღუჯული.

სვეტის ფრესკების სხვადასხვა კომპოზიციები განსხვავებულია შესრულების მანერითა და ხარისხით, მაგრამ ყველა საერთო გეგმას ექვემდებარება და საერთო ხასიათითაც ყველა გვიანი ფეოდალური ხანის ტიპური ნაწარმოებია: მხატვრობა მოკლებულია მონუმენტალობას, შესრულების ტექნიკა «მინიატურულია», ადამიანთა ფიგურები — წვრილი, წაგრძელებული, მყიფე, სუროთმოდერული ფონი—დაქუცმაცებული. X—XIV სს. ქართულ მხატვრობასთან შედარებით ეს ფრესკები გულუბრყვილო და ხელოსნური ჩანს, მაგრამ თავისი დროისთვის გრიგოლი, რომლის სოციალურ მდგომარეობასაც მისი ტიტული «მოქალაქე» გვიჩვენებს, გამოცდილ და დახელოვნებულ ოსტატად შეგვიძლია მივიჩნიოთ. როგორც ჩანს, მას დამხმარეთა — შეგირდთა, თანაშემწეთა — მთელი გუნდი ჰყავდა, ხოლო მისი დამკვეთნი — უმაღლესი ფენების წარმომადგენლებიც ყოფილან.

ვ ა ს ტ ა ნ გ ბ ე რ ი ძ ე. მცხეთის კათედრალის „სვეტი-ცხოველი“ და ქართლის მოქცევის სიუჟეტები მის ფრესკებში: სსმ მოამბე, XV-B, 1948.

ბ შ რ ბ ე ნ ი ს ძ ე ნ ი — მოხსენიებულნი არიან წალკის სოფ. ბეშთაშენის წმ. გიორგის ეკლესიის სამხრეთის ექვტერის წარწერაში. ეკლესია ერთნავიანია, ექვტერს სამხრეთის ფასადის მთელი სიგრძე უჭირავს, წარწერა — ძნელად გასარჩევი, ასომთავრული — მის სამხრეთის კედელზეა: «სახელითა ღმრთისათა ეს ეკლესიაჲ ჩუენ გურგენისძეთ ავაგეთ ერისთავისა ვახტანგის ბრძანებითო», ნათქვამია დასაწყისშივე, ბოლოში კი: «გურგენ მღვდელმან დავწერე ცოდვილმან, უცებად ვჩხრეკე», და სხვ... თარიღი არ არის მითითებული, არც ვახტანგ ერისთავია სხვა წყაროებიდან ცნობილი.

Е. Такайшвили. АЭРЗ, IV, 1913, გვ. 15—17.

ღაპითი — კალიგრაფი. ცხოვრობდა XI ს-ში, მოღვაწეობდა ხახულის მონასტერში, სადაც «მეფობასა რომანოსისა, ქართუელთა ზედა ბაგრატ მცირისა», გადაწერა იოანე ოქროპირის თარგმანებანი (ინახება იერუსალიმის ჯერის მონასტერში, ცაგარლის კატალოგი № 119). რომანოზი, ალბათ, ბიზანტიის იმპერატორი რომანოზ არგვიროსია (1028—1031), ბაგრატ მცირე კი — ბაგრატ IV, რომელიც 1027 წელს მცირეწლოვანი (ცხრა წლისა) დასევს ტახტზე. დავითის ნაწერი, ცაგარლის ცნობით, ნუსხურია, წერილი, მკაფიო. ხელნაწერში საინტერესო მინაწერებია.

А. Цагарели. Сведения, вып. 2, СПб, 1889, გვ. 36—37.

ღაპითი — კალიგრაფი. ცხოვრობდა XVI ს-ის ბოლო ათეულ წლებსა და XVII ს-ის დასაწყისში. 1578—1605 წლებს შუა, აფხაზეთის კათალიკოსის ეფთვიმი საყვარელიძისთვის, ჭყონდიდში გადაწერა მარტვილის მონასტრის გულანის (ხელნაწ. ინსტ. Q 87), ორ ტომად აკინძული 1006-ფურცლიანი წიგნი (30,5×20,2 სმ). დავითის გადაწერილია ამ გულანის მხოლოდ ნაწილი: იგი წერილი, ფაქიზი, მცირედ დახრილი ნუსხურით წერდა; ასოები მოკლეა, ინიცილები — პატარა; ზოგი მათგანი ერთმანეთშია ჩასმული, ან ერთმანეთს წაბმული, ზოგი მელნითაა, ზოგი სინგურით. გვხვდება სინგურით ნაწერი სტრიქონები და მთელი აბზაცებიც. დავითი იმ დროის ერთი კარგ კალიგრაფთაგანია.

მისი სახელი მოხსენებულია რამდენსამე ანდერძში: «...შემიწყალეთ მე ცოდვილი დავით, თვთ ღმერთმან უწყის, ბევრი ვეცადე სიკეთესა და სიმართლესა. წყევას ნუ ვინ შემამთხვევთ...», და სხვ.

სსმ ხელნ. აღწ., Q—I, 1957, გვ. 99—102.

ღაპითი და არძიპო — კალიგრაფები, ცხოვრობდნენ X ს-ში, მოღვაწეობდნენ სამხრეთ საქართველოში. 995 წ. ტბეთში (შაეშეთშია) გადაწერეს ე. წ. ტბეთის I ოთხთავი (ლენინგრადის საჯარო ბიბლ., იოანე ბატონი-

შეიღის კოლექცია, № 212): «დაიწერა წმიდაა ესე სახარება საყდარსა შინა ტბეთისასა, საყოფელსა წმიდათა მოციქულთასა, დასაბამითან გარდასრულთა წელთა, ქორონიკონსა სიე, ჳელითა ორთა მწერალთათა: დავით გლახაქისათა და გლახაქისა არქიპოსისათა... და შეიმოსა ჳელითა სანატრელისა მღვდელისა სტეფანესითა. ქრისტემან აკურთხენ ყოველნი მოღვაწენი ამის წიგნისანი». სხვა ანდერძში მოხსენებულია დავით კურაპალატი, რომლის «ზეობასა დაიწერა» ე' სახარება (ოთხთავის მშვენიერი, ბრწყინვალე ოსტატობით დახატული კამარები და მინიატურები ჩამატებულია XI ს-ში და შესრულებულია კონსტანტინეპოლში. ხელნაწერი შეიცავს საამისო ცნობასაც: ტბეთის მეოთხე ეპისკოპოსი სამოელი წერს: «ვისილუ წიგნი ესე, ოთხი თავი სახარება, და ეპოვე აღწერილი და შემკული ყოვლითა განგებულებითა, ხოლო ნაკულევენ იყო ხატთა და კამარათაგან და გულსვიდგინე დიდითა ხარკებითა, და გამოვიხვენ ეს ხატნი და კამარანი საბერძნეთით, ქალაქით დიდით სამეუფოთ და ჩაურთენ ამას წმიდასა სახარებასაო»).

სახარება (გარდა ბოლო ფურცლებისა, სადაც საძიებლებია) ასომთავრულითაა ნაწერი, ორ სვეტად. სვეტში ცხრამეტი სტრიქონია. სათაურები და საძიებლები წითელი მეღნითაა. წიგნის ბოლო 18,5 ფურცელი ნუსხურია. ალ. ცაგარლის სიტყვით ოთხთავი ძალიან ლამაზი ხელითაა ნაწერი. დავითი და არქიპო თავისი საქმის დიდი ოსტატები იყვნენ.

1. А. Цагарели. Сведения, вып. I, СПб, 1886, гл. 17—22.

2. Р. Шмерлинг. Образцы, гл. 48.

დამიანე — მხატვარი. ცხოვრობდა XIV ს-ში. მონაწილეობდა უბისის ეკლესიის მოხატვაში. მისი სახელი საიდუმლო სერობის წარწერაშია მოხსენებული (წარწერა შიგ სურათშია, მაგიდის ნაპირს მისდევს ერთ სტრიქონად). დამიანე, როგორც ჩანს, მოხატვის ხელმძღვანელი იყო. ფრესკების ნაწილა მისი მოწაფის მიერ უნდა იყოს შესრულებული.

დამიანეს ფრესკები (სახარების სცენების ციკლი, ცალკეულ წმინდანთა გამოსახულებანი და სხვ.) თავისი დროის ტიპური ნიმუშია, XIV ს-ის ქართული მხატვრობის ერთი უმნიშვნელოვანესი ძეგლთაგანი. XI—XII სს-თა მხატვრობის მონუმენტალობას, სიძინჯესა და დიდებულებას აქ მოძრაობა, დინამიკურობა, დაგრძელებული ფიგურები, სამოსლის ნაკვეთა რთული, ტეხილი ხაზები და კაპრიზული რიტმი, დაქუცმაცებული არქიტექტურული ფონი სცვლის. დამიანე დიდად დახელოვებული პროფესიონალი იყო, მისი ნახატი მეტყველია, ფერწერა ენერგიული, ფართო, თითქოს ნერვული — ამას მოწმობს, მაგალითად, გაბედულად, ერთი მოქნევით, დასმული ფართო თეთრი ბლიკები სახეების განა-

თებული ნაწილებისა (შუბლზე, ღაწვევებზე, ცხვირზე), თმისა და წვერის მოდელირება, სამოსლის ნაოჭები და სხვ. მოციქულთა, ანგელოზთა და სხვა «წმინდა» პერსონაჟთა სახეები დიდად საინტერესოა თავისი ძლიერი ექსპრესიით; საიდუმლო სერობის კომპოზიცია გვიჩვენებს, რომ დამიანე გაბედულად აკვირდებოდა რეალურ ცხოვრებას — გაშლილ სუფრაზე ბევრი ისეთი რამ არის (მწვანელი, ქართული პური და სხვ.), რაც მას მხოლოდ ქართული სინამდვილიდან შეეძლო აეღო. კოლორიტის მხრივ უბისის მხატვრობა მოკლებულია იმ სიმდიდრეს, ღრმა ქედრას, სიღამაზეს, რომელიც XI—XIII სს-თა საუკეთესო ქართულ ფრესკებს ახასიათებს.


1. Е. Такайшвили. АЭРЗ, 1915, გვ. 8.

2. შ. ამირანაშვილი. უბისი, 1929 (აქ გამოცემულია მთელი მხატვრობა, რომელსაც ავტორი მაშინ XIII ს-ის პირველ ნახევარს მიაკუთვნებდა).

3. Ш. Амирашвили. История грузинского искусства. М., 1963, გვ. 276—278.

ღვპალი — ცნობილია რამდენიმე კალიგრაფი, რომელიც ამ გვარს ეკუთვნოდა. უმეტესობა, როგორც ჩანს, უცხოეთის ქართულ საგანებში მოღვაწეობდა — იერუსალიმის ჯვრის მონასტერში, სინას მთაზე და სხვ., ზოგი — საქართველოშივე.

XI ს-ში ცხოვრობდნენ იოანე და მიქელ დვალეები. ჯვრის მონასტრის დამფუძნებლის პროზორეს «ბრძანებითა და მოღვაწეებითა» «უცბად მჩხრეკალს» იოვანე დვალს გადაუწერია თეენი (ალ. ცაგარლის კატალოგი № 36); 1055 წელს მანვე გადაწერა წმინდა ბასილის ცხოვრება (ცაგარელი, № 105). წიგნის ბოლოს დართულ ანდერძში, სხვათა შორის, ნათქვამია: «აღვასრულე სახმრითა ჩემითა, დაწერითა და შემოსითა და შევსწირე მონასტერსა ჯუარისასა იერუსალიმს, რომელსაცა აღუთქუ სახსენებლად ფრიად ცოდვილისა სულისა ჩემისა და სულისა მშობელთა ჩემთა... ფარსმანისა და... დაიწერა და შეიმოსა ქელითა იოვანე დვალისათა და კურთხეულისა შეილისა ჩემისათა... ქრონიკონი იყო სოე» (აქედან ჩანს, რომ იოანეს მამას ფარსმანი ერქვა და რომ იოანეს შეილიც კალიგრაფი და მმოსველი, ე. ი. მკინძავი იყო). თვით ხელნაწერის შესახებ ცაგარელს ასეთი ცნობები აქვს: «ნაწერი ნუსხურია, ფრიად ღამაზი, შემკული მშვენიერი გაფერადებული თავსამკაულებითა და საზედაო ასოებით გრიგოლ ღვთისმეტყველისა და გრიგოლ ნოსელის სიტყვების დასაწყისში; ნაწერია ორ სვეტად, სვეტში 28 სტრიქონია». წიგნი მოზრდილი ფორმატისაა, 495 ფურცელი. ალბათ ამავე იოანეს ხელითაა ნაწერი ავგაროზ მეფის აპოკრიფული



ფურცელი ე. წ. ალავერდის ოთხთავიდან — მათეს სახარების პირველი გვერდი. XI ს. გადაწერილია მიქელისა და გიორგის (დეალების?) მიერ

ამბავი სახელგანთქმულ ალავერდის ოთხთავში (ხელნაწ. ინსტ. A 484), რომელიც 1053 წელს გადაიწერა კონსტანტინეპოლში, «კალიპოსს, ლაერასა წმიდისა ღვთისმშობელისასა... ბაგრატის აფხაზთა მეფისა ნოველისი-მოსისა სამეფოს ყოფასა» (ე. ი. როცა ბაგრატ IV ბიზანტიაში იყო). არის მოსაზრება (შმერლინგი), რომ მთელი სახარების გადამწერნი მიქელი და გიორგი, აგრეთვე დვალები იყვნენ. დვალების გვარში მართლაც გვხვდება ეს სახელები (იხ. ქვემოთ). თუ ეს ასეა, მიქელ და გიორგი დვალები შესანიშნავ ქართველ კალიგრაფთა რიცხვს შეგვიძლია მივაკუთვნოთ.

მიქელ დვალის გადაწერილია ნუსხური ქამნი (ცაგარელი, № 23), იგი მოხსენებულია აგრეთვე იოანე ოქროპირისეულ იოანეს სახარების თარგმანების ანდერძში (ცაგარელი, № 145): «ქრისტე, შეიწყალე მღუდელი მიქელ დვალი, რომელმან გარდაწერებას ამის წიგნისასა ფრიად იღვაწა» (ამ წიგნის მთავარი გადამწერი ყოფილა მიქელ ჩისუარელი); შესაძლებელია, მისივე იყოს 1049 წლის სვინაქსარიც (ცაგარელი, № 142), რომელიც «დაიწერნეს და განსრულდეს... ქელითა საწყალობელისა... მიქელისითა».

სტეფანე დვალის სახელი გვხვდება სინას მთაზე, სადაც მას გადაწერია ქამისწირვათა კრებული (მარის კატალოგი, № 89); მეორე კრებული სინას მთის მონასტრისა (ივ. ჯავახიშვილის კატალოგი, № 36) გიორგი დვალის გადაწერილია. კატალოგთა შემდგენელნი არაფერს ამბობენ ამ ხელნაწერთა თარიღების შესახებ.

გიორგი დვალი (ალბათ სხვა) არის გადამწერი ლაბეჭინის ოთხთავისა (ხელნაწ. ინსტ. A 1563), რომელსაც XIII ს-ს მიაკუთვნებენ (ლაბეჭინა სოფელია ლეჩხუმში). 243-ე ფურცელზე ანდერძია: «დაიწერნეს ქელითა დვალ გიორგისითა, შეუნდენეს ღმერთმან მწირსა და ცოდვილს. ამათ ოთხთავთა ეტრატისა შემქმნელსა სუფსა შეუნდენეს ღმერთმან». ეს მომცრო წიგნია (22×18,5 სმ, 275 ფურც.), ნუსხური, ორ სვეტად ნაწერი ყავისფერი მელნით. საზედაო ასოები სინგურისა და მელნისაა, რიგითი ინიციალები მოკაზმულობის გარეშეა, მხოლოდ ზოგან ასო ასოშია ჩასმული. ხელი ძალიან ლამაზია: ზომიერად დახრილი, კარგი პროპორციის ასოები, კალმის დაჭირება მტკიცე, ნაწერი მკაფიო, ნაკლებ გადაბმული. ცალკეულ სახარებათა სათაურები თითო სვეტის სიგანისაა, სინგურით, ერთმანეთში ჩასმული ასოებით. X—XI სს-თა სიმკაცრე აღარაა, მაგრამ ტექსტი მაინც არაა შელახული სამკაულებით (ლაბეჭინის ოთხთავშია გაბრიელ ლაბეჭინელის გრძელი და ძალიან საინტერესო ანდერძი, რომელიც მნიშვნელოვან ცნობებს შეიცავს მიწისძვრის შემდეგ ლაბეჭინის ეკლესიის აღდგენისა, მოხატვისა და შემკვის შესახებ).

1. А. Цагарели. Сведения, вып. 2, 1889, გვ. 15, 30—32, 41, 44.
2. Н. Я. Марр. Опис. грузинск. рукоп. Синайского монастыря. М—Л, 1940, გვ. 251.
3. ივ. ჯავახიშვილი. სინის მთის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა. თბ., 1947, გვ. 83.
4. Ф. Жордания. Опис. рукоп. Ц. М., II, 1902, გვ. 46—51,
5. სსმ ხელნაწ. აღწ. А—V, 1955, გვ. 77—79.
6. Р. Шмерлинг. Образцы.
7. Ш. Амيرانашвили. История грузинского искусства, М., 1963, გვ. 231.

მესტრატი — სუცეს-მონაზონი; იღვწოდა ათონის ივერიის მონასტერში, იყო ამ მონასტრის დეკანოზი. გადაწერა გიორგი მთაწმინდელის მიერ თარგმნილი სვინაქსარი, რომელიც ახლაც ათონის ქართველთა მონასტერში ინახება. ბოლოში დართულ ანდერძში ნათქვამია: «განსრულდა სვინაქსარი ესე... ჭელითა ჩემ გლახაკისა... ევსტრატი დეკანოზისაჲთა, ბრძანებითა გიორგი ოლთისარისათა, რომელმან დამაწერინა მამასახლისობასა მისსა... დაიწერა ესე წიგნი მთას წმიდასა ათონს საყოფელსა ღთისმშობლისასა და შესავედრებელსა და ნავთსაყუდელსა ჩუენ ყოველთა ქართუშლთასა, მეფობასა დეოგენისასა და აღმოსავლეთს ბაგრატიანასა და ძისა მათისა გიორგისა... ჭელითა ჩემ გლახაკისა ევსტრატი სუცეს-მონაზონისაჲთა». ბაგრატი — ბაგრატ IV-ა, რომელიც 1072 წელს გარდაიცვალა; დეოგენი — რომანოზ დიოგენი, ბიზანტიის იმპერატორი 1068—1071 წლებში. ამ წლებს უნდა მიეკუთვნოს ევსტრატისეული წიგნიც.

ა. ცაგარლის თანახმად წიგნი ნუსხურია, ლამაზი ხელით ნაწერი. სხვა რაიმე ცნობები ევსტრატისათვის არ გავაჩნია.

1. A. Цагарели. Сведения, вып. I, 1886, გვ. 79.

2. R. P. Blake. Catalogue des manuscrits Géorgiens.

მფრამი — მხატვარი-მინიატურისტი და კალიგრაფი. ცხოვრობდა XIII—XIV ს-თა მიჯნაზე. 1300 წელს დანიელ მოქველ მთავარეპისკოპოსის შეკვეთით გადაწერა სახარება, ცნობილი მოქვის ოთხთავის სახელით (ხელნაწ. ინსტ. Q 902), «დაიწერა წმიდაჲ ესე ოთხთავი დასაბამითგანთა წელთა: ხმდ — ქართულითა სათუალავითა, და ბერძნულად ხყჳ, ქრონიკონსა ფჳ, ზედნადებსა მთოვარისასა ვ, მცხრალსა ზ, ინდიკტიონსა იგ, სუთულსა ლ, ექუსულსა ლვ, მზისა მოქცევსა დ, მთოვარისა მოქცევსა ვ. ჭელითა ჩემ ფრიად ცოდვილისა ეფრემისითა» (ანდერძი 325-ე ფურცელზე).

სახარება მონაზონის ფორმატის წიგნია (30×23 სმ, 328 ფურც.), კლასი-

კური ნუსხურით ნაწერი ორ სვეტად. ეს ერთი უმდიდრესი ქართული ხელნაწერთაგანია მინიატურებისა და მორთული საზედაო ასოების რაოდენობის მხრივ (152 მინიატურა და 531 საზედაო ასო). მორთულობის შედგენილობა ტრადიციულია. ათი კამარა, ვ ე დ რ ე ბ ა, მახარებლები ყოველი სახარების წინ, თავსამკაულები, ხსენებული მინიატურები სახარების სიუჟეტებით, და საზედაო ასოები. საგანგებოდაა მოსახსენებელი სიუჟეტის მხრივ იშვიათი გამოსახულება — ქრისტეს გენეალოგიური ხე და ღვთისმშობელი ყრმით, რომლის წინაც მუხლმოდრეკილი დანიელ მოქველია. ნ. კონდაკოვის დასკვნით, სახარების მთელი მორთულობა გადამწერსვე, ე. ი. ეფრემს, ეკუთვნის. ეფრემი დახელოვნებული ოსტატი იყო, მაგრამ მის ნაწარმოებს მაინც დაქვეითების ერთგვარი ნიშნები ეტყობა — ფერები ცოტა არ იყოს «გადათეთრებული» და მღვრიეა (უმეტესად ღია ცისფერი, სოსანისფერ-ვარდისფერი, თეთრანარევი წითელი), X—XII სს-ების ხელნაწერთა მორთულობის დახვეწილი არტისტიზმი აღარ იგრძნობა. და მაინც, მოქვის სახარება თავისი მორთულობის სიუხვეითა და მრავალფეროვნებით ღიად საინტერესო ძეგლია. ეფრემს განსაკუთრებით უყვარს მორთულობისათვის მცენარეების, ფრინველებისა და ცხოველთა ფიგურების გამოყენება. წეროები და სხვა ფრინველები ამკობს კამარათა ანტაბლემენტებს; საზედაო ასოების ნაწილი კვანძებიანი ფერადი ზოლებითაა გამოყვანილი (ოქრო, ლურჯი, წითელი — ესაა აქ მთავარი ფერები), ბევრი კი ყელგადაჭდობილი ფარშევანგებით, მტრედებით და სხვ. ზოგი ფიგურა საქმაოდ რეალისტურადაა გადმოცემული.

მოქვის სახარების შესწავლას ამნელებს მისი ძალიან ცუდი მდგომარეობა, იგი იმდენად დაზიანებულია, რომ გადაფურცვლაც კი საშიშია — შეიძლება საღებავები სულ ჩამოცივიდეს.

1. Н. Кондаков, Д. Бакрадзе. Описание, გვ. 76—49.
2. И. И. Толстой, Н. И. Кондаков. Русские древности в памятниках искусства, вып. IV, СПб, 1891 გვ. 110—111.
3. თ. ჯორჯანიძე. ქუჩები, II, 1887 გვ. 172—173.
4. Р. Шмерлинг. Образцы, გვ. 60—63, სურ. 7, 8, 9, ტაბ. XXIII.
5. ხელნაწ. ინსტ. ხელ. აღწ., Q—11, 1958, გვ. 312—315.

30560121 — კალიგრაფი. ცხოვრობდა XI ს-ში. მისი გადაწერილია მაქსიმე აღმსარებლის დვთისმშობლის ცხოვრება, ხელნაწ. ინსტიტუტი A 40: პატარა სქელი წიგნია (16,1×11,8 სმ, 333 ფურცელი), ნუსხურად ნაწერი ერთ სვეტად, ღია ყავისფერი მელნით. არშიებზე მოზრდილი, კარგი პროპორციის, საზედაო ასოებია, ოქროგადასმული სინგურით შესრულებული (282-ე ფურცლამდე; შემდეგ — მელნითაა). 1 გვერდი, ქვემო სამი სტრიქონის გარდა, ძალიან ღამაზი მრგლოვანიტაა ნაწერი — ესეც ოქროგადასმული სინგურია. 432-ე ფურცელზე ანდერძში ნათქვამია: «...მომისხენეთ წმიდასა ლოცვასა თქუენსა... უღირსი ფრიად ცოდვილი ვენედიქტე...». წიგნს თავში დართული აქვს ოსტატურად შესრულებული მინიატურა — ლუკა და იოანე მასარებლების გამოსახულება. იოანეს ფიგურა სანახევროდ ჩამოჭრილია, ქვემო არშიაც აკლია: მინიატურა ან სხვა წიგნიდანაა აქ გადმოტანილი (ეს უფრო საფიქრებელია), ან ამ წიგნის ზელმეორე აკინძვის დროს დააზიანეს.

ბ

ზაქარია — გადამწერი. ცხოვრობდა XI ს-ში. გადაწერა კრებული (ხელნაწ. ინსტ. H 1712), რომელშიაც შესულია «დიალოღონი რომელ არს თხრობაჲ სულიერნი», ნიკოლოზ მირონ-ლუკიელის ცხოვრება და სხვ. პატარა წიგნია (18,8×15,1 სმ, 84 ფურცელი), ნუსხური, ერთ სვეტად ნაწერი. XI ს-ის კვალობაზე ნაწერი ვერაა კარგი ხარისხისა. ზაქარია კარგ კალიგრაფად ვერ ჩაითვლება (82-ე ფურცელზე: «ქრისტე შეიწყალე პეტრე და მწერალი ზაქარია, ამენ»).

სსმ ხელნ. აღწ. H—IV, 1950, გვ. 144—145.

ზაქარია მირდატის ძე, არსენი და ბასილი — კალიგრაფები, რომელთაც გადაწერეს გრიგოლ დვთისმეტყველის თხზულებათა კრებული (ხელნ. ინსტ. A 92). ეს ხელნაწერი კრებული, შესრულების თავისებურებათა მიხედვით (ნაწერი, სამკაულები) XI ს-ს მიეკუთვნება. გადამწერნი რამდენიმეჯერ არიან მოხსენიებულნი: გვ. 555: «დაიწერა ქელითა ზაქარიასითა, არსენისითა და ბასილისითა...», გვ. 361; «ლოცვა-ყავთ გლახაკისა და ცოდვილისა ზაქარია მირდატის ძისათჳს, რომელმან დაწერე ესე წიგნი ღთის მეტყუელისა გრიგოლის თქმული»; გვ. 706: «სანატრელნო მამანო გლახაკი ზაქარია მირდატისძე ქსენებულყავთ წმიდათა ღოცვათა თქუენთა... გასრულდა ესეცა საკითხავი ქელითა უღირსისა და ფრიად ცოდვილისა ბასილისაჲთა». წიგნი საშუალო ზომისაა (26×21 სმ), მთლიანად ნუსხურით ნაწერი ერთ სვეტად. პირველი ნაწილის ხელი (1 — 158 გვერდები; ამავე ხელითაა ნაწერი ბოლო 6 გვერდიც — 840—845) მკვეთრად გამოირჩევა — ეს ყველაზე ლამაზია, ძალიან დაჯერებულად და ოსტატურად ნაწერი შავი მელნით. დანარჩენ ნაწილში შეიძლება მართლაც გაირჩეს ორი ხელი, მაგრამ მათ შორის განსხვავება ძნელი დასადგენია. აქ ყვეისფერი მელანია ნახმარი. პირველი ხელისაგან განსხვავებით თვალს მაშინვე ხვდება მ, გ, ბ და მრავალი სხვა ასოს ირიბად წაგრძელებული კორპუსები ან კი-

ღურები, რაც მთელი გვერდის ნაწერს ცოტა «მოუსვენარ» იერს ანიჭებს და თვალს ღლის. მაინც ამ ნაწილის ნაწერშიაც ნამდვილი პროფესიული დახელოვნება იგრძნობა.

ფურცლები შეუმკობია. მხოლოდ საზედაო ასოებია გამოყოფილი მკაფიო მახვილებად. განსაკუთრებით პირველ ნაწილში: აქ ზოგი ასო ძალიან დიდია, ზოგან ორ-ორი ასოა ერთმანეთში ჩასმული, მაგრამ ყველა საზედაო ასო მელნითვეა შესრულებული, შეღებვისა და ორნამენტების გარეშე. ტექსტში იშვიათად გვხვდება სინგურის სტრიქონები. მიუხედავად წიგნის ასეთი მკაცრი იერისა, მასში მაინცაა შეტანილი მორთულობის ელემენტები, თუმც კი ფრიად ზომიერად: ორიოდ თაესამკაული სწორკუთხა, ჰორიზონტალურად დაწვენილი არშიის სახით, რომელშიაც წრეები და ფოთლების სტილიზაციაა: შეფერილია შვინდისფერით, ღურჯითა და ოქროთი. ტექსტის ცალკეულ ნაწილთა ბოლო სამკუთხედ ვიწროვდება. მაგ. ფურც. 706 — მთელი გვერდის ტექსტი სამკუთხედადაა ნაწერი: სტრიქონების სიგანე თავიდანვე კლებულობს და სოლივით მთავრდება. აქ ტექსტს არშიებზე ორსავე მხარეს მისდევს X-ვით გადაჯვარედინებული ხაზებითა და წერტილებით შედგენილი წერილი ფიგურების მწკრივი.

რაკი ეს ანდერძებში საგანგებოდ არაა აღნიშნული, შეუძლებელია გაირკვეს, წიგნის რომელი ნაწილია ზაქარაის შესრულებული, რომელია არსენისა და ბასილისა.

Ф. Жорданья. Опис. рукоп. Ц. М., I, зв. 93—94.

ზაქარია მონაზონი — კალიგრაფი. მოღვაწეობდა დავით-გარეჯის მონასტერში. ამის გადაწერილია 1696 წელს ოთხთავი (ხელნაწ. ინსტ. H 1030), პატარა ნუსხური წიგნი (9,7×7 სმ, 33 ფურც.), ორ სვეტად შავი მელნით ნაწერი, ძალიან წვრილად, ძლიერ დახრილი კუთხოვანი ასოებით. თვალს ხედება, რომ ინიციალებისა და სათაურებისთვის ყველგან სინგური კი არაა ნახმარი, არამედ ზოგან შვინდისფერიც. მთავარი სამკაულია სინგურის სათვალავი ასოები და ყოველი გვერდის სათაური ზემო და გვერდის არშიებზე. მახარებლების მიხატურები (ავტორი?) ხელოსნური დონისაა. საინტერესოა გადამწერის ანდერძი (ფურც. 303—304): «...ქორონიკონს ტბდ, თუშსა დეკენბერსა ბ-სა. ქელითა ფრიად ცოდვილის და ყოვლად უღირსისა მონაზონისა ზაქარაისითაჲ, უდაბნოსა დავით გარეჯისა ნათლის მცემლისასა. უწყის ღმერთმან, რაჲცა ოდენ ძალმედვაჲ, სიმართლესა ვეცადე. თუ ვინმე საეჭუოდ საცილოს სიტყვაჲსა მიემთხვოთ, მსწრაფლ ნუ შესცულით, ვითაცა ორითა ჭეშმარიტითა სახარებითაჲ მიწერია და მათზედა მიმოწმებია. უკეთუ სიტყუსა შეცვალებაჲ ინებოთ, თქვენცა ორითა

მართლითაა სახარებითა შეამოწმეთ და ისრე სწერდით...» და სხვ. (ა-ის უსწორო ხმარება იმხანად უკვე ჩვეულებრივი რამ არის).

სსმ ხელნაწ. აღწ., H—III., 1948, გვ. 29—30.

ჯაქარია და მღვდელი საბა—ამათ გადაწერეს ურბნელი მთავარეპისკოპოსის ქსნის ერისთვის შვილის ევდემოზ გლონისთავის ძის რატიშვილის დაკვეთით ყ ა ნ ჩ ა ე თ ი ს ქ ა მ ნ - გ უ ლ ა ნ ი 1674 წლისა (ხელნაწ. ინსტ. H 1452).

ეს ნუსხურით ნაწერი წიგნია (24,3×18,5 სმ, 577 ფურც.) სინგურის სათაურებით, მრავალრიცხოვანი თავბოლოსამკაულებითა და მინიატურებით, რომელთა ავტორი, საფიქრებელია, სხვა იყო. ერთ-ერთი ანდერძი გადამწერისა ზედ ბოლოსამკაულზეა დაწერილი, ისე რომ ანგარიშს არც უწევს ნახატს.

ანდერძები ასეთია: «უფალო, შეიწყალე ცოდვილი ზაქარია, რომელმან ესე ქამ-გულანი, რაჲც უძურებისა ჩემისა მეძლო, მოვიჭირევე კარგად გაკეთება, ბრძანებითა მთავარეპისკოპოსისა რატიშვილის ევდემოზისაჲთა, რომლისა კურთხეულმცა არს საქსენებელი მისი... და ესე საკურველ იქმნა: ებრძანებინა და ვეახელ. მას ღამესა, ქამსა ცისკრისასა, მეძინა სენაკსა მცირესა გოდოლსა. მას თანა იყო ზღუდე გაღაენისა, სიმაღლე წყრთა ია (11). გამოველ საქმარისათჳს ჳორცთასა. გარდამიცდა ფერჯი და პირსა დავარდი მის გაღაენისასა და კიდევ უზიანოთ მოვრჩი ღვთისაჲ შეწევნითა და მეოხებითა წმიდის მამისა დავითისითა. ღვთის გულისათჳს, შენდობაჲ ყავთ, ვინ მიემთხვენეთ ნაჩხაბსა ამას» (ფურც. 23).

«დაესრულა. სრულ იქმნა ქამი ცხრა ქამისა. ღმერთო, შეიწყალე ამისი მწერალი ცოდვილი მღვდელი საბაჲ» (ფურც. 516).

ყანჩათის ქამნ-გულანი განსაკუთრებით საინტერესოა თავისი მრავალრიცხოვანი მინაწერებით (არშეიბზე), რომლებიც მნიშვნელოვან ისტორიულ ცნობებს შეიცავს (გამოცემულია ექვთიმე თაყაიშვილის მიერ).

1. Е. Такайшвилл. Канчаетский „жам-гулани“ и исторические приписки его книжлоса: Сборн. мат. по описанию местностей и племен Кавказа, т. 29, 1901, гв. 115—137.

2. სსმ ხელნ. აღწ., H—III, 1948, გვ. 381—381.

ზოსიმე — კალიგრაფი. ცხოვრობდა XI ს-ში, მოღვაწეობდა ათონის ქართულ მონასტერში, მისი გადაწერილია გიორგი მთაწმინდელის მიერ ნათარგმნი სხვადასხვა სასულიერო თხზულებების კრებული (A 500; უმეტესად თეოდორე სტუდიელის სწავლანი და სხვ.). 253-ე გვერდზე ანდერძში, სადაც ნათქვამია, რომ ეს თხზულება 1042 წელს თარგმნა გიორგიმ, ბოლოს აღნიშნულია: «წმიდანო მამანო, ღოცვა ყავთ უღირსისა ზოსიმესთჳს, რომელმან დაეჩხრიკე წმი-

და ესე წიგნი ღმრთისა ამის მონასტრისათჳს». წიგნი პატარაა (21×15,1 სმ), მაგრამ ძალიან სქელი (322 ფურცელია), ერთ სვეტად ნაწერი სეპიისფერი მელნით, ნუსხურად, კარგი ხელით, მორთვა-გაფორმების პრეტენზიის გარეშე.

Ф. Жордания. Опис. рукоп. Ц. М., II, 1902, გვ. 56—58.

ზოსიმე კოჰომბანისძე — კალიგრაფი. მისი გადაწერილია პარაკლიტონი, რომელსაც XVI ს-ს მიაკუთვნებენ (ხელნაწ. ინსტ. A 1522). წიგნის მიწერები და ანდერძები საინტერესო ცნობებს შეიცავს ხელნაწერის დამზადების შესახებ.

«ღმერთმან უწყოდეს — წერს ზოსიმე — რააცა დედასა [ე. ი. დედანში] ეწერაჲ, სხუა წიგნი მოვიდევ, რააცა ტყული შეატყვ, იმაზედა გავმართიო». მაშასადამე, იგი მხოლოდ მექანიკურად კი არ იწერდა დედნის ტექსტს, არამედ კრიტიკულად ამოწმებდა მას. შემდეგ: «ამისსა მწერალსა კოჭობაჲსძეს ზოსიმეს შეუნდვნეს ღმერთმან. მისსა მეუღლესა ელისაბედს შეუნდვნეს ღმერთმან. ზოსიმეს რძალსა გულსურამს შეუნდვნეს ღმერთმან» (ფურც. 173). სხვა ადგილას: «... გათავდეს წმიდანი ესე წიგნი პარაკლიტონი უკლებელნი გალობებითა ათერთმეტითა... უწყის ღმერთმან და წმიდამან ნიკოლოზ, რააცა დედასა ეწერაჲ, ჩვენ არა გვტყუენიაჲ და არც შეგვცელია ჩვენითა გუნებითა. ეგების, ანუ ქარაქმაჲ [ქარაგმა უნდა ეწეროს] და ანუ ასო სადმე დამრჩომოდეს, უწყის ღმერთმან, დიდნი ჭირნი ვნახენ და მართლობაჲსა მოვიჭირევ...» (ფურც. 384); «მე უბრალო ვარ, თუ მრუდედ რაიმე მოვიდეს სიტყუაჲ, დედა წიგნი პატრონსა ქეთაონს [ეს იყო წიგნის დამკვეთი — ქეთევან ბატონიშვილი] ეთხოვნა საღირაშვილისაგან, იმაზედან დამიწერია. არა დამიკლია რაჲ, ღმერთმან უწყოდეს, რააცა სხუესა წიგნზედან არა გამიმართაჲ. ქალაღი მქონებოდა და დედა, გუშრდთაცა გავათავებდი. პატრონის ყმასა ბევრსა შევეხუჭწე, არავინ გაივლინა, მე უბრალო ვარ» (ფურც. 394).

რისთვის იხდის ბოდიშს ზოსიმე, რის შესრულება ვერ შეძლო მან, გასაგები არ არის. ეს კი ჩანს, რომ წიგნის გადაწერისას მას ბევრი დაბრკოლება ხედებოდა. წიგნის ამკინძავიც გულნაკლულია (ფურც. 173): «მე მარკოზსა შემიკრავს, შემომოსავს, შენდობასა მიბრძანებდითა... თეგები არა მაქუნდა, აქა ნურავინ დამწყევთა ღმრთისა მადლსა, თუ რამა დამეშაოსა» (თეგი, საბას განმარტებით, ყოფილა «დასაბეჭდავიით»; დ. ჩუბინაშვილს უფრო გარკვევით აქვს — «წიგნის შემკერელთა: ვარაყის დასაკვერელი საგორავი მაშინა»). აქვე მოხსენებულია «ამ ახლის ქალაღის მღესავი» პეტრეც.

ზოსიმეს პარაკლიტონი დიდი ფორმატის წიგნია (39×21 სმ, 394 ფ.), ნუსხურით ნაწერი ერთ სვეტად, ლამაზი ხელით. მელანი შავია. ტექსტშივე ჩართუ-


ლია სინგურით გამოყვანილი მთავრული ასოები და ზოგი საზედაო ასოც არშე-
ეგბზე. ორიოდე თავსამკაული — ერთი პირველ ფურცელზე, ტექსტის დასაწყის-
ში, მეორე 174-ე ფურცელზე — ლენტების მჭიდრო ხლართისგან შედგება. პირ-
ველი უფრო მარტივია — ვიწრო ზოლი ოთხი ლენტის წნულით, მეორე უფრო
განიერი, ერთიანად შევსებული ლენტების მჭიდრო წნულით. პირველი მარტო
ყავისფერი საღებავითაა მოხაზული, მეორეში წითელი და ყავისფერია ნახმა-
რი. ორივე ნახატი არაპროფესიულია, პრიმიტიული.

სსმ ხელნ. აღწ. A—V, 1955, გვ. 57—58.

თავაქარაშვილები (თავქარაშვილები, თავაქალაშვილები) — «...ძველი დროიდან იმერეთის სამეფოს მდივნები ყოფილან. დოკუმენტებში შემდეგ მდივნებს ვხვდებით ამ გვარიდან: სა და თ ე რ 1491 წლის სიგელში, ზ უ რ ა ბ 1527 წელს, ა ღ ა 1569—1573 წლებში, ხ ვ ა თ ი ლ ა ნ დ რ ე 1586 წელს, ა ს ლ ა ნ 1604 წელს, პ ა ა ტ ა 1627—1639 წლებში... ე ლ ი ზ ბ ა რ 1685 წელს» (კ. კეკელიძე). ამით შეიძლება დაეუმატოთ კიდევ ხ უ ც ი ა, თ ა ვ ა ქ ა რ, გ ი ო რ გ ი, ზ უ რ ა ბ, რომელნიც XVII ს-ში ცხოვრობდნენ. ამ გვარის ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენელი იყო მ ა მ უ კ ა, რომელიც აგრეთვე XVII ს-ში ცხოვრობდა.

მ ა მ უ კ ა თ ა ვ ა ქ ა რ ა შ ვ ი ლ ი იმერეთის მეფის ალექსანდრეს მდივანი იყო. მან კვალი დატოვა როგორც კალიგრაფმაც და როგორც ავტორმაც. 1634 წელს, როდესაც იმერთა შეფე გიორგი, კახთ ბატონ თეიმურაზთან ერთად, კაკას ხიდთან შეება ოდიშის მთავარს ლევან II დადიანსა და ქართლის მეფეს როსტომს, მამუკა ტყვედ ჩაუვარდა ოდიშართ და დიდი ხანი დაპყრო, ვითარცა ტყვემ, ლევანის კარზე. რა თქმა უნდა, ლევანმა, რომელმაც იცოდა მამუკას ხელობის ამბავი, იგი თავისთვის გამოიყენა. 1646 წელს მამუკამ ლევანის ბრძანებით გალაწერა და დაასურათა ვ ე ფ ხ ი ს ტ ყ ა ო ს ა ნ ი (ხელნაწ. ინსტ. H 599), მისივე ბრძანებით გალექსა ზ ა ა ქ ი ა ნ ი, რომელსაც საფუძვლად შაჰნამეს ერთი ნაწილი უდევს. 1647 წლის ერთ ხელნაწერს (უთრუთიან-საამიანი, ხელნაწ. ინსტ. S 1594) ასეთი ანდერძი აქვს: «აქა გათავდა ეს წიგნი ბრძანებითა ხელმწიფის დადიანის ბატონის ლევანისათა და ხელითა მამუკა თავაქალაშვილისათა...».

ყველაზე მეტ ყურადღებას მამუკას გადაწერილ წიგნთა შორის იმსახურებს ხსენებული ვ ე ფ ხ ი ს ტ ყ ა ო ს ა ნ ი, რომელიც 39 მინიატურითაა შემკული. «ღმერთო შეიწყალე ამის მწერალი მამუკა მდივანი», წერია 210-ე ფურცელზე, 267-ზე კი ასეთი ანდერძია: «დიდება სრულმყოფელსა ღმერთსა, ყოველთა შემწე-მფარველსა. ვიწყე ეს ვეფხისტყაოსანი თიბათვესა ცამეტსა, სრულყვავ თვრა-



მამუკა თაყაყარაშვილის პორტრეტი. მინიატურა მამუკას მიერ გადაწერილი
ვეფხისტყაოსნიდან. XVII ს.



რუსთაველი უკარნახებს მწერალს თავის პოემას. მინიატურა შამუკა
თავაქარაშვილის მიერ გადაწერილი ეფუხისტყაოსნიდან

მეტსა აგვისტოსა, ქორონიკონსა სამოსოცდათოთხმეტსა. თუ რამ აკლდეს, ნუ-რაინ დამწყველით, ტყვეობაშიდ ვსწერდი. შიგნით ოცდაცხრა რვეული არის, ფურცელი ორასოცდათორმეტი». წიგნი, რომლის გადაწერასაც მამუკა ორ თვეზე ცოტა მეტ ხანს მოუნდა, საშუალო ფორმატისაა (27×19 სმ), ნაწერი მხედრულია, ღიდი ასოებით. სშირია გადაბმული, ერთმანეთზე «ჩამოკიდებული» და სტრიქონს ზემოთ ატანილი ასოები; თვით ასოების გადაბმაში დეკორაციული მიღრევილება ჩანს, მაგრამ მთლიანად ნაწერს ნამდვილი, ჩამოყალიბებული, ოსტატის ხელი არ ატყვია, ცოტა არ იყოს პრიმიტიულობის იერიც კი გადაჰრავს. მინიატურების ავტორობის შესახებ ორი აზრი არსებობს: ზოგს მათ ავტოროდაც მამუკა მიაჩნია (შ. ამირანაშვილი), ზოგს არა (ლ. შერვაშიძე). მინიატურები — ვისიც უნდა იყოს — ფრიად საინტერესოა, თუნდაც იმით, რომ შედარებით თავისუფალია ირანული ხელოვნების გავლენისაგან, რაც ძლიერ საგრძნობია ვეფხისტყაოსნის სხვა ხელნაწერებში.

მხატვარმა, რომელიც უჭველად ახლოა ხალხურ ხელოვნებასთან, არ იცის სივრცობრივი ასახვა — რაც სიღრმეში უნდა ჩანდეს, აყირავეებულია. ამ მხრივ განსაკუთრებით დამახასიათებელია ტარიელისა და ნესტან-დარეჯნის ქორწილის სცენა, სადაც სუფრის ორ მხარეს მსხდომნი ერთმანეთისადმი თავდაყირა არიან დახატულნი (როგორც სათამაშო ბანქოს ფიგურები), ან ტარიელისა და ნესტანის სიკვდილი: აქ ერთიმეორის გვერდით მწოლიარე გარდაცვლილთა გამოსახულება ძალიან უახლოვდება სოფლის სასაფლაოთა საფლავის ქვების რელიეფებს. ნახატი პრიმიტიულია, თუმცა კი საკმაოდ ექსპრესიული; ფერწერაზე აქ ლაპარაკი არ შეიძლება, ეს შეფერილი გრაფიკული ნახატია მხოლოდ; ფერადოვან გამას საფუძვლად უდევს ღია, მსუბუქი, ფერები — ვარდისფერი, მწვანე, ღია ყავისფერი, სინგური. ყველაზე საყურადღებო, ცხადია, ის არის, რომ მინიატურებში აისახა მხატვრის თანამედროვე ქართული სინამდვილე, უპირველეს ყოვლისა, ტანსაცმელი, საყოფაცხოვრებო დეტალები. გარდა ვეფხისტყაოსნის ილუსტრაციებისა, აქ არის რუსთაველის პორტრეტი (რუსთაველი და მისი მდივანი, რომელსაც პოეტი უკარნახებს) და თვით მამუკას პორტრეტიც: მამუკა მაგიდას უზის და მის მიერ გადაწერილ «ვეფხისტყაოსანს» ანდერძს უერთავს. მინაწერი: «აქა ამისი მწერალი მდივანი მამუკა სწერს და ვინც ეს...» ამ მინიატურებს ხალხური ხელოვნების უშუალობა და მიმზიდველობა ახასიათებს.

1. შოთა რუსთაველი. ვეფხისტყაოსანი. რედაქცია და წინასიტყვაობა ს. კაკაბაძისა. თბ., 1927 (ამ გამოცემას თან ერთვის რამდენიმე რეპროდუქცია 599-ის მინიატურებისა).


2. სსმ ხელნ. აღწ. H — II, 1951, გვ. 51—52; ხელნაწ. ინსტ. ხელნ. აღწ., S — III, 1963, გვ. 51.

3. კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე. ისტორია, II, გვ. 242—247.
4. Ш. А м и р а н а ш в и л и. История грузинского искусства, М., 1963, გვ. 319.
5. ლ. შ ე რ ვ ა შ ი ძ ე. „ვეფხისტყაოსნის“ 1646 წლის ხელნაწერის მინიატურების ავტორობის შესახებ: სსრ მეცნ. აკად. მოამბე, ტ. XVI, № 6, 1955, გვ. 487—494.
6. მ. ქ ე ლ ი ე ი ძ ე. ვეფხისტყაოსნის დასურათების ისტორიისათვის, 1960, გვ. 31—37.
7. „ვეფხისტყაოსნის“ დასურათება. მინიატურები, შესრულებული XVI—XVII საუკუნეებში. თბ., 1966 (აქ დაბეჭდილია მამუკასეული ვეფხისტყაოსნის მინიატურათა ფერადი რეპროდუქციები).

თავმდინისძე — ოქრომჭედელი, ცხოვრობდა XII—XIII სს. შეასრულა გაბრიელ მთაფარანგელოზის ხატი მესტიის სამხარეთმცოდნეო მუზეუმისა. ხატი ვერცხლისაა, მოოქრული. თვით ფიგურის შესრულება პლასტიკური ამოცანების სრული მივიწყების მაჩვენებელია, ორნამენტაციის ოსტატური შესრულება კი მოწმობს, რომ თავმდინისძეს ეს უფრო ემარჯებოდა და აინტერესებდა.

გ. ჩ უ ბ ი ნ ა შ ე ი ლ ი. ქართული ოქრომჭედლობა. გვ. 22, ტაბ. 68.

თანიაშვილი — ბეგთაბეგ მდივანი — ლიტერატორი და კალიგრაფი, რომელიც მეფის გიორგი XI-ის კარზე მოღვაწეობდა. 1680 წელს მეფის დაკვეთით გადაწერა «ვეფხისტყაოსანი» (ხელნაწ. ინსტ. H 54). ეს საგანგებოდ მდიდრულად მორთული წიგნია, როგორც უნდა ყოფილიყო მეფის საკუთარი წიგნი. გაფორმების საერთო ხასიათი გვიან-ირანული ხელნაწერი წიგნის გარკვეულ გავლენას ამჟღავნებს. წიგნი დიდი, «საზეიმო» ფორმატისაა (44,5×30 სმ); ყოველი გვერდი ჩასმულია იმ ხანებში გავრცელებული სახის სწორკუთხა ჩარჩოში, რომელიც სინგურის, ლურჯი და ოქროსფერი ზოლებისგანაა შედგენილი. ასეთი ჩარჩოები ოთხთაფეხშია ცხმირია. მაგრამ აქ ჩარჩოს გარეთ ძალიან ფართო, მთლიანად ორნამენტაციით დაფარული, არშიებია. აქ გამოსახულია ფოთლებ და ყვავილებგამომხეული რტოების ხლართი, რომელშიაც ზოგან ფრინველები (მაგ. წეროები) და ცხოველებია (ლომები, კურდღლები და სხვ.) ჩართული; ზოგან ორნამენტაცია შედგენილია ერთნაირი სტილიზებული ელემენტის განმეორებით, ზოგან თითქოს სურათებია — ბუჩქები, თაიგულები, ცხოველებიც; ზოგან ცალკეული ფიგურებია, ზოგან მთელი სცენები (მაგ., ერთი ცხოველი მეორეს ნისღვეს), მაგრამ ეს სცენებიც მცენარულ გარემოცვაშია და საერთო დეკორაციულ-ორნამენტულ რიტმშია ჩართული. არშიების მორთულობისათვის მხოლოდ ოქროსფერია გამოყენებული, რაც ხელს უწყობს საერთო «პარადულ» იერს. მორთულობის შესრულება მაღალ პროფესიულ დონეზე დგას, მაგრამ მისი ავტორი ბეგთაბეგი არ უნდა იყოს. ერთ-ერთ ანდერძში, რომელიც წიგნს ერთვის, ბეგთაბეგი წერს: მეფემ «წარიგო მრავალი წარსაგებელი, ვი-



ხელნაწ. H—54. ვეფხისტყაოსანი. XVII ს-ის დასასრული. გადაწერილია
ბეგთაბეგ თანიაშვილის მიერ

თარცა საცნაურ ჰყოფენ თუალნი მხიარულთანი ჳელოვანებასა ამის წიგნისასა და ენება, რათამცა ფრიად კეთილ-შეენიერ ყოფილიყო, რომელ არსცა ფრიად კეთილ და შუენიერი, თუინიერ ხოლო ნაწერისაგან კიდყო», ე. ი. წიგნი, ისე როგორც მეფეს ენება, მართლაც მშუენიერია, ნაწერის გარდაო. აშკარაა, ბეგთაბეგი აქ გამოჰყოფს და გადამწერთა ტრადიციული და დაკანონებული თავმდაბლობით «განაქიქებს» თავის ნაშრომს. — მხოლოდ ნაწერს: ის რაც «არსცა ფრიად კეთილ და შუენიერ», სხვისი ნამოღვაწარია.

ტექსტი XVII ს-ის დამახასიათებელი მხედრულითაა ნაწერი: მრგვალი, გადაბმული ასოები, სტრიქონებს ზემოთ ატანილი ო, ლ, დ, და სხვ. ყოველი სტრიქონის პირველი ასო, ტაჰისის პირველი სამი-ოთხი სიტყვა, აგრეთვე სტრიქონების ბოლო სამი ასო, რომლებიც ცალკეა გატანილი (გაშლით) — სინგურითაა შესრულებული. ნაწერი ლამაზია, თუმცა იმ ხანებში უკეთესი ხელიც გვხვდება: ასოები წვრილი ხაზითაა შემოწერილი, კალმის დაუჭირებლად, სულ თანაბრად: ცოტა არ იყოს, უძარღვოა.

ანდერძები 260-ე და 261-ე ფურცლებზეა. ეს გვერდები საგანგებოდაა გაფორმებული: ჩვეულებრივი სწორკუთხა ჩარჩოების შიგნით არე დაყოფილია სამკუთხედებად და ყოველ სამკუთხედში ტექსტია, ზოგან ერთმანეთის პერპენდიკულარულად. ერთ-ერთი ანდერძი ასეთია: «სახელითა ღმრთისათა, აღვასრულე ქორონიკონს ტაშ, მე ფრიად ცოდვლმან და სახელით ოდენ მდივანმან და საქმითა ყოველთა მწიგნობართა უნარჩევესმან ბეგთაბეგ. და თუ უგბილებითა ჩემითა დამცდარი ნახოთ, ოდეს აღწერა მიბრძანეს, არ წეს არს უარი პატრონისა, თუ არა უხილავისა და ხილულისა მტერისაგან დიდად შეღულარჯნილ იყო გონება ჩემი და კაეშნისა აღტუირთულობამან უკედ ვერ შემაძლებინა და ამაღ შემინდობაჲთ მე შეტება-დაკლებისათვის».

ბეგთაბეგი ცნობილია, როგორც ავტორი-პოეტიც. მან დაამთავრა ამირან-დარეჯანიანის გაღექსვა, რომელიც მისმა ძმამ სულხან თანიაშვილმა დაიწყო. მის მიერ გადაწერილ ვეფხისტყაოსნის ბოლოს დართულია გიორგი XI-ის ქება ლექსად, და გრძელი პროზაული ანდერძიც, არსებითად, დამოუკიდებელი ნაწარმოებია იმავე დანიშნულებისა. კ. კეკელიძეს მიაჩნია, რომ დავით გურამიშვილს და ვითიანში აღორძინების ხანის პოეტების ჩამოთვლისას სწორედ ბეგთაბეგი ყავს მოხსენებული.

1. Е. Такаишвили. Опис. рукоп. ОРГ, II, 1906, გვ. 573—582.
2. სსმ ხელნ. აღწ. Н—I, 1946, გვ. 44.
3. კ. კეკელიძე. ისტორია, II, გვ. 257—260.
4. ლ. მენაბდე. ძვ. ქართ. მწერლ. კერები, I, გვ. 154.



ფურცელი ე. წ. ქრუპის პირველი ოთხთავიდან. დასურათებულია 940 წელს. ფურცლის ზემო ნაწილში მხატვრის („კამარათა მწერლის“) თვედორეს ხელისმოწერაა

თეველორა — მხატვარი, «კამარათა მწერალი». ცხოვრობდა X ს-ში. 940 წ. შეასრულა ე. წ. ჯ რ უ ჭ ი ს პ ი რ ვ ე ლ ი ო თ ხ თ ა ე ი ს კ ა მ ა რ ე ბ ი და მინიატურები (ჯრუჭის I ოთხთაეი, ხელნაწ. ინსტ. HI 1660, შეიცავს ქართული სახარების ერთერთ ძველ რედაქციას, რომელიც საფუძვლად დაედო გიორგი მთაწმინდელისეულ საბოლოო რედაქციას. ეს ქართული კულტურის ერთი შესანიშნავი ძეგლთაგანია. გადაწერილია შატბერდის მონასტერში 936 წელს, ე. ი. ოთხი წლით უფრო ადრე, სანამ თევდორე მას დაასურათებდა, გაბრიელის, მეორე გაბრიელისა და გიორგის მიერ — იხ. ეს სახელები). თევდორეს სახელი მოხსენებულია ორჯერ პირველ ფურცელზე, რომელზედაც ჯვარისებრი ოთხსურა ფიგურაა გამოსახული. ზემოთ მარცხნივ, ლამაზი მრგლოვანით: «ქრონიკონი იყო რჟ ქ ე შ ე ამათ კამარათა მწერალი თ ე». ე. ი. «ქრონიკონი იყო 160 [940 წ. ჩვენი წელთაღრიცხვით], ქრისტე შეიწყალე ამათ კამარათა მწერალი თევდორე». იქვე მარჯვნივ, სარკისებრი შებრუნებით, ისე რომ ნაწერი მარჯვნიდან მარცხნივ იკითხება: «ქ ე შეიწყალე თევდორე». არავითარი სხვა ცნობა მის შესახებ არ მოგვეპოვება. თევდორეს შესრულებულია, გარდა ამ ჯვრისა, ე. წ. კამარები «კანონების» ტექსტით — სულ 8, ოთხი მახარებლის — მათეს, მარკოზის, ლუკასა და იოანეს — სურათები, ღვთისმშობელი ყრმითურთ, ბრმის განკურნება, ეშმაკეულის განკურნება, განრღვეულის განკურნება; ეს რვა სურათიც — გარდა ღვთისმშობლისა, «კამარებში», ე. ი. თაღოვან ჩარჩოებშია ჩასმული. განკურნების სცენები, რომლებიც ორ-ორ ფიგურას შეიცავს — ერთი ქრისტეა, მეორე კი თვით განკურნებული — სახარებაში მოთხრობილ სასწაულებს ასურათებს. ყოველ სურათს განმარტებითი ტექსტი ახლავს.

თევდორე დახელოვებული მხატვარი იყო. მის მიერ შესრულებული მინიატურები, უპირველეს ყოვლისა, ნახატის ოსტატობითა და არტისტიზმით გამოირჩევა. მას თავისუფლად გამოჰყავს სხეულთა მოხაზულობა, სხეულის ცალკეულ ნაწილთა რაკურსი, სამოსლის მრავალრიცხოვან წვრილ ნაქცე-ნაოჭთა რთული დინება, ფაქიზი შტრიხებით გადმოგვეცემს თმას; თუმცა, ბუნებრივია, შუა საუკუნეთა მხატვრობის პირობითობა (ფიგურების მოთავსება სივრცის გარეშე, სიბრტყეობრიობა, ზოგი ფიგურის დარღვეული პროპორცია, სხეულის ცალკეულ ნაწილთა უსწორო ანატომია და სხვ.) აქაც სავსებით ინარჩუნებს ძალას, მაინც თვალსაჩინოა, რომ მხატვარი ცოცხალ გარემოს აკვირდება და მოძრაობას უშუალოდ, რეალისტურადაც კი გადმოგვეცემს: იხ. მაგ., ზურგზე საწოლმოკიდებული «განრღვეული», რომელსაც ქრისტემ უბრძანა: «აღდეგ და აღიდე ცხედარი შენი და წარვედ სახედ თუ სა», ე. ი. აღექ, აღიე შენი საწოლი და ბინისაკენ გას-



ფურცელი ე. წ. ქრუცის პირველი ოთხთავიდან. მინიატურა „განრღეულის
განკურნების“ სცენით. შესრულებულია მხატვარ თეოდორეს მიერ

წივო. იხ. აგრეთვე ეშმაკეულის ექსპრესიული ფიგურა და სხვ. მარჯვე ოსტატის ხელი ჩანს კამარების ნახატშიაც.

თეოდორეს ნახატების შეფერილობა თავისებურია: არაა უფრო გვიანდელ ხელნაწერთა მორთულობის კაშკაშა ფერადოვნება. თეოდორეს მუქი, გაუჭვირალი ფერები უყვარს და, არსებითად, რამდენიმე ფერით კმაყოფილდება. ძირითადად ესაა შვინდისფერი-მოყავისფრო ჩარჩოებისა, მოსასხამებისა და კვართებისთვის, სეპია — აგრეთვე ჩარჩოებისა და, ზოგან, სამოსლისთვის, მუქი ლურჯი-ლილისფერი — ფონისათვის. სხვა ფერები — ოქროსფერი (შარავანდები, ზოგი სვეტისთავი), კარმინი, ყვითელი, მწვანე — მხოლოდ დამატებითაა. თვით ნახატი უმეტესად სეპიითაა შესრულებული; სახეებისა და სხეულის შიშველი ნაწილების გადმოსაცემად მხატვარი ეტრატს შეუღებავად ტოვებს; მხოლოდ ღაწვებს და ნიკაპს აწითლებს კარმინით.

ჯრუჭის პირველი ოთხთავის მორთულობა ადრინდელი დასურათებული ხელნაწერების დამახასიათებელი ნიმუშია. მის სურათებსა და კამარებში აშკარაა ანტიკური ხელოვნების ნიადაგზე აღმოცენებული აღმოსავლურ-ელისნისტური ტრადიციების კვალი. ამას მოწმობს «კამარების» «მარმარილოს» სვეტები იონიური და კორინთული სვეტისთავებით, ქრისტესა და იოანეს ჭაბუკური უწვერულვაშო სახეები, ტანსაცმლის დრამირება. მიუხედავად ზემოთ უკვე მოხსენებული პირობითობისა, რომელიც შუა საუკუნეების მხატვრობას ახასიათებს, ბევრი რამ, განსაკუთრებით განკურნების სცენები, აქ ჯერ კიდევ არაა შებორკილი მტკიცედ შემუშავებული იკონოგრაფიული ტრადიციით.

თეოდორე ამ ადრინდელი ხანის ერთადერთი ქართველი მხატვარი-მინიატურისტია, რომლის სახელსაც ჩვენ ვიცნობთ.

1. Brosset. Voyage, III, გვ. 83—84. ეს არის პირველი ცნობა სამეცნიერო ლიტერატურაში ჯრუჭის ოთხთავის შესახებ.

2. Н. Кондаков, Д. Бакрадзе. Опись. 153—154.

3. Р. Шмерлинг. Образцы, 41—43.

4. ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქცია სამი შატერდული ხელნაწერის მიხედვით. გამოსცა აკაკი შანიძემ. თბ., 1945. გვ. 026—031: რ. შმერლინგის ნარკვევი ოთხთავის მხატვრობის შესახებ. რ. შმერლინგის ეს ორი ნაშრომი შეიცავს თეოდორეს ნამუშევართა მხატვრულ დახასიათებას.

5. ს. მ. ხელნ. აღწ., II—IV, 1950 გვ. 81—82.

თეოდორე «მეფის მხატვარი» — XI—XII სს-თა მიჯნის შესანიშნავი მხატვარი, რომლის სახელსაც უკავშირდება ზემო სვანეთის ოთხი ეკლესიის მონუმენტულობა. ეს ეკლესიებია იფრარისა, კვირიკესი და ივლიტესი, ნაკიფარისა და წვირმისა (პირველი ორი კალას სასოფლო საბჭოშია,



ღვთისმშობლის გამოსახულება იფრარის ეკლესიაში. 1096 წ.
შესრულებულია თედორე მეფის მხატვრის მიერ

ორი უკანასკნელი — იფარისაში). ამ ოთხ ძეგლთაგან თედორეს მიერ «ხელმოწერილია» იფარისა და ნაკიფარისა, დანარჩენი ორი მოხატულობა მკვლევართა მიერაა თედორესთვის ან მისი მოწაფეებისთვის მიკუთვნებული ნაწარმოებთა მხატვრული თავისებურების მიხედვით. ყველაზე აღრინდელია იფარის მთავარანგელოზთა ეკლესიის (სვანურად—თარინგზელ) მხატვრობა; აქ, კანკელის



ქვემოთაა — გიორგი მთავარი და ეკლესიის ეკლესიაში 1112 წ. შეკრულბეჭდული თეოდორე მეფის მხატვრის მიერ

ფრესულ წარწერაში, ნათქვამია: «მოიხატა და შეიმკო წმიდაა ესე ეკლესიაა იფარის ქვევისათა... დასაბამითგანა წელთა: ჭე, ქრონიკონსა ტიე, ჯელითა თევდორე მეფის მხატვრისათა». თარიღი 1096 წელია. ამას მოსდევს კვირიკესა და იელიტეს ეკლესია (სვანურად—ლაგურკა), მოხატული, თანახმად დასავლეთის კედლის წარწერისა, 1112 წელს; შემდეგი ძეგლია ნაკიფარის მხატვრობა 1130 წლისა, სადაც კვლავ იხსენიება თეოდორე, დასასრულ, წვირმის მაცხოვრის ეკლესიის მოხატულობა. სწორედ ამ უკანასკნელის შესახებაა გამოთქმული მოსაზრება — თეოდორეს მოწაფეთა შესრულებული უნდა იყოს. შესაძლებელია, მისი მონაწილეობით.

წოდება «მეფის მხატვარი» იმის მაჩვენებელია, რომ თეოდორეს უეჭველად

უმუშაენია მეფისათვის, შეუსრულებია მნიშვნელოვანი შეკვეთები. მაშასადამე, იგი დავით აღმაშენებლის (და, შესაძლებელია, დიმიტრი I-ის) მხატვარი ყოფილა. მაგრამ წარმოშობით იგი მაინც სვანეთთანაა დაკავშირებული: ამას მოწმობს მის მიერ შესრულებულ მოხატულობათა თავისებურება, რომელიც ტიპურია სწორედ სვანეთის ფრესკებისთვის. ტიპურია გამოსახულებათა შერჩევა: საკურთხევის კონქში ღვთისმშობელი კი არ არის, როგორც საერთოდაა მიღებული, არამედ ე. წ. ვ ე ღ რ ე ბ ა (შემუშავებული გამოსახულება, რომლის ცენტრშიც უჭირავს ქრისტეს; მის მარჯვნივ ღვთისმშობელია, მარცხნივ იოანე ნათლისმცემელი). აუცილებლად ეთმობა ადგილი მხედარ წმინდანებს — გიორგისა და თევდორეს, რომელნიც განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობდნენ სვანეთში: ეს მძლავრი მეომრები, მათი მკაცრი, ძლიერი სახეები, რომლებიც ძალიან ზშირია სვანურ ეკლესიაში, თევდორეს მხატვრობის განუყოფელი შემადგენელი ელემენტებია. თევდორე ადგილს უთმობს სვანეთში პოპულარულ წმინდა დედათ — ბარბალესა და ეკატერინეს, აგრეთვე დედა-შვილს კვირიკესა და ივლიტეს, მით უფრო, მათდამი მიძღვნილ ეკლესიაში — აქ მათი ცხოვრების მთელი ციკლია წარმოდგენილი. ნ ა კ ი ფ ა რ შ ი, რომელიც წმინდა გიორგისადმია მიძღვნილი, თევდორე განსაკუთრებულ ადგილს უთმობს მისი ცხოვრების სცენებს; ასევეა წ ვ ი რ მ შ ი ა ც. ამგვარად, საღმრთო წერილის ტრადიციულ სცენებთან ერთად, თევდორეს ფრესკებში დიდი ადგილი უჭირავს ცალკეულ წმინდანთა ცხოვრებასაც. თევდორე ნამდვილი მონუმენტალისტი იყო: ჩვეულებრივ, იგი სცენებისა და ფიგურების მცირე რაოდენობით კმაყოფილდებოდა, რომ მათი ზომა არ შემცირებულიყო, რომ მათ მონუმენტური ხასიათი ჰქონოდათ. ამ მხრივ იგი თავისი დროის ნამდვილი წარმომადგენელია. ამავე დროს, აშკარაა, რომ დროის მოთხოვნილებათა და ხელოვნების საერთო განვითარებისთან ერთად, თევდორემაც გარკვეული ევოლუცია განვილო. ადრინდელი მოხატულობა — ი ფ რ ა რ ი ს ა — უფრო მკაცრად მონუმენტურია, უფრო გვიანდელ ფრესკებში (კ ვ ი რ ი კ ე და ი ვ ლ ი ტ ე, ნ ა კ ი ფ ა რ ი) მეტია დინამიზმი, დეკორაციულობა, ნახატი უფრო თავისუფალი და ცოცხალია.

თევდორე თავისი დროის შესანიშნავი, მოწინავე, მხატვარი იყო, ამას მოწმობს მისი მძლავრი, პლასტიკური ნახატი, მის მიერ შექმნილი სახეების ემოციურობა და ექსპრესია. დაუფიწყარ შთაბეჭდილებას ტოვებენ მისი წმინდა მხედრები, მაგ. კ ვ ი რ ი კ ე ს ა და ი ვ ლ ი ტ ე ს ეკლესიის წმ. თევდორე, მისი გაჭენებული ცხენისა და აფრიალებული მოსასხამის რიტმი, მისი მეტყველი, შინაგანი დაძაბულობით აღბეჭდილი, სახე; ან წმ. ივლიტე მისი თავისკვეთის სცენაში — დაჩოქილი, წინ წახრილი, მჭმუნვარე და მაინც ძლიერი, უდრეკი გამომეტყვე-

ლებით; ან ნაკიფარის საკურთხეველის ტახტზე მჯდომი მრისხანე ქრისტე; ან ნაკიფარისვე დიოკლეტიანე, მეფე, რომლის უსიამოვნო სახეში მხატვარმა თითქოს მისდამი თავისი დამოკიდებულება კი გამოამქლავა. თვედორე შუა საუკუნეთა ერთადერთი ქართველი მხატვარია, რომლის «შემოქმედებითს ბიოგრაფიას» შეგვიძლია თვალი გავადვენოთ, რაკი ბედნიერმა შემთხვევამ მისი რამდენიმე ნამუშევარი შემოგვინახა.

Н. Аладашвили, Г. Алибегашвили, А. Вольская. Росписи художника Тевдоре в Верхней Сванетии, Тб., 1966. იქვე — არსებული ლიტერატურის მიმოხილვა.

თეოდაი — ოქრომჭედელი. ცხოვრობდა XI ს-ში. მისი შესრულებული იყო შემოქმედის მონასტრის ვერცხლის სამწერობელი. წარწერაში ნათქვამია: «...ქელითა თეთაისაათა ოქროსმჭედლისაათა შეიქმნეს». სამწერობლებზე, რომლებიც დაიდუმა შემოქმედის მონასტრის გაძარცვის დროს, ჩვეულებისამებრ, გამოსახული იყო ექვსფრთიანი სერობინები, დანარჩენი არეები კი შევსებული იყო ორნამენტებითა და წარწერებით. შესრულების ხარისხი ჩამოუვარდება XI ს-ის საუკეთესო ძეგლებისას.

1. Д. Бакрадзе. АПГА, გვ. 137.

2. გ. ჩუბინაშვილი. ქართ. ოქრომჭედლობა, გვ. 20, ტაბ. 23.

3. Г. Чубинашвили. Грузинское чек. иск., 133—135, ფოტ. 119—122.

თეოდორე — კალიგრაფი. მისი გადაწერილია სხვადასხვა სასულიერო თხზულებათა კრებული, რომელსაც XIII—XIV სს. მიაკუთვნებენ (ხელნაწ. ინსტ. Q 762; 24×18 სმ, 339 ფურც.). გადამწერის ანდერძში (ფურც. 294) ნათქვამია: «წმიდაო გიორგი, შეიწყალე თეოდორე, რომელმან ვწერე წამება შენი».

წიგნი ნუსხურია, მუქი ყავისფერი მელნით ორ სვეტად გადაწერილი. ზოგი სახედაო ასო მცირედ შემკულია, სხვა სამკაული წიგნს არ გააჩნია. თეოდორე რიგიანი ოსტატი ყოფილა, ნაწერი საკმაოდ ლამაზია, ასოები მსხვილი და მკაფიო.

ხელნაწ. ინსტ. ხელნ. აღწ., Q—11, 1958, გვ. 207—210.

თეოდორე თაფლანისძე — ხუროთმოძღვარი, რომელმაც X ს-ის დასაწყისში ააშენა ერედვის წმ. გიორგის ტაძარი (სოფ. ერედვი ცხინვალიდან შეიდიოდე კილომეტრის მანძილზეა, ჩრდილო-დასავლეთით). სამშენებლო წარწერაში, რომელიც მოთავსებულია სამხრეთის ფასადის მრგვალ სვეტზე, ბოლოს ნათქვამია:

«...ქართლს შინა უფლობასა ტბელისა ივანესა, მთავარ ეპისკოპოსო-

ბასა სანატრელისა ყ-სა [დაქარაგმებული სახელი გამოურკვეველია], ჯვრითა მისითა, განზრახვითა ნიქოზელისა სანატრელისა სტეფანე ებს-კო[პო]სისაათა, ძალითა შეწვენითა მოყუასთაათა, მე თეოდორე თაფ-ლაჰსქემან დაედე საძირკველი, წელნი იყნეს ხფი...» (თარიღი აღნიშნულია «დასაბამიდან ქვეყნისა» და უდრის 906 წელს).

თეოდორეს მიერ აგებული ეკლესია სამეკლესიანი ბაზილიკაა, ე. ი. მიეკუთ-ვნება შენობათა იმ ტიპს, რომელიც აღრინდელ ფეოდალურ ხანაში შეიქმნა და ჩვენი ქვეყნის გარეთ არც არის ცნობილი არსად. ეკლესიამ დღემდის ძირითა-დად თავდაპირველი სახით მოაღწია (შეკეთებულია მხოლოდ ცალკეული ადგი-ლები). მისი უმთავრესი ნაწილია ერთადერთი უკუმბათო ნაწი, რომელსაც ოთხ მხრივ გარშემოსავლელი უფლის. მთავარი შესასვლელი სამხრეთით იყო: აქ გარ-შემოსავლელს ორი ღია თალი ჰქონდა (ეს ძალიან გავრცელებული მოტივია აღრინდელი ფეოდალური ხანის ქართულ არქიტექტურაში). ეს ორი თალი და მათ შუა მოთავსებული მრგვალი სვეტი თავისებურად მორთული სვეტისთავით, მკაფიოდ გამოიყოფოდა შენობის მარტივ, ლაკონიურად დამუშავებულ, ფასადზე. იმ დროისთვის დამახასიათებელია, რომ სამკაულები ძალიან ძუნწადაა გამოყუ-ნებული. ჩუქურთმები უმეტესად კარ-სარკმლებთანაა თავმოყრილი. სახეები მარტივია, კვეთა ჯერ კიდევ ბრტყელი. შენობის მთლიანი კომპოზიცია, განსა-კუთრებით შინაგანი სივრცის მხატვრული გადაწყვეტა, რომელშიაც ძველი ხუ-როთმომდგრული თემის ახლებურად გააზრება ჩანს, დამახასიათებელია იმ გარ-დამავალი საფეხურისთვის, რომელიც უშუალოდ წინ უსწრებს ქართული ფეო-დალური არქიტექტურის მეორე აყვავების ხანას.

თეოდორე თაფლაჰსძის მიერ აგებული ეკლესიის მნიშვნელობას ისიც ზრდის, რომ ეს X ს-ის პირველი ნახევრის ერთადერთი ზუსტად დათარიღებუ-ლი ძეგლია. ამგვარად, ერედვის ტაძარი მტკიცე დასაყრდენს ქმნის იმ პერიოდის ახალ მხატვრულ-ხუროთმომდგრულ ამოცანათა კვლევის დროს.

რ. მეფისაშვილი. ერედვის 906 წლის ხუროთმომდგრული ძეგლი: ქართული ხელოვნება, 4, 1955, გვ. 101—138, ტაბ. 34—36.

თეოფილე ხუცესი-მონაზონი — XI ს-ის სასულიერო მოღვაწე, მთარგ-მნელი, მეფის გიორგი II-ის თანამედროვე, გიორგი მთაწმინდელის მოწაფე. «მადლითა მოძღუარისა და გამზრდელისა ჩემისა გიორგი მთაწმინდელისაათა ვიწყე თარგმანებაჲ წიგნთაჲ ბერძულისაგან ქართულადო», წერს თვითონვე ერთ თავის ნათარგმნ წიგნში. მოღვაწეობდა კონსტანტინეპოლის ქართულ მო-ნასტერში, რომელსაც ტრიანფლიუ ერქვა. მის მიერ ნათარგმნია სასულიერო (აგიოგრაფიული, ჰომილეტიკური, დოგმატიკურ-პოლემიკური, ასკეტიკური და

უგზეგეტვიური) შინაარსის ბევრი წიგნი. ამას გარდა, თოფილე კალიგრაფიც იყო. მის მიერ ნათარგმნ ერთ ა გ ი ო გ რ ა ფ ი უ ლ კ რ ე ბ უ ლ ს, რომელიც ათონის ივერიის მონასტერში ინახება, აქვს შინაწერი, რომელშიაც ნათქვამია: «ნათარგმნა უკუე წიგნი ესე მეტაფრასტი ქალაქსა შინა სამეფოსა კოსტანტინე-პოლსა მონასტერსა შინა ყოვლად შუჭნიერსა ტრიანფლიუს ღედისა ღეთისასა, უღირსისა მიერ თოფილეჲსა, ხუცეს-მონაზონისა, მათეე ქელითა მიერ გაინუს-სა, დასაბამითგან წელთა ექესი ათას ხუთას ოთხმოცდა მეცხრესა... მეფობასა აღმოსავლეთს გიორგი კესაროსისა, ბაგრატის ძისა, რომლისა ბრძანებითა ვიწყე თარგმნად წიგნთა ელლინურისაგან ქართულად...» და სხვ. თარიღი 1081 წელს უდრის. გიორგი II ტახტზე ავიდა 1072 წელს, ასე რომ თოფილეს თავისი მთარგმნელობითი მოღვაწეობა ამ თარიღის შემდეგ დაუწყია.

ეს მეტაფრასტი ნუსხურიტაა ნაწერი.

1. A. A. Цагарели. Сведения, I, 1886, გვ. 79—80.

2. R. P. Blake. Catalogue des manuscrits Géorgiens.

3. ქ. ქეკელიძე. ძველი ქართული მწერლობის ისტორია, I, 1951, გვ. 223—227.

4. სსშ ხელნ. აღწ. A—IV, 1954, გვ. 86—90.

თოდოსა — ა ტ ე ნ ი ს სიონის მაშენებელი (VII ს.). ეროვნებით სომეხი. მისი წარწერა, შესრულებული სომხური მთავრული შრიფტით, მოთავსებულია სამხრეთის ფასადის აღმოსავლეთ ნიშაში: «მე თოდოსა მაშენებელი ამ წმიდა ტაძრისა». ატენის სიონი დამახასიათებელი ნიმუშია საეკლესიო შენობათა ცნობილი ტიპისა, რომელიც ქართულმა ხუროთმოძღვრებამ ადრინდელ შუა საუკუნეებში შეიმუშავა. ესაა ე. წ. მ ც ხ ე თ ი ს ო რ ი ს ტ ი ბ ი, რომელსაც მიეკუთვნება აგრეთვე შარტილის კათედრალი და ძველი შუამთის დიდი ეკლესია. ატენის სიონი თავისი გეგმითა და ფორმებით დიდად უახლოვდება ამ ტიპის პირველ ნიმუშს, თვით მცხეთის ოჯარს, იგი მთლიანად მისი მიბაძვითაა აშენებული. ხუროთმოძღვარმა ვერ შეძლო თავის ტაძარში თუნდაც ისეთი ცვლილებები შეეტანა, რომლებიც მისი სხვაგვარი მდებარეობით იყო ნაკარნახევი (მაგ. შესასვლელთა ადგილი, უფრო მნიშვნელოვანი და მეორეხარისხოვანი ფასადების გამოყოფა და სხვ.). ფასადთა მრავალრიცხოვანი რელიეფების გაუაზრებელი განლაგება აგრეთვე მოწმობს, რომ თოდოსა მხოლოდ კარგი, გამოცდილი ხელოსანი იყო და არა დამოუკიდებელი შემოქმედი.

Г. Чубниашвили. Памятники типа Джвары. тб., 1948, გვ. 117—118.

ტაბ. 66.

თუმანიშვილები — გვარი, რომლის წარმომადგენლებიც რამდენიმე საუკუნის მანძილზე აღმოსავლეთ საქართველოს მეფეთა კარის მდივან-მწიგნობარ-

თა თანამდებობას ასრულებდნენ. უკვე XV ს-ში იხსენიება ზ ა ქ ა რ ი ა თ უ მ ა -
 ნ ი შ ვ ი ლ ი, რომელიც გიორგი VIII-სა და კონსტანტინე მეფის კარის მდივან-
 მწიგნობარი ყოფილა (ს. სიძე., II, 21, 39). XVII ს-ის დასაწყისში მოღვაწეობ-
 და ნ ა ს რ ი, ლუარსაბ II-ის კარის მწიგნობარი (1613 წლის სიგელი, ს. სიძე.,
 II, 121), XVII ს-ის მეორე ნახევარში როსტომ მეფის მდივან-მწიგნობარი
 ბ ი რ თ ვ ე ლ ი (ჩანს 1635—1659 წლებში), და ზ უ რ ა ბ მდივანი, გიორგი XI-ის
 «ერთგული და მრავალ ფერად ნამსახური ყმა», რომელიც 1673—1681 წლებში
 ჩანს (ს. სიძე., II, 98, 116, 117; III, 563, 565); მისი შვილის—გივის ერთი ან-
 დერძის თანახმად, ეს ზურაბი არჩილ მეფის აღზრდილი ყოფილა (ხელნ. ინსტ.
 S 424); ზურაბის ძმა იყო გიორგი XI-სავე კარის მდივან-მწიგნობარი ს უ ლ -
 ხ ა ნ ი (ს. სიძე. II, 98, 142, III, 563, 565). ამ ორი ძმის შთამომავლობაც
 მათ ხელობას აგრძელებდა: ხსენებული გ ი ვ ი ზ უ რ ა ბ ი ს ძ ე, დ ა ვ ი თ
 გ ი ვ ი ს ძ ე, შ ი ო შ ს უ ლ ხ ა ნ ი ს ძ ე, ს უ ლ ხ ა ნ შ ი ო შ ი ს ძ ე და
 სხვანი. ამათგან ყველაზე თვალსაჩინო ფიგურა იყო გ ი ვ ი, რომელიც XVII ს-ის
 სამოცდაათიანი წლებიდან XVIII ს-ის ოციან წლებამდე მოღვაწეობდა გიორგი
 XI-ის, ერეკლე I-ის, ლევან ბატონიშვილის, ვახტანგ VI-ისა და იესეს კარზე-
 იგი იყო «ქელმწიფის კარის მდივან-მწიგნობარი», წერდა წიგნებსაც (ხელნ.
 ინსტ. S 424, კრებული, H 3061, ვეფხისტყაოსანი, Q 164, ვახტანგის სამართა-
 ლი — როგორც კალიგრაფი, ამ წიგნების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, დიდო
 ვერაფერი ყოფილა — ეს არ არის მისი მოღვაწეობის მთავარი სფერო), თვითო-
 ნაც თხზავდა: იგი ავტორია ანბანთქებისა (ხელნ. ინსტ. S 390), არჩილ მეფის
 ქებისა, ვახტანგ VI-ის ცნობილი ეპიტაფიისა («მე, უმცირესმან მმათაგან, ვახ-
 ტანგმან სახელდებულად, ვჰქმენ ოთხ წელ მცხეთა, ურბნისი, სადგურ კამარა
 გებულად...» და სხვ.. დარჩენილია სხვადასხვა ხელნაწერ კრებულში), ვახტანგ
 VI-ის სამართლის წიგნის შესავალისა; მონაწილეობდა ლიტერატურულ პაექ-
 რობაში ვახტანგ მეექვსესა და სულხან-საბა ორბელიანთან; 1703—1709 წლებს
 შუა ვახტანგ VI-ს მისთვის «ტაშირზედ ბარქადარას ნასოფლარის მოურაობა»
 უბოძებია. 1721 წ. გვიმ, ვახუშტი ბატონიშვილთან ერთად, მეფის დავალებით
 აღწერა მეწინავე სადროშო. ერთი სიტყვით, თუკი ვახტანგ VI-ის კარზე თავ-
 მოყრილ კულტურის მუშაკთ მოვისხსენიებთ, მათ შორის გივიც იქნება მოსახსე-
 ნებელი.

გივის ბიძაშვილი შ ი ო შ ი ც ერეკლე I-ის კარის მდივან-მწიგნობარი
 იყო (ს. სიძე. II, 436, 1696 წლის სიგელი, და ბევრი სხვ.), ესეც XVII—XVIII
 ს-თა მიჯნაზე ცხოვრობდა. მისი თანამედროვენი იყვნენ ერეკლე I-ის დედის
 ელენეს კარის მწიგნობარი ე ს ტ ა ტ ე, ლევან ბატონიშვილის კარის მწიგ-

ნობარი ზ ა ქ ა რ ი ა, მდივანი ოთარი (ს. სიძე, III, 567), იმამ ყულიხანის კარის მდივანმწიგნობარი გ ო რ ჯ ა ს პ ი (ს. სიძე., III, 194), ქაიხოსრო ბატონი-შვილის მდივან-მწიგნობარი ბ ი რ თ ვ ე ლ ი, ზ ა ა ლ ი. XVIII ს-ში მოღვაწეობდნენ გ ი ო რ გ ი ბ ი რ თ ვ ე ლ ი ს ძ ე, მრავალ საბუთთა გადამწერი გ ო რ ჯ ა ს პ ი მდივანი, თეიმურაზ II-ის მწიგნობარი, რომელიც ოცდაათიან-ორმოცდაათიან წლებში ჩანს, მისი შვილები ს უ ლ ხ ა ნ ი და მ ა ნ უ ჩ ა რ ი (სამოციან წლებიდან— XIX ს-ის პირველ ათეულ წლებამდე): მანუჩარის ხელით ბევრი საბუთია ნაწერი, იგი ყოფილა მდივანი ლაშქარნივისი, ე. ი. მდივანი, რომელიც ლაშქრის აღწერისა და სალაშქრო საქმეებთან დაკავშირებულ მიწერ-მოწერას აწარმოებდა ერეკლე II-ის კარზე. 1781 წელს, მეფის დავლებით, მან, მგალობელ დიმიტრი გარსევანიშვილთან ერთად, აღწერა ქსნის საერისთაო.

ერეკლე II-ის კარზე მდივნობდა ი ო ს ე ბ ი, ხოლო ე გ ნ ა ტ ი ბ ა ი ნ დ უ რ ი ს ძ ე (1746—1820) «მსახურებდა ორთა საქართუშლოს მეფეთა, ესე იგი ირაკლი მეორესა და გიორგისა, მდივნობის ხარისხითა, და შემდგომად მათისა იმპერატორების დიდებულების აღექსანდრე პავლეს ძისაგან მიენიჭა ჩინი კოლლექსკის სოვეტნიკობისა პენციით ვიდრე სამოცდაათი თუმანი ვერცხლის ფული». ეს ცნობები მოიპოვება ეგნატის მიერ გადაწერილი ოთხთავის (ხელნაწ. ინსტ. H 395) მინაწერში, რომელიც მისი გარდაცვალების შემდეგ გაუკეთებია მის ძეს დავითს. ამ ოთხთავის მიხედვით, ეგნატი დახელოვნებული კალიგრაფი ყოფილა და მხედრულად ლამაზად წერდა. მის შვილ ი ე ს ე ს ა ც ე, ეტყობა, ტრადიციული სკოლა ჰქონდა გავლილი (ხელნაწ. ინსტ. H 400, დელაპორტის მოგზაურობა, ქართულად ნათარგმნი «ტფილისის საეკთილშობილოს სასწავლებლის მოძღვრის პროტოიერის იოანე ქართველოვისა მიერ» და გადაწერილი «გორის უეზის თავადის, მისის იმპერატორის დიდებულების ჯელმწიფის არმიის პრაპურშიკის იესე თუშანოვის» მიერ 1812 წელს; H 387 — «ქილილა და დამანა»). ეგნატისავე შვილები იყვნენ დ ა ვ ი თ ი და პ ო ე ტ ი გ ი ო რ გ ი.

სულ სამდივანმწიგნობრო ასპარეზზე თუმანიშვილთა გვარის რამდენიმე ათეული წარმომადგენელი იღვწოდა. აქ ყველა არ არის ჩამოთვლილი.

1. თუმანიშვილთა მიერ დაწერილი საბუთები გამოქვეყნებულია რამდენსამე კრებულში: ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი. ს. სიძე., I, II, III; ს. კ ა კ ა ბ ა ა შ ე, ისტ. საბ., V, 1913; დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან, ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი ს რ ე დ ა ქ ი თ, I, 1940; II, 1953; მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიიდან, მასალები შვარჩია და გამოსცა ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ შ ა, I, 1938, და სხვ.

2. მასალანი საქართველოს სტატისტიკურის აღწერილობისა მეოთხრამეტე საუკუნეში, I. აღწერა მეწინავე დროის საბარათაშვილოსა და სომხითისა, შედგენილი მეფის

ვახტანგ მეექვსის ბრძანებით ვახუშტი ბატონიშვილისა და გივი თუმანიშვილის მიერ 1721 წელს. ე. თაყაიშვილის რედ., თბ., 1907.

3. ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი. ქსნის საერისთავოს სტატისტიკური აღწერა: თბ. სახ. უნივ. შრომები, ტ. 45, 1951.

4. ე ლ. გ ე ტ რ ე ე ე ლ ი. ვახტანგ VI-ის ეპიტაფიის ავტორი. თბ. სახ. უნივ. შრომები, ტ. 43, 1951.

5. ვ ა ხ ტ ა ნ გ VI. სამართლის წიგნი. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და ტერმინთა საძიებელი დაურთო თინა ენუქიძემ. თბ., 1955, გვ. 8—15 (თ. ენუქიძის გამოკვლევა).

6. ლ. მ ე ნ ა ბ დ ე. ძვ. ქართ. მწერ. კერები, I, გვ. 160, 257.

7. ხელნ. ინსტ. ხელნ. აღწ. S—1, 1960, გვ. 488, 544, 604; H—1, 1946, გვ. 286. 297—298, 301—302 და სხვ.

ივანე დიაკონი — შესანიშნავი ოქრომჭედელი. ცხოვრობდა XI ს-ში. ავტორი მარტვილის საწინამძღვრო ჯვრისა, რომელიც XI ს-ის მეორე მეოთხედშია შესრულებული. ჯვრის უკანა მხარეს, გარე კონტურის შემოყოლებით, მოთავსებულია წარწერა, რომლის თანახმადაც ეს ჯვარი «შექმნა» «გლახაკმან არსენი, ძემან ვაჩე მარხუელისამან... სადიდებელად და სალოცველად — ადიდენ ღმერთმან — ძრიელისა ბაგრატ მეფისა და კურაპალატისა და შვილთა მათთა... შეიქნა ქელითა ივანე დიაკონისაჲთა». აქ მოხსენებული მეფე ბაგრატ IV-ა (მეფობდა 1027—1072 წწ.).

მარტვილის ჯვარი თავისი ფორმით ისეთივეა, როგორიც სხვა ქართული საწინამძღვრო ჯვრები — ტარზე წამოცმული, უფრო გრძელი ქვემო მკლავითა და თანაბარი ზემო სამი მკლავით; მკლავების ბოლოები ფართოვდება და ყოველ კიდეში ფოთლოვანი ყუნწები აქვს გამობმული. ჯვრის ზომაა 55×36 სმ. წინა პირზე შუაგული უჭირავს ჯვარცმული ქრისტეს რელიეფურ გამოსახულებას. მისი გაშლილი ხელების გასწვრივ, ე. ი. ჯვრის განივი მკლავების ბოლოებში, გამოსახული არიან თითო ანგელოზი (წელზევით), მარიაში და იოანე; ზემო მკლავი უჭირავს ქრისტე ყოვლისმპყრობელის ფეხზე მდგომ მთლიან ფიგურას (ორი წელზევითი მთავარანგელოზით თავთან), ქვემო მკლავი — წვეროსანი წმინდანის მთლიან ფიგურას, ბასილი დიდისა და გრიგოლის წელზევით ფიგურებს. ჯვრის არე ორნამენტითაა დაფარული. ზურგის მხარეს მთელი არე უჭირავს წარმოუხლებელი ბრწყინვალეობით შესრულებულ მცენარეულ ორნამენტაციას (წარწერა არშიაზეა).

ივანე დიაკონი ქართული ოქრომქანდაკელობის განვითარების ერთ-ერთა უმნიშვნელოვანესი საფეხურის თვალსაჩინო წარმომადგენელია. იგი მოღვაწეობდა იმ დროს, როცა ჩვენს ოქრომჭედლობაში (ისევე, როგორც ხისა და ქვის რელიეფებში) მკაფიოდ წამოიწია წინ პლასტიკური, ე. ი. საკუთრივ სკულპტურ-

რული, გამოსახვის ამოცანა. ამას განსაკუთრებით კარგად გვიჩვენებს ჯვარცმული ქრისტეს ფიგურა, რომელიც მაღალი რელიეფითაა შესრულებული; სხეული მოდელირებულია, პროპორციები სწორი. მარტივლის ჯვრის ფიგურებში აისახა ახალი ეპოქა, რომელსაც საზეიმო და მონუმენტური ხასიათის გამოსახულება აინტერესებს. ჯვარცმულის ფიგურის ხაზები მშვიდი და ჰარმონიულია, ოსტატს არც უცდია ტანჯვა ან, თუნდაც, სხეულის ოდნავი დაძაბულობა გადმოეცა. სრულიად აღარ ჩანს ის ემოციურობა, ხაზგასმული ექსპრესიულობა, რომელიც ახასიათებს ორმოცდაათიოდე წლით ადრე შესრულებულ იშხნის ჯვარს.

გ. ჩუბინაშვილი, რომელმაც ივანე დიაკვნის ნაწარმოები დაწვრილებით განიხილა სტილისტიკური თვალსაზრისით, აღნიშნავს, თუმცა გამოსახულების დოგმატურ-რელიგიური სქემა მზამზარეულადაა აღებული ქრისტიანულ ხელოვნებაში (ბიზანტიაში) შემუშავებული რეპერტუარიდან, თვით ამ ჯვრის გააზრება და მხატვრული შესრულება ავტორის სრულ შემოქმედებითს თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას მოწმობსო.

1. Н. Кондаков. Д. Бакрадзе. Опнс..., გვ. 70—72, სურ. 35.

2. თ. ე ო რ დ ა ნ ი ა. ქუები, I, გვ. 174—175.

3. ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი. არხეოლოგ. მოგზ. შენ., II, გვ. 65 — 66.

4. Г. Чубинашвили. Грузинское чек. иск. გვ. 60—66, ფოტ. 388, 389.

223.

5. გ. ჩ უ ბ ი ნ ა შ ვ ი ლ ი. ქართ. ოქრომუდლობა, ტაბ. 141.

ივანე ძალატოზი — ს. ს ო ხ თ ი ს (სამხრ. ოსეთი, ჯაეის რ.) ეკლესიის მანერეელი. მოხსენებულია წარწერაში, რომელიც ამ ნახევრად დანგრეული შენობის კედელთანაა ნაპოვნი: «წმიდაო ეკლესიაო შეიწყალე ივანე კალატოზი». ივანეს ნაგებობა ერთნავიანია. მას ჰქონდა გარშემოსავლელი, აწ უკვე დანგრეული (დარჩენილია მისი მშვენიერი სვეტისთავებისა და კედლისსვეტების ფრაგმენტები). აღმოსავლეთის მხარეს, საკურთხეველის ქვეშ, მოწყობილია დიდი კრიბტა (სამარხი-საძლოცველო), საგანგებო შესასვლელით გარედან, აღმოსავლეთიდანვე.

განსაკუთრებით საინტერესოა ეკლესიის რელიეფები ცხოველების, მხედრებისა და სხვ. გამოსახულებით, რომლებიც აგრეთვე ფრაგმენტების სახითაა გადარჩენილი. ტექნიკური თვალსაზრისით შენობა ძალიან კარგადაა შესრულებული (გარედან თლილი ქვის სუფთა პერანგი აქვს).

ივანე კალატოზის მიერ აგებული ეკლესია, სუროთმოძღვრული ფორმებისა და მორთულობის მიხედვით, X ს-ით თარიღდება.

ივანე მონისძე — ოქრომუდელი. ცხოვრობდა XI ს-ში. დარჩენილია მის მიერ ხელმოწერილი და ზუსტად დათარიღებული ორი მცირე ფირფიტა წმ.



წმინდა ბასილი დიდისა და წმინდა ბასილი მცირისა
წმინდა ბასილი დიდისა და წმინდა ბასილი მცირისა

ბასილისა და წმ. ნიკოლოზის გამოსახულებებით. ეს ფირფიტები, სხეებთან ერთად, წინათ დაკრული იყო შემოქმედის მონასტრის ღვთისმშობლის სატის არშიაზე (ახლა ორივე საქართველოს სელონების სახელმწიფო მუზეუმშია). ფირფიტები ერთნაირია: ეიწრია, მაღალი, ზემოთ ნახევარწრიული მოსახულო-

ბის მქონე, თითოზე თითო გამოსახულებაა. წმ. ნიკოლოზიცა და ბასილიც ნაჩვენებნი არიან კლუე ფონზე, ფრონტალურად, თავით ფეხამდე; ნიკოლოზს მარცხენა ხელით წიგნი უჭირავს, მარჯვენათი აკურთხებს, ბასილსაც წიგნი უპყრია ხელთ. ორივე წმინდანი შარავანდიანია, მხრების სიმაღლეზე ორივეს მიწერილი აქვს სახელები, სამღვდელმთავრო სამოსელი კოჭუბამდე სცემს. მეტყველი სახეები ინდივიდუალიზებულია, სხეულთა პროპორციები საესებით სწორი, მოქანდაკე შეგნებულად გადმოგვცემს მოცულობას; აქ საქმე გვაქვს ქართული ოქრომქანდაკელობის იმ საფეხურთან, როცა ოსტატები სკულპტურულ-პლასტიკურ ამოცანებს ისახავდნენ.

წმ. ნიკოლოზის ფირფიტაზე, ფიგურის მარცხნივ, მთელი არე შეევსებულია მშვენივრად შენახული ასომთავრული წარწერით: «ქ. სახელითა ღმრთისაათა შეიქმნეს მამასახლისობასა ეფთჳმისა ქელითა ივანე მონისძისაათა». მარჯვენა არეზე, ქვემოთ: «ქრონიკონი იყო სჲ» ($260 + 780 = 1040$ წ.).

1. Н. Кондаков, Д. Бакрадзе. Описание..., გვ. 113—115, სურ. 55.

2. Е. Такайшвили. АЭРЗ, I, 1905, გვ. 41—44.

3. შ. ამირანაშვილი. ბეჟა ოპიზარი. 1937, გვ. 26. ტაბ. XXVI.

4. Ш. Амрашвили. История грузинского искусства. М., 1963, გვ. 246, ტაბ. 132.

ივანე მორჩაიხიძე — XI ს-ის ხუროთმოძღვარი, რომელმაც 1032 წელს საფუძვლიანად გადააკეთა ი შ ხ ნ ის ძველი ტაძარი (ძველ ქართულ პროვინცია ტაოში). წარწერაში, რომელიც მოთავსებულია სამხრეთის სარკმლის გარშემო, ნათქვამია:

«სახელითა ღმრთისაათა, მე ანტონი იშხნელ მთავარ ეპისკოპოსმან განვაასლე და განვასრულე წმიდა ესე ტაძარი ღმრთისა კათოლიკე ეკლესია საღიღებულად ბაგრატ კურაპალატისა, სალოცველად და საწსენებლად სულისა ჩემისა და ცოდვათა ჩემთა შენდობისათჳს ქრონიკონსა: სნბ. და ვ ა შ ე ნ ე ქ ე ლ ი თ ა ი ვ ა ნ ე მორჩაიხისაათა». (სნბ—252=1032 წ.). იშხნის ტაძარი პირველად VII ს-ში აშენდა. იგი მრგვალი იყო (ტექტრაქონქი გარშემოსავლელით. ამავე ტიპისაა მეორე ცნობილი ქართული ტაძარი ბანა). ეს შენობა მალე დაინგრა და მას ნაცვლად ეპისკოპოსმა საბან იშხნელმა IX ს-ის I ნახევარში ააგო სხვა ტაძარი — სულ სხვა გეგმისა (წაგრძელებული, ჯვარისებრი, ოთხ ბოძზე დაყრდნობილი გუმბათით). თავდაპირველი ტაძრისა გადარჩა მხოლოდ აღმოსავლეთის ნაწილი, რომელიც ჩართულ იქნა ახალ ტაძარში, როგორც საკურთხეველი. იშხნის ტაძარი ამის შემდეგაც არა ერთგზის შეუკეთებიათ და განუახლე-

+სსსრ-ში

სსსრ-ში

სსსრ-ში
სსსრ-ში
სსსრ-ში
სსსრ-ში
სსსრ-ში
სსსრ-ში
სსსრ-ში
სსსრ-ში

ბიათ. ივანე მორჩაისძის «განახლება» უკანასკნელი იყო. ძეგლის ადგილობრივ შესწავლის გარეშე ძნელია ზუსტად და დარწმუნებით თქმა, რომელი ნაწილი მშენებლობის რომელ საფეხურს უნდა მიეკუთვნოს. ძნელია ზუსტად გაირკვეს სრულად მორჩაისძის წილიც. მაგრამ, როგორც ჩანს, საბოლოო, მსატკრულად სავსებით დასრულებული და ჩამოყალიბებული, სახე ტაძარმა ივანე მორჩაისძის ხელში მიიღო. ე. თაყაიშვილის ცნობების თანახმად, ფასადთა ახლანდელი მორთულობის უდიდესი ნაწილი მაინც მას უნდა მიეკუთვნოს.

მორთულობის სიმდიდრისა და ხარისხის მხრივ კი იშხნის ტაძარი ერთი უპირველესთაგანია საქართველოში. ფასადთა დამუშავების საერთო სისტემით— დეკორაციული თაღებით, სარკმელთა მორჩუქურთმებული საპირეებითა და სათაურებით, ცალკეული ორნამენტული აქცენტებით, რომლებიც გააზრებულადაა განლაგებული ფასადებზე — იშხნის ტაძარი XI ს-ის დამახასიათებელი ძეგლია. მის მორთულობაში გვხვდება ზოგიერთი მოტივი, რომლებიც სწორედ სამხრეთ საქართველოში უნდა იყოს შემუშავებული და შემდეგ გავრცელებული საქართველოს სხვა კუთხეებშიაც. ჩუქურთმათა სიუხვე, მრავალფეროვნება, მათი შესრულების ვირტუოზული დახვეწილობა, ნებას გვაძლევს მივაკუთვნოთ ივანე მორჩაისძე შუასაუკუნეთა ბრწყინვალე ქართველი ოსტატების რიგს.

იშხნის ტაძრის წარწერა, რომელშიც მოხსენიებულია ხუროთმოძღვარი ივანე მორჩაისძე 1032 წ.

ე. თაყაიშვილი. 1917 წლის არქეოლოგიური ექსპედიცია სამხრეთ საქართველოში. თბ., 1960, გვ. 13 — 14.

ივანე საჟარაღი — კალიგრაფი. ცხოვრობდა X ს-ში. წარმოშობით — თუ მისი სახელით ვიმსჯელებთ — შესხეთიდან უნდა ყოფილიყო (თუმცა, შე-

საძლებელია, საფარელი იმას ნიშნავდეს, რომ ივანე საფარის მონასტრიდან იყო მოსული). მოღვაწეობდა სინას მთაზე, სადაც 968 წელს გადაწერა იოანე ოქროპირის ცხოვრება (ხელნ. ინსტ. H 2124). შემკვეთი — მიქელ ხუცესი ფანასკერტელი ყოფილა. ორიენტი ხარიტონწმინდის ლავრის ბერები იყვნენ. ანდერძებში (ფ. 255-ე და 256-ე) ნათქვამია: «დიდება შენდა, ღმერთო ძლიერო და ცხოველო, რომელმან სრულ ჰყავ საქმე ესე ჭელითა ჩემ ცოდვილისა და უღებისა ივანე საფარელისაჲთა... და რომელ დამეკლოს, შემინდვეთ ღთსათვის, დიდსა სწრაფასა და უკლურებასა შინა დავეწერე სიყუარულითა ძმისა ჩემისა მიქაელისითა... დაიწერა ესე წმიდაჲ წიგნი იოვანე ოქროპირისაჲ ლავრასა შინა ძუელსა მამისა ჩუენისა ხარიტონ მოღუაწისა და მოწამისა... დასაბამითგან წელნი იყვნეს ხვობ (6572), ქრონიკონი იყო რპჄ (188 + 780 = 968).

წიგნი პატარა ზომისაა (15×12 სმ), შავი მელნით ნუსხურად ნაწერი ერთ სვეტად. გვერდების უმეტესობა სამკაულის გარეშეა: მხოლოდ არშიაზე გატანილი უბრალო ინიციალებია — მრგლოვანი, არც მაინცადამაინც დიდი. ტექსტის დასაწყისში ნ სტრიქონი სინგურითაა ნაწერი მრგლოვანად და იქვე დიდი საზედაო ასოა — მთავრული ყ, რომელსაც თითქმის მთელი გვერდის სიმაღლე უჭირავს. მე-5 ფურცელზე დადგა ისევ სინგურით ნაწერი ერთი სტრიქონია და ისევე მორთული საზედაო ე, ნახევარი გვერდის სიმაღლისა. ორივე ასო უბრალოდაა შემკული: მათი ტანი შავოვანი ზიგზაჯითაა შევსებული. ამ მორთულობას შეიძლება დაემატოს ერთი უბრალო თავსამკაული ტალღოვანი ხაზის სახით და სინგურის უბრალო ჯვარი პირველი ფურცლის არშიაზე. ესაა და ეს. წიგნს წინ უძღვის ფეხზე მდგომი წვეროსანი იოანე მახარებლის სურათი, სეპიით მოხაზული და წითლითა და ყაყისფრით შეფერილი. ფონი დაუმთავრებელია, შენობა მხოლოდ მელნითაა მონიშნული. შესაძლებელია, ეს ნახატი, რომელიც დიდ დახელოვნებას არ ამქლავნებს, ივანე საფარელისა არც იყოს, მას მინაწერი აქვს — «წმიდაო იოვანე, შეიწყალე გიორგიო».

ივანე საფარელი რიგიანი გადამწერი იყო, მაგრამ პირველხარისხოვანი კალიგრაფი არ ყოფილა.

სმ ხელწ. აღწ. H—V, 1949 გვ. 77—78.

ივანე წიქრიძე — XVI—XVII სს. მიჯნის ოქრომჭედელი. მისი შესრულებულია დვთისმშობლის ოქროს ხატი, ჩადგმული 12 მოციქულის დიდ ხატში, რომელიც შემოქმედის მონასტერში ინახებოდა. ხატი მამია გურიელისა და მისი მეუღლის თინათინის მიერ იყო შეწირული. სხვა წარწერებთან ერთად, ასეთიც არის: «ქორონიკონსა ორასოთხმოცდაცხრასა (= 1601 წ.) ივანეს ოქრომჭედელს შეუდღოს ღმერთმან წიქრიძეს».

ე. თაყაიშვილს მიაჩნია, რომ ივანეს (= იოვანეს) შესრულებულია სოფ. გუ-
და თინათინის მიერ. წარწერაში აღნიშნულია: «მოიჭედე (sic!) ხელითა ფრიად
ცოდვილისა ოქრომჭედლისა იოვანესითა».

1. Д. Бакрадзе. АПГА, გვ. 123—124.

2. Е. Такайшвили. АЭРЗ, III, Т., 1904, გვ. 123—124.

ილარიონ სამთავნელი — სამთავისის ეპისკოპოსი, ვინმე ვაჩე ყანჩაელის
ძე. ცხოვრობდა XI ს-ში. მის სახელთანაა დაკავშირებული ორი შენობის —
(1032 წ.; ქართლშია, კასპის რაიონში) აგება. ეს უკანასკნელი მცირე ზომის,
შხატერულად უმნიშვნელო (ერთნავეიანი), ნაგებობაა. მის ერთ-ერთ წარწერაში
ნათქვამია, აშენდა ეს ეკლესია «ხელითა ჩემ გლახაკისა ილარიონ
სამთავენელისა, ძისა ვაჩე ყანჩაელისაო», რაც მოწმობს,
რომ ილარიონი თვით იყო მშენებელი ოსტატი. ეს გვაფიქრებინებს, რომ ილა-
რიონი იყო სამთავისის ტაძრის ხუროთმოძღვარიც (წარწერა აღმოსავლეთის
ფასადზე: «ხატო ღვთაებისაო, შეიწყალე სული ილარიონი (...), ძისა ვაჩე ყანჩა-
ელისი»).

სამთავისის ტაძარი შუა საუკუნეთა საქართველოს საუკეთესო ძეგლთაგანია.
ქართული ხუროთმოძღვრების განვითარებაში მას დიდი ადგილი უჭირავს თავისი
შხატერული ღირსებებითა და ისტორიული მნიშვნელობით. მისი მაშენებელი
სავსებით მომწიფებული ოსტატი და გაბედული, მოწინავე შემოქმედი უნდა ყო-
ფილიყო. სამთავისი სვეტიცხოვლისა და ბაგრატიის ტაძრის
ხანას მიეკუთვნება, მაგრამ მათთან შედარებით ბევრ რასმე ახალსაც შეიცავს
გეგმისა, მოცულობისა და მორთულობის მხრივ: გეგმა უფრო მოკლე და მჭიდ-
როა, კვადრატთან მიახლოებული; აღმოსავლეთის ფასადზე გამოყენებულია
ახალი დეკორაციული კომპოზიცია: დიდი ჯვარი შუა სარკმლის თავზე და ჩუ-
ქურთმინი რომბები სარკმლის ქვეშ, დამატებითი დეკორაციული მოტივები შუა
თაღის ორსავე მხარეს, კედლის კუთხეებში და სხვ. ეს კომპოზიცია წარმოადგენს
მანამდის შემუშავებული ხუთთაღიანი სისტემის განვითარებას მეტი დეკორაცი-
ულობისა და კვხველხატულობის მიმართულებით. ამგვარ შთაბეჭდილებას აძ-
ლიერებს ხუროთმოძღვრის მიერ სხვადასხვა ფერის ქვის გამოყენებაც ფასადის
პერანგისთვის. ეს რთული, დინამიკური კომპოზიცია, დიდი სიფაქიზით შერჩე-
ული ფერები პერანგის ქვისა, შენობის მახვილი, ატყორცნილი პროპორციები—
ხუროთმოძღვრის რაფინირებული გემოვნების მაჩვენებელია. ილარიონის ნაწარ-
მოები სავსებით გამოსატყავდა და აკმაყოფილებდა ეპოქის მოთხოვნილებას: მის



სამთავისის ტაძარი. 1030 წ. აშენებულია სამთავნელი ეპისკოპოსის ილარიონის
თაოსნობითა და ხელმძღვანელობით

მიერ შემოტანილმა დეკორაციულმა სისტემამ დიდი გავრცელება მოიპოვა და თვით X III ს-ის პირველ ნახევრამდის არსებობდა. ტაძრის გეგმათა განვითარებაც იმ მიმართულებით წარიმართა, რომელიც პირველად სამთავისისა და XI ს-ის ზოგიერთ სხვა ძეგლში ჩაისახა.

დღეს სამთავისის ტაძარს რამდენადმე შეცვლილი აქვს სახე: მას აღარა აქვს ძველი კარიბჭეები, ხოლო გუმბათის ყელი და დასავლეთის კედელი XV ს-ში აღდგენილი, რაღაც კატასტროფის შემდეგ.

1. Brosset. Voyage. გვ. 121—122 (სამთავისი), 125- 126 (აზერიანი) 1851.
2. თ. ე. ო რ დ ა ნ ი ა. ქუეები, 1, 1892 წ. გვ. 171.

იონან ბერაძე — შესანიშნავი კალიგრაფი. ცხოვრობდა X ს-ში. იყო დის-წული დიდი ქართველი ჰიმნოგრაფის მიქაელ მოღრეკილისა. აღიზარდა და მოღვაწეობდა შატბერდის მონასტერში. აქ 973 წელს მან გადაწერა და შეწირა პარ-

ხლის ახლად აშენებულ ეკლესიას (ჭოროხის ხეობაში) სახარება, რომელიც ლიტერატურაში ცნობილია პარხლის ოთხთავის სახელით (ხელნაწ. ინსტ. A 1453). უმთავრესად მისივე ხელით და მისი ხელმძღვანელობითაა გადაწერილი აგრეთვე ცნობილი შატბერდის კრებული (ხელნაწ. ინსტ. S 1141), რომელიც მრავალ საინტერესო ნაწარმოებს შეიცავს, მათ შორის უძვირფასეს ქართულ საისტორიო წყაროს — «ქართლის მოქცევის» მატთანეს. კრებული დაუთარილებელია, მაგრამ მისი დათარილება ხერხდება პარხლის ოთხთავისა და სხვადასხვა მინაწერებში მოხსენებულ პირთა მიხედვით — 973—976 წლებით.

ამ უკანასკნელი ხელნაწერის 237-ე ფურცელზე მოთავსებულია ანდერძი, რომელშიაც მითითებულია თარიღი («ქრონიკონი იყო მეცამეტედ ქვეული რქგ — 193 + 780 = 973»), დასახელებულნი არიან ბაგრატ ქართველთა მეფე, დავით მაგისტრისი, სუმბატ ერისთავთ ერისთავი, წინამძღვარი ეფთიმე და თვით გადამწერი: «... ღირს ვიქმენ მე, გლახაკი იოანე, ნართაულად ბერაი, აღსრულებად წმიდასა ამას სახარებასა ოთხთავსა». «ბერაი მწერალი», «გლახაკი იოვანე. მწერალი ამის წიგნისაჲ» სხვა მინაწერებშიაც იხსენიება; 238-ე ფურცელზე კი წერია «მე ივანე ბერამან, მწერალმან შატბერდელმან, შატბერდს დაეწერე და პარხლს შეეწირე სალოცველად ყოველთა მამათა შატბერდელთაო».

ეს შედარებით მცირე ზომის წიგნია (22,9 × 19,9 სმ), სულ 259 ფურცლისაგან შედგება (მასალა ეტრატია). იოანე ბერას ხელნაწერი ერთი ულამაზესთაგანია იმ ხანის ქართულ ხელნაწერთა შორის, იოანეს გააზრებული აქვს არა მარტო ყოველი ცალკეული გვერდის გაფორმება, არამედ წიგნის მთლიანი მხატვრული სახეც. ნაწერი მრგლოვანია, ორ სვეტად, სეპიის ფერი მელნით. სვეტში ჩვეულებრივ 20 სტრიქონია, ასოები თანაბარია, სტრიქონები სწორი. ეს ჯერ კიდევ მკაცრი სტილის ხანაა, როცა ტექსტის მთლიანობას არაფერი არ არღვევს და სილამაზე ძირითადად თვით ნაწერის კალიგრაფიულ ღირსებას ემყარება. შავრამ კალიგრაფს გარკვეული დეკორაციული ამოცანები მაინც აქვს დასასული. მართულობა, დეკორაციული მახვილები, სავსებით კანონზომიერადაა განაწილებული. პირველი სათური წიგნის თავში («სახარება მათესი თავი ა») დამუშავებულია, როგორც თავსამკაული: ეს სინგურით დახატული მაღალი, ერთმანეთში გადახლართული, ასოებია, ფოთლოვანი კუდებით; თავისუფალ არეებში სინგური-საუ წვრილი ვარსკვლავებია ჩასმული. პირველი სახედაო ასოც დეკორაციულია, ჩიტისა და თევზის ფიგურებისაგან შედგენილი; ყოველი ფურცლის არშიებზე მელნითვე შესრულებული მარტივი სახედაო ასოებია ყოველი მუხლის დასაწყისში; ამას გარდა, არშიებს მისდევს მუხლების სათვალავი წვრილი მრგლოვა-

ნი ასოებით; საზედაო ასოები და ეს სათვალავი გარკვეულ რიტმს ქმნიან. ყოველი თავის დასაწყისში სინგურით შესრულებული სათაურები და ინიციალებია, ხოლო თავისა და ზოგი მუხლის ბოლოს სინგურისავე წერილი ჯვრები; ზოგან წერილი ხაზით დახატული სინგურის მაღალი ჯვრები არშიებზედაც გვხვდება: სინგურის ეს ჩანარები ერთგვარი (ზომიერი) ფერადოვანი მახვილებია, რომლებიც ფურცლებს აცოცხლებს და ხელნაწერს უფრო საზეიმო იერს ანიჭებს. მათ ემატება ქვემო არშიებზე განლაგებული საძიებლების წერილი სტრიქონები. მთელი წიგნი განსაკუთრებული სიყვარულითაა შესრულებული.

შატბერდის კრებული შეიცავს, «ქართლის მოქცევის» გარდა, გრიგოლ ნოსელის, ეპიფანე კვიპრელისა და ბასილი კესარიელის თხზულებებს, ნისიბინის ეპისკოპოსის იაკობის «ცხორებასა და განგებას», დავითის ფსალმუნებს. მინაწერებიდან ჩანს, რომ გრიგოლ ნოსელის «კაცისა შესაქმნისათვის» იოანეს გადაწერია ეშხნის მონასტერში დაცული დედნიდან; რომ ეპიფანეს თხზულებათა წიგნი გადაწერა ვინმე ბერის იოვანეს «საფასითა».

285-ე ფურცელზე გადამწერის გრძელი ანდერძია, რომელშიაც, სხვათა შორის, ნათქვამია: «... ვითარცა წერილ არს: მედგარო, ემსგავსე ჯინჯველსა და შებმა უყავ უფროას ძალისა შენისა, რომელი ღმერთი არის მომცემელი ძალისა. ამისთვის მეცა არა დავფარე სწრაფად სულისა ჩემისაი მიზეზითა ნაკულევენებისათა და შეუდეგ კეთილსა გულსმოდგინებასა მე, ცოდვილი და უნარჩევნი ყოველთა მოწესეთაი იოვანე ბერაი, და გავასრულე წმიდად ესე წიგნი კაცისა შესაქმნელ და მეორედ წიგნი თუალთა და სახის მეტყუელი და იპოლიტე და ქართლისა მოქცევაი და ცხოვრება ნეტარისა ნის და დიდებულისა მღვდელთ-მოძღურისა და იაკობ ნისიბინელისა და თარგმანება ზოგთარე ფსალმუნთა დავითისაი.

მოდლაწებითა და თანადგომითა დედისა ძმისა ჩემისა. მიქაელისა და ძმისა ჩემისა დავითისათა და სხუად არაა არავის პრთავს თვნიერ სიგლახასისა ჩემისა. და შეეწირე შატბერდს საყოფელსა წმიდისა ღვთისმშობელისასა, რომელსაცა შინა აღვიზარდე, სალოცველად სულისა ჩემისა ცოდვილისა და მშობელთა ჩემთა და სალოცველად მეფეთა ჩუენთა ბაგრატ მეფის და ყოველთა შვილთა მათთათს...» და სსვ.

ეს ანდერძი გვიჩვენებს, რომ იოვანე ბერაი უბრალო გადამწერი კი არ იყო, არამედ ფართო ინტერესების მქონე სასულიერო მოღვაწე, რომელსაც სავესებით შეგნებული ჰქონდა მშობლიური კულტურის საჭიროებანი და აქტიურად, თავისივე ინიციატივით, შრომობდა, რომ რაიმე წვლილი შეეტანა მათი დაკმაყოფილებისათვის.

შატბერდის კრებული საშუალო ზომის სქელი წიგნია (28×22 სმ, 286 ლურც., ეტრატე). მისი პირველი ნაწილი (ფურც. 1—126) ასომთავრულითაა გადაწერილი ორ სვეტად, ყავისფერი მელნით, დანარჩენი კი — ნუსხურად. ასომთავრული ნაწილი მთლიანად ერთი ხელითაა შესრულებული, ლამაზი, სასიამოვნო პროპორციის, მკაფიო ასოებით. ინიციალები (არშიაზე) იმავე მელნითაა ტექსტში გვხვდება სინგურით ნაწერი სტრიქონები, ზოგან 8—10 და მეტი სტრიქონი. იქვე, არშიაზე, წერილი ნიშნებია — ტრადიციული ჯვრები (X-ვით) და წერტილები მათ «მკლავებს» შუა. ნუსხურში, რომელიც 126-ე ფურცლის მარჯვენა სვეტის ბოლოში უშუალოდ აგრძელებს მთავრულს, სამი ხელი გაირჩევა, ალბათ, აქ მონაწილეობდნენ იოანეს ბიძა მიქელ მორდელი და ძმა. პ. ინგოროყვას აზრით, მიქელის გადაწერილია «მოქცევაჲ ქართლისაჲ». ბერას ანდრეძი მესამე ნუსხური ხელითაა ნაწერი. ეს მესამე ხელი თვალსაჩინოდ განსხვავდება ორი დანარჩენისაგან — უფრო წერილი, შეუვლად (და არა დახრილად) ნაწერი ასოებია. ნუსხურ ნაწილში სინგური ნაკლებადაა ნახმარი.


შატბერდის კრებულის კალიგრაფიული გაფორმება ბევრად უფრო მარტივი და უპრეტენზიოა, ვიდრე პარხლის ოთხთავისა, რაც მოწმობს, რომ წიგნების შინაარსისა და ფუნქციის მიხედვით, იოანე ბერაი განსხვავებულ ამოცანებს ისახედა მათი გაფორმების მხრივ.

1. თ. კორდანი. ქრონიკები, I, ტფ., 1892. 94—107.
2. Е. Такашвили. — Опис. рукоп. ОРГ. Т., 1906, გვ. 632—651.
3. Е. Такашвили. — Пархальское четвероевангелие: МАК, XII, М., 1909, გვ. 139—151.
4. ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქცია სამი შატბერდული ხელნაწერის მიხედვით. გამოსცა აკაკი შანიძემ. თბ., 1945, გვ. 032—038.
5. კ. კეკელიძე. ისტორია, I, გვ. 155.
6. პავლე ინგოროყვა. გიორგი მერჩულე. 1954, გვ. 765—768.
7. სსმ ხელნ. აღწ., A—V, 1949, გვ. 1—3.
8. ხელნაწერ. ინსტ. ხელნ. აღწ., S—II, 1961, გვ. 36—40.
9. ლ. მენაბდე. ძვ. ქართ. მწერლ. კერები. ტ. 1, გვ. 416—418.

იოანე — კალიგრაფი. ცხოვრობდა XII ს-ის მეორე ნახევარში, მოღვაწეობდა კონსტანტინეპოლის რომანას მონასტერში. მისი ხელითაა გადაწერილი ცნობილი ვანის სახარება (ხელნაწ. ინსტ. A 1335), რომელიც თამარ მეფის შეკვეთით შესრულდა და საგანგებოდ იქნა მორთული და დასურათებული ბიზანტიელი ოსტატის მიქელ კორესელის მიერ.

წიგნი (29,1×21 სმ) სებიის ფერის მელნითაა ნაწერი ორ სვეტად, ძალიან ლამაზი, კალიგრაფიული ნუსხურით. რაკი ეს სამეფო, ე. ი. საგანგებოდ მდიდ-

რული და საზეიმო წიგნი იყო, ტექსტში სინგურის ნაცვლად, ყველგან ოქრო გამოყენებული (სეპიის სარჩულზე). ცალკეული გვერდები საკმაოდ მარტივია, მორთულობა (კამარები, თავსამკაულები, მინიატურები და სხვ.) წიგნისა და თავების დასაწყისშია თავმოყრილი.



ფურცელი ე. წ. ვანის საბარებიდან. XII ს. გადამწერის იოანეს ანდერძი (მეორე და მესამე სტრიქონები ქვემოდან)

126-ე ფურცელზე, ქვემოთ, ასეთი ანდერძია: «წმიდანო მახარებელნო, განმაძლიერეთ ცოდვილი იოანე, რომელმან ფრიადსა უძლურებასა შინა მყოფმან ქელეყავ წვრით, მოსაქმებად წმიდისა ამის სახარებისა». 272-ეზე მდივანმწიგნობრული ხელით წერია: «ქ. ესე სახარებაჲ მე იოანე უღირსმა საპყარმან და მლოცველმან წმიდის დედუფლის თამარისამან ვიოფლე წვრით ქალაქსა შინა კოსტანტინეპოლის. ლოცვა ყავთ ყოველთა». იმავე გვერდზე, ბერძნულ მინაწერში მოხსენიებულია მხატვარი, «ოქროთი მწერალი», მიქაელ კორესელი.

მორთულობის სიმდიდრითა და შესრულების ხარისხით ვანის სახარება ერთ უპირველესთაგანია «არისტოკრატიულ» ქართულ ხელნაწერთა შორის.

1. სმ ხელნ. აღწ. A—IV, 1954, გვ. 407—410.

2. Кондаков, Бакрадзе. Описание, гв. 47—50.

3. E. Takaišvili. Церковь в Ваи в Имеретин и её древности: Изв. КИАИ, II, 1917—25 гг.

4. E. Takaišvili. Antiquités Géorgiennes. I. L'Évangile de Vani: Byzantion, X (1935). Bruxelles, 1935, გვ. 655 — 663.

5. ელ. მაკავარიანი. ვანის ობხთაის დეკორატიული მორთულობა: სსსრ მეცნ. აკად. ხელნაწ. ინსტ. მოამბე, II, 1960, გვ. 135 — 144.

იმანე, გარსევან მღვდლის შვილი — კალიგრაფი. ცხოვრობდა XVIII ს-ში. 1740 წელს გადაწერა თვენი (ხელნაწ. ინსტ. A 1475), რომლის ბოლო ფურცელზე ასეთი ანდერძია: «მე ცოდვილმან და მწერალთ უნარჩევსმან, მღვდლის გარსევანის შვილმან იოანემ აღვეწერე სულთა განმანათლებელი ესე თვენი. იანერის იხ აქეთ ჩემი ნაწერია, იმის იქითი სხვა მწერლისა. აწ ამას გვედრები მხილველთა და წარმკითხველთა, რათა რაოდენიცა იხილოთ ცთომილება, ნუ მწყეოთ, ამად რომე დედანი აღავერდლისა იყო, ძველი. მანამდი იმას არ შეამოწმოთ, სიყუარულისათჳს უფლისაჲ ნუ განრისხნებით. რაჲც გაეწყობოდა, სიმართლეს ვეცადე, თვარა თქვენცა კარგად შეატყობთ უფალნო ჩემნო. განსრულდა ფებერვალს კ, ქრისტეს აქეთ ჩღმ, ქკს უკჳ».

იოანე დიდად გაწაფული ოსტატი ყოფილა. მისი წიგნი (29, X 18,7 სმ, 214 ფურცელი, ქალაღი) შესანიშნავი კალიგრაფიული ნუსხურითაა ნაწერი — წერილი, თანაბარი, ლამაზი ასოებით (შავი მელნით ორ სვეტად, სინგური ტრადიციულადაა ნახმარი ცალკეული ასოების, სიტყვებისა და სტრიქონებისთვის).

სმ ხელ. აღწ., A—V, 1955, გვ. 17.

იმანე — მხატვარი. ცხოვრობდა XVIII ს-ში. ერთ ხანს მაინც მუშაობდა ქსნის ერისთავთა კარზე. 1762 წელს ლარგვისის ტაძრის ხის იკონოსტასისათვის დახატა ხატები მაცხოვრისა და ღვთისმშობლისა. ღვთისმშობლის ხატის წარწერა გვამცნობს მათი შესრულების გარემოებას:

«... ოღეს ეკლესია ესე ლარგვის მონასტრისა აღეშენა კეთილმსახურის ერისთავის დავითის და კეთილმორწმუნის დედისა მისისა ქეთევანის მიერ, ძისა მაიის შალვას კეთილად აღსაზრდელად, მას ქამსა მე უღირსმან არქიმანდრიტმან ამის მონასტრისამან დავახატეინე ხატი ესე ყოვლად წმიდისა მცველად და მფარველად ერისთვისა დავითის და საოხად სულისა ჩემისა. ქკს ჩღმბ. მხატვარი იოანე».

იკონოსტასზე იყო კიდევ ორი ხატი — იოანე ნათლისმცემლისა და იოანე ღობროპირისა. რამდენადაც ფოტოსურათებით შეიძლება მსჯელობა, ეს ორი სხვა ხელით შესრულებული ჩანს, უფრო «ფერწერულია»; მარიამისა და მაცხოვ-

რის სატები კი უფრო გრაფიკულია, მკაფიოდ შემოხაზული კონტურებით, სკამაოდ მშრალი. ასეა თუ ისე, იოანეს, უეჭველია, გავლილი ჰქონდა სპეციალურ სკოლა, მის ნამუშევრებში თვალსაჩინოა ევროპული მხატვრობის გავლენა (ცხადია, რუსეთის მეშვეობით შემოსული).

Такайшвили. АЭЗ, V, 1915, გვ. 89—91, სურ. 36, 37, 38, 39.

იოანე-ზოსიმე — კალიგრაფი, სასულიერო მოღვაწე, რომელიც «სათავეში» ედგა ქართველების საზღვარგარეთულ სამონასტრო კოლონიას მეთავე საუკუნეში» (კ. კეკელიძე), კ. კეკელიძის აზრით, დაიბადა X ს-ის დამდეგს, გარდაიცვალა 987 წლის ახლო ხანებში. «იოანეს მწიგნობრულ-ლიტერატურული მოღვაწეობა მრავალმხრივი ყოფილა... იოანე ჩვენ გვევლინება, როგორც: 1) «განმაცხოველებელი» ტექსტისა, ესე იგი გადასული და წაბლალული ადგილების აღმდგენელი; 2) «შემოსელი» ან შემკინძველი და ყდის გამკეთებელი როგორც ახალი წიგნებისა, ისე ძველად გადაწერილებისა; 3) «შემკვეთელი» და «მომგებელი» ამა თუ იმ წიგნისა და 4) «დამჩხრევი» ან «მჩხრეველი», ე. ი. გადამწერი ტექსტისა» (კ. კეკელიძე).

«იოანეს... მოღვაწეობა ორ პერიოდად განიყოფება: პირველ პერიოდში ის მოღვაწეობს პალესტინაში, საბა განწმენდილის ლავრაში. ამ პერიოდთან ჩვენ ვიცით მისი სამი ხელნაწერი: ერთი, 949 წლისა, დღეს ინახება ლენინგრადის საჯარო წიგნსაცავში... მეორე — «საგალობლნი» 954 წლისა (№ 26 ი. ჯავახიშვილის აღწერილობით) და მესამე — «იადგარი» 956 წლისა (№ 34—19). ამავე პერიოდს უნდა ეკუთვნოდეს «იადგარი საწელიწდო» (№ 1 ივ. ჯავახიშვილის აღწერილობით)... მეორე პერიოდში იოანეს ვხედავთ უკვე სინას მთაზე, სადაც, ალბათ, გარდაიცვალა კიდევც... უნდა ვიფიქროთ, რომ, როდესაც მეთავე საუკუნის სამოციანი წლების გასულს საბაწმინდის ლავრიდან სინას მთაზე გადასულა ქართველ მოღვაწეთა კოლონია, იმაში იოანე-ზოსიმეც ყოფილა» (კ. კეკელიძე).

იოანე სინას მთაზედაც განაგრძობდა წიგნების წერას. ეს წიგნებია ოთხთავე 978 წლისა (ცაგარლის კატალოგით № 8), ლუკასა და იოანეს სახარებები 979 წლისა (№ 12), საქმენი მოციქულთანი 974 წლისა (№ 17), განგებანი და განწესებანი 982 წლისა (№ 30), ზატიკი (№ 53), მოციქულთა ეპისტოლენი 979 წლისა (№ 81). წიგნი ჯვარის გამოჩინებისა 986 წლისა (№ 92), ძილისპირნი ღმრთის მშობლისანი — ყველაზე გვიანდელი ხელნაწერი, გადაწერილი იოანე-ზოსიმეს მიერ, დათარიღებული 987 წლით (№ 64).

იოანე-ზოსიმე ყველა თავის ხელნაწერს ურთავდა ანდერძს, რომელშიაც აუცილებლად აღნიშნავდა გადაწერის თარიღს, ასახელებდა თავის თანამშრომ-

ლებსა და სინას მთის მოღვაწეებს. ამ ანდერძებში იგი ხშირად უჩივის დაუძღურებასა და თვალების სისუსტეს: ეს წიგნი «დიად ხაშშმან და ბრმა მან დიად უღონო მან» გადაეწერეო, ან: «ფრიად ხაშშსა და თვალმოორიდებითსა დამიჩხრეკიანო» და სხვ.

რადგან მისი წიგნები სინას მთის მონასტერში ინახება (გარდა ხსენებული ერთი ხელნაწერისა, რომელიც ლენინგრადშია), მათი კალიგრაფიული ღირსების შეფასება ჩვენ არ შეგვიძლია. იგი, ბუნებრივია, უმთავრესად მრგლოვანით წერდა, მაგრამ აქვს ნუსხურად გადაწერილი წიგნებიც (№№ 64, 92). ტრადიციულად იყენებდა სინგურს სახედაო ასოებისა და ცალკეული სტრიქონებისათვის; ცაგარლის თანახმად, ჰქონია გაფერადებული (სხვადასხვაფერად?) სახედაო ასოებიც, ორნამენტული ჯვრებიც. ცაგარელი მის ნაწერს (ერთი გამონაკლისით — № 81) მუდამ აქებს სილამაზისათვის.

1. კ. კეკელიძე. ისტორია, I, გვ. 143—148.

2. А. Цагарели. Сведения, II, 1889. Каталог грузинских рукописей Синайского монастыря, гв. 50—98, ზემოთ დასახელებული №№

3. ივ. ჯავახიშვილი. სინის მთის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა. 1947, გვ. 1—10, 48—50, 54—59.

იოანე, თბილისის ჰვირის საყდრის დეკანოზი — კალიგრაფი. ცხოვრობდა XVIII ს-ში. მისი გადაწერილია 1743 წ. ანტონ I-ის სპეკალი (ხელნაწ. ინსტ. A 1743), პატარა წიგნი (15,4×10,3 სმ, 389 გვ.), ფრიად წერილი ნუსხურით ნაწერი დიდი დასელოვნებით. ბოლო გვერდზე, ანდერძში, ნათქვამია, ანტონი კათალიკოსის «ბრძანებითა მე, უღირსმან მღვდელმან ტფილისისა ქალაქს ჯვრის საყდრის დეკანოზმან იოანემ აღვწერე წიგნი ესე საფილოსოფოსო სპეკალი თთვესა ნოემბერსა 26... ქრისტეს აქათ 1752, ქართულსა ქორონიკონსა უმ». 1757 წ. მანვე გადაწერა პატარა ფორმატის ნუსხური წიგნი — სენაქსარი (S 64, 916 გვერდი, 16×10 სმ), ხოლო 1760—61 წლებში ე. წ. ბართაშვილისეული ქართლის ცხოვრება (686-გვერდიანი დიდი წიგნი, 30×20,5 სმ, მხედრული, ხელნაწ. ინსტ. S 25). იოანე თავისი დროის ერთი უკეთესი კალიგრაფთაგანი იყო.

სმ ხელნ. აღწ., A—V, 1955, გვ. 209; ხელნაწ. ინსტ. ხელნ. აღწ. S—I, 1959, გვ. 33—36, 72--73.

იოანე მელაითა — კალიგრაფი XII ან XIII ს-ისა. მისი გადაწერილია ოთხთავი (ხელნაწ. ინსტ. H 1782), რომლის 170-ე ფურცელზე აღნიშნულია: «უფალო ღმერთო, მოიქსენე წყალობით ამისი მწერალი ფრიად ცოდვილი იოანე მელაითა».

წიგნის ზომაა 22,3×17,2 სმ, იოანეს ნაწერი ლამაზია, შესრულებულია ნუსხურით, ორ სვეტად, სეპიის ფერი მელნით. ინიციალები სინგურითაა. ყოველი სახარების ტექსტი თავსამკაულით იწყება—ორი სულ გადარეცხილია, ერთისა მარტო ნახატია დარჩენილი უსადებაოდ, ერთს საღებავიც შერჩენია—ლურჯი და წითელი ფერები. ნახატი — ორნამენტული ხლართი — მარჯვე ხელს ამქლავნებს.

ოთხი მახარებლის მინიატურა თავისებური მუქი კოლორით გამოირჩევა (მუქი წითელი-შეინდისფერი, ოდნავ სოსანისფერი იერით — სამოსისათვის, მუქი ლურჯი — აგრეთვე ტანსაცმელისათვის, და ოქრო: ფონი, შარავანდები. ჭაღარა წვერის გადმოსაცემად თეთრია შერეული). ნახატი დახელოვნებული კაცის შესრულებულია, სახეების გამომეტყველება — საინტერესოა. რა თქმა უნდა, ძნელი სათქმელია, მინიატურებიც იოანეს ეკუთვნის თუ არა.

სსმ ხელნ. აღწ., H—IV, 1950, გვ. 211—212.

იონანი მისვეტი — კალიგრაფი. ცხოვრობდა XI ს-ში. მოღვაწეობდა ჰყონდიდში (მარტივილში). აქ მისი სამყოფელი ყოფილა სვეტი (კოშკი), რომლის ნანგრევი დღესაც არსებობს. მუშაობდა ვინმე ფარჯანიანის ოჯახისთვის. 1630 თუ 1031 წელს ვახტანგ ფარჯანიანის შეკვეთით გადაწერა პატარა აგიოგრაფიული კრებული (ხელნაწ. ინსტ. Q 240), რომლის ბოლოშიაც ასეთი მინაწერია: «დაიწერა სუეტსა ზედა ჰყონდიდისა, აღიდენ ღმერთმან, მეფობასა ბაგრატ კურაპალატისა, ინდიგტიონსა (sic!): დ: ქრონიკონსა სნა, ჴელითა იოვანე მესუეტისათა. ღმერთმან დაგაჯეროს, ლოცვა ყავთ» (ინდიქტიონი — ე. ი. მეფობის წელი — 1030 წელს მიგვივითებებს, რადგანაც ბაგრატ IV 1027 წელს ავიდა ტახტზე; ქრონიკონი სნა, ე. ი. 251, 1031 წელს უდრის). ეს მცირე ზომის წიგნია (17,3×12,2 სმ), 117 ფურცლისგან შედგება, ნაწერია ყავისფერი მელნით, კუთხოვანი ნუსხურით ერთ სვეტად, ნუსხურის კვალობაზე ძალიან მსხვილი და სქელი ასოებით. ასოები, წესისამებრ, მარჯვნივაა გადახრილი. მაგრამ ზოგი ასოს ჯ. ზ, ა და სხვ). კიდურები ძლიერ დაქანებულია მარცხნივ; ამიტომ ასოები სტრიქონში თითქოს ქანაობს აქეთ-იქით. ყოველ გვერდზე სულ 13 სტრიქონია და თითო სტრიქონში 13—15 ასო, ზოგჯერ არა უმეტეს ათი-თერთმეტისა. სათაურები მთავრულია, სინგურით. საერთოდ, წიგნი ძალიან მარტივია, სრულიად უპრეტენზიო იერი აქვს.

ოცი წლის შემდეგ, 1050 წელს, იოანე მონაწილეობდა ოთხთავის გადაწერა-ში. ეს წიგნი (ხელნაწ. ინსტ. S 391) მარტივილის ოთხთავის სახელითაა ცნობილი. ანდერძში ნათქვამია (ფურც. 197): «მე ივანე ფარჯანიანმა დავიწერე წმიდაჲ ესე სახარებაჲ სალოცველად თავისა და სულისა ჩემისა და ძმათა და

შვილთა ჩემთა...» ცოტა ქვემოთ იხსენიებიან გადამწერნი. «დაიწერა წმიდაი ესე სახარებაჲ ჭელითა აღიდენ ღმერთმან, იოვანე მესუეტისაჲთა, ლოცვაჲსა წმიდასა თქვენსა გვერდით... და მეც გლახ საწყალობელი სულითა არსენი ეშმს ძე...» შემდეგ: «იესუ ქრისტე, შეიწყალე საწყალი და მწარედ ცოდვილი არსენი მწერალი». ეს ყველაფერი ძლივს-ღა აჩნია. თარიღი სინგურითაა ნაწერი, მსხვილი მთავრული ასოებით: «ქრონიკონი იყო სო» (270 + 780 = 1050).

იოანე მესვეტეს ამ წიგნის მხოლოდ მეორე ნაწილი ეკუთვნის, ის, რომლის სათვალავიც 133-ე ფურცლიდან იწყება (მე მგონია პირველი ნაწილი საერთოდ სხვა წიგნიდან უნდა იყოს აქ მოხვედრილი). რა მონაწილეობას ღებულობდა ამ შრომაში «მწარედ ცოდვილი არსენი?» შესაძლებელია, მისი შესრულებული იყოს ორნამენტიზებული საზედაო ასოები — ერთ-ერთ მათგანს მიწერილი აქვს: «არსენი უფალო შეიწყალეო».

წიგნი საშუალო ზომისაა (23×19 სმ, ეტრათი), 133-ე ფურცლიდან ნუსხურით ნაწერი ორ სვეტად, კარგი ხელით. მელანი სეპიისფერია, აგრეთვე ინიციალების ნაწილიც. მაგრამ არის მორთულ-მოკაზმული საზედაო ასოებიც, რომელთა შესრულებაშიაც მხატვარს ფანტაზია გაუშლია: ჩვეულებრივ ასოები შემკულია ქართულად სტილიზებული ფოთლებით, ზოგი ასო (მაგ. მთავრული დ) თითქოს სურასაც კი მოგვაგონებს, ზოგი თვითონაა სტილიზებული ფოთლოვანი მოტივის სახით, ერთი — სწორედ ის, რომელსაც არსენის სახელი აქვს მიწერილი — აღანიანის ხელს უჭირავს (ფურც. 173, წინა გვერდი).

ამ ორ გადამწერთაგან, უეჭველია, უფროსი იოანე იყო. ისიც ცხადია, რომ ანდერძი, რომელშიაც გადამწერნი არიან მოხსენებულნი, მისი ხელით არ უნდა იყოს დაწერილი: თავის თავზე იგი ვერ იტყოდა «აღიდენ ღმერთმანო». მაგრამ მის შესახებ სხვა რომ წერს ასე (აღბათ — არსენი), ეს მოწმობს, რომ იგი დიდად პატივცემული პიროვნება უნდა ყოფილიყო: მის ასკეტურ მრავალწლიან მესვეტეობას ამ მხრივ დიდი მნიშვნელობა ექნებოდა.

1. Р. Ш м е р л и н г. Образцы, гл. 43—45.

2. ხელნაწ. ინსტ. ხელნ. აღწ., S—I, 1960, გვ. 489—490.

იოანე მთავარდიაცონი — კალიგრაფი. ცხოვრობდა XVIII ს-ის პირველ ნახევარში. დარჩენილია მის მიერ 1733 წელს გადაწერილი ქართველ წმინდანთა ცხოვრებანი, ხელნაწ. ინსტ. A 170, დიდი წიგნი (29×20,5 სმ, 502 გვერდი), ორ სვეტად გადაწერილი ნუსხურით.

502-ე გვერდის ბოლოს: «დიდებაჲ ღმერთსა დიდებით დიდებულსა, ღმერთო შეიწყალე ცოდვილი მთავარდიაკონი იოანე. სრულ იქმნა სიონს შინა, ქალაქსა ტფილისისსა... ივლის გასულს ქორონიკონსა უკა» (421 + 1312 = 1733). პირველი

გვერდი მორთულია გვიანდელი ტიპის თავსამკაულით (ლურჯ ფონზე ყვითელი ნახატი), რომელშიაც ჩასმულია ჩართული მთავრულით სინგურით შესრულებული სათაური. ტექსტი თანხაბარი, მტკიცე, გაწაფული ხელითაა ნაწერი, ძალიან დახრილად. საზედაო ასოები მეღნითვეა. სინგური ტრადიციულადაა ნახმარი სათაურებისთვის. ტრადიციულივეა ტექსტის სოლისებრ დამთავრება თავების ბოლოს.

როგორც ნაწერის, ისე თავსამკაულის მიხედვით იოანე მთავარდიაკონი მაღალი ევალიფიკაციის კალიგრაფად შეგვიძლია მივიჩნიოთ.

Ф. Жордания. Опис. рукоп. Ц. М., I, გვ. 178—180.

იოანე ტატანელი — კალიგრაფი. ცხოვრობდა X ს-ში, მისი გადაწერილია ე. წ. ურბნისის ოთხთავი (ხელნაწ. ინსტ. A 28). ეს ეტრატის პატარა წიგნია, ზომით 20×15 სმ, სულ 231 ფურცელი. ნაწერი მრგლოვანია, ორ სვეტად, სპიისფერი მეღნით. დასაწყისში ხუთი ფურცელი უჭირავს კამარებს კანონებისათვის. ტექსტის ფურცლები უხედაა მორთული უამრავი ფერად-ფერადი საზედაო ასოთი, რომლებიც მთელ ხელნაწერს ძალიან ხალისიან იერს ანიჭებს. ამ ასოებისთვის გამოყენებულია სხვადასხვა სტილიზებული საგნები (მაგ. სურები), ჩიტები, სახეები, ზოგი ასო აღამიანის ხელს უჭირავს; ზოგან ორი ასოა გატანილი არშიაზე; თავისებურია ამ სამკაულთა ფერადოვნება: უმეტესად მხოლოდ ორი ფერის შესამებაა — წითლისა და ღია მწვანისა. კამარების შეფერილობაც ამგვარივეა, მაგრამ მათი შესრულება დაუდევარია, თითქოს ნაჩქარევი, ნამდვილი ოსტატობის გარეშე. იოანე ტატანელი მშვენიერი კალიგრაფი იყო; მას ფანტაზიაც არ აკლდა — ამას მისი საზედაო ასოები მოწმობს; ეტყობა იგი გატაცებით, ცოტა არ იყოს ბავშვური უშუალობითა და სიხარულით, ამკობდა თავის ხელნაწერს, მაგრამ როგორც მხატვარს — თუ კამარების მიხედვით ვიმსჯელებთ — პროფესიული დახელოვნება აკლდა. მისი ნაწარმოები იმ ქართულ ხელნაწერთა გჯგუფს მიეკუთვნება, რომლებშიაც თვალსაჩინოა ხალხური ხელოვნების ნაკადთან სიახლოვე.

1. Ф. Жордания. Опис. рукоп. Ц. М., გვ. 21.

2. Р. Шмерлинг. Образцы, გვ. 45, ტაბ. I.

იოანე ხახუღელი — სასულიერო მოღვაწე, კალიგრაფი, გადამწერი იერუსალიმის ჯვრის მონასტრის თვენისა (ცაგარლის კატალოგი № 35). ცაგარლის აზრით, ეს ეპისკოპოსი იოანე ხახუღელია, იოანე ოქროპირად წოდებული, რომელიც ბაგრატ III დროს (X—XI სს-თა მიჯნაზე) ცხოვრობდა.

თვენი ნუსხურითაა ნაწერი, ცაგარლისავე თანახმად, ხელი «ათონური», ე. ი. ათონის ქართველთა მონასტერში გადაწერილი წიგნების მონათესავე.

თუ იოანე სახსულელი მართლაც იოანე ოქროპირია, მაშინ მის სახელს ზოგი სხვა ხელნაწერიც უკავშირდება: იხ. არსენი ნინოწმინდელი და იოვანე გრძელისძე.

А. Цагарели. Сведения, вып. 2, 1883, гл. 22.

იოვანე — კალატოზი, რომლის სახელიც იხსენიება ხონის წმ. გიორგის ეკლესიის ერთ-ერთ წარწერაში («წმიდაო გიორგი, შეიწყალე კალატოზი იოვანე»). შენობა ძლიერ გადაკეთებულია, ამიტომ ჯერჯერობით, სანამ იგი საგანგებოდ შესწავლილი არ არის, შეუძლებელია ამ იოვანეს ნამოღვაწარისა და მისი ცხოვრების დროის დადგენა.

ი. თაყაიშვილი. არხ. მოგზ. შენ., II, გვ. 272.

იოვანე ბრძალისძე — იხ. არსენი ნინოწმინდელი და იოვანე გრძელისძე.

იოვანე მელი — კალიგრაფი. ცხოვრობდა XI ს-ში. მისი გადაწერილია წმინდათა ცხოვრების კრებული (ხელნაწ. ინსტ. A 1104), რომელიც შეიტავს ექვთიმე მთაწმინდელის თარგმანებს. გადამწერის ვინაობას ვგებულობთ 90-ე ფურცლის ბოლოში მოთავსებული ანდერძიდან: «წმიდანო ღვთისანო, ჩემთვისა გლახაკის იოვანე მელისათვის ლოცვაყავთ, რომელმან დაწერე ამათ წმიდათა ცხოვრებაჲ, ამენ».

ეს არც მაინცადამაინც დიდი ფორმატის სქელი წიგნია (341 ფურცელი, 24,3×18 სმ), ეტრატზე ნაწერი კუთხოვანი ნუსხურით, ერთ სვეტად; ასოები თითქმის გადაუბმელია, მცირედ დახრილი, ფრიად მსხვილხაზოვანი. საზედაო ასოები, კოველი თხზულების პირველი სტრიქონები (მთავრული), თავსამკაულები — შინდისფერი მელნითაა შესრულებული. თავსამკაულთა ჩარჩოები — სწორკუთხა არშია, სწორი კუთხითვე ჩამოკეცილი კიდეებით — სახაზავითაა გამოყვანილი ძალიან წესიერად. ჩარჩოს შიგნით ქართულ ხუროთმოძღვრულ ჩუქურთმაში კარგად ცნობილი მოტივია — გულისებრი ფიგურები შიგ ჩასმული ფოთლებით. თავსამკაულებიც მხოლოდ კალმითაა დახატული, სავსებით გრაფიკულია; ასევე საზედაო ასოებიც. ზოგ მათგანს ფოთლოვანი სამკაული ებმის. დამახასიათებელია აგრეთვე საზედაო ასოების შესრულების ხერხი, რომელიც სხვა იმდროინდელ ხელნაწერებშიაც გვხვდება: ასოს სქელი ხაზი შუაში შეწყვეტილია ზიგზაგისებრი უფრო წვრილი ხაზებით. უეჭველია, რომ წიგნის მთელი გაფორმება იოანე მელის ხელს ეკუთვნის. მორთულობა მარტივი და უპრეტენზიოა, შესრულება — სამკაულებისა, ტექსტისა — უეჭველ პროფესიულ დონესა და გარკვეულ არტისტიზმს მოწმობს.

ხელნაწერი ბევრგან გადარეცხილია, ზოგან მელანი თითქოს ეტრატს შეუწოვია და ცოტა დასერილია. ერთ-ერთ ასეთ აღვილას არშიაზე მინაწერია (შესაძლებელია — გვიანდელიც): «ყოველი ბოროტი ეტრატისაგან არს, თუარა წამალი კარგი არს» (ფურც. 96). ასეთი მინაწერები, რომლებიც გადამწერთან თითქოს ინტიმურ კონტაქტს გვაძყარებინებს, ქართულ ხელნაწერებში საკმაოდ ხშირია.

სმ ხელნ. აღწ., A—IV, 1954, გვ. 84—86.

იოვანე მთავარანიძე — კალიგრაფი. ცხოვრობდა XI ს-ში. მოღვაწეობდა შავ მთაზე, კასტანას მონასტერში, სადაც 1091 წ. გადაწერა ფსალმუნთა თარგმანება, ქართულად ნათარგმნი ეფრემ მცირის მიერ, ხელნაწ. ინსტ. Q 37 (36×26,5 სმ, 333 ფურც.). «დაიწერა წმიდაა ესე წიგნი შავსა მთასა, სანახებსა წმიდისა სუმონისსა, მონასტერსა მამისა ეზრახსსა, ქელითა ხუცისა მთავარაძისსაათა...»

ესე აწ ჩემთს გარდამოვიწერე, ვითარ ვჰკონებ უნაკლულოდ და მართლად, ვისცა გარდაწერა გენებოს, მონდობილ იყვენით, რამეთუ ვითა ვპოე, ეგრე დაეწერე ყოველი და წუნტილიცა... ქრონიკონი იყო ტია. დაიწერა კასტანას, ეფრემის მამობასა» (ფურც. 323 და 324, ტია=311+780=1091 წ.).

ნაწერი ნუსხურია, ორ სვეტად. მელანი ყავისფერია, გახუნებული. სამკაულები არაა. კალიგრაფიული თვალსაზრისით წიგნი ჩამოუვარდება მაშინდელ საუკეთესო ნიმუშებს.

სმ ხელნ. აღწ., Q—I, 1957, გვ. 43—45.

იოვანე მარკაპირი — ი. ს. არსენი ნინოწმინდელი და იოვანე გრძელისძე.

იოვანე «უცხად მჩხრემალი» — კალიგრაფი. ცხოვრობდა XI ს-ში. მისი გადაწერილია კრებული, რომელიც შეიცავს სხვადასხვა წმინდანთა ცხოვრებას, მათ შორის ძველი ქართული მწერლობის შესანიშნავი ძეგლის — ევსტათე მცხეთელის ცხოვრების — ნუსხას. (ხელნაწ. ინსტ. H 341). 197-ე გვერდზე წერია: «ლოცვა ყავთ იოვანესთს უცხად მჩხრეკალისათს და დაკლებული ყოველი შემინდეთ». ეს დიდი ფორმატის წიგნია (33,8×20,5 სმ, 434 ფ.), ნუსხურით ნაწერი შავი მელნით ერთ სვეტად. ასეთი მსხვილი ნუსხური ასოები იშვიათია. არაერთი სამკაული; იშვიათად გამოერევა სინგურის სათაურები; საზედაო ასოებიც უბრალოა, შავი მელნითვე გამოყვანილი. იოვანე გამოცდილი კალიგრაფი ყოფილა, მისი ნაწერი მტკიცე ხელს ამქადავებს (294-ე გვერდზე, ქვემოთ, ეკიზურად მოხაზული დაუმთავრებელი ნახატია — წაქეუ-

ლი წვეროსანი შიშველი კაცი, თითქოს ღრუბლებში; მის ფეხებთან მეორე კაცის წაქეული ფიგურა უთავოდ).

სსმ ხელნ. აღწ. H—I, 1946, გვ. 247—251.

იოვანე ფუკარალისძე — კალიგრაფი. ცხოვრობდა XII ს-ში, მოღვაწეობდა სამხრეთ საქართველოს სავანეებში. ტ ბ ე თ ი ს ო თ ხ თ ა ვ ი ს ა (ხელნ. ინსტ. Q 929) და წ ყ ა რ ო ს თ ა ვ ი ს ს ა ხ ა რ ე ბ ი ს (იქვე, Q 907) ერთ-ერთი გადამწერი.

ე. წ. ტ ბ ე თ ი ს მ ე ო რ ე ო თ ხ თ ა ვ ი (ხელნაწ. ინსტ. Q 929; 26,6×19,7 სმ) 1161 წლის ახლო ხანებშია გადაწერილი პავლე მტბევეარის (ტბეთის ეპისკოპოსის) დაკვეთით, გიორგი III-ის მეფობაში. «დადაწერიე ესე ოთხთავი სრული და უნაკლულთა კარგითა და მართლითა ზანდუკითა და კანონითა სალოცველად ღმრთივ გვრგვინოსანთა მეფეთა დიმიტრი გამზრდელისა ჩემისა და გიორგი ძისა მათისაო...», წერს ანდერძში პავლე.

იოვანე ფუკარალისძის ნაწერია წიგნის ბოლო ნაწილი — 279 — 318 ფურცლები, რომლებიც ზანდუკს (სარჩევს) შეიცავს. 305-ე ფურცელზე ასეთი ანდერძია: «წმიდანო ყოველნო, რომელნი აღწერილ ხართ ზანდუკსა ამას შინა ჭელითა ჩემ ცოდვილისა იოვანე ფუკარალისძისაათა, მეოხ ეყვენით წინაშე ქრისტესა წმიდა მამადმთავარსა პავლე მტბევეარსა. ამინ იყავნ, ამინ». ნაწერი (ნუსხური, ყავისფერი მელნით) შედარებით წვრილია, უბრალო: უპრეტენზიო, გარკვეული ხელით; ასოები ზომიერადაა დახრილი. ბევრია სინგური, როგორც ყოველთვის ოთხთავის ზანდუკებში: ზოგან მთელი სვეტის ყოველი პირველი ასო (მთავრული), ბევრგან — მთელი სტრიქონები. ტბეთის სახარება ვერცხლის მოჭედით ყდაში ზის.

წ ყ ა რ ო ს თ ა ვ ი ს ს ა ხ ა რ ე ბ ა (ხელნაწ. ინსტ. Q 907; 25,1×17,9 სმ) ბევრად უფრო გვიანაა გადაწერილი — 1195 წელს, იოანე საფარელ-მტბევეარის ბრძანებით. მისი ყდა (ვერცხლისა, რელიეფური სცენებით) ბექა ოპიზარის შესრულებულია (იხ. ეს სახელი). გადაწერაში იოვანესთან ერთად მონაწილეობდა გიორგი სეთაძემე. ლუკას თავის ბოლოს (ფურც. 180) წვრილად, მკრთალი მელნით, მიწერილია: «დიდება შენდა, სამებაო წმიდაო. გასრულდა თავი მესამე ლუკასი ჭელითა იოვანე ფუკარალისძისა მნათისაათა. ვინცა აღმოიკითხვიდეთ, ნუ დამწყევთ, ღმრთისა მცნებისათჳს, არამედ თქუთ: უფალო შეუნდვენ ცოდვანი მწერალსა ამისსა, ამინ.»; ხოლო 272 ფურცელზე: «დაიწერა და გასრულდა ჭელითა ორთა მწერალთაათა: იოვანეს

ფუკარალის ძისა, მნათისაათა და გიორგი სეთაჲსძისაათა... ქრონიკონი იყო ვიე (415+780=1195 წ.).

ტბეთის სახარების გადაწერასა და წყაროსთავის სახარების გადაწერას შორის 34 წელიწადია. იოვანე ამ დროს უკვე მოხუცებული იყო. თვითონვე წერს (ფ. 180): «ვინცა აღმოკითხვიდეთ ამას ლუკაჲს თავსა, ნუ დამწყევთ, ღმრთისათჳს. დღითა მოხუცებულ ვიყავ, ოდეს ესე დავწერე და თუალთა სინათლევც მომკლებია. ღმერთმან გარწმუნოს, სულისა ჩემისათჳს ლოცვა ყავთ. სასყიდლით წერაჲ დასტურა არა მიშლის ლოცვასა». ბოლო მობოდიშება იმას ნიშნავს, რომ იოვანე წერაში გასამრჯელოს ღებულობდა.

იოვანესა და გიორგი სეთაჲსძის ხელის გარჩევა შეუძლებელია. ორივე ძალიან ჰგავს ტბეთის სახარების იოვანესული ნაწილის ხელს. ესეც «კლასიკური» ნუსხურია, ორ სვეტად, ყავისფერი მელნით, ნაწერი მშვიდი, მკაფიო, მცირედ გადაბმული და ზომიერად დახრილი ხელით. სამკაულები არაა — არც კამარები, არც თავსამკაულები. არის მხოლოდ მახარებელთა გამოსახულებები, კარგი მხატვრული ხარისხისა, მაგრამ მათი ავტორი სხვა უნდა იყოს.

1. Е. Такайшвилл. Тбетское четвероевангелие XII века: МАК, XII, 1909. ვვ. 159—161.

2. Кондаков, Бакрадзе. Опись..., გვ. 43—44.

3. ხელნაწ. ინსტ. ხელნ. აღწ., Q—II, 1958, გვ. 322—327, 353—358.

იოვანე ყიპი — კალიგრაფი. ცხოვრობდა XI ს-ში, იღვწოდა საბაწმინდის მონასტერში, იერუსალიმს. გადაწერა მ ა ქ ს ი მ ე ა ღ მ ს ა რ ე ბ ლ ი ს თ ხ ზ უ ლ ე ბ ა — ცხოვრება ღვთისმშობლისა (ხელნაწ. ინსტ. H 1664). ეს ეტრატის ხელნაწერია, ზომით 25×16 სმ, 171 ფურცელი. გადაწერის სახელი ბევრჯერ შეორდება (ფურცლები 57, 102, 110, 120). თავის თავს იგი ზოგან მხოლოდ იოვანეს უწოდებს, ზოგან—იოვანე ყიას. მინაწერები «ქრისტე შეიწყალე იოვანე ყია» უმეტესად მრგლოვანი ასოებითაა, სინგურით, და მკვეთრად გამოიყოფა შვი მელნით გადაწერილ ნუსხურ ტექსტში. იოვანე გამოცდილი ოსტატი ჩანს, მაგრამ ნამდვილი არტისტიზმი და ვირტუოზობა აკლია. ტექსტი მსხვილი ასოებითაა ნაწერი, ერთ სვეტად. სტრიქონების სიგრძე განსხვავებულია, ამიტომ ტექსტის მარჯვენა კიდე ერთი შვეული ხაზის ფარგლებში არაა, უსწორმასწოროა. ხელნაწერის გაფორმება, იმ დროის შესაბამისად, საკმაოდ ძუნწია: ფურცლის ერთგვაროვნებას არღვევს მხოლოდ საზედაო ასოები, რომლებიც არშიაზეა გატანილი. ზოგი მათგანი სიმაღლით რამდენსამე სტრიქონს სწევდება. ნაწილი საზედაო ასოებისა სინგურითაა შესრულებული და ფოთლოვანი კუდებით შემკული;

კულები ხან კონტურულია, ხან — უფრო იშვიათად — სინგურითვე შევსებული. სინგურიანი სტრიქონი აქა-იქ ტექსტშიაც ურევია.

«ღვთისმშობლის ცხორება» ბოლო ხანებში, 1919 წლამდე ჯრუჭის მონასტერში ინახებოდა.

სსმ ხელნაწ. აღწ., II—IV, 1950, გვ. 91—92.

იოვანე ჩირაძე — კალიგრაფი. ცხოვრობდა X ს-ში. ერთი წარმომადგენელთაგანი ოშკის მონასტრის სასულიერო მოღვაწეთა გუნდისა და ოშკური კალიგრაფიული სკოლისა. თორნიკესა და იოანე ვარაზფაჩეს დაკვეთით გადაწერა იოანე ოქროპირის ცხოვრება გიორგი ალექსანდრიის პატრიარქისა. «დაიწერა წმიდად ესე წიგნი ლავრასა შინა დიდებულსა ოშკსა, საყოფელსა წმიდისა და დიდებულისა ნათლისმცემელისას, წინამძღურობასა წმიდისა მამისა საბაასა... ქელითა ჩემ გლახაკისა საწყალობლისა იოვანე ჩირაძისათა...». ამავე პირთა შეკვეთითაა ოშკშივე გადაწერილი 977 წელს ე. წ. «სამოთხე» და 978 წელს ოშკის ბიბლია (იხ. შიქაელ ვარაზფაჩესძე, სტეფანე დეკანოზი — იოვანე ჩირაძე ამათი თანამედროვე იყო).

იოვანე ჩირაძე გადანაწერი წიგნი ახლა ათონის ივერიის მონასტერშია. ა. ცაგარლის ცნობით, ნაწერი ნუსხურია, ორ სვეტად, ეტრატზე. წიგნი დიდი ფორმატისაა. ნაწერის ხარისხსა და ხასიათზე ცაგარელი არაფერს ამბობს.

1. А. А. Цагарели. Сведения, I, 1886, გვ. 83.

2. სსმ ხელნ. აღწ., A—IV, 1954, გვ. 189—191 (ხელნაწერთა ინსტიტუტში ინახება ამ წიგნის გადმონაწერი).

3. ლ. მენაბდე. ძვ. ქართ. მწერლობის კერები, I, გვ. 450.

ისაქი — კალიგრაფი, ცხოვრობდა XI ს-ში და მოღვაწეობდა კონსტანტინეპოლის აგიაპანტის მონასტერში. დარჩენილია მის მიერ 1028—1031 წლებს შუა გადაწერილი კრებულები, რომელშიაც შესულია მაქსიმე აღმსარებლის ეგზეგეტიკური თხზულებები, თარგმნილი ეფთვიმე მთაწმინდელის მიერ, ხელნაწინსტ. Q 34. ხელნაწერი დათარიღებულია ბიზანტიის იმპერატორის რომანოზ არგვიროსის მიხედვით (იხ. ანდერძი).

გადამწერის ანდერძი ასეთია: «ხოლო დაიწერა ბრძანებითა და ნებითა ზაქარია ეპისკოპოსისა ბანაელისა და სუნგელოზისაჲთა, ქელითა უღირსისა და უცხად მჩხრაკაელისა ისაკისითა ქალაქსა კონსტანტინეპოლის, მონასტერსა მისევე ბანაელისა ეპისკოპოსისა სუნგელოზისასა ყოველთა წმიდათასა აგიაპანტს, მეფობასა რომანოზისსა. რაჲ წიგნსა შინა ეპოე, რომლისგან გარდაწერე, არა გამომიცვალეზა სიტყუაჲ, არცა მიკაზმავს, ღმერთი არს მოწამეჲ, და არცა რაჲ დამიკლია. და თუ რაჲმე დამრჩომოდა, შევაწამე წიგნსა და ჩაურთე, რამეთუ

მთარგმნელი სულისა წმიდისა მადლითა სავეს იყო და ბრძენ და ფრიად მეცნიერ ბერძულ...» (ფურც. 336).

ისაკისეული კრებული მოზრდილი წიგნია (30×22 სმ, 429 ფურც.), ნაწერი ნუსხურია, ერთ სვეტად, ყავისფერი მეღნიტო. XI ს-ის დამახასიათებელი ხელია, მცირედ დახრილი, ნაკლებ გადაბმული ასოები. ზოგი საზედაო ასო და ცალკეული სიტყვები ტექსტში — ტრადიციულად სინგურითაა ნაწერი. სამკაულები არ არის. ისაკი იმ დროის კარგ ოსტატ-კალიგრაფთა რიცხვს შეიძლება მიეკუთვნოს.

შესაძლებელია, ეს ისაკი და ის, რომელიც ოლიმპოს ქართულ მონასტერში იღვწოდა, ბიზანტიაშივე, რომანოზ არგვიროსის დროსვე, ერთი და იგივე პირიც იყოს. ამის დასადგენად საჭირო იქნებოდა მათი ნაწერის შედარება, მაგრამ მეორე ისაკის გადაწერილი კრებული ათონის მონასტერში ინახება. იხ. მომდევნო ს ა კ ი.

სსმ ხელნ. აღწ., Q—I, 1957, გვ. 36—38.

ისაქი — კალიგრაფი. ცხოვრობდა XI ს-ში, მოღვაწეობდა მცირე აზიის ოლიმპოს (ულუმბოს) ქართულ მონასტერში, რომელიც IX ს-ში დააარსა გამოჩენილმა სასულიერო მოღვაწემ ილარიონ ქართველმა. 1030 წელს მან იქ გადაწერა წმინდანთა ცხოვრების კრებული, რომელიც წმ. მაკარისა და წმ. ბაგრატის ცხოვრებას შეიცავს. ანდერძის თანახმად, ეს წიგნი «დაიწერა მთასა წმიდასა ოლიმპოს საბერძნეთისასა, ქებასა საყოფელსა ქართულთასა, ჯელითა გლახაკისა ისაკისითა... მეფობასა რომანოზისაჲთა, ოდეს სარკინოზედ წავიდა, წარმოტყვევნა იგინი, ქრონიკონი იყო სნ» (250+780=1030; რომანოზი — ბიზანტიის იმპერატორი რომანოზ არგვიროსია, მეფობდა 1028 — 1032 წლებში).

წიგნი ათონის ივერიის მონასტერში ინახება. ნაწერია ნუსხურით. (იხ. ზემოთ ისაკი, რომელიც კონსტანტინეპოლის აგაპანტის მონასტერში მოღვაწეობდა).

1. А. Цагарели. Сводення, I, 1886, გვ. 83—84.

2. R. P. Blake. Catalogue des manuscrits Géorgiens.

ქარბარითელი — ამ გვარს ეკუთვნოდა რამდენიმე კალიგრაფი, რომლებიც XVI—XVII საუკუნეებში მოღვაწეობდნენ. თ. ქორდანიას თანახმად, «ცნობილი კალიგრაფები კარგარეთელი სვიმონ, გიორგი და ზებედე ცხოვრობდნენ XVI საუკუნეში, ქუთათლის სვიმონის დროს (დაჯდა 1529 წ. და ცოცხალი იყო 1556 წ.) და კათალიკოზის ევთიმის დროს (1578—1605). კარგარეთელი მესხეთიდან ჩამოსულან: სვიმონის მამა სოფრონ და სოფრონის მამა — ვარსიმე». ამ ცნობების წყარო მას მითითებული არა აქვს, მაგრამ ჩემთვის ცნობილი წყაროებიდანაც ჩანს მათი კავშირი სამხრეთ საქართველოსთან.

სვიმონი. ცხოვრობდა XVI ს-ში და იღვწოდა სამხრეთ საქართველოს სავანეებში. მისი სახელი იხსენიება ხელნაწ. ინსტიტუტის ცნობილი ხელნაწერის A 85-ის ერთ ანდერძში. ეს ხელნაწერი, რომელიც ბევრ საინტერესო თხზულებას შეიცავს (მათ შორის აბუსერისძე ტბელისას), 1233 წლით თარიღდება. სვიმონმა, როგორც ჩანს, აღადგინა ეს ხელნაწერი აშბა იშხნელის თაოსნობით.

1541 წელს სვიმონმა მაწყუერელი მთაფარებისკოპოსის იოაკიმეს დავალებით, გადაწერა პოლემიკურ-დოგმატიკური და სამეცნიერო კრებული (S 312). ანდერძში ნათქვამია, რომ წიგნი «გათავდა საფარას», დიაკონ სვიმონ კარგარეთლის ხელით, სეთ ქორონიკონს (229+1312=1541), საბას ლავრაში. ეს 108-ფურცლიანი მცირე ზომის წიგნია (22,8×16,8 სმ), ნუსხურით გადაწერილი ერთ სვეტად, შავი მელნით, ნაწერი არაჩვეულებრივად წერილია, ასოები მოკლე, გაკრულ-გამოკრული კიდურების გარეშე, სტრიქონებს შორის დიდი მანძილია, სინგური ტრადიციულადაა ნახმარი საზედაო ასოების, ცალკეული სტრიქონებისა და სიტყვებისთვის. წიგნი მაღალი კალიგრაფიული ოსტატობის ნიმუშია.

სვიმონმავი გადაწერა გულანი (ხელნ. ინსტ. A 197); დიდი ფორმატის წიგნი (ორ ტომად შეკრული), აგრეთვე ნუსხურით ნაწერი ორ სვეტად; მისი შესრულებაც ასევე მაღალ მხატვრულ დონეზე დგას.

იესე — ამისი გადაწერილია სადღესასწაულო (ხელნაწ. ინსტ. H 1018), რომელსაც ხელისა და თავსამკაულების მიხედვით XVII ს-ით ათარიღებენ. ეს მოზრდილი წიგნია (28×19 7 სმ, 364 ფურც., ქალაღი), ორ სვეტად, შავი მელნით ნუსხურით ნაწერი: სინგური აქაც ტრადიციულადაა გამოყენებული საზედაო ასოების, სათაურებისა და საზგასსმელი სიტყვებისათვის; თავების დასაწყისში ერთი სვეტის სიგანის მარტივი თავსამკაულებია: შავფონიანი ზოლი წითელ ჩარჩოში, ამ ფონზე სინგურითა და მელნით გამოყვანილი უბრალო ლენტოვანი წნული. თავსამკაულის შესრულება მინცადამინც მაღალ დონეზე არ დგას, თუმცა არც ტლანქი და უმწეოა. სამაგიეროდ ნაწერი ბრწყინვალე კალიგრაფიული ოსტატობით გამოირჩევა: ესეც ძალიან წერილია, აქაც მოკლე პროპორციის ასოებია, ნაწერი არაჩვეულებრივად ფაქიზია. არშიებზე აქა-იქ საოცრად წერილად ნაწერი ასეთი ხასიათის შენიშვნებია: «სენიქსარი დამრჩა, ნუ დამწყევთ უფალნო ჩემნო, დედასთან არ ეწერა და ძებნა მეც მომწყინდაო», და სხვ. ანდერძი, რომელშიაც გამამწერი იხსენიება, მშვენიერი მხედრულითაა.

ამბროსე, გაბრიელის ძე — მონაწილეობდა ბედიის გულანის (A 187) გადაწერაში გაბრიელ ლომსიანის ძესა და საბა ნაჭოფაძესთან ერთად (იხ. ეს სახელები). ამ გულანის გადაწერის მოთავე იყო ბედიელი მიტროპოლიტი გერმანე ჩხეტისძე, რომელმაც საგანგებოდ შავშეთიდან დაიბარა კალიგრაფი ლომსიანიძე. საფიქრებელია, რომ ამბროსეც სამხრეთ საქართველოდან ჩავიდა ბედაში. მისი ხელითაა ნაწერი 130—194 და 582—610 ფურცლები. ესეც შესანიშნავი ოსტატი იყო, ერთი საუკეთესო მწერალთაგანი ნუსხური ხელით (გულანი უზარმაზარია — 45,7×31,5 სმ, ორ სვეტად ნაწერი, სვეტში 41 სტრიქონია; სინგური, ჩვეულებისამებრ, საზედაო ასოებისა და ცალკეული სტრიქონებისთვისა). 194-ე ფურცლის ანდერძში ნათქვამია: «ამისა მწერალსა კართგარეთელსა (sic!) ამბროსეს და მეულლესა მისსა თამარს შეუნდნეს ღმერთმან, ამინ. ამბროსეს და დედა მამათა მისთა გაბრიელს და როხბაიგულს შეუნდნეს ღმერთმან, ამინ»... არის საინტერესო მინაწერებიც, რომლებიც თითქოს კალიგრაფის მუშაობის პროცესს გვიჩვენებს: 164-ე ფურცელზე, ერთ ადგილას სიტყვა «მშობელი» გადასწორებულია «დამბადებლად». ეტყობა, გადასწორება იმდენად უჩვეულო და შეუწყნარებელი რამ იყო, რომ განმარტების გარეშე გამამწერი ამ ფაქტს ვერ დატოვებდა. და აი, არშიაზე ამბროსეს მიუწერია: «პირველსა დედასა მშობელი ეწერა, დამბადებელი უნდოდა. მისთვის წაიშალა. დედამან (sic) ტყუა, მე უბრალო ვარ». მეორე ადგილას, ქვემო არშიაზე: «სამებანი

ამა გალობათანი ბოლოსა სწერია. უწინ ისი თქვ და მერმე ესე გალობანი. დედა აშლილი იყო, შემინდევით უფაღნო ჩემნო».

1. თ უ ო რ დ ა ნ ი ა. ქ ე ბ ი, II, გვ. 111.

2. Ф. Ж о р д а н и я. Опис. рукоп. Ц. М., I, 222.

3. ხელნაწ. ინსტ. ხელნ. აღწ. S—I, 1960, გვ. 365—375; სსმ ხელნ. აღწ., H—III, 1948, გვ. 16—17.

4. ლ. მ ე ნ ა ბ დ ე. ძვ. ქართ. მწერლ. კერები, I, გვ. 446.

კვიციანიძე, გიორგი — კალიგრაფი, მღვდელი. მისი გადაწერილია ქ ა მ ნ ი, ხელნაწ. ინსტ. A 1741, ნაბოენი სოფ. ტობანიერში (15,8×10,4 სმ). ამ წიგნს XVII ს-ს მიაკუთვნებენ. ნუსხურია, შავი მელნით ნაწერი, შიგადაშიგ სინგურის ასოებითა და სიტყვებით; მაინცადამაინც დიდი ოსტატობა ნაწერს არ ეტყობა.

166-ე ფურცელზე: «უფალო ღმერთო მოიქსენე და შეინდვენ ამ ქამნის მწერალი გიორგი მღვდელი კვნიქიმე და მეუღლე მისი მანია ...ქელისა სიურჩქისათვის ნუ დაგუწყევთ ღვთის მადლსა».

სსმ ხელნ. აღწ. A—V, 1955, გვ. 207—208.

კვიციანიძე — XI ს-ის პირველი ნახევრის ოსტატი, რომელმაც კარიბჭე მიაშენა ზ ე მ ო - კ რ ი ხ ი ს ეკლესიას (ქვემო რაჭა, ამბროლაურის რაიონი). კარიბჭის სამხრეთის სარკმლის სათაურის მარჯვნივ მოთავსებულია ქვა შემდეგი ნუსხასტური წარწერით: «სახელითა ღთისათა მე კვირიკე, ჩემითა კალატოზობითა შევსწირე ამას ეკლესიასა კე დრამაი» (ე. ი. 25 დრამა. დრამა ვერცხლის ფულის ერთეული იყო).

როგორც ჩანს, კვირიკემ ეკლესიას შესწირა ის გასამრჯელო, რომელიც მან ამ კარიბჭის აგებისათვის მიიღო. ზემო კრიხის კარიბჭე, შემკული ფრიად მდიდრული ჩუქურთმებით, XI ს-ის I ნახევრის ქართული ხუროთმოძღვრების, უფრო სწორად, ხუროთმოძღვრული დეკორის, მშვენიერი ნიმუშია. მორთულობა მრავალფეროვან საინტერესო სახეებს შეიცავს, ჩუქურთმის კვეთა ღრმავ, შესრულება დიდად ოსტატური, მხატვრულად საესებით მომწიფებული. თავისი ხასიათით ეს ჩუქურთმები ენათესავენა ნიკორწმინდის ტაძრის მორთულობის ზოგიერთ ფენას, კაცხის ტაძრის გარშემოსავლელის მორთულობას, პატარა ონისა და სავანის ჩუქურთმებს (ყველა ეს ნიმუში XI ს-ის პირველი ნახევრისაა).

ვ ა ს ტ ა ნ გ ც ი ნ ც ა ძ ე. ზემო-კრიხის ხუროთმოძღვრული ძეგლი: ქართული ხელოვნება, ტ. 6, სერია A, 1963, გვ. 91.

ზ

ლაზარე, მანასე, გაბრიელი — კალიგრაფები. ცხოვრობდნენ XVII ს-ში და მუშაობდნენ ოდიშის მთავრის ლევან დადიანის კარზე. მათი გადაწერილია მეტაფრასი (ხელნაწ. ინსტ. S 1513), დიდი ფორმატის წიგნი (35,8×24,8 სმ, 238 ფ.), ნუსხურად ნაწერი ორ სვეტად, შავი მელნით. სინგური ტრადიციულადაა გამოყენებული — სათაურებისა და ინიციალებისთვის, თუმცა ამათი უმეტესობა მელნითვეა ნაწერი; ზოგან ორი-სამი საზედაო ასოა გადახლართული, ზოგან — თავების ბოლოებში — ტექსტი ფიგურულადაა (სოლებივით გაწყობილი).

ხელი სხვადასხვაა — ერთისა უფრო წერილად და ფაქიზად ნაწერი, მეორისა — უფრო მსხვილი, მაგრამ ყველა პროფესიულ კალიგრაფიულ დონეზე დგას. ოდიშის მთავრის კარზე იმ დროს ქართული წერის რიგიანი ოსტატები ჰყოლიათ.

გადამწერნი ანდერძებში არიან მოხსენებულნი: «ქრისტე, შეიწყალე ამისი მწერალი ლაზარე სულითა და მისნი დედა-მამანი დღესა მას დიდსა განკითხვისასა... და მისნი ძენი ცოცხალნი და მიცვალებულნი» (ფ. 190).

«ამისსა მწერალსა ფრიად ცოდვილსა მანასეს შეუნდე ღმერთმან...» (ფ. 212).

«მამანო და ძმანო, ვინცა ამას დაუჯდომელთა საკითხავისა აღწერა დედად ინებოთ, სხუაჲ დედაცა იქმარეთ; ესე ბნელსა დედასა ზედა გარდამოწერილ არს და სრულად ამას ნუ მიენდობით, ღმერთო, შეიწყალე ფრიად ცოდვილი მწერალი გაბრიელ და მისნი დედა-მამანი, ამინ» (ფ. 226).

ხელნაწ. ინსტ. ხელნ. აღწ., S—II, 1961, გვ. 295--301.

ლალიაშვილი, ქაიხოსრო — ოქრომჭედელი, ცხოვრობდა XVII ს-ში, მუშაობდა ჭილაძეების ოჯახისთვის. დარჩენილია მის მიერ შესრულებული სამი ნაწარმოები:

1. ღვთისმშობლის დიდი ხატი (130,2×81 სმ), შემკული 12 საუფლო დღესასწაულის სცენით. ხატი ვერცხლისაა, იგი ვანის ეკლესიას შეწირეს ვახუშტი ჩიჯავაძემ და მისმა მეუღლემ ანა ჭილაძის ასულმა. წარწერაში ნათქვამია: «მშობელი ქრისტე (sic!) ღმრთისო ჩვენო, შეეწიე და შეიწყალე და აცხოვენე სული ამის მომჯდლის ფრიად ცოდვილის ქაიხოსროს ლალიაშვილის», და სხვ. თვით ღვთისმშობელი — ფეხზე მდგომი, ყრმით ხელში — ცალკე ფირფიტაზეა, შუაში, საგანგებო ჩარჩოს შიგნით (ფიგურა მთლიანად ნაჭვდია ვერცხლისაგან). მის ფერხთით მუხლმოდრეკილი ვახუშტისა და ანას ფიგურებია. საუფლო დღესასწაულებს უჭირავს ფართო არე ამ შუა ხატის გარშემო. ფონი ყველა სცენას შევსებული აქვს ორნამენტით—ასეთივე ორნამენტია (თითქოს ეკლესიანი რაღაც შტოების ხლართი) ღვთისმშობლის გარშემოც და ხატის საერთო ჩარჩოზედაც, რაც მნახველს რამდენადმე უჭრელებს თვალს. არ ჩანს, რომ სხვადასხვა სცენების ურთიერთგანლაგება ოსტატს შეგნებულად გააზრებული ჰქონდეს, როგორც მხატვრული ამოცანა.

2. ტყვირის ეკლესიის კარედი ხატის ფრთები მარიამისა და იოანე ნათლისმცემლის ფიგურებით (შუა ნაწილი დაკარგულია. უეჭველია, შუაში მაცხოვრის ხატი იყო, ასე რომ მთლიანად ე. წ. ვედრება გამოდიოდა). წმინდანების ფეხებთან შემკვეთთა — რევანოზ ჭილაძისა და მისი თანამეცხედრის უტანდარ ჩხეტიძის ქალის პატარა მუხლმოდრეკილი ფიგურებია. ფონი მთლიანად წარწერებითაა შევსებული; მარჯვენა ფრთაზე წარწერის სტრიქონები ჰორიზონტალური რელიეფური საზებითაა გაყოფილი; ისეთი შთაბეჭდილებაა, თითქოს იოანე ნათლისმცემლის ფიგურა ამ საზოგადოებრივ ცხრილზე მერე იყოს დაკრული. წარწერაში, რომელიც შემკვეთებს იხსენიებს, ბოლოს ნათქვამია: «ღმერთო შეუნდევ ქაიხოსროს ლალიაშვილს».

3. საწინამძღვრო ჯვრის სიონი ტყვირისავე ეკლესიიდან (ეს ის ნაწილია— ოთხწახნაგა კოლოფის სახისა, წაკვეთილი პირამიდის ფორმის «სახურავით» — რომელზედაც უშუალოდაა დაფუძნებული ჯვარი). სიონის წახნაგებზე გამოსახულნი არიან ქრისტე, მარკოზ, ლუკა და იოანე მახარებლები: თითო მხარეს თითო ფიგურა თაღოვან ჩარჩოში; არეები, ოთხსაგ შემთხვევაში, მთლიანად წარწერებითაა შევსებული. ისევე, როგორც კარედი ხატის ფრთაზე, აქაც სტრიქონები რელიეფური ჰორიზონტალური საზებითაა გაყოფილი და ფიგურები თითქოს შემდეგ დაკრულივითაა. ლუკა მახარებელთან ასეთი წარწერაა: «ღმერთო, შეიწყალე და აცხოვენე სული მონისა შენისა ქაიხოსრო ლალიაშვილის. ვინცა შენდობა უთხრას, შეუნდვნეს ღმერთმან». ეს ჯვარი და მისი სიონი კვლავ ჭილაძეებისა და მათი დაახლოებული პირების შეკვეთითაა შესრულებული.

ქაიხოსროს ნამუშევრები ქართული ოქრომჭედლობის დაქვეითების ხანას ეკუთვნის და ატარებს კიდევ დაქვეითების მკაფიო ნიშნებს: პლასტიკურობაზე სომ ლაპარაკიც ზედმეტია, აღარაა აღარც ნახატი, აღარც პროპორციები, ფიგურები დაღრეცილია, მოსასხამების ნაეცები სქემატური და მშრალი, წარწერებიც ვეღარაა მტკიცე ხელით შესრულებული. მხოლოდ ესაა, რომ ქაიხოსროს ფიგურებს — როგორც ეს სწორად გვხვდება პრიმიტიულ ნამუშევრებში — ერთგვარი ექსპრესია მაინც ახასიათებს.

1. ე. თ ა ე ა ი შ ე ი ლ ი. არხ. მოგზ. შენ., I. გვ. 9—10.

2. Е. Т а к а й ш в и л и. Тквицкая церковь в Мингрелии по древности: Христианский Восток, IV, вып. 3, 1916, გვ. 293—298. ტაბ. XXIII—XXIV.

3. Г. Ч у б и н а ш в и л и. Грузинск. чек. иск., გვ. 639—640, ფოტო 570, 575-А.

ლოლაძე, ბერთაუკა — «სარქარი». ოქრომჭედელი, რომლის ხელმძღვანელობითაც მოიჭედა ცნობილი ან ჩ ი ს ხ ა ტ ი ს კარების გარე პირი. გრძელ წარწერაში, სხვათა შორის, ნათქვამია: «...ქემან იოთამ ამილახორისამან, თვით ამილახორმან გივმან და თანამეცხედრემან ჩვენმან ქართველთ მეფის შანავაზის ასულმან თამარ და ქემან ჩვენმა ანდუყაფარ და დემენტრემ, ოდეს ვიხილეთ ანჩისხატი ქამთა ვითარებისაგან ქართლში ჩამოსვენებული, მოჰხდა საქმე, რომ ბევრს ხანს ჩვენს სახლში ესვენა და მისის საფარველითა და შემწეობითა მრავალს ძნელს ავადყოფასა და განსაცდელს განვერენით და... ვიწადინეთ და კარები მოვაჭედინეთ და გავაკეთეთ... გაკეთდა კარები ესე მეფობასა მეფეთ მეფისა გიორგისასა, ინდიკტიონსა მეშვიდესა, ქრონიკონსა ტოდ: ქამისი სარქრი ლოლაძე ბერთაუკა ღმერთმა შაუნდნეს». ქრონიკონი 1686 წელს უდრის.

ბერთაუკას შესრულებულია ს ა ხ ა რ ე ბ ი ს ს ც ე ნ ე ბ ი: ლაზარეს აღდგინება, იერუსალიმს შესვლა, ღვთისმშობლის მიძინება, თომას ურწმუნოება, საიდუმლო სერობა, სულიწმინდის მოფენა. ყოველი გამოსახულება და მთლიანად კარები ფართო ორნამენტულ არშიებშია ჩასმული. თვით სცენები — მრავალფიგურიანი, მეტისმეტად დატვირთული (შეიძლება ითქვას, რომ ერთიანად ამოჭედელი ფიგურებითა და ფონის გამოსახულებით), მოწმობს იმ დროისთვის ჩვეულ ინტერესს თხრობისა და საღვთისმეტყველო პროგრამისადმი. მსატერული დონე და ტექნიკური შესრულების ხარისხი, რა თქმა უნდა, დიდად ჩამოუვარდება X—XI სს-ისას; ეს დაქვეითების ხანის ტიპიური ნაწარმოებია, რაც მით უფრო ხვდება თვალს, რომ ბერთაუკას ნაწარმოები ბექა ოპიზარის მიერ (იხ. ეს სახელი) ოსტატურად მოჭედილი ჩარჩოს მეზობლადაა.

1. შ. ა მ ი რ ა ნ ა შ ე ი ლ ი. ბექა ოპიზარი. 1937, გვ. 10, ტაბ. X II—X V.

2. Г. Ч у б и н а ш в и л и. Грузинское чек. иск., გვ. 638, ფოტ. 567.

ლომსიანიძე, გაბრიელ — კალიგრაფი. ცხოვრობდა XVI ს-ში. მონაწილეობდა ბედიელი მიტროპოლიტის გერმანე ჩხეტიძის გულანის (ხელნაწ. ინსტ. A 187) გადაწერაში (ამბროსი კარგარეთელთან, საბანაჯოფაქესთან, სიმონ გიორგიძესთან ერთად). ეს ორ ტომად აიწიპული უზარმაზარი წიგნია (45,7×31,5 სმ, ტომი ა—475 ფურც., ტომი ბ — 476 ფურც.), ნუსხურად ნაწერი ორ სვეტად შავი მელნით. ინიციალები, ცალკეული სიტყვები და სტრიქონები სინგურისაა, სამკაულები არ არის. გაბრიელი მშვენიერი პროფესიონალი იყო, წერდა მკაფიო, ადვილად წასაკითხი, ხელით, მცირედ დახრილი ასოებით, რომლებიც გუთურ შრიფტს მოგვაგონებს.

ლომსიანიძე წარმოშობით შავშეთიდან ყოფილა და გერმანე ბედიელის მიწვევით ჩასულა სამუშაოდ ბედიაში. 529-ე ფურცლის ანდერძში შემდეგია მოთხრობილი: «ბედიელ მიტროპოლიტი მთავარებისკოპოსი ჩხეტიძე გერმანე ადიღენ ღმერთმან შენ მიერთთა დიდებითა ორთავე შინა ცხორებაჲსა..., რომლისა ბრძანებითა წამოველ თემით შავშეთით დაბით დიობნით, ძირით მთით კარჩხალთაჲთ და ნებითა და შეწევნითა ღვთისაჲთა მოვიწიე ოდიშს, ბედიას ტაძარსა და საყდარსა ვლაქერნისა ღთისმშობელისსა. და შეწევნითა და წარმართებითა მისითა ვიწყე წერად წმიდათა ამათ და სულთა განმანათლებელთა თუშთა იანვართი ერთითგან ვიდრე აქამომდე, ყოვლითურთ სრულისა და უკლებსა, ვითა უნდოდა ბევრისა წიგნისგან ვირე და გავასრულე რაჲცა უნდოდა და რისაცა დედა ვიშოე, არა დამიკლია რაჲ ღვთისაჲ შეწევნითა. ამისსა მწერალსა ფრიად ცოდვილსა კერძო დიაკონსა გაბრიელს ლომსიანიძესა და მისთა დედამამათა და ნათესავთა შეუნდნეს ღმერთმან. და ვინცა შენდობაჲ ბრძანოს, მასაცა შეუნდნეს ღმერთმან. მისსა ამხანაგსა მწერალსა სვიმონ გიორგიძესა და მისთა დედა მამათა შეუნდნეს ღმერთმან ამინ. დამამტკიცებელი ღმერთმან გაკურთხენ».

გაბრიელი რამდენსამე სხვა ანდერძშიაც იხსენიება. სრულიად ბუნებრივია, რომ მან თავისი მშობლიური შავშეთი მიატოვა და ჩრდილოეთს მიაშურა: ეს ხომ ის ხანა იყო, როცა სამხრეთ საქართველოში თურქეთის ბატონობა მკვიდრდებოდა და ქართული და ქრისტიანული ყველაფერი იდევნებოდა.

1. Ф. Жорданья. Опис. рукоп. Ц. М., I, გვ. 206—210.

2. სმ ძველ ხელნაწ. გაბაკელი, გვ. 126.

მაკარი ლეთეთელი — სასულიერო მოღვაწე, კალიგრაფი. ცხოვრობდა IX ს-ში. წარმოშობით, შესაძლებელია, ქართლელი იყო, ქარელის მახლობლად მდებარე სოფ. ლეთეთიდან, თუმცა ეს უეჭველი არ არის. მამამისს გიორგი რქმევია. გამოთქმულია მოსაზრება (ნიკო მარი, აკაკი შანიძე), რომ იგი დიდებულ აზნაურთა ოჯახიდან წარმოდგებოდა, იყო ეფრემ მაწყვერელ ეპისკოპოსის ნათესავი და გამოჩენილი სასულიერო მოღვაწის გრიგოლ ხანძთელის მოწაფე. შემდეგ პალესტინაში ცხოვრობდა და საბაწმინდის ქართულ მონასტერში იღვწოდა. გიორგი მერჩულის გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში მთლიანადაა მოტანილი იმ წერილის ტექსტი, რომელიც ამ მაკარისა («მაკარი უძღურს») და ვინმე არსენის გამოუგზავნიათ პალესტინიდან თავისი მოძღვრის გრიგოლისათვის (ცხოვრება, იგ—იდ).

საბაწმინდის მონასტერში ყოფნის დროს მაკარიმ რამდენიმე სხვა პირის «თანა-შეწევნითა» გადაწერა მრავალთავი, რომელიც შემდეგ შეწირა «წმიდათ-წმიდასა მთასა სინასს» (დღემდე იქ ინახება, ყოფ. ქართულ მონასტერში). მაკარი იყო ამ წიგნის შექმნის ინიციატორი: «... ღირს მყო ღმერთმან შესაქმედ წმიდისა ამის წიგნისა მრავალთავისა, თანა-შეწევნითა ძმისა ჩუენისა სულიერად ჰიშენ კახისაჲთა და კელთ-წერთა დედისა ძმისწულისა ჩემისა ამონა ვახტანგ მოძარღულისა ძისაჲთაო», წერს იგი ანდერძში (ფ. 273). ეს წიგნი, სპეციალურ ლიტერატურაში სინური მრავალთავის სახელით ცნობილი, რომელიც დაიწერა «დასაბამითგან წელთა ხუამჲ, როცა ქორონიკონი იყო ელ» ($84 + 780 = 864$), იმითაცაა შესანიშნავი, რომ ეს უძველესი თარიღიანი ქართული ხელნაწერია. თუმცა გადამწერად მარტო ამონაა დასახელებული, მაკარი კი მხოლოდ მოთავედ იხსენიება, მკვლევართ (ა. შანიძეს) მიაჩნიათ, რომ მაკარი მთავარი გადამწერიც უნდა ყოფილიყო.

წიგნის ზომაა 24,3×20,3 სმ. ტექსტის ის ნაწილი, რომლის შესრულებაც მაკარი ლეთთელს მიეწერება, განაწილებულია ორ სვეტად, ნაწერია ფართო, მკაფიო, თანაბარი მრგოლოვანი ასოებით. ხაზის გამსხვილება კალმის დაჭერის ადგილას და წერილი გადასვლები მტიცივე, დაჯერებულ ხელს გვიჩვენებს. სტრიქონები სწორი და თანაბარია. მაკარი «სიტყეებს შორის საკმაო არეს სტოვებს, ხშირად ხმარობს წერტილებს, თითქმის ყოველი სიტყვის შემდეგ... წინადადების შემდეგ იგი ორწერტილს სვამს, რომელიც უმეტეს წილად ირიბია». ამ ადრინდელ ხანაში ხელნაწერი წიგნის გაფორმება ჯერ კიდევ მარტივი და მკაცრი იყო. აქაც — არაფიგურული სამკაული, «თუ არ ჩავთვლით ასეთად წითურად ნაწერ სათურებს, წითურადვე დაწერილს ახალი თავების დასაწყისთა პირველ ასოებს და, ამას გარდა, უკანასკნელი თხზულების ბოლოს დასატულ დასაბოლოებელ ფიგურას» (ეს სულ მარტივი მოტივია — რამდენიმე პარალელური ჰორიზონტალური ხაზი, რომლებიც, ეტყობა, სხვადასხვა ფერისა უნდა იყოს). «სამკაულებს უნდა მივათვალოთ ქვედა არშიაზე უკანასკნელი სტრიქონიდან არაჩვეულებრივად ჩამოგრძელებული ასოები, უმეტესად 1 ან 7. სამკაულადვე უნდა ვიცნოთ თავების დასაწყისში გამოყენილი ნიშანი... უმეტესად არის ორი ხაზი, ერთმანეთის X-ვით გადამკვეთი, რომლის ოთხსავე კუთხეში პატარა ნულებს ან წერტილებს ჩასმული» (ა. შანიძე. ასეთი ნიშნები მომდევნო საუკუნეების ხელნაწერებშიაც ხშირია). «გაფორმების» სურვილით აიხსნება, ცხადია, ისიც, რომ ძირითადი ტექსტის ბოლოს (ფურც. 273) სტრიქონები ვიწროვდება ისე, რომ სვეტი სამკუთხა სოლივით თავდება: ეს ხერხი მოსახსენებელია, რადგანაც იგი ტრადიციულად იქცევა და შემდეგშიაც ხშირად გვხვდება.

სინური მრავალთავის ხელნაწერში ა. შანიძე სამ სხვადასხვა ხელს არჩევს. მაკარის გარდა, ერთ-ერთი ნაწილის გადამწერი, როგორც აღვნიშნეთ, ამონაა, მაგრამ არაა ცნობილი, რომელი ნაწილი ეკუთვნის მას.


1. А. Цагарели. Сведения. Вып. 2, СПб. 1889, гв. 92—93.

2. Георгий Мерчул. Жизнь св. Григория Хандзнийского — Грузинский текст. Введение, издание, перепод Н. Маррас с дневником поездки в Шавшис и Кларджию. СПб., 1911, гв. XVIII, о. о.

3. Н. Я. Марр. Описание грузинских рукописей Синайского монастыря. М. Л., 1940, гв. 22—23.

4. სინური მრავალთავი 864 წლისა. ა. შანიძის რედაქციით, წინასიტყვაობითა და გამოკვლევით. თბ., 1959, გვ. 294—301.

5. G. Garitte. Catalogue des manuscrits Géorgiens littéraires du Mont Sinaï (CSCO, vol. 165). Louvain, 1956.



მამნი — ოქრომჭედელი

საღვთისმშობლის ხატის მოჭედილობა

მამნი — XV ს-ის ოქრომჭედელი. ე. თაყაიშვილის აზრით, ცხოვრობდა სამცხის ათაბაგის ყვარყვარე III (1435—1498) დროს. დარჩენილია მის მიერ შესრულებული რამდენიმე ნაწარმოები: საღვთისა და ბარაკონის საკურთხეველისწინა გერების მოჭედილობა, კელათში — გერის ბურთი, რომელიც შემდეგ უფრო გვიანდელ გვარს მიამარეს, 1920 წელს დაღუპული მიძინების ხატის მოჭედილობა (შემოქმედში გალანტილი ზარზმიდან). მამნი იხსენიება ყველა ამ ნივთის წარწერებში:

საღვთის გვარზე, რომელზედაც ვედრება, 13 საუფლო დღესასწაული და წმ. გიორგის წამების სცენებია: «ქ. შეწენითა ღვთისათა სრულ იქმნა იგ [ე. ი. 13. ვ. ბ.] საუფლო ჳელითა ოქრომჭედლის მამნით, შეუნდნეს ღმერთმან მამნეს და მისსა მეუღლეს ულუმპის».

ბარაკონის გვარზე (გვარცმის, ტახტზე მჯდომი მაცხოვრის, მთაწარანგე-



იოანე საღვთისმეტყველის გამოსახულება ზოგჯერ გვიჩვენებს ოქრომჭედის ხეობის

ლოზის, მარიამისა და ნათლისმცემლის ფიგურებით და წმ. გიორგის ცხოვრების რამდენიმე სცენით): «წმიდაო გიორგი, შეიწყალე ოქრომჭედელა მამნე მეცხედრითურთ».

შემოქმედში: «მიძინების სატო, მიშველე ოქრომჭედელს მამნეს და მეუღლესა ჩემსა».

გელათში (ბროსეს გადმონაწერით): «ოქრო-მჭედლისა მამნესი მეუღლეს მისსა უღმა...»

მამნე, როგორც ჩანს, თავის დროზე სახელმწიფოებრივი ოსტატი უნდა ყოფილიყო. XV ს-ში, როცა წინა საუკუნის გამანადგურებელი შემოსევების შემდეგ, საქართველოში ინტენსიური აღდგენითი მოღვაწეობა გაიშალა, გარკვეული გამოცოცხლება დაეცა ოქრომჭედლობასაც. მამნეს ნამუშევრები ამ გამოცოცხლების მაუწყებელია. ამ ხანისთვის დიდად დამახასიათებელია სატები და

ჯვრები, რომელთა მრავალფეგურიან კომპოზიციებში ფართოდაა გაშლილი სარწმუნოებრივი ლეგენდის სცენები. სადგერის დიდი ჯვარი (სიმაღლე 2,30 მ, განივი მკლავების სიგანე — 1,06 მ) ამ ტიპის ძეგლთა ერთი ყველაზე თვალსაჩინო ნიმუშთაგანია. სცენები ნაჭედიან მოოქრული ვერცხლის ფირფიტებზე, რომლებიც ხის ჯვარს ფარავდა. ბარაკონის ანალოგიური ჯვარი უფრო მცირეა (სიმაღლე 57 სმ, განივი მკლავების სიგანე — 59 სმ). მამნე იშვიათად მიმართავს ორნამენტს, მაგრამ სადაც კი აკეთებს (მაგ. ბარაკონის ჯვარზე) — ორნამენტი საკმაოდ მრავალფეროვანია და მარჯვედაა შესრულებული. ფიგუროვანი კომპოზიციები გლუვ, მოუჩუქურთმებელ, ფონზეა გაშლილი. თვით ფიგურების გადმოცემისას მამნეს, ცხადია, არ შეეძლო ნამდვილი სკულპტურული ამოცანების დასმა: ასეთი რამ შეუძლებელი იყო ქართული პლასტიკის განვითარების იმ ეტაპზე, რომელსაც მამნე ეკუთვნოდა. მაგრამ იგი მაინც ასერხებს, რომ იკონოგრაფიულად უკვე დაკანონებულ სცენებში ერთგვარი სიცოცხლე და მოძრაობა შეიტანოს, ჩანს, რომ გადმოცემული სიუჟეტები მას შექანიკურად კი არ ჰქონდა გადმოღებული, არამედ თვითონაც ცდილობდა მათს გააზრებას.

1. ექ. თ ა ყ ა ი შ ე ი ლ ი. ჩხარის ეკლესიის სიძველენი: 1—სადგერ-ჩხარის დიდი ჯვარი, მისი წარწერები და ამ წარწერების განმარტება: სსმ მოამბე, XV-B. თბ., 1948, გვ. 166—171 და ტაბულები.
2. ე. თ ა ყ ა ი შ ე ი ლ ი. მამნე ოქრომკედლის კიდევ ერთი ნახელაი: საქართველოს მეცნ. აკად. მოამბე, ტ. X, № 6, 1949, გვ. 385—387.
3. Е. Такайшвили. АЭРЗ, I, Т. 1905, გვ. 72.
4. Brossel. Voyage. III, გვ. 17.
5. გ. ჩ უ ბ ი ნ ა შ ე ი ლ ი. ქართული ოქრომკედლობა XIII—XVIII სს-ში. თბ., 1957. ალბომის შესავალი ტექსტი.
6. Г. Чубинашвили. Грузинское чек. иск., გვ. 525, 526, 527, 628, 630, 631, სურ. 494—501.

მაქსიმე — კალიგრაფი. მისი გადაწერილია სხვადასხვა სასულიერო ნაწარმოებთა კრებული (ხელნაწ. ინსტ. А 146), რომელშიაც შესულია დოროთეოსის თხზულება ბერობის შესახებ, მისივე — იოანე წინასწარმეტყველის პასუხები დოროთეოსის საკითხებზე, მაქსიმე აღმსარებლის «სწავლანი სულიერნი», ეგვიპტის მფფის ასულის წმ. ნისიმის ცხოვრება. 180-ე გვერდზე წერია: «სულსა ამის დამწერელისა მაქსიმესსა შეუნდენე ღმერთმან».

კრებული 110-ფურცლიანი მცირე ფორმატის წიგნია (18,2×13 სმ), ნუსხურით ნაწერი ეტრატზე ორ სვეტად, შავი მკლნით. ხელი საკმაოდ მკაფიოა, მაგრამ ოსტატობის მაღალი დონე არ ჩანს. მაქსიმეს თავისი წიგნის მორთვის აშკარა მიდრეკილება ჰქონია: არშიებზე მოთავსებული სახედაო ასოები ზოგი

მელნითვეა უბრალოდ მოხაზული, მაგრამ ზოგი ორნამენტანია — ასოს სხეული ინასკევა, ზოგან ფოთოლი ებმის, ზოგან მთლად შეფოთლილია. ზოგი ასო ნახევარი გვერდის სიმაღლეზეა დაგრძელებული და შავ-წითლადაა შეღებილი. კალიგრაფი აღარ ერიდება ტექსტის სვეტების «ხელშეუსებლობას», როგორც IX — XI სს-თა ხელნაწერებშია, მისი სახედაო ასოები ზოგჯერ იჭრება კიდევ ტექსტში. თავსამკაული შავითა და წითლითაა მოხაზული. წიგნში ჩართულია ილუსტრაციებიც — არა ცალკე ფურცლებზე, არამედ ტექსტისავე გვერდებზე. შესაძლებელია, მათი ავტორიც მაქსიმე იყო, რომელმაც, ეტყობა, მიანც-დამაინც არ დაუდევდა კანონებს და საკუთარი ფანტაზიით ამკობდა თავის სელნაწერს. ილუსტრაციებში არის წმინდანთა ფიგურები და ერთი მრავალფიგურიანი სიუჟეტური სცენაც. შესრულება არ არის პროფესიული; ზოგან ფიგურები პირდაპირ არშიახვია დასმული. ეს სურათებიც და მორთულობაც უშუალობისა და ერთგვარი გულუბრყვილობის შთაბეჭდილებას ქმნიან.

თ. ქორდანია — ხელის მისხედვით — ამ ხელნაწერს XIV ს-ეს მიაკუთვნებს.

Ф. Жордания. Опис. рукоп. Ц. М., I, გვ. 153.

მაქსიმე ტაძელი — კალიგრაფი. ცხოვრობდა XII—XIII სს. (ცაგარლის თანახმად), ასომთავრულით გადაწერა მდიდრულად მორთული (სახედაო ასოებით, მინიატურებით და სხვ.) ოთხთავი, რომელიც იერუსალიმის ჯვრის მონასტრის ბიბლიოთეკას ეკუთვნის (ცაგარლის კატალოგი № 9). უეჭველია თვითონაც იქვე მოღვაწეობდა.

А. Цагарели. Сведения, вып. 2, 1869, გვ. 12—13.

მაღალაძეები — ქართული აზნაურების ძლიერი ფეოდალური გვარი, რომლის წარმომადგენლებიც სასულიერო და კულტურულ ასპარეზზე იღვწოდნენ. მათი ბუდე სოფელი წინარეხი იყო (ახლა კასპის რაიონშია, კავთურის ხეობაში). წინარეხს ზემოთ მათ ჰქონდათ რეზიდენცია სასახლით, კოშკებითა და ძველი ეკლესიით. ეს შენობები დღესაც მაღალაძეთ ეკლესიისა და მაღალაძეთ კოშკების სახელითაა ცნობილი. ეტყობა, XV ს-დან დაწინაურებულან, განსაკუთრებულ სიძლიერესა და კეთილმდგომარეობას XVII ს-ში მიაღწიეს. ამ საუკუნის მეორე ნახევარში გვარის მეთაურია ნიკოლოზ ქადაგის ძე პაპუა მაღალაძე, «დიდისა და ცათა მობაძავისა კათოლიკე ეკლესიისა სვეტიცხოვლისა სახლთუხუცესი». მისი ანდერძის თანახმად, იგი ქართლის მეფეებთან და კათალიკოსებთან დაახლოებული პირი ყოფილა. ბევრი მამული შეუძენია, ბევრი უშენებია, დიდად გარჯილა თავისი საგვარეულოს ნივთიერი და საზოგადოებრივი მდგომარეობის განსამტკიცებლად. მცხეთის ქადაგის თანამღე-

ბობა მალალაძეებს ადრევეც სავარაუდოდ ჰქონდათ, ახლა მათ გვარს ეკუთვნის აგრეთვე კათალიკოსთა სახლთუხუცესობა; ჩვენთვის ის უფრო საინტერესოა, რომ ამავე გვარში მემკვიდრეობით ხელობად იქცა მდივან-მწიგნობარობაც. თვალსაჩინო პიროვნება იყო პაპუას ვაჟი ბერი ნიკოლოზი, სვეტიცხოვლის ქადაგი. დომენტი კათალიკოსის მიერ აღზრდილი, კაცი დიდად ენერჯული, თავის მამის მსგავსად მაშენებელი და შემკეთებელი კოშკებისა და ეკლესიებისა, ხელნაწერთა მომგებელი და შემწირველი და თვითონაც კალიგრაფი (მისი გადაწერილია სასულიერო თხზულებათა კრებული, ხელნაწ. ინსტ. A 904). მისი სახელი გვხვდება XVII ს-ის მიწურულის საბუთებში, ხატებზე, მის მიერ შეკეთებული მალალაანთ ეკლესიის კედელზე, სვეტიცხოვლის კედელზე. ნიკოლოზის ძმა იყო ადამ მალალაძე, რომელიც «საკათალიკოსო კარის მდივანად ჩანს 1667—1693 წლებში» (ა. ბაქრაძე).

ნიკოლოზის ბიძაშვილი (პაპუას ძმის რევაზის ძე) სოლომონი, რომელიც XVII—XVIII სს-თა მიჯნაზე ცხოვრობდა, უკვე 1702 წელს კათალიკოსის მდივან-მწიგნობარ-მგალობელი იყო, წერდა საბუთებს, იყო თავის დროის ცნობილი კალიგრაფი (ხელნაწ. ინსტ. S—286, ბესარიონ ორბელიანის გრდემლი, ლამაზი მხედრულით დაწერილი; S — 3683, ვახტანგის სამართლის წიგნების ერთ-ერთი უძველესი ნუსხა—ასეთივე მხედრულით ნაწერი, და სხვ.), მონაწილეობდა ვახტანგ VI-ის სტამბის საქმიანობაში (ფიქრობენ, რომ მან დაამზადა სასტამბო მხედრული შრიფტისათვის ხელნაწერი ნიმუში). სოლომონის აშენებულია 1716 წ. მალალაანთ ეკლესიის სამრეკლო. 1736 წ. იგი ჯერ კიდევ ცოცხალია.

ამავე ხანებში მოღვაწეობდა დომენტი კათალიკოსის მდივან-მწიგნობარი ზურაბ მალალაძე, უფრო მოგვიანოდ, XVIII ს-შივე, მეორე ნიკოლოზ მალალაძე, ანტონ კათალიკოსის კარის პროტოპაპ-მდივან-ქადაგი: ორმოცდაათიან-სამოციან წლებში გვხვდება მისი ნაწერი საბუთები, 1761 წ. «სამეუფოსა ქალაქსა პეტრებუხს» მას გადაუწერია კრებული სამეცნიერო (სიტყვანი და სწავლანი სამეცნიერონი; სიტყვისგება სოგრატისი), ხელნაწ. ინსტ. H 1053 (მხედრული ნაწერია). XIX ს-ის მიჯნაზე გვხვდება იოსებ მალალაძე — მდივან-მორდალი (მორდალი — ბეჭდის მცველს ნიშნავს).

1. მალალაძეთა მიერ გადაწერილი საბუთები, აგრეთვე საბუთები, რომლებშიაც ამ გვარის სხვადასხვა წარმომადგენელი იხსენიება, ბევრ გამოცემაშია გამოქვეყნებული, მაგ., იხ. ე. თაყაიშვილის საქართველოს სიძველენი. ტ. I, II, III, ს. კაპაბაძის ისტორიული საბუთები, თ. უორდანიას ქრონიკები.

2. ხელნაწ. ინსტ. ხელნ. აღწ., S—1, 1960, გვ. 310; სმ ხელნ. აღწ., H—III, გვ. 51—52.

3. ვახტაგ ბერიძე. წინარეხელ მალაქეთა მშენებლობა XVII—XVIII ს.-უკუნეებში: სმ მოამბე, XIV—B, 1947, გვ. 195—217;

4. მისივე, წინარეხი — გომისწყვარი — სასხორი: საქართვ. სსრ მეცნ. აკად. მოამბე. IV, № 6, 1943, გვ. 609—610.

5. მისივე, მალაქანთ ეკლესია: ქართული ხელოვნება, 5, 1959, გვ. 206—207.

6. ქ. შარაშიძე. პირველი სტამბა საქართველოში. გვ. 112—114.

7. ლ. მენაბდე. ძვ. ქართ. მწერლ. კერები, I, გვ. 201—202.

8. ა. ბაქრაძე. XVI—XVIII სს. საქართველოს საკათალიკოსო და სათავადო მღვან-მწიგნობართა ქრონოლოგიური რიგი: პალეოგრაფიული ძიებანი. I, თბ., 1965, გვ. 7—32 (ამ ნარკვევში მკითხველი იპოვის დაწერილებით ცნობებს როგორც მალაქეთა გვარის შესახებ, ისე მღვიან-მწიგნობართა სხვა „ღინსტიეზუდაც“).

მახარობელი — კალიგრაფი. ცხოვრობდა XVII ს-ში. მისი სახელი შე-
მოგვინახა გიორგი წულუკიძის ბრძანებით გადაწერილმა წიგნმა — ესაა მარ-
ხვანი, ხელნაწ. ინსტ. A 1476. (28,8×20,4 სმ, 246 ფურცელი, ქაღალდი);
ნაწერი ნუსხურია, ორ სვეტად, შავი მელნით; თავიდან ბოლომდე ერთი ხელა-
არაა, მაგრამ მსგავსი კი არის, ისე რომ, შესაძლებელია, მაინც ერთი ოსტატის
ნაშრომი იყოს. ასოები სრულიად შეუულია, დაგრძელებათა და ყოველგვარ გაკ-
ვრა-გამოკვრათა გარეშე, წერილი და ძალიან ლამაზი (ზოგი ნაწილი მაინც),
უსამკაულოდ. ბოლო ფურცლის ანდერძში შემდეგია ნათქვამი: «... შეიწყალე
და ღირს ყავ ნაწილთა რჩეულთა შენთასაჲ წულუკიძე გიორგი, რომლისა ბრძა-
ნებითა და გულსმოდგინებითა დაიწერა წმიდაჲ და სულთა განმანათლებელი
სრული და ყოვლითურთ უნაკლულო მარხვა-ხატიკი...» შემდეგ, ორ სტრიქონად:

«საბრლო, ცოდვილისა მახარობლისა ნაწერი ჰვიან, ხოლო ჯორცი და
ქელნი საფლავსა შინა ღებვიან».

ეს ფორმულა, მცირე ვარიანტებით, საუკუნეთა მანძილზე გვხვდება ხელ-
ნაწერებში.

წიგნს აქვს ერთი მინაწერი (ფურც. 72), რომელიც სხვა ხელნაწერთა ზოგ
მინაწერთან ერთად, მოწმობს, თუ როგორი პასუხისმგებლობითა და სიყვარუ-
ლით ეპყრობოდნენ ჩვენი ძველი ოსტატი-კალიგრაფები თავის საქმეს. ამ
ფურცელზე ნაწერი ცოტა გათხუზნილია და ქაღალდს თითის ანაბეჭდი აჩნია. მა-
ხარობელს იქვე, ქვემო არშიაზე მიუწერია: «ქარში გამოვედი, წიგნი შემიშალეს.
მე ნურავინ დამწყევ, ვინც ეს წიგნი შეშალა, ის დასწყევლეთ».

სსმ. ხელნ. აღწ. A—V, 1955, გვ. 17—18.

მელქიზედეძე სამსონისძე — კალიგრაფი, რომელმაც 1520 წელს მერაბ კალმახელისთვის გადაწერა ოთხთავი, ხელნაწ. ინსტ. H 1721. მე-4 ფურცელზე მოთავსებულ ანდერძში ნათქვამია: «დიდება ღმერთსა სრულყოფელსა ყოველთა კეთილთასა, რომელმან ღირს მყო წმიდათა ამათ და სულთა განმანათლებელთა აღწერად მე, არა ღირსი ესე მელქიზედეგ. აწ წმინდანო მამანო... ვევედრები, რათა ლოცვაჲ ჰყოთ ჩემთვის, ვითა მელქიზედეგს და მამასა მისსა სამსონს შეუდნენს ღმერთმან... და ვისთვისცა დაეწერე ესე, პატრონსა მერაბს კალმახელსა და ძეთა მისთა მშვიდობით აქმარენ ღმერთმან...» ეს ანდერძი წიგნის დასაწყისშივეა, ძალიან თვალსაჩინო ადგილას. იგი ასომთავრულითაა საგანგებოდ ნაწერი სინგურის საღებავით — ესეც ერთი იმ მაგალითთაგანია, რომლებიც მოწმობს, რა დიდად ფასდებოდა «მწერლის» პიროვნება და მისი შრომა ძველ საქართველოში. თვით მერაბ კალმახელის ანდერძში (წიგნის ბოლოს, 324—325-ე ფურცლები) მითითებულია, რომ «დაიწერა წმიდაჲ ესე სახარებაჲ ქორონიკონსა სმ, მოქცევასა მეცამეტსა» (ე. ი. 208 + 1312 = 1520).

წიგნი მცირე ფორმატისაა (12×8,4; 02+326 ფურცელი, ეტრატე), ნაწერი ნუსხურით, ორ სვეტად, მუქი ყავისფერი მელნიით; საზედაო ასოების ნაწილი სინგურითაა გამოყვანილი. ნაწერის ხარისხი საშუალოა; თავსამკაულები (ყოველი სახარების წინ) ღამაზადაა შესამებული ლურჯითა და ოქროთი, სინგურის მცირედ მიმატებით. მახარებლების გამოსახულებები (ოქროს ფონზე) — ლურჯი, სოსანი, მწვანე, ყავისფერი; აქა-იქ სინგურიცაა, მაგრამ საერთოდ ყრუ ფერებია. წინა საუკუნეების მინიატურებთან შედარებით ნაკლები ხელობისაა, მაგრამ შესრულება მაინც პროფესიულ დონეზე დგას; ფიგურები ექსპრესიულია: ოდნავ წაგრძელებული კისრები აქვთ, თითქოს ყელმოღერებულნი არიან, წინისკენ მისწრაფებულნი (მჯდომარე ფიგურებია).

როგორც ყველა სხვა შემთხვევაში, აქაც დაჯერებით ძნელი სათქმელია, მინიატურების ავტორიც გადამწერია, თუ სხვა ოსტატი.

სსრ ხელნ. აღწ., H—IV. 1950, გვ. 154—155.

მეპარნიშვილები, მარკოზ და მახარობელი — «გალატოზები», რომელთაც ააშენეს ზემო ნიქოზის სამრეკლო. მათთან ერთად მშენებლად იხსენიება გიორგი გურიტიშვილი. სამი წარწერა, რომლებშიაც ეს გვარებია დასახელებული, მოთავსებულია სამრეკლოს ფასადზე და ფანჩატურში. სამრეკლო დაძარილებული არ არის, მაგრამ გვიან-ფეოდალურ ხანას უნდა ეკუთვნოდეს. სამრეკლო თლილი ქვით მოპირკეთებული ორსართულიანი ნაგებობაა. მეორე სართული არაა გამოყოფილი ცალკე ფანჩატურის სახით, როგორც ჩვეულებრივ

კეთდებოდა, არამედ I სართულთან ერთად შეადგენს მთლიან სწორკუთხა კოშკისებრ მასივს. ქვემო სართული გალავანში შესასვლელია. სამრეკლოს უჩვეულო სახეს ანიჭებს მისი საბურავი, რომელსაც ორის ნაცვლად ოთხი ფერდი აქვს. ამის გამო ოთხივე ფასადი ზემოთ ფრონტონით მთავრდება. ფრონტონის წვერობებში ტრადიციული ცხვრისთავების ქანდაკებებია მოთავსებული. კედლის წყობა, თაღები მოკლებულია სიზუსტეს, მაგრამ გვიანი ხანის კვალობაზე, ერთგვარ პროფესიულ დონეზე მაინც დგას.

ი. მ. გ. რ. ლ. ი. ძე. ცხინვალი და ზემო ნიქოზის სიძველეები. სტალინირი, 1952, გვ. 58—59.

მესხიშვილი — «მესხიშვილთა გვარმა... მისცა ქართულ მწერლობას მთელი რიგი გამოჩენილ მოღვაწეთა, რომელთაც შექმნეს შესანიშნავი კალიგრაფიული სკოლა და ხელი შეუწყვეს ჩვენი ლიტერატურის გამდიდრებას XVIII—XIX სს-ში როგორც ახალ თხზულებათა თარგმნით თუ დაწერით, ისე უკვე არსებულთა გადაწერით» (კ. კეკელიძე). პ. კარბელაშვილის ცნობით, წარმოშობით მესხეთიდან იყვნენ: «მღვდელი პეტრე მესხი მოჰყვა თავის ცოლშვილით სამცხიდან ხელით-უქმნელს ანჩისხატსა. 1674 წ. კათალიკოზმა დომენტიმ მისცა ადგილი კანდელაკისა ანჩისხატის ტაძარში... მიიცვალა 1680 წ. ჩვენამდე მოაღწია მისმა ნაწერმა მშვენიერის ხუცურის ხელით კონდაკმა...» პ. კარბელაშვილის ვი თანახმად, ამისი შვილი ყოფილა ანჩისხატის დეკანოზი გრიგოლი, მხატვარი, რომელიც თბილისის მოქალაქე გამხდარა (იხ. ქვემოთ, მისი შვილის ალექსის წიგნთა ანდერძები). გრიგოლის შვილი იყო ალექსი, რომლისგანაც იწყება სახელგანთქმულ კალიგრაფთა რიგი.

1. ალექსი გრიგოლის ძე — XVIII ს-ის შუა ათეული წლების მოღვაწე, აგრეთვე ანჩისხატის დეკანოზი იყო (ამის შემდეგ მესხიშვილთა მოღვაწეობა ძირითადად ანჩისხატის ტაძართანაა დაკავშირებული). სწორედ ისაა კალიგრაფთა დინასტიის ნამდვილი მეთაური. მის მიერ გადაწერილ წიგნებში თავისთავს იგი ყოველთვის მხატვრის ძეს უწოდებს: «იესო ტკბილო, უოხე სულსა ჩემსა ფრიად ცოდვილსა მწერალსა ამისსა მხატვრის ძესა ალექსის»; «...წერად ჭელფყავ ტფილურთა მოქალაქე ქმნილის მხატვრის გრიგოლ მღვდლის, დეკანოზის ძემან... მღვდელ-დეკანოზმან ალექსი...»; «ქელოან მხატვრის მღვდლის ძე...» და სხვ. სამწუხაროდ, ამ «ხელოვანი მხატვრის» ნამუშევრებს ჩვენ არ ვიცნობთ; სამაგიეროდ, ალექსის გადანუსხული წიგნი დღემდე ბევრია მოღწეული, რაც საშუალებას გვაძლევს სრულად წარმოვიდგინოთ მისი დიდი ოსტატობა. იოანე ბატონიშვილის «კალმასობაში» მის შესახებ შემდეგია ნათქვამი: «ესე იყო მეცნიერი კაცი, მოძღუარი სულიერი ანტონი კათალიკოზისა,

ჰოვანის განხილვის შემდეგ მოხდა. ჰოვანის მონაწილეობის...

ჰოვანის მონაწილეობის შემდეგ...

ჰოვანის მონაწილეობის შემდეგ... მოხდა...

ჰოვანის მონაწილეობის შემდეგ... მოხდა... მოხდა...

ჰოვანის მონაწილეობის შემდეგ...

ჰოვანის მონაწილეობის შემდეგ... მოხდა...

ჰოვანის მონაწილეობის შემდეგ... მოხდა... მოხდა... მოხდა...

მწერალი ხუცურისა და მხედრულისა, რომელიცა ღირს ქებისა არს ნაწერებისა-
გან. ამან მრავალნი საღმრთო წერილნი და ისტორიანი გარდასწერნა. და ამან
კეთილად აღზარდა შვილნი თვისნი გიორგი, სოლომონ და დავით,
რომელთაც ასწავლნა სამეცნიერო წერილნი, საღმრთონი და მგალობლობა-
ცა...». ანტონ კათალიკოსთან ალექსი დიდად დაახლოებული იყო; როცა ანტონი
გადააყენეს და განდევნეს, ალექსისთვისაც რაღაც შეურაცხყოფა მიუყენებიათ.
ალექსი რუსული ორიენტაციის მოღვაწე ყოფილა; მის საკუთარ ნაშრომთაგან
კ. კეკელიძე განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს მის მიერ თთუენის შეს-
წორებას რუსული ტიპიკონის მიხედვით.

ალექსის გადაწერილი აქვს როგორც სასულიერო შინაარსის წიგნები (ოთხ-
თაგები: S 2715, H 1114 და Q 264, H 1666; ტიპიკონები A 399, A 459;
რჯულის კანონები A 344, A 478; თენი A 1093; ხრონოგრაფი H 1671;
ქაშნი S 1096; ლოცვანი Q 295; წმინდანთა ცხოვრებანი H 2077 — ყველა
ხელნაწ. ინსტიტუტში), ისე საეროსიც (ვისრამიანი H 716, ქილილა და დამანა
S 5004, საბა-სულხანის ლექსიკონი S 4748); წერდა საბუთებსაც. ზემოთ ჩა-
წოთვლილ წიგნთაგან ყველა კალიგრაფიული ნაწერი არ არის. მაგ., რჯულის-
კანონი A 344, ვისრამიანი H 716 სწრაფი ხელითაა ნაწერი და ნასწორებიც
(მხედრულია).

ყველაზე ადრინდელი მის მიერ გადაწერილ წიგნთაგან (ჩვენთვის ცნობილ-
თაგან) უნდა იყოს ქაშნი (S 1096), მხედრულით ნაწერი მკაფიოდ, მაგრამ ჯერ
კიდევ შეუმუშავებელი, გამოუცდელი ხელით. გამაწერის ანდერძში ნათქვამია:
«მე, ალექსიმ დიაკონმან, ჩვიდმეტის წლისამან დაეჩხაბე ქაშნი ესე». სამწუხა-
როდ, სწორედ ამ ხელნაწერს არ უზის თარიღი, თორემ ჩვენ ალექსის დაბადე-
ბის წელსაც შევიტყობდით. მხედრულად ნაწერი უფრო გვიანდელი წიგნები —
H 1671, ხრონოგრაფი, 1752 წლისა, განსაკუთრებით S 5004, ქილილა და და-
მანა, 1747 წლისა უკვე ოსტატის ხელს ამქდავენებს, თუმცა მაინც ვერ შეედრება
მისსავე ნუსხურ ნაწერს. ქილილასა და დამანას ხელნაწერში დამახასიათებელია
სტრიქონს ზემოთ ატანილი ო; ასეთი ო — ძალიან ბევრია, ყველა გრძლად
მოქნეული მრუდი ხაზის სახითაა და ნაწერის სახეს ეს «კუდები» თავისებურ ბე-
ჭედს ასვამს. ანდერძში ალექსი წერს, ამის შემკვეთთ «უმეტეს ენჯათ წიგნისა
ანის თვისად ქონებაჲ», მაიძულეს და ამიტომ «ჩუენცა არღარაჲ ურჩ ვექმენით
ამის აღწერადო». ამის მხილველნი ნუ გამქირდავთ, რადგანაც «დიდადცა უცალო
ვიყავით საქმისა და მოუცლელობისაგან, უფროვე ღამით ვწერდით და ამისათ-
ვის გულსმოდგინედ კაის ქელად ვერ აღვწერეთო», ბოდიშს იხდის შემდეგ
ალექსი.

მხედრულად ნაწერ წიგნთაგან განსაკუთრებით საყურადღებოა საბას ლექსი-
კონი, რადგანაც მას დართული აქვს თვით საბას პორტრეტი, როგორც ჩანს,
ალექსისავე ხელით შესრულებული. ანდერძში ნათქვამია: «დაიწერა ჯელითა
მხატვრის ძის ალექსისათა, მონისა ღეთისა ჯელოვანისა მწერალ მწიგნობარ
მგალობელისა» — ბოლო სიტყვები, «მონისა»-დან მოყოლებული, დიდი ჩარ-
თული ასოებითაა ნაწერი. ალექსის სახელი ჩართულია აგრეთვე დიდ, სინგურით
შესრულებულ და დეკორაციულად დამუშავებულ, სათაურ ასოებში ს-სა
და ხ-ში.

ალექსი შეიძლება ჩაითვალოს, ნიკოლოზ სიონის დეკანოზთან ერთად
(იხ. მიქაძეები), XVIII ს-ის ქართული ნუსხური ხელნაწერი წიგნის ერთ-
ერთ საუკეთესო ოსტატად. მისი ნუსხური, ჩვეულებრივ, საგრძნობლად დახრი-
ლადაა ნაწერი, ლამაზად, ძარღვიანად, კალმის ოსტატურად დაჭირებით და ისე-
თი ვირტუოზული სიზუსტით, თითქოს ავტომატის შესრულებული იყოს. ამ
მხრივ განსაკუთრებით საკვირველია ოთხთავი, რომელიც ხელნაწერთა ინსტი-
ტუტში ორ სხვადასხვა ფონდში ირიცხება განსხვავებული №№-ით: მათესა და
მარკოზის სახარებები ცალკეა აკინძული (H 1114), ლუკასი ცალკე (Q 264;
იოანესი არ ჩანს). ეს ნამდვილი მინიატურებია, ზომით 5,5 X 4 სმ, რომელთა
ტექსტიც მიკროსკოპული ნუსხურითაა ნაწერი (ორ სვეტად, შავი მეღნით);
მისი წაკითხვა გამადიდებელი შუშის გარეშე შეუძლებელია; ეს წიგნები არა
მარტო დახელოვნების ნაყოფია, არამედ უსაზღვრო მოთმინებისაც და რწმენი-
საც. მაინც ამ ოთხთავის ნაწერი იმდენად მკაფიოდ არ ამქლავნებს (სწორედ
მეტისმეტი სიწვრილის გამო) ალექსის ხელის ხსენებულ თავისებურებას, რო-
გორ სხვა წიგნები, რომელთა უმეტესობაც საშუალო და მოზრდილი ფორმატი-
საა. ალექსი მარჯვედ იყენებს ქართული ხელნაწერი წიგნის გაფორმების ტრა-
დიციულ ხერხებს, რომლებიც საუკუნეთა მანძილზე ცოცხლობს, სტილითა ცვა-
ლებადობის მიუხედავად: ფურცელს აცოცხლებს მეღნითვე ან სინგურით ნაწე-
რი, მუხლების დასაწყისში დასმული, საზედაო ასოებით, ზემო არშიაზე სინგურით
აღნიშნული სათაურებით, არშიებზე გაყოლებული მუხლების სათვალავით, სინ-
გურის სტრიქონებით ტექსტში; თავების ან პარაგრაფების ბოლოს ტექსტს სამ-
კუთხა სოლივით ამთავრებს და სხვ., ძალიან უყვარს ჩართული წერა დიდი,
მტკიცე ხელით გამოყვანილი, ძალიან დეკორაციული მთავრული ასოებით: ჩვე-
ულებრივ, მხოლოდ შავ მეღანს ხმარობს და ოთხი-ხუთი სტრიქონით ავსებს
მთელ გვერდს, რომლის ზოგადი კომპოზიციაც ყოველთვის კარგადაა გააზრე-
ბული და მთლიან შთაბეჭდილებას ტოვებს. ამ ჩართული ნაწერის შინაარსს უმე-
ტესად ანდერძები შეადგენს, რომლებშიაც ალექსი თავის თავს ასახელებს და

შენდობას ითხოვს. იგი იყენებს XVII—XVIII სს-ში გავრცელებულ ხერხებსაც, რომლებიც ისლამური ხელნაწერების (უპირველესად, სპარსულის) გავლენას ამქადავენებს, მაგ., ტექსტის სვეტების ჩასმას ჩარჩოებში.

ყველაზე მდიდრულად მორთული მის წიგნთაგან 1743 წელს კათალიკოს-პატრიარქის ნიკოლოზის შეკვეთით გადაწერილი ოთხთავია (H 1366; 24,8×17,5 სმ, ეტრათი). ყოველი სახარების პირველი გვერდის ორივე სვეტი სწორხაზოვან ოქროსფერ ჩარჩოშია ჩასმული, ხოლო გვერდის მთელი ზემო ნახევარი ძალიან ინტენსიურ, დატვირთულ, მძიმე თავსამკაულს უჭირავს: ეს სწორკუთხა ჩარჩოა, რომლის ქვემო ნაწილის შუაში მრავალკბილა თაღია შეჭრილი, ისლამური ხასიათისა: გვერდის ასეთი მოკაზმულობა (ზოგადი სახით) გვხვდება ნიკოლოზ სიონის დეკანოზის მიერ შესრულებულ სა დ დ ე ს ა ს წ ა უ ლ ო შ ი (A 1454), ქ ე ე შ ი ს 1673 წლის სა ხ ა რ ე ბ ა შ ი და სხვ. თავსამკაულის მთელ არეს ოქროსფერი ფონი აქვს და ზედ წითელი და ლურჯი ორნამენტული სახეებია. თითქოს აქ რაღაც ტრადიციული ელემენტებიცაა (დახლართული ლენტი, მცენარეული სახეების სტილიზაცია), მაგრამ მათ ტლანქი იერი აქვთ, ფერების შეხამებაც მჭახვია. ავტორის წმინდა ტექნიკური დახელოვნება მაინც უეჭველია; ამას მოწმობს თუნდაც მათეს სახარების თავსამკაულში ჩართული მიკროსკოპული ნახატი — მოგვთა თავყვანისცემა. პირველი სამი სახარების პირველ გვერდებზე, თავსამკაულთა გარდა, არშიაც მორთულია მასივური, პრეტენზიული, ორნამენტული კომპოზიციებით; მათესა და მარკოზის სახარებათა თავში ეს შეველ დერძზე ასხმული ორნამენტული ხლართია, ლუკას სახარების დასაწყისში — ფანტასტიკური არქიტექტურული კომპოზიცია ბალდახინის სახისა.

აღექსის ბევრ წიგნს ახლავს ილუსტრაციები: ქამნი S 1096 შემკულია ტექსტში ჩართული მინიატურებით, წმინდანთა ცხოვრება H 2077 — ქართველ წმინდანთა 24 გამოსახულებით (თითო გვერდზე ოთხ-ოთხსა), ოთხთავი H 1656 — მახარებელთა სურათებით, საბას ლექსიკონი, როგორც ითქვა — საბას პორტრეტით. ზოგი ამთავანი ევროპული ნახატების გავლენას ამქადავენებს (მაგ., მახარებელთა სურათებში არქიტექტურული ფონი ბაროკულ-კლასიკური ხასიათისაა), მაგრამ რეალისტური ევროპული მხატვრობის ფორმალური საშუალებები — პერსპექტივი, მოცულობის გადმოცემა და სხვ. — აღექსისთვის მაინც უცნობი დარჩენილა. მისი ნახატები, მთლიანად, მაინც ხელოსნურ იერს ატარებს, თუმცა მათი კულტურულ-ისტორიული ღირებულება, მით უფრო, საბას და ქართველ წმინდანთა პორტრეტებისა, სრულიად უეჭველია (დაწვრილებით საბას პორტრეტის შესახებ იხ. ლ. ქუთათელაძის წერილში).

პ. კარბელაშვილის ცნობით, ალექსი «მიიცვალა 1766 წ. და დასაფლავდა ანჩისხატის ტაძრის დასავლეთის კარებს წინ».

სწორი უნდა იყოს მოსაზრება (ლ. ქუთათელაძე), რომ მესხიშვილთა მომდევნო თაობების მიერ თავისი გვარის ალექსი-მესხიშვილად შეცვლა ალექსი დეკანოზის ხსოვნისა და ღვაწლის აღსანიშნავად უნდა მომხდარიყო.


2. სოლომონ ალექსის ძე (1742—1808) — ანჩისხატის დეკანოზად 1791—1808 წლებში ყოფილა, «მიიცვალა 1808 წ. და დასაფლავდა ანჩისხატის ტაძარში ღვთისმშობლის ხატის წინ, ამბიონის მარცხნივ» (კარბელაშვილი).

პ. კარბელაშვილი მის შესახებ შემდეგს მოგვითხრობს: 1795 წლის 12 სექტემბერს, აღა-მაჰმად-ხანის შემოსევის დროს, სოლომონი «განუშორებლივ იდგა თავის საყვარელ ანჩისხატის ტაძრის კარებთან და ელოდა -- რით გათავდებოდა თავგანწირული ბრძოლა ერეკლე მეფისა ყიზილბაშებთან; ვიდრე სიონთან არ მიცვივდნენ ყიზილბაშები, მანამ ფეხი არ მოიცვალა სოლომონ დეკანოზმა: მაშინ კი მოიკიდა ზურგზე ხელით-უქმნელი ანჩისხატი და გაუდგა ვერისაქენ საბურთალოზოგად და ასე ზურგით აიტანა მცხეთამდე ეს ამოდენა ხატი; აქედან ურმით ანანურში წაასვენა გერგეტისაქენ. მისი რჩევით მეფე ერეკლე და გიორგი სწირავდნენ ღარიბს, ყიზილბაშთა და ლეკთაგან აკლებულს, ეკლესიებს შესამოსელსა და საჭირო ნივთებსა: ბარძიმ-ფეშხუმსა, კანდღებსა, სასანათლეებსა, წიგნებსა და სხვ. 1802 წ. იმპერატორმა ალექსანდრე I უბოძა ოქროს გულის ჯვარი და კამილავკა და 400 მან. სიკვდილამდე პენსია». ერთ ხანს სოლომონს რუსეთში უცხოვრია. 1773 წლის ერთი წიგნი მის მიერ ასტრახანშია გადაწერილი.

იოანე ბატონიშვილი, უკვე დამოწმებულ კალმასობაში, ალექსის ვაჟების შესახებ წერს: «ამათაც ისწავეს სუცურისა და მხედრულის წერა, გარნა მხედრულის წერასა შინა ჯერეთცა არც ძველად და არც ახლად არვინ თქმულან უკეთეს ამათსა, და მეტადრე სოლომონ დეკანოზისა».

თეიმურაზ ბაგრატიონის (გიორგი XII-ის ძის) ბიბლიოთეკის კატალოგში, რომელიც თეიმურაზისვე შედგენილია, სოლომონის მიერ გადაწერილი ერთი წიგნის შესახებ ნათქვამია: «... მრგვალის-ხელით ესრეთი წერილი არს, რომელ დღესაც, რომელნიც ქართველთაგანნი წერის ხელოვნებაში ქებულნი არიან, ყოველთავე ასე უთქვამს და ასე იტყვიან, რომელ ეგევითარი მშვენიერი ხელით წერილი ძნელად შესაძლებელ არს, რომ დაეწეროს ვისმე, რომელნიც რჩეულნი და ჩინებულნი მწერალნი არიან ანუ ყოფილანო».

თანამედროვეთა და მომდევნო თაობის წარმომადგენელთა ეს აზრი სოლომონის კალიგრაფიული ხელოვნების შესახებ საესებით საფუძვლიანია. მისი მხედრული ნაწერი, მართლაც, განსაკუთრებული სილამაზით გამოირჩევა (მხედრუ-



ხელნაწერი A 356. 1799 წ. სოლომონ მესხიშვილის ნაწერი

ლით წერდა როგორც საერო წიგნებს, ისე სასულიეროსაც, მაგ., ოთხთავეებს). მაგალითისათვის შეიძლება მოვიხსენიოთ ოთხთავეი, ხელნაწ. ინსტ. Q 268, გადაწერილი სოფელ ბელოთში 1770 წელს, როცა სოლომონი ჯერ კიდევ «ეერძო-დიაკონი» იყო, და ლოლიკა, ხელნაწ. ინსტ. A 15, რომელიც «ადიწერა ქალაქსა ასტრახანს თთუცსა იანუარსა 29, წელსა 1773». ეს მეორე სულ უბრალო, უსამკაულო წიგნია, პირველი (29,5×20 სმ, 182 ფურცელი) მორთულია სინგურის მთავრული ასოებით, მათეს სახარების პირველი გვერდი კი საგანგებო ორნამენტული ჩარჩოთი, რომლის ინტენსიური ყვავილოვან-ფოთლოვანი სახეები ევროპული წიგნების მოტივთა გავლენას ამჟღავნებს. სპეციფიკურია ფერადღონება: ღია მწვანე, სინგური და ყაფისფერი. დანარჩენი სამი სახარება სინ-

გურის მთავრული სათაურებით იწყება. ეს ყველაფერი გარკვეულ დახელოვნებას მოწმობს, მაგრამ მთავარი თვით ტექსტის სილამაზეა: სოლომონის მხედრული ასოები ძალიან სასიამოვნო პროპორციისაა, სტრიქონებს ზემოთ ატანილი ასოებიც ზომიერია, თვალს არ აჭრელებს, ნაწერი თითქოს «მშვიდია», მაჟფიო, სანახავად სასიამოვნო და საკითხავად ადვილი (ამ წიგნს ასეთი ანდერძი აქვს: «დიდება და მადლობა ღმერთსა, სრულმყოფელსა ყოვლისა კეთილისასა, რომლისა ძლით ვიმუშავე ჩხაბა ამის წმიდისა სახარებისა, მე, ყოვლად უღირსმან ანჩისხატის დეკანოზის ალექსის ძემან სოლომონ კერძო დიაკონმან. გვედრები აღმომკითხველთა წმიდისა ამის სახარებისათა, უკეთუ ცთომილი რაიმე იხილოთ, ნუ მწყევთ, ღთისათვის, არამედ შემნდობელ მექმნენით ცთომისათვის. ვითარცა ცისა ვერ იხილავთ, რომ არა აქენდეს მცირედი ღრუბელი, აგრეთვე ჩემ მიერ ნაჩხაბი ეგრეთ არს. და შენდობასა ყოფდეთ ჩემ ცოდვილისათვის. სრულ იქმნა ბელოთსა წელსა ჩლო, ქორონიკონს უნც, თთუცსა სეკდემბერს ბ» (ფურც. 182). ეს ანდერძი იმითაა საინტერესო, რომ გვიჩვენებს ქართული ხელნაწერი წიგნის «გაფორმების» ტრადიციათა სიმტკიცეს. თითქმის XIX ს-ის მიჯნაზე არა მარტო წერის ტრადიციებია ძველებური, არამედ ანდერძებიც ძველებურად იწერება.

ზოგჯერ სოლომონი რამდენადმე უფრო მეტ დეკორაციულობას ანიჭებდა მხედრულს, ზოგჯერ თითქოს უფრო სწრაფი და წვრილი ხელით წერდა, მაგრამ ხელის სიმტკიცე, ნაწერის სიზუსტე და თანაბარზომიერება ყველგან იგრძნობა (A 356, «სძლის პირნი საცისკრონი», სულ პატარა წიგნი — 10,2×5,7, გადაწერილი 1799 წელს. ანდერძში ნათქვამია: «ქ. ეს სძლის პირი ჭირისაგან რომ ავიყარენით, მაშინ ვსწერე აქა-იქ სოფლებში და თელავსო»; A 276, მარხვის მეტაფრასი, 32×21,2, ორ სვეტად წერილად ნაწერი, რომელ «სრულ იქმნა მარტს ბ, ქორონიკონს უოვ.», ე. ი. 1788 წლის 2 მარტს; A 275, «შემოკლებული ფისიკათორეტიკებრი», რომელშიაც საოცრად წერილად და ფაქიზად ნაწერი «პეტიტის» სტრიქონებია ჩართული; A 1106 — ვახუშტის საქართველოს ისტორია 1787 წელს გადაწერილი, ერთი ულამაზეს მხედრულ წიგნთაგანი XVIII ს-ისა, და სხვ.).

ძალიან ოსტატურად წერდა სოლომონი ნუსხურადაც. დამახასიათებელია 1778 წლის კრებული A 618, დიდი ფორმატის წიგნი, შავი მელნით ნაწერი და სინგურის სახედაო ასოებით გაცოცხლებული. ასოები დახრილია, კუთხოვანი, კალმის ძლიერი დაჭრით გამოყვანილი; თვალს ხედება სტრიქონებს ქვემოთ დამატებითი, მრუდი ხაზისებრი, ნიშნის სიმრავლე — ეს დეფისის ხაზებია, რომლებიც შედგენილ სიტყვების ნაწილებს აკავშირებს.

სოლომონს საკუთარი თხზულებებიც ჰქონია.

3. დავით რექტორი ალექსის ძე (1745—1824) — ქართული კულტურის ერთი ყველაზე თვალსაჩინო მოღვაწეთაგანი XVIII ს-ის ბოლო ათეულ წლებსა და XIX ს-ის მიჯნაზე, ლიტერატორი, პედაგოგი, კომენტატორი, პოპულარიზატორი, კალიგრაფი, ანტონი I კათალიკოსის მოწაფე. ერეკლე II-ის მეფობის ბოლო ათეულ წლებში, როცა საქართველოში კვლავ გაცხოველდა კულტურული საქმიანობა, როცა მეფის კართან დაკავშირებული ქართული ინტელიგენცია ცდილობდა რუსეთ-ევროპის ცივილიზაციისათვის ეზიარებინათ თავისი სამშობლო, დავითი, ფაქტიურად, განათლების საქმეს მეთაურობდა ქართლ-კახეთის სამეფოში. 1790 წელს ერეკლემ იგი თელავის სემინარიის რექტორად დანიშნა (დარჩენილ საბუთში ნათქვამია: «ჩვენ მეფემან არაკლიმ განგაწესეთ თელავის ქალაქის სემინარიის რექტორად შენ ალექსიშვილი დავითი. ასე რომ მოწაფეთ შემოგიკრეფთ და ფილასოფია უნდა მოასმენინო და ზოგთ საეკლესიო წიგნი და წერაო», და სხვ.). დავითმა აქ დიდად ენერგიული საქმიანობა გაშალა და მცირე ხნის განმავლობაში სემინარია მნიშვნელოვან კულტურულ ცენტრად აქცია (იქაური საქმიანობის ერთი სურათი — სამეცნიერო და საღვთისმეტყველო საკითხებზე მსჯელობა იონან ბატონიშვილის კალმასობაშია აღწერილი. იქვე თვით დავითის პიროვნებაცაა დახატული — ოდნავ იუზორისტულად).

როგორც ფართო პორიზონტის განმანათლებელი, მაშინაც და უფრო გვიანაც, სემინარიის დახურვის შემდეგ, დავითი ადგენდა სახელმძღვანელოებს სხვადასხვა დარგთათვის (არითმეტიკა, ალგებრა-გეომეტრია, ფიზიკა, «ოთხნაწილედნი სწავლანი», «საქართველოს მეზობელ მხარეთა აღწერა» და სხვ.). «დავითს ეს წიგნები უნდა შეედგინა, რადგან, ჯერ ერთი — უმაღლეს კლასებისათვის სახელმძღვანელოები არ იყო და, მეორეც: არსებული წიგნები მას არ აკმაყოფილებდა არც შინაარსისა და არც, განსაკუთრებით, ფორმის მხრივ: მიუხედავად იმისა, რომ დავითი ანტონის მოწაფეა და უაღრესადაც მას პატივს სცემს, იგი მაინც წინააღმდეგია ძველის, სქოლასტიკურის, ხალხისათვის უკვე გაუგებარი ფორმებისა და მედგარი დამცველია ახლის, უფრო დემოკრატიულის სტილისა» (ეუკ. ბერიძე). დავითი საკუთარ ლექსებსაც წერდა, დასასრულ, მან შეავსო საბას ლექსიკონი და სხვადასხვა კომენტარები დაურთო მას (ხელნაწ. ინსტ. Q 401).

იონან ბატონიშვილი მის შესახებ წერს: «ამან ასწავლა სკოლასა შინა თელავს მრავალთა მოწაფეთა საფილოსოფოსო სწავლანი... და მეცა ვიყავ მასთანა რიცხვთა შორის მოწაფეთასა. ესე არს უცხო ისტორიკოსი ძველთა და ახალთა

მოთხრობათა, რომელიც ქებულ არს ერთა ჩვენთაგან... კათოლიკოზი ანტონი დავით ალექსის ძეს უწოდდა ქართველთა შორის პირველ ისტორიკოსსაო».

თელავის სემინარიამ იარსება საქართველოს რუსეთის იმპერიასთან შეერთებამდე. თვით დავითის სიტყვით, «მას ჟამსა რუსნი მოვიდეს... და სხოლა შეურაცხვეს და სადა სახელი ღეთისა იქადაგებოდა, ჰყვეს ქვაბ ავაზაჲთა, ხოლო მე პირად პირადნი განსაცდელნი შემამოხვეინეს და მრავალნი ბოროტი მოაწიენეს ჩემს ზედა».

1806 წ. დავითი თბილისს გადმოსახლდა და აქ ანჩისხატის ეზოში ცხოვრობდა. გარდაიცვალა 1824 წლის 2 ნოემბერს.

წიგნების გადაწერას დავითის მოღვაწეობაში დიდი ადგილი ეჭირა. როგორც კალიგრაფი, იგი არ ჩამოუვარდებოდა თავის ძმას სოლომონს, მის მშვენიერ მხედრულ ხელს იშვიათად თუ ვისიმე ნაწერი შეედრება: ასოები ძალიან სასიამოვნო პროპორციისა, არაა ზედმეტი სამკაულები; სინგურის სტრიქონებისა და საზედაო ასოების გამოყენება, თვით ეს საზედაო ასოები კარგ გემოვნებას მოწმობს. მისი ხელნაწერების დათვალიერებისას იგრძნობ, რომ დავითმა წიგნის «გემო» იცოდა და როგორც პროფესიონალი, მაღალ დონეზე იდგა. სხვებთან შედარებით, მას განსაკუთრებით ბევრი საერო შინაარსის წიგნი აქვს გადაწერილი — ხელნაწერთა ინსტიტუტში რამდენიმე ათეული ინახება A, H, S, Q ფონდებში. აქ ორიგინალური ქართული თხზულებებიც არის, ნათარგმნი თხზულებებიც, მეცნიერული ტრაქტატებიც და მხატვრული ლიტერატურის ნიმუშებიც. მისი, როგორც კალიგრაფის, მოღვაწეობა თითქმის ნახევარი საუკუნე გრძელდებოდა.

დავითის გადაწერილი წიგნები: ჩ ა რ დ ა ვ რ ი შ ი ა ნ ი S 61, ტ რ ო ა დ ის და ც ე მ ა S 5, კ რ ე ბ უ ლ ი S 65, ს ი ტ ყ ვ ი ს გ ე ბ ა მ ა მ მ ა დ ი ა ნ თ ა მ ი მ ა რ თ S 81. დ ა ვ ი თ გ უ რ ა მ ი შ ვ ი ლ ის თ ხ ზ უ ლ ე ბ ე ბ ი S 103, კ რ ე ბ უ ლ ი S 105, თ ე ი მ უ რ ა ზ II-ის ს ა რ კ ე თ ქ მ უ ლ თ ა S 106, ბ ა უ მ ე ი ს ტ ე რ ის ლ ო გ ი კ ა S 112, «ჰაერსა შინა მროკველი ანუ მრონინე» S 136 (მონგოლფიერის საჰაერო ბურთის შესახებ), იოანე დამასკელის კ ა ტ ი ლ ო რ ი ა S 145, ბ ა რ ა მ გ უ ლ ი ჯ ა ნ ი ა ნ ი S 170, პ რ ო კ ლ ე დ ი ა დ ო ს ო ს ის კ ა ვ შ ი რ ნ ი S 192, ს ა ხ ს ო ვ ა რ ი ი შ ვ ი ა თ ა დ ს ა მ ო ვ ა რ თ ა ქ მ ნ უ ლ ე ბ ა თ ა S 200^a და S 200^b, დავით სიბრძნისმოყვარე, ა ხ ს ნ ა პ ო რ ფ ი რ ის შ ე ყ ვ ა ნ ი ლ ე ბ ის ა S 203, გ ა ნ რ ჩ ე ვ ის ა თ ვ ის ს ა ზ ო გ ა დ ო დ კ ა ც თ ა ს ა ხ ის ა S 207, ვ ა ს ი ლ ი დ ი დ ის ე ქ ვ ს თ ა დ ღ ე თ ა S 272, შ ე მ ს გ ა ვ ს ე ბ ი თ ი წ ი გ ნ ი S 1143, ბ ა უ მ ე ი ს ტ ე რ ის ს ა ზ დ ვ ა რ ი ფ ი ლ ო ს ო ფ ი ის ა S 1154, ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე მ ა კ ე დ ო ნ ე ლ ის ის ტ ო რ ი ა H 376, თ ა მ ა რ ი ა ნ ი H 1045, ვ ე ფ ხ ის ტ ყ ა ო ს ა ნ ი H 1079, კ რ ე ბ უ ლ ი H 1082,

კრებული H 1100, ვოლტერის აღზირა H 1382, კრებული A 342, სამგზავრო გეოგრაფია A 1414, თვენი A 1427, იოანე მხარხველის სჯულის კანონი, საბას ლექსიკონი Q 401, და სხვ.

4. ტარასი სოლომონის ძე (1793—1874), 1854—1874 წლებში ქვათახევის მონასტრის არქიმანდრიტად იყო (იქვეა დაკრძალული. ეს თარიღები მისი ეპიტაფიიდანაა). ერთი თვალსაჩინო კულტურულ მუშაკთაგანი, მთარგმნელი, ავტორი და ერთი უკანასკნელი წარმომადგენელთაგანი (თუ უკანასკნელი არა) ტრადიციული ქართული კალიგრაფიული ხელოვნებისა. მას გადაწერილი აქვს სასულიერო და საერო, სამეცნიერო და მხატვრული შინაარსის წიგნები. ბევრი მათგანი ინახება ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდებში.

ალექსი-მესხიშვილთა ოჯახის სხვა წევრებიც ეწეოდნენ შრომას, როგორც კალიგრაფები, წიგნთა ხელოვანი გადამწერნი.

1. იოანე ბატონიშვილი. კალმასობა, I, 1936, გვ. 68—77, II, 1948, გვ. 192, 200, 202.

2. კ. კეკელიძე. ისტორია, I, გვ. 334—337.

3. პ. კარბელაშვილი. ძველი ანჩისხატის ტაძარი ქ. ტფილისში. 1902, გვ. 43—47.

4. А. Царгарелин. Сведения, I, вып. III, 1894, გვ. 169.

5. ვუქოლ ბერიძე. დავით რექტორი — ლექსიკოგრაფის საბა ორბელიანის გამგრძელბული. ტფილისის სახ. უნივერსიტეტის შრომები, I, 1936, გვ. 310—332.

6. ლ. მენაბდე. ძვ. ქართ. მწერ. კერები. I, 1961, გვ. 170—172, 240—241, 371—377.

7. ლ. ქუთათელიძე. სულხან-საბა ორბელიანის მინიატურული პორტრეტო და მისი შემსრულებელი ალექსი მესხიშვილი. საბჭოთა ხელოვნება, 1959, № 10, გვ. 17—20.

8. ს. ბარნაველი. ტარასი ალექსიშვილის «ქუჭყენიერი სამოთხე»: სმ მოამბე. ტ. XVII-B, 1953, გვ. 251—260.

ამას გარდა, ცნობები მესხიშვილთა მიერ გადაწერილი წიგნების შესახებ იხ. თ. ეორდანიასა და მ. ჭანაშვილის Опис. рукоп., II. М.. სმ ხელნ., აღწ. და ხელნაწ. ინსტ. ხელნ. აღწ., სერიები A, H, S, Q, სხვადასხვა ტომები.

მიქაძელი — კალიგრაფი. ცხოვრობდა IX ს-ში, მოღვაწეობდა შატბერდის მონასტერში. 897 წელს მონასტრის წინამძღვრის სოფრონ შატბერდელის შეკვეთით გადაწერა სახარება (უძველესი დათარიღებული ქართული ოთხთავი), რომელიც ადიშის სახარებების სახელითაა ცნობილი. 387-ე ფურცლის წინა გვერდზე, მეორე სვეტში, იკითხება: «...წელთა ხვა, ქრონიკონსა რიზ შობითგან უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესით წელთა ჩა... მწერა (sic!) ამისი მიქაელ ლოცვასა მომიქსენეთ და შემინდვეთ სიუცბე ჩემი». ადიშის სახარება დიდი ზომის წიგნია (38 × 32 სმ), ნაწერი მრგლოვანია, ორ სვეტად, შავი მელნით, მასალა — ეტრათი. პირველ ფურცელზე გამოსახულია ჯვარი ოთხყურა ფიგურის სახით.

იქვე კუთხეებში მასხარებელთა წელწევიით სურათებია; მეორე ფურცლის წინა გვერდი მარჯვ მასხარებელს უჭირავს (დამჯდარი წერს), უკანა გვერდი — ფეხზე მდგომ ლუკასა და იოანეს. მომდევნო სამ ფურცელზე 5 კამარაა კანონების ტექსტით, უკანასკნელ კამარაში ქართული კანკელის გამოსახულებაა ჩართული. ყველა ეს ნახატი ძირითადად მელნითაა შესრულებული და წითლად და ლურჯადაა შეფერილი. რ. შმერლინგი აღნიშნავს, რომ აქ გამოსახულებათა აღრინდელ ტიპთან გვაქვს საქმე, როცა ჯერ კიდევ არ იყო შემუშავებული კანონიკური რედაქცია. ასეთი რამ მხოლოდ თითო-ორიოჯამა უძველეს ხელნაწერში გვხვდება.

თვით ტექსტის შესრულება მოწმობს, რომ მიქაელი თავისი საქმის დიდოსტატი იყო. ფურცლები მოკლებულია ყოველგვარ სამკაულს, გარდა მოურთავი, უბრალო ინიციალებისა; წიგნის სილამაზეს მხოლოდ ნაწერი შეადგენს — ძალიან მსხვილი, მასიური ასოები, რომლებიც თანაბარ სვეტებს ქმნის.

ადიშის ოთხთავი ახლაც სვანეთში ინახება.

1. MAK. XIV, 1916. აქ ოთხთავი მთლიანადაა წარმოდგენილი 200 ფოტოტიპიურ ტაბულის სახით. ტომს ერთვის ე. თაყაიშვილის წინასიტყვაობა.

2. P. Шмерлинг. Обзоръ, გვ. 39—40.

3. ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქცია სამი შატბერდული ხელნაწერის მიხედვით. გამოსცა აკაკი შანიძემ. თბ., 1945, გვ. 012—117.

მიქაელი — კალიგრაფი. ცხოვრობდა XI ს-ში. 1048 წ. გეთსამანიის მონასტერში გადაწერა ოთხთავი (ხელნაწ. ინსტ. H 1741). წარმოშობით მცხეთელი ყოფილა. «დაიწერა წმიდასა ადგილსა გესმანიას, საფლავსა წმიდის ღვთისმშობელისასა, ... ქელითა საწყალობელისა მიქაელ მწირისა მცხეთისავე მიწისაგან. წმიდანო ღვთისანო ჩემგან უპროლისა [უძღურისა] რომელი ეგებოდა, მიშრომია და მომიჭირვებია... რომელი ვის ჩემდა უმეტრებით ცთომილი ჰპოთ ანუ მოგხუდეს, შემინდვით ღვთისათჳსო», წერს თვით მიქაელი ანდერძში (ფ. 297-ე). წიგნი გადაწერილია სტეფანე ხუცესის პალაფრელის შეკვეთით, მას შემდეგ, რაც იგი იერუსალიმს ჩავიდა, მოილოცა «ყოველნი წმიდანი ადგილნი» და განწესებულ იქნა ქართლის კათალიკოსის ოქროპირის მწირველად.

წიგნი (22×16,5 სმ, ეტრათი) უპრეტენზიოდაა გაფორმებული. ნაწერი ნუსხურია, რიგიანი ხარისხისა, ორ სვეტად, მუხლების სათვალავი (გვერდის არშებზე) და საძიებლების ასოები (ქვემო არშიაზე) სინგურითაა — ეს რამდენადმე აცოცხლებს ფურცლებს. ინიციალები უბრალოა, შეუმკობი. აქა-იქ სინგურის სტრიქონები ტექსტშიაც ურევია.

სმ ხელნ. აღწ., H—IV, 1950, გვ. 173.

მიქაელი — კალიგრაფი. ცხოვრობდა XI ს-ში. 1049 წ. მონასტრისთვის გადაწერა თვენი (ხელნაწ. ინსტ. II 2337). «დაიწერნეს და გასრულდეს ქრონიკონსა სმთ ქელითა საწყალობელისა და ყოვლად განწირულისა და უმეტესად ყოველთა ადამიანისა შეცდომილისა მიქაელისითაო», ნათქვამია 285-ე ფურცლის მინაწერში. ხელნაწერი დამზადებულია «ბრძანებითა და მოლუაწებითა ღმერთ-შემოსილისა და სასიერისა მამისა და ტკბილისა მოძღურისა იოვანე გოლგოთელისაჲთა», წერს სხვა ადგილას მიქაელი და შემდეგ მოკრძალებით უმატებს: «წმინდანო ლთისანო, გვედრები დაკლებულისა და ცდომილისათჳს შეინდევთ და კნინისა შრომისათჳს ლოცვაყავთ. რომელი რაჲმე მარჯუედ იყოს, კეთილისა და ტკბილისა მოძღურისა მადლითა არს; და რომელი დაკლებული იყოს, ჩემგან არს, უკეთურის და ყოვლად მცდომისაო». ბოლოს წერია, რომ წიგნი შეიმოსა, ე. ი. აიკინმა «ქელითა კურთხეულისა ძმისა ნისტერონისითა. ღმერთმან აკურთხენ და მადლი მიეციენ სულსა მისსა, ლოცვაყავთ მისთჳს, წმინდანო მამანო, პავლესთჳსცა ლოცვაყავთ, დაიადამაშენა დანაისა ლესვითაო». თაემდაბალი მიქაელი, ამგვარად, არ იეიწყებს არავის, ვინც კი თუნდაც მცირე დახმარება გაუწია წიგნის დამზადებისას.

წიგნი საშუალო ზომისაა (25,5×17 სმ, ეტრატე), ნუსხურად ნაწერი ერთ სვეტად. საზედაო ასოები ზოგი მელნითაა, ზოგი სინგურით. სტრიქონები ისე ახლოა ერთმანეთთან, რომ ასოების ირიბად წაგრძელებული ბოლოები მეორე სტრიქონს აღწევს და მკითხველს, ცოტა არ იყოს, თვალი უჭრელდება. სპეციფიკური ისაა, რომ სასვენი ნიშნები (თითო წერტილი) სინგურისაა და ყოველ ფურცელზე თითქოს სინგურის მარცვლებია გაფანტული. არშიებზე ზოგან სინგურივე გამოყვანილი ლათინურ X-ვით გადაჯვარედინებული ნიშნებია.

სმ ხელნ. აღწ. H—V, 1949. გვ. 232—233.

მიქაელი — მინიატურების მხატვარი, ერთ-ერთი მონაწილეთაგანი ე. წ. გრუჯის II სახარების დასურათებისა. ეს სახარება (ხელნაწ. ინსტ. II 1667), XII—XIII საუკუნეთა ქართული ხელოვნების შესანიშნავი ძეგლი, რომელიც XII—XIII სს-თა საზვიამოდ მორთული ქართული ხელნაწერების რიგს მიეკუთვნება, შემკულია 334 მინიატურით. მინიატურები რამდენიმე ოსტატის ხელითაა შესრულებული, მათი მხატვრული ხარისხი განსაკუთრებულია, ასევე საზედაო ასოებისა. ოსტატთა უმეტესობა ჩვენთვის უცნობია. მაგრამ ერთ მინიატურაზე (ფურც. 180, უკანა გვერდი) ს. ბარანველმა ამოიკითხა ძნელად შესამჩნევი მინაწერი, რომელიც ქრისტეს ტახტის ფონზეა იმავე ფერის საღებავით: «ქრისტე შეიწყალე მიქაელ და დაიცივე». ადგილი, სადაც ეს ნუსხური წარწერაა გაკეთებული, უჭველად მოწმობს, რომ ეს მხატვრის სახელია. ს. ბარანველი, შედარების საფუძველზე, ამავე მიქაელს მიაწერს კიდევ რამდენსამე

მინიატურას (ფურც. 180 წინა გვერდი — ბრმადშობილის განკურნება; 179 წინა გვერდი — ყრმების კურთხევა, 176 უკანა გვერდი — საუბარი ფარისეულებთან; 176 წინა გვერდი — კეთროვანთა განკურნება, 172 წინა გვერდი — უძლები შვილის იგავი, იმავე ფურცლის მეორე გვერდი — ამ იგავის გაგრძელება; 168 მეორე გვერდი — წყალმანკით შეპყრობილის განკურნება, და სხვ.).

მიქაელი ჯრუჭის სახარების დამსურათებელთა გუნდში ერთი უკეთეს ოსტატთაგანი იყო: «პირველ რიგში მას სხვა მხატვართაგან ერთბაშად გამოარჩევს ნათელი, ძირითადად მხიარული ფერების გამა. ფერები გამჭვირვალეა და წმინდა, როგორც ძვირფასი თვლებისა. მთავარი შესამებანია: ოქროსი შავთან ან შოკოლადისფერთან, მკრთალი ოქროსფერისა წაბლისფერთან, დარიჩინის ფერისა ცისფერთან, მოლურჯო-ნაცრისფერისა ცისფერთან. აქცენტი — სინგურის ცეცხლისფერისებრი, ოდნავ მოვარდისფრო ლაქა. ლურჯ ფერს აქვს განსაკუთრებით მშვენიერი, მოხდენილი ელფერი. მინიატურების ფონი ოქროსია — ოქრო დადებულია მჭიდრო ფენად, რაც კვლავ გამოარჩევს მხატვარს.

ნიადაგი ძირითადად მომწვანო-ცისფერია. ამგვარ ნიადაგზე ბალახი მოცემულია როგორც პატარა ბუჩქები ან როგორც წიწვიანი მცენარეები წითელი მომრგვალო ყვავილებით, რომლებსაც გულში აქვთ სამი შავი წინწყალი, სამი მხრიდან... მხატვარი არის ორნამენტის ოსტატი. მისი ორნამენტის მაღალი დირებულება გაიზომება არა მარტო ხაზების სილამაზით, არამედ ფერების დახვეწილი პარმონიით... მხატვარს სიცოცხლე შეაქვს ყველაფერში, რასაც ეხება...» (ს. ბარნაველი).

1. ს. ბარნაველი. ჯრუჭის მეორე კოდექსის ორი წარწერა: სსსრ მეცნ. აკად. მოამბე, ტ. XXI, № 5, 1958, გვ. 635—638.

2. P. Шмерлинг. Образцы, გვ. 49—52.

მიქაელ გუმბენისძე — კალიგრაფი. ცხოვრობდა XII ს-ში. მოღვაწეობდა იერუსალიმის ჯვრის მონასტერში. ჩვენ ვიცნობთ მის მიერ გადაწერილ ერთ წიგნს, გიორგი მთაწმინდელის მიერ ნათარგმნ «სტოდიერს» (ხელნაწინსტ. A 1347), ე. ი. თედორე სტუდიელის სულიერ სწავლათა კრებულს. წიგნს ასეთი ანდერძი აქვს: «წმიდანო ღუთისანო. მე გლახაკმან და ფრიად ცოდვილმან მიქაელ გვრგენის ძემან მოვჩხრიკენ წმიდაჲ ესე სულთა განმანათლებელი სტუდიელი სალოცველად სულისა ჩემისა და მშობელთა ჩემთა, სანახებსა წმიდისა იჭრუსალემისასა, მონასტერსა ჯურისსა...» და სხვ. (ფურც. 203). წიგნი მომცრო ზომისაა (24,3×16 სმ, 221 ფურცელი), ნუსხურით ნაწერი ერთ სვეტად. ტექსტიცა და საზედაო ასოებიც მუქი ყავისფერი მელანია, აქა-იქ ურევია სინგურის სტრიქონები და სათაურები (ტექსტისავე შრიფტით). სამკაულები არაა.

მიქაელ გვრგენისძე კარგი ოსტატი იყო, ნაწერი კალიგრაფიული ოსტატობითაა შესრულებული.

სსმ ხელნაწ. აღწ. A—IV, 1954, გვ. 429—432.

მიქაელ დაღალისონელი — ერთი გადამწერთაგანი ათონის 1074 წლის ცნობილი კრებულისა (ხელნაწ. ინსტ. A 558), რომელიც შეიცავს ქართული მწერლობის რამდენსამე შესანიშნავ ძეგლს (მაგ., გიორგი მთაწმინდელის მიერ დაწერილს იოანე და ექვთიმე ათონელთა ცხოვრებას, ილარიონ ქართველის ცხოვრებას და სხვ.), მოღვაწეობდა ათონის ივერიის მონასტერში. წიგნის ანდერძები ასეთ ცნობებს შეიცავს: «... მე გლახაკმან სულითა და უნდომან ქორცითა მიქაელ დაღალისონელმან, სახითა ხოლო მონაზონმან, დაეწერე ცხოვრებაჲ განმანათლებლისა ჩვენისა ეფთჳმე ქართველისა, ახლისა ოქროპირისაჲ... დეკანოზობასა იაკობ მღდლისასა, განზრახვითა მისითა, თჳნიერ სასყილლისა და ყოვლისავე საფასოსაჲ... ეტრადი იაკობ დეკანოზმან მოილო. ფარჩხად წერისათჳს შემინდევით, რამეთუ მესამესა წელსა ბოსტანსა მას და დასასრულსა ჰასაკეთასა შინა ვიქცეოდი, [ე. ი. ცუდად წერისათვის შემინდეთ — მესამე წელიწადია ბოსტანში ვმუშაობ, თანაც ცხოვრების დასასრულს მიახლოებული ვარო]. აწ თუ ესეცა გარდავლო და მიწად მოვიქცე და ყოვლითურთ უქმარ ვიქმნა. ხოლო თქვენ ნამუშავეი რაჲ იხილოთ, მუშაკი... გექსენდ... ქრონიკონი იყო ოდეს დაიწერა ორას ოთხმოც და ათოთხმეტი (294 + 780 = 1074). ... დაიწერა ამასვე წმიდასა ლავრასა წმიდისა ეფთჳმის მიერ აღმენებულისა ბურლოსა შინა» (ბურლო კოშკს ნიშნავს).

როგორც ზემომოტანილი ანდერძიდან დავინახეთ, მიქაელს ამ წიგნზე მოხუცებულობაში უმუშავებია. ძნელი სათქმელია, რომელი ნაწილია მისი გადწერილი. ანდერძი, რომელშიაც იგი იხსენიება, იოანე ღვთისმეტყველის ცხოვრების ბოლოშია და იმავე ხელითაა ნაწერი, რომლითაც ეს ნაწარმოებია გადწერილი: მაგრამ, როგორც დავინახეთ, ანდერძის ტექსტში ნათქვამია — ექვთიმეს ცხოვრება გადაეწერეო.

მთელი წიგნი ნუსხურითაა ნაწერი. სამკაულები არაა, გამოყენებულია მხოლოდ სინგური — მარტივი საზედაო ასოებისათვის.

1. Ф. Жордания. Опис. рукоп. Ц. М., II, გვ. 85—86 (გადამწერი აქ შეცდომით დაღალისონელად იწოდება).

2. ათონის ივერიის მონასტრის 1074 წ. ხელნაწერი აღაპებით. საიუბილეო გამოცემა საეკლესიო მუზეუმისა. თბ., 1901, გვ. 175—176.

მიქაელ ვარაზ ვაჩიშვი, სტაჟანე, გიორგი ბელასისძე — კალიგრაფები. ცხოვრობდნენ X ს-ში და მოღვაწეობდნენ ოშკის მონასტერში, სადაც 978

წელს გადაწერეს ბიბლია, ლიტერატურაში ცნობილი ოშკის ბიბლიის სახელით. წიგნის დამკვეთი ყოფილა თორნიკე ყოფილი იოანე, ე. ი. ის სახელოვანი თორნიკე ერისთავი, რომელიც ქართველთა ლაშქარს სარდლობდა, როცა დავით კურაპალატი ბიზანტიის იმპერატორებს მიეშველა ბარდა სკლიაროსის აჯანყების დროს. ანდერძ-მინაწერებიდან ირკვევა, რომ «დაიწერა წმიდაჲ ესე წიგნი ლავრასა შინა დიდსა უშეს... ..ქელითა სამთა მწერალთა: მიქაელისითა, გიორგისითა და სტეფანესითა... ოდეს ესე წიგნი დაიწერა ქრონიკონი იყო რქჳ» (198+780=978). სხვა მინაწერებიდან ჩანს, რომ გიორგი გელასისძე იყო, ხოლო მიქაელი — ვარაზფაჩისი. კ. კეკელიძეს გამოთქმული აქვს მოსაზრება, შესაძლებელია ეს მიქაელი — მიქაელ მოდრეკილი იყოსო (იხ. ეს სახელი).

ოშკური ბიბლია ეტრატის უზარმაზარი წიგნია, რომელიც ორი ტომისგან შედგება (I ტომი — 532 ფურცელია, II—428 ფურცელი). მისი ორიგინალი ახლა ათონის მთაზე ინახება ივერიის მონასტერში, ამიტომ მისი — როგორც კალიგრაფიული ნაწარმოების — განხილვა არ შეგვიძლია. ა. ცაგარლის ცნობით, მიქაელის გადაწერილია მთლიანად პირველი ტომი, მეფეთა წიგნი — სტეფანეს ხელითაა ნაწერი, II ტომის დანარჩენი წიგნები — გიორგის ხელით, ბოლოში კვლავ მიქაელის ხელიაო. ცაგარლისავე აზრით, სტეფანესა და გიორგის ნაწერი უკეთესი ყოფილა, თუმცა დიდი განსხვავება არ არისო. ნაწერი ნუსხურია, ორ სვეტად, სვეტში 26 სტრიქონია. ცაგარლის მიერ გამოქვეყნებული ნიმუშის მიხედვით ჩანს, რომ ასოები დახრილია, მსხვილი, სქელხაზოვანი, ზოგი ასო თითქოს მთლიანად ძლიერ დაჭერილი კალმითაა გამოყვანილი. ჩანს გამოცდილი მწერლის ხელი.

ოშკის ბიბლია, თავისი დიდი მნიშვნელობის გამო, იმთავითვე იპყრობდა მეკლევართა ყურადღებას. მისი ტექსტი ნაწილობრივ გამოცემულია კიდევც.

1. А. Цагарели. Сведения, 1886, гв. 69—75.
2. Ф. Жордания. Опис. рукоп. Ц. М., III, 1902, гв. 37—40.
3. წიგნი ძუელისა აღთქმისანი 978 წლის ხელნაწერის მიხედვით. ნაკვ. 1 და 2. ვაშლისა აკაკი შანიძემ თბ., 1947.
4. კ. კეკელიძე. ისტორია, I, გვ. 154.
5. R. P. Blake. The Athos Codex of the Georgian old Testament (Harvard Theological Review, XXII, № 1, 1929. გვ. 33—56.
6. მისივე. Catalogue des manuscrits Géorgiens.

მიქაელ მაღლაკელი — მხატვარი, ცხოვრობდა XII ს-ში. როგორც სახელწოდება მაღლაკელი გვიჩვენებს, წარმოშობით იმერელი იყო, ქუთაისთან ახლო მდებარე სოფლიდან. მისი მოხატულია ზემო-სვანეთის სოფელ



ქართლის ეკლესიის (ლატალის თემში) კედლის მხატვრობა. 1140 წ. შექმნილია. მხატვრის მხარე მოლაყენის მიერ

მაცხვარიშის ეკლესია (ლატალის თემში). ჩრდილოეთის კედელზე, ეკლესიის შიგნით, მარჯვენა კედლის თაღის მარჯვნივ, დარჩენილია ასომთავრული წარწერა: «მოახატა საყდარი ესე მეფობასა დემეტრესა წელსა: იე: ჩელითა მიქელ მალაქელისათა». ეს ერთი იშვიათ შემთხვევათაგანია, როცა ქართული კედლის მხატვრობის ნაწარმოები ხელმოწერილი და დათარიღებულია ავტორის მიერ. დადგენილია, რომ აქ მოხსენებული მეფე — დავით აღმაშენებლის ძე დემეტრე I-ა, რომლის პორტრეტიც ამავე კედელზეა გამოსახული. რაკი დემეტრე

ტახტზე 1125 წელს ავიდა, მიქაელის მხატვრობა 1140 წლით თარიღდება. სამხრეთის კედელზე გამოსახულია ხელბაპყრობილი ბერი, რომელიც, წარწერის თანახმად, ეკლესიის მოხატვის მოთავე ყოფილა: «ესე არს კვირიკე მამასახლისი, რომელმან დიდი მოიჭირვა ამის ეკლესიისა ზედგომაჲ ხატვასა, ამინ». დარჩენილია კიდევ ერთი დიდად საინტერესო წარწერა — კვლავ ჩრდილოეთის კედელზე — რომელიც მოწმობს სათუთ დამოკიდებულებას მხატვრის ნამუშევრისადმი: «ვინცა ამას ეკლესიასა... ან მამასახლისი ყოს, კვამლისაგან შეიკრძაღეთ ხატული, რომელ ფერი არ დააკლოს».

მაცხვარიშის ეკლესია, სხვა სფანური ეკლესიების მსგავსად, ერთნავეანი ნაგებობაა. თავდაპირველად სამხრეთი გარშემოსავლელი ჰქონდა, ახლა დარჩენილია მხოლოდ სამხრეთის ნაწილი. ეკლესიის ნაწი სულ ერთიანად, კედელ-კამარინანადაა მოხატული მიქაელის მიერ. მოხატულობის შინაარსი, წესისამებრ, საღმრთო წერილიდანაა აღებული: საკურთხეველში გამოსახულია ე. წ. ვ ე დ რ ე ბ ა, ე. ი. ტახტზე საზეიმოდ, მეუფესავით, მჯდომი ქრისტე, მის ორსავე მხარეს კი ღვთისმშობელი და იოანე ნათლისმცემელი. ამის ქვემოთ, საკურთხეველშივე, მოციქულთა მწკრივია. საკუთრივ ნაწი კედლები და კამარა უმეტესად ქრისტეს ცხოვრების სცენებს უჭირავს (სურათები სამ «სართულადაა» განლაგებული): ჩვეულებისამებრ, აქ ვხვდებით ქრისტიანული ეკლესიის დღესასწაულებს: ხ ა რ ე ბ ა ს, შ ო ბ ა ს, მ ი რ ქ მ ა ს, ნ ა თ ლ ი ს დ ე ბ ა ს, ი ე რ ო ს ა ლ ი მ ა დ შ ე ს ვ ლ ა ს, ო რ ო ბ ა ს, ფ ე რ ი ს ც ვ ა ლ ე ბ ა ს, ლ ა ზ ა რ ე ს ა ღ დ გ ი ნ ე ბ ა ს, რომელთაც ორი ზემო რეგისტრი უჭირავთ. განსაკუთრებით საყურადღებო და დამახასიათებელია ქვემო რიგის გამოსახულებები: უპირველეს ყოვლისა, სამი წმინდა მხედარი (წმ. გიორგი, წმ. დიმიტრი, წმ. თეოდორე), რომელთა სურათები ძალიან პოპულარული იყო სფანეთში და ყველა იქაურ ეკლესიაში გვხვდება; შემდეგ: წმ. ეპატერიანეს დაგვირგვინება, წმ. ბარბარა, წმ. ირინა. მაგრამ ყველაზე ღირსშესანიშნავი მაინც ჩრდილოეთის კედლის მარცხენა თაღის არეში მოთავსებული გამოსახულებაა: დემეტრე მეფე, რომელსაც, წარწერის თანახმად, «ქრამალსა აბმენ დავითისსა ერისთავნი». აქ გვგუჟური პორტრეტი. შუაში, დიდად, თვით ხელბაპყრობილი მეფე, მის ორსავე მხარეს — ზემოთ: ანგელოზი, რომელიც გვირგვინს ადგამს მეფეს და ქრისტე, რომელიც აკურთხებს მას; ქვემოთ — ორი ერისთავი, რომელნიც სწორედ ხმლის აბით არიან გართულნი; მათი ფიგურები ზომით დიდად ჩამოუვარდება მეფისას. ეს დემეტრეს მეფედ კურთხევის სიმბოლური გამოსახულებაა. მიქაელმა აქ აღბეჭდა საქართველოში მიღებული ძველი წესი, რომლის თანახმადაც ხმლის შებმა —

მეფედ კურთხევის ცერემონიის ნაწილი — ფეოდალთა პრივილეგიას შეადგენდა (თამარის შემდეგ ეს წესი შეიცვალა).

თავისი მხატვრულ-სტილისტიკური თვისებებით მიქაელის მხატვრობა XI—XII ს-თა გარდატეხის დამახასიათებელი ნაწარმოებია. არსებითად იგი XI ს-ის მონუმენტური სტილის ტრადიციებს აგრძელებს: შენარჩუნებულია ცალკეული კომპოზიციების დიდი ზომა და აგების მონუმენტური ხასიათი; მაგრამ მასში მაინც შეიმჩნევა XII—XIII სს-თა დეკორაციულ-მონუმენტური სტილის ნიშნებიც. იგი, ერთი მხრივ, ატენის სიონის მოხატულობასა (XI ს.) და, მეორე მხრივ, ყინცვის—ტიმოთეს-უბან —ბეთანიის XII—XIII სს-თა შიჯნის მხატვრობას შორის დგას. მცენარეული და გეომეტრიული ორნამენტებისათვის რომლებიც მხატვრობას ამკობს, მიქაელი იყენებს ისეთ მოტივებსაც, რომლებიც ადრეც არსებობდა და უფრო გვიანაც, და ისეთებსაც, რომლებიც მხოლოდ იმხანად გვხვდება.

ფერადოვნების მხრივ მაცხვარიშის მხატვრობა ძუნწია: მხატვარი იყენებს ორი ძირითადი ფერის — რუხისა და მოწითალო-ყავისფრის — სხვადასხვა ნიუანსებს; შესრულების მანერით იგი «გრაფიკულია». ამ მხრივ იგი ენათესავება იმ ეპოქის ქართული მხატვრობის ძეგლთა გარკვეულ წრეს.

მიქაელ მაღლაკელი შეგვიძლია მივიჩნიოთ XII ს-ის პირველი ნახევრის ერთ-ერთ თვალსაჩინო მხატვრად.

1. ე. თ ა ყ ა ი შ ე ი ლ ი. ლეჩხუმი-სვანეთი, გვ. 349—351.

2. Т. В и р с а л а д з е. Фресковая роспись художника Микаела Маглакли в Мацхвариши: ქართული ხელოვნება, 4, 1955, გვ. 169—231, ტაბ. 55—72 (ამ შრომაში მიქაელის მხატვრობა დაწვრილებითაა განხილული მხატვრულ-ისტორიული თვალსაზრისით).

მიქაელ მჭირალი — შესანიშნავი კალიგრაფი. ცხოვრობდა XI ს-ში. 1054 წელს გადაწერა ოთხთავი (ხელნაწ. ინსტ. S 962) — ერთი საუკეთესო ხელნაწერი წიგნთაგანი იმ ხანებისა. მისი სახელი ძლივსაა იკითხება 265-ე ფურცლის წინა გვერდის ბოლოში: «ლოცვა ყავთ მიქაელისთვის მწერალ...». ეს პატარა ფორმატის წიგნია (14,5×11,4), რომელიც საშინლად იყო დაზიანებული, მაგრამ ახლა აღდგენილია. სულ 266 ფურცლისაგან შედგება. ეტრატს ახლა სპილოსძელისფერი გადაჰკრავს. ნაწერი ასომთავრულია, ყავისფერი მელნით, ორ სვეტად (სვეტში — 20—21 სტრიქონი). ყოველ წერილმანს ეტყობა, რომ განსაკუთრებული მზრუნველობითაა შესრულებული ნამდვილი, დახეწილი გემოვნების მქონე, ოსტატის მიერ. თვით ნაწერი იშვიათი სილამაზისაა — მშვენიერი, «მშვიდი» პროპორციის, თანაბარი, მკაფიო ასოები, ყოველი მათგანი ცალკე, გადაბმის გარეშე (როგორც საერთოდ მაშინ წერდნენ); სვეტების წყობა

არსად არაა შელახული, თუმცა მორთულობა საკმაოდ ბევრია. არსებითად, ოსტატ-ტი ყოველი გვერდის მორთვაზე ფიქრობს: ა) სიტყვებს შორის ოქროსფერი წერტილებია — ესეც საკმარისია, რომ წიგნს განსაკუთრებით ხალისიანი და სადღესასწაულო იერი მიანიჭოს; ბ) საზედაო ასოები, აგრეთვე მშვენიერი პროპორციისა, ზოგი უბრალოა, მაგრამ ბევრია მორთული და შეფერადებულიც; ნასკევებით, შეფოთლებით. მთავარი აქ ლურჯი ფერია, წითლისა და ოქროს დამატებით. მორთულობა ყველგან ზომიერია. ზოგ საზედაო ასოს სამკაული არა აქვს, მხოლოდ ოქრო უსვია; გ) გამოყენებულია გვერდის დეკორაციული დამუშავების ტრადიციული ხერხი — ტექსტის სოლისებრ გაწყობა; დ) თავსამკაულები: II-სებრი მოხაზულობის ორნამენტული ზოლი, ზედ გვერით, აქეთ-იქით და შიგნით მცენარეული მოტივებით. აქაც იგივე ფერებია: თეთრნარევი ლურჯი — ესაა მთავარი; მქრქალი წითელი — სათაურისა და პირველი სტრიქონებისთვის.

მაღალი ოსტატობითაა შესრულებული კამარები, რომელთაც წიგნის პირველი ნ გვერდი უჭირავთ. ეს უკვე სავსებით განვითარებული სახის, მდიდრულად გაფორმებული, კომპოზიციებია — წყვილ-წყვილი სვეტებით, რომელთა ტანი მარმარილოს იმიტაციას წარმოადგენს (გვხვდება მუქი მწვანე, ცისფერი, წითელი), თაღებიანი ანტაბლემენტებით, ბურჯებით, ყვავილებითა და ჭაღებით, რომლებიც «კამარებს» ახლავს, შიგ თაღების არეში — რთული მცენარეული სახეებით და სხვ. კამარებს მოსდევს ტრადიციული «ეპისტოლე ევსებისა კარპიანეს მიმართ», რომლის ტექსტიც (ორი გვერდი) აგრეთვე საგანგებო ორნამენტულ ჩარჩოებშია. დასასრულ, დარჩენილია მარკოზ და ლუკა მახარებლების ძლიერ დაზიანებული გამოსახულებანი. აქაც ჩანს, რომ მათს შემსრულებელს ფერადოვანი შეხამების დიდად დახვეწილი ალღო ჰქონდა. წიგნის მორთულობის კოლორიტი ნიუანსებით მდიდარია, მაგრამ მთავარი მაინც ლურჯი ფერია (ლილისფერი) — ღრმა, მქდერი — იგი მთელ წიგნს გასდევს თავიდან ბოლომდე — კამარებსაც, თავსამკაულებსაც, საზედაო ასოებსაც და მინიატურებსაც — და ხელს უწყობს მის მხატვრულ მთლიანობას.

ხელნაწერს ათარიღებენ ბოლოში დართული კენკლოსებით, რომლებიც 1054 წლით იწყება.

ხელნაწ. ინსტ. ხელნ. აღწ., S—I, 1960, გვ. 626—627.


მიქაძეძეძი — ამ გვარამ XVIII ს-ში ქართულ კულტურას რამდენიმე თვალსაჩინო მოღვაწე მისცა. მათი შორეული წინაპრები სამეგრელოდან გადმოვიდნენ ქართლში. აქ ისინი სასულიერო წოდებაში შესულან. XVII ს-იდან მიქაძეების ოჯახში მემკვიდრეობით გადადიოდა თბილისის სიონის დეკანოზობა-

იმავ დროს, ამ ოჯახის წარმომადგენლები ლიტერატურულ მოღვაწეობას ეწეოდნენ და თავი გამოიჩინეს, როგორც შესანიშნავმა კალიგრაფებმა. XVII ს-ის ბოლოს ცხოვრობდა იესე დეკანოზი, რომელსაც ჰყავდა რამდენიმე ვაჟი, მათ შორის გაბრიელი (დაიბ. 1687 წ.) და ოსე (1698—1758). ორივენი მწიგნობრები იყვნენ. გაბრიელის გადაწერილია, მაგალითად, გულანი (ხელნაწ. ინსტ. A 910); ოსეს ვაჟები იყვნენ საინტერესო მემუარების («ცხოვრება-ანდერძის») ავტორი იესე ოსესძე (1758—1815) და მთარგმნელი, რედაქტორი, ორიგინალური შრომების ავტორი და გადაწერი, დეკანოზი იოანე ოსესძე ანუ ოსეს შვილი (1750—1801). ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესონი არიან გაბრიელის შვილები ნიკოლოზი და ზაქარია, უკანასკნელი უფრო ცნობილია ამბროსი ნეკრესელის სახელით.

ნიკოლოზ სიონის დეკანოზი (1720—1780) — გამოჩენილი კალიგრაფი, ერთი საუკეთესო ოსტატთაგანი XVIII ს-ისა. დეკანოზობა მიუღია (მის მიერ გადაწერილ წიგნთა ანდერძების შეჯერების თანახმად) 1748-სა და 1753 წლებს შუა. 1753—54 წლებში — ანდერძებისავე მიხედვით — მოსკოვში ცხოვრობდა. სხვადასხვა სასულიერო ავტორთა თხზულებების კრებულს (მარგალიტის სახელწოდებით, ხელნაწ. ინსტ. H 1246, 1753—54 წლები) ასეთი მინაწერი აქვს:

„მოსკოს ვიყავ წიგნს ვწერდი, მარგალიტსა
ობოლსა მე
ნაღვლისაგან შეიწრებულს, ქელი მი
ვყავ ჩხაბასა მე
როდეს მესმა კმა წასელისა, ტფილისს
წავალ ძმას თანა მე
და იესო მიძლოდ სღვად ნიკოლა
ოზ მწერალსა მე,
მშვიდობით თქვენ მოსკოელნო, ველარ
მოვალ თქვენთანა მე
შენდობა ყავთ ჩემ ცოდვილის, დეკანო
ზის მგზავრისა მე“.

ნიკოლოზის უადრესი დარჩენილი ხელნაწერი 1731 წელს მიეკუთვნება, როცა იგი, მინაწერის თანახმად, ყოფილა «წლისა ათერთმეტისა». «ვინც იხილავდეთ და წარიკითხვედეთ, გაზრდას მიბრძანებდეთ ამისათვის, რომე ყრმა ვიყავ ამის წერაში და არც ჯერ სხვა წიგნი დამეწერაო» (ხელნაწ. ინსტ.) S 1295, ფურც. 66). ჩანს, რომ მწერლის ხელობა მას სულ პატარაობიდანვე შესწავლეს. დღემდე დარჩენილია ნიკოლოზის მიერ ნუსხურით გადაწერილი ბევ-



ფურცელი A 347 ხელნაწერიდან. 1743 წ., ნიკოლოზ სიონის
დეკანოზის (მიქაძის) ხელი



ფურცელი A 1454 ხელნაწერიდან. 1746 წ., ნიკოლოზ დეკანოზის ხელი

რი წიგნი, უმეტესად სასულიერო შინაარსისა, რომლებიც მოწმობს მის ძალიან დიდ დახელოვნებას ამ საქმეში; დარჩენილია მხედრულად ნაწერი კრებულებიც (ხელნაწ. ინსტ. H 1193, 1766 წლისა, თეიმურაზ II-ის, არჩილისა და სხვათა თხზულებები; A 1702, 1753 წლისა. სხვადასხვა თხზულებათა კრებული, ესეც «მოსკოს» გადაწერილი); ამას გარდა, ნიკოლაოზი საბუთებსაც წერდა. მისი მოღვაწეობა 80-იან წლებს სწვდება.

ეტყობა, ნიკოლაოზს სახელი ადრევე მოუხვეჭია: 23—26 წლის ჭაბუკი იყო, როცა მას უკვეთავდნენ გადაწერას თვით მეფე თეიმურაზ II (დოკუმენტი, ხელნაწ. ინსტ. H 601, 1746 წ.), ვახტანგ VI-ის სიძე, ანუკა ბატონიშვილის მეუღლე, ვახუშტი აბაშიძე (სადღესასწაულო, ხელნაწ. ინსტ. A 1455, 1746 წ.), უმაღლესი სასულიერო წოდების წარმომადგენელი — ბატონიშვილი ანტონი, იმ დროს დავით გარეჯის მონასტრის ბერი, შემდეგ კი კათალიკოსი ანტონ I (ლოცვები და საგალობლები, ხელნაწ. ინსტ. A 347, 1743 წ.), უფრო გვიან — დოდოს რქის მონასტრის წინამძღვარი სვიმონ (სადღესასწაულო, ხელნაწ. ინსტ. H 1221, 1748 წ.), ბოდბელი მიტროპოლიტი იოანე (ორი ტიბიკონი, ხელნაწ. ინსტ. A 1399 და A1487, 1758 და 1760 წწ.), იოსებ ურბნელი (საგალობლები, H 656, 1768 წ.), გერმანოზ მროველი (კრებული A 897, 1768 წ.), დასასრულ, ერეკლე II-ს მეუღლე დარეჯან დედოფალი (ანტონ I-ის თვენი, Q 57) და გიორგი ბატონიშვილი, მომავალი გიორგი XII (კონდაკი H 2239, 1780 წ.).

ნიკოლაოზს თავისი ვირტუოზული ტექნიკით თავი მოჰქონდა კიდევ. გიორგი XII-ის კონდაკის მინაწერში იგი ამბობს: «მოიხსენეთ, რომელ ერთის გამოჭრილის კალმით დამიწერია, რომ არ გამომიცვლია კალამი, და ჩვენდა შემდგომად ვინც ეს ასე მწერლობა ეცადინოს, საქებელ იყავნ».

იოანე ბატონიშვილი თავის «კალმასობაში» მის შესახებ წერს: იგი «იყო საღმრთო წერილში გამოცდილი, ხუცურის ხელის მწერლობაში პირველი, რომელ ჯერეთ არავინ ყოფილა ამისთანა მშვენიერის ხელით მწერალი. ვითარცა ესე და აგრეთვე ხელჩამრთველი მშვენიერად. ამან გარდასწერნა მრავალნი საღმრთო წერილნი... ამან დია პატიონსებით იცხოვრა. და უყვარდათ მეფეთაყო». იოანეს, რომლის ბიბლიოთეკაშიც ინახებოდა უფრო გვიან მამამისის — გიორგი XI-ის — კონდაკი, კალმის ამბავიც საგანგებოდ აქვს მოხსენებული: «და ამან აღწერა ერთისა კალმითა მთელი კონდაკი, სამღვდელთ მსახურებაში სახმარი, რომელსა მეორე კალამი წერაში არ უხმარია, და არცა იგი კალამი ხელმეორედ გამოუჭრია».

ნიკოლაოზს სხვადასხვაგვარ შეკვეთათა შესრულება უხდებოდა: შედარებით

მცირე ზომის წიგნებსაც წერდა (დაახლ. 15×10 სმ ფორმატისა), საშუალოსაც (დაახლ. 21×16 სმ) და ფრად დიდისაც (42×29,3 სმ, 32×21 სმ და სხვ.); ზოგი წიგნი (უმეტესობა) მარტივადაა გაფორმებული, შედარებით უპრეტენზიოა, ზოგი კი საგანგებოდ იყო შეკვეთილი მაღალი არისტოკრატიის წარმომადგენელთა მიერ და მდიდრულად, საზეიმოდაა მორთული. ასეთი წიგნებია სხენებუ-ლი ს ა დ ლ ე ს ა ს წ ა უ ლ ო ვ ა ზ უ შ ტ ი ა ბ ა შ ი ძ ი ს ა (A 1454) და ანტონ კათალიკო-სისთვის გადაწერილი ს ა გ ა ლ ო ბ ე ლ თ ა კ რ ე ბ უ ლ ი (A 347) — ფერადი, მდიდრული თავსამკაულით, სახედაო ასოებით, ჩარჩოებში ჩასმული გვერდებით, ხლართული მთავრული სათაურებით, მონოგრამებით, რომლებიც შეჯგარდინე-ბული ასოებითაა გამოყვანილი, ს ა დ ლ ე ს ა ს წ ა უ ლ ო შ ი წ მ ი ნ დ ა ნ თ ა მ რ ა ვ ა ლ - რ ი ც ხ ო ვ ა ნ ი ს უ რ ა თ ე ბ ი თ ა ც , და სხვ.

ხელი, განსაკუთრებით ნუსხური, ნიკოლოზს მართლაც დიდად გაწაფული ჰქონდა. წერდა მკაფიოდ, კალმის ძლიერი დაჭირებით, ყოველგვარი სიტლან-ქის გარეშე, გამოჰყავდა ასოების მსხვილხაზოვანი ნაწილები; ნაწერი იმდენად თანაბარი და ზუსტია, თითქოს მანქანით შესრულებული იყოს, იმიტომ რომ ძნელი წარმოსადგენია ადამიანის ხელის ასეთი ავტომატიზაცია (ასეთი რამ და-მახასიათებელია XVII—XVIII სს-თა საუკეთესო კალიგრაფების ნაწერისთვის). მიუხედავად ამისა, ნაწერი მშრალ, «მანქანურ» შთაბეჭდილებას არ ტოვებს, მით უფრო, რომ ნიკოლოზს ყოველთვის გააზრებული აქვს ფურცლის გაფორ-მების დეკორაციული ეფექტი.

მის მიერ გამოყენებულ სერხთაგან უმეტესობა საერთოდ ცნობილია იმ ხა-ნებში: მაგ., ტექსტის ჩასმა ჩარჩოებში, რომლებიც ოქროსფერი, ლურჯი და სინგურის ხაზებითაა შედგენილი; მძიმე თავსამკაულები ტექსტის დასაწყისში — შუაში კბილანებიანი თაღით; თავსამკაულს ნახევარი გვერდი უჭირავს და ინ-ტენსიურად, რამდენადმე მჭახედაა, შეფერადებული (ოქროსფერი ფონი, ლურჯი, მწვანე, წითელი, აგურისფერი); თაღში ჩართულად ნაწერი მთავრული სათაუ-რია. ზოგჯერ გვხვდება ევროპული წიგნური გრაფიკის მოტივებიც — უეჭვე-ლია, ნიკოლოზს არა ერთი ნაბეჭდი ევროპული და რუსული წიგნი სჭვრია ხელში, მით უფრო, მოსკოვში ყოფნის დროს.

განსაკუთრებით უყვარს ნიკოლოზს ტექსტის ფიგურულად გაწყობა: სტრი-ქონების სიგრძის კლება-მატებით მას გამოჰყავს სამკუთხედები, რომბები, წრე-ები, კიდევ უფრო რთული ნებისმიერი ფიგურები (ჩვეულებრივ, რომელიმე თავის ან პარაგრაფის ბოლოს). ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩევა ანტონისთვის გადაწერილი კრებული (A 347): აქ ტექსტის ფანტასტიკური ფიგურები ასეთივე მოხაზულობის ჩარჩოებშია ჩასმული, რაც მოწმობს, რომ ეპოქის გემოვნება

მინცდამინც ვახვეწილი და მკაცრი აღარ იყო. ხანდახან ანდერძების მოსათავე-სებლად ნიკოლაოზი გამოყოფდა სამკუთხა არეებს და ამ ანდერძ-მინაწერებს ძირითადი ტექსტის პერპენდიკულარულად წერდა. ვირტუოზულად გამოჰყავდა მას ჩართული მთავრული ასოები და მონოგრამები (ესეც განსაკუთრებით მკა-ფიოდ ამავე ხელნაწერში ჩანს). ერთი სიტყვით, ნიკოლაოზი, რაკი ხელობას სახვებით დაუფლებული იყო, თავის ფანტაზიას გასაქანს აძლევდა. წმინდანთა სურათები, რომლებიც მას ვახუშტი აბაშიძისეულ სადღესასწაულში აქვს ჩართული (არშიებზე, საგანგებო ჩარჩოებში, თითქოს პატარა ხატები იყოს), შესრულების მხრივ მაღალი ღირსებისა ვერ არის.

დამახასიათებელია, რომ ნიკოლაოზის ანდერძ-მინაწერებს, რომლებსაც ხელნაწერებში მხატვრის ხელმოწერის ფუნქცია ეკისრებათ, მის წიგნებში დიდი ადგილი უჭირავს. ჩვეულებრივ, წიგნის მანძილზე იგი რამდენიმეჯერ ახსენებს თავის თავს, აღნიშნავს თავის წოდებას (ადრე დეკანოზის შვილად იწოდება, მერე — სიონის დეკანოზად), მოსკოვს გადაწერილ წიგნში, როგორც ზემოთ დავინახეთ, არ ერიდება თავისი განწყობილებისა და მდგომარეობის გადმოსაცემად ლექსის ჩართვასაც; ანტონის ლოცვათა კრებულში მისი სახელი ყოველ ნაბიჯზე გვხვდება, თანაც, არა უბრალო ნუსხურ მინაწერებში, არამედ ხლართული მთავრულით ნაწერ ტექსტსა და მონოგრამებში, რომელთაც მთელი გვერდები უჭირავთ. ეს უეჭველად მოწმობს, რომ «მწერლის» შრომა მაშინ ჩვენში დიდად ფასობდა. ეს მწერალთა სოციალური მდგომარეობის გათვალისწინებასაც გვშველის.

ნიკოლაოზის მიერ გადაწერილი წიგნები (ხელნაწ. ინსტ. ფონდებში):

1731 წ.: კრებული S 1295; 1742 წ.: ლოცვანი H 1061; 1743 წ.: ლოცვანი და საგალობლები A 347; 1746 წ.: დოგმატიკონი H 601, სადღესასწაულო A 1454; 1748 წ.: სადღესასწაულო H 2121; 1753 წ.: კრებული A 1702; 1754 წ.: მარგალიტი H 1246; 1756 წ.: ლოცვანი H 334; 1758 წ.: ტიბიკონი A 1399; 1760 წ.: ტიბიკონი A 1487; 1761 წ.: ნაწილი კრებულისა S 1295 (იხ. ზემოთ); 1764 წ.: იოანე ოქროპირის თარგმანება მათეს სახარებისა, A 20; 1766 წ.: კრებული H 1193; 1768 წ.: კლემაქსი H 1369; საგალობლები H 656; კრებული A 897; 1772 წ.: კურთხევანი A 1191; 1777 წ.: ვრცელი ლოცვანი H 2234; 1779 წ.: თენი Q 57; 1780 წ.: კონდაკი H 2239; ნიკოლაოზისავე გადაწერილია, უეჭველად, ანტონ I-ის მარტირიკა Q 78, 1769 წ., თუმცა აქ იგი ხელს აწერს, როგორც «სიონის ეკლესიის პროტოპრეზვიტერი ნიკოლაოსი». პროტოპრესვი-

ტერის წოდებაც დეკანოზისას უდრის და ამ წიგნის ნაწერიც სავსებით ემთხვევა ნიკოლაოზის სხვა წიგნთა ხელს.

1. ამთი აღწერა იხ. სსმ და ხელნაწ. ინსტ. ხელნაწერთა აღწერაში (A, H, S და Q სერიები), აგრეთვე თ. ჟორდანიასა და მ. ჭანაშვილის Опис. рукоп. Ц. М.

2. ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე, ისტ. საბ. V, 1913, გვ. 73, 100.

3. იო ა ნ ე ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი. კალმასობა, ტ. II, 1948, გვ. 198.

4. ქ. შ ა რ ა შ ი ძ ე. იესე ოსეს ძის „ქორანიონი“: ენიშკის მოაზბე, XIII, 1943 წ., გვ. 121—137.

5. ლ. მ ე ნ ა ბ დ ე, ძვ. ქართ. მწერლ. კერები, 1, 1961, გვ. 173.

ამ ბ რ ო ს ი ნ ე კ რ ე ს ე ლ ი (1728—1812 წლის ახლო ხანები)—ნიკოლაოზის უმცროსი ძმა, ერისკაცობაში ზ ა ქ ა რ ი ა. ცნობილი სასულიერო მოღვაწე, მწერალი და კალიგრაფი. ზოგიერთი ცნობით, მისი მასწავლებლები ყოფილან ჯერ კათალიკოსი ბესარიონ ორბელიანი (გარდაიცვ. 1735 წ.), შემდეგ კათალიკოსი ნიკოლოზ ხერხეულიძე (გარდაიცვ. 1744 წ.). სამოციანი წლების დასასრულის ხელნაწერებში (H 3, იოანე ოქროპირის თ ა რ გ მ ა ნ ე ბ ა ი ო ა ნ ე ს ს ა ხ ა რ ე ბ ი ს ა, 1768 წ.; S 69, ანტონ I-ის კ ა ტ ე ხ ი ზ მ ო, 1769 წ.) იგი თავის თავს სიონის ხუცესს, ან სიონის დეკანოზის შვილს ხუცეს ზახარიას უწოდებს. 1776—1777 წლებში დავით გარეჯის მონასტერში მოღვაწეობდა, 1778 წელს კი წილენელ ეპისკოპოსად განაწესეს. ამ თანამდებობაზე დიდხანს დაჰყო. მისი ნაწერები მოწმობს, რომ ამ წლებში დიდი გავრცელება გამოუვლია, რადგანაც მის სამწყსოს ლექები ავერანებდნენ, შიგნითაც დიდი წესრიგი არ ყოფილა. ამბროსი (ამ დროს მას უკვე შეცვლილი აქვს სახელი) მაინც დიდი ენერგიით მოქმედებდა, მოგზაურობდა თავის სამწყსოში, როგორც მისიონერი, კერძოდ, ცდილობდა ქრისტიანობის განმტკიცებას მთიულეთში, ეკლესიების მდგომარეობის მოწესრიგებას. უამრავი საქმით დატვირთული, დაღლილ-დაქანცული ამბროსი ხელნაწერ წიგნებსაც ამზადებდა და, ეტყობა, შრომაში დღე და ღამე გასწორებული ჰქონდა. 1782 წელს წილკანს გადაწერილ ს ა დ ლ ე ს ა ს წ ა უ ლ ო ს (ხელნაწ. ინსტ. H 973) ანდერძში იგი აღელვებით ამბობს: «ეს ჩემმა მოსაყდრემ ეპისკოპოსმა სცნას, რაზე ვიწყალბებ თვალებს. შუაღამეა, რომ ესწერ წილკანს, 1782. სეკდემბერს კდ, წილენელი ამეროსი, ამიტომ, რომ ღმერთი გაუწყრა რომელიაზე აქაურთ, წიგნი აღარ დამახვედრეს მოქვლეთ და არც ერთი საქმარი საყდრისა და სახლისა, და ყოვლითურთ ყოველივე გაკრებული დამხვდა, მაშ რა ექნა, ამ სატანჯველში ვარ» (ფურც. 24).

1789 წ. ერთი წიგნის მინაწერში (წ ი გ ნ ი ა ღ ს ა რ ე ბ ი ს ა, ხელნაწ. ინსტ. H 1380) იგი ჩივის: «უსკამოდ დავსჯლარბე, მუქლზე აღწერით. რა ვყო უბინაო მწერალმაო » და სხვ. სხვა ხელნაწერის (ხელნაწ. ინსტ. Q 845, ს ა გ ა ლ ო ბ ე ლ-

თა კრებულში) ანდერძში ამბროსი მოგვითხრობს: «... არაგვზე და შემდგომად წილკანს, ყოვლითურთ ვერანასა და უშენსა ადგილსა, დავსდევ ორსა წელსა შიშსა შინა მხოლობით, და შემდგომად შემოვიკრიბენ ყმანი მემკვიდრენი და ხიზანნი და მივეც აქაცა თავსა ჩემსა დიდი შრომა, უფალმან უწყის, შეძლებისა ჩემისა უმეტესი, რომელ ამას ვიქადი, დაღათუ რიცხვით 40 წელი ვინ მდგარიყო, ესოდენსა შრომას იგიცა ვერ ძალიდებდა...». ბოლოს ამბროსიმ ველარ გაუძლო ასეთ დატვირთვასა და დაძაბულობას: «ავიღე ქელი და წარმოველ ქალაქად». მას ჯერ მანგლელობა უბოძეს, შემდეგ კი — ამავე ანდერძის ცნობით, 1793 წელს — ნეკრესელობა. იგი აქაც დაუცხრომლად იღვწოდა იმ კუთხის მოსაწესრიგებლად (თვითონ შილდაში ჰქონდა რეზიდენცია), განაგრძობდა მუშაობას, როგორც ავტორი და გადამწერი. ამ ხანას მიეკუთვნებიან მისი ქადაგებანი, აგრეთვე ლექსები და სხვ. 1811 წელს აღმოსავლეთ საქართველოში ძველი ეპარქიები, მათ შორის ნეკრესისაც, გაუქმდა. ამბროსი თბილისის დაბრუნდა უკვე ღრმად მოხუცებული და ამის შემდეგ დიდხანს აღარ უცოცხლია.

იოანე ბატონიშვილი თავის კალმასობაში მას ასე ახასიათებს: «...იყო მეცნიერი საღმრთო წერილსა შინა გამოცდილი, კვალად უცხო მწერალი, ვითარცა სხუკურისა, ეგრეთვე მხედრულის ხელისა. ამანაც მრავალნი საღმრთო წერილნი და ისტორიები გარდასწერნა. ესე იყო კარგი პიტიკოსი, მუსიკოსი და სრული მგალობელი. ამან აღზარდნა რაოდენიმე მოწაფენი...».

ამბროსის დიდი ლიტერატურული მემკვიდრეობა ჩვენი განხილვის საგანს არ შეადგენს. როგორც კალიგრაფი, იგი თავისი დროის საუკეთესო ოსტატთა გვერდით დგას, და, შეიძლება ითქვას, თავის ძმას ნიკოლაოზსაც არ ჩამოუვარდება.

მის გადაწერილ წიგნებში დიდი ადგილი უჭირავს სხვადასხვა კრებულებს. უმეტესად იგი სასულიერო წიგნებს წერდა, მაგრამ გადაწერილი აქვს საქართველოს ისტორიაც. (ხელნაწ. ინსტ. A 756). ხელნაწერთა ინსტიტუტში დაცულ ხელნაწერთა შორის ყველა კალიგრაფიულად არ არის შესრულებული: ზოგი პირველნაწერი ავტოგრაფია საკუთარი თხზულებისა (მაგ., ქადაგებათა); კრებულების უმეტესობა სხვადასხვა დროს, სხვადასხვა ზომის რეეულებში, განსხვავებული ხელით ნაწერს უყრის თავს (მაგ. H 973, H 1283, A 317). ამბროსის ხშირად არც ეცალა დიდი წიგნების კალიგრაფიულად გადაწერისათვის: მას, როგორც დავინახეთ, გარდა ლიტერატურულ-კალიგრაფიული საქმიანობისა, დიდი ტვირთი აწვა საორგანიზაციო, საგანმანათლებლო და სამისიონერო საქმიანობის გამო, როგორც მღვდელთმთავარს. მთავარი კი ისაა, რომ საეკლესიო წიგნები მას სასწრაფოდ ესაჭიროებოდა პრაქტიკული საქმიანობისათვის. ამას

მოწმობს თუნდაც ზემოთ მოყვანილი მისი სიტყვები — წილკანში წიგნები ადარ დაშახვედრეს და იმიტომ ვიწყალეებ თვალებს ამ სადღესასწაულოს წერითო. ასეთი წიგნები (ხსენებული სადღესასწაულო H 973, საქართველოს ისტორია A 756 და სხვ.) ძალიან წერილი მხედრულითაა ნაწერი, ზედმიწევნით მჭიდროდ (A 756-ში, რომლის ფორმატია 33×21 სმ, გვერდზე 57 სტრიქონია): ეს თითქოს სწრაფი ნაწერია, კალიგრაფიულობის პრეტენზიის გარეშე, მაგრამ ამბროსის იმდენად გაწაფული ხელი ჰქონდა, იმდენად იყო დაოსტატებული, რომ ეს ნაწერიც ღამაზია და მიუხედავად სიწვრილისა — მკაფიო, ადვილი გასარჩევი. თუ კალიგრაფიულად წერდა, როგორც აღვნიშნეთ, თავისი დროის უკეთეს ოსტატებს არ ჩამოუვარდებოდა (მხედრულად ნაწერი S 69, ანტონ I-ის კატეხიზმო 1769 წლისა; H 1380, წიგნი აღსარებისა, 1789 წ.; პატარა ფორმატის ბროშურა, რომელიც წილკნელობის დროს გადაუწერია, თავისი სამწყსოს საჭიროებისთვის; ნაწილი H 973-სა; მეორე ნაწილი A 280-სა, იოანე ოქროპირის თარგმანება მათეს სახარებისა; Q 808, დეთისმშობლის საგალობლები, მინიატურული წიგნი, $7,5 \times 5$ სმ და სხვ.).

ნუსხურით ნაწერი წიგნები ყველა კალიგრაფიულია; წერს სქლად, კალმის ენერგიული დაჭირებით, დახრილად; ისევე, როგორც მისი ძმის ნაწერში, არა მარტო დახელოვნება და მტკიცე ხელი იგრძნობა, არამედ ნამდვილი არტისტიზმიც, «აქეიცი», რომელიც მხოლოდ საუკეთესო კალიგრაფებს აქვთ (H 3, 1768 წლისა, იოანე ოქროპირის თარგმანება იოანეს სახარებისა, $32 \times 21,7$ სმ; A 280, მისივე თარგმანება მათეს სახარებისა, პირველი 46 ფურცელი, $32,7 \times 22,7$; ამ დიდი წიგნების გვერდით — A 338, საგალობლები, $13,6 \times 9$ სმ, და სხვ.). იგი დაუფლებული იყო ხელნაწერი წიგნის აუცილებელი ატრიბუტების გაფორმებასაც: საზუდაო ასოებს, ჩართულ მთავრულს და სხვ.; რიგიანად ასრულებდა თავსამკაულებსაც, თუმცა ნახატი მორთულობა მის წიგნებში მინც იშვიათად გვხვდება (A 338, საგალობლები, და სხვ.). ამ მორთულობაში ზოგან უკვე იგრძნობა ევროპული მოტივების შემოქოვნა (უეჭველია, წიგნური გზით).

ამბროსის, როგორც კალიგრაფის, წიგნებს უკეთდნენ უმაღლესი არისტოკრატის წარმომადგენლნი და მაღალი სასულიერო თანამდებობის პირნი: გიორგი ბატონიშვილი (მომავალი გიორგი XII), სარდალ-სახლთუხუცესი იოანე მუსხრან-ბატონი, ნინოწმინდელი მიტროპოლიტი საბა ტუსისშვილი და სხვ.

1. ცნობები ამბროსი ნეკრესელის მიერ გადაწერილ წიგნთა შესახებ იხ. სმ და ხელნაწ. ინსტ. ხელნაწერთა აღწერაში (A, H, Q, S სერიები), თ. ჟორდანიასა და მ. ჯანაშვილის Опис. рукоп. II. М.

2. იოანე ბატონიშვილი. კალმასობა, ტ. II, 1948, გვ. 198—199.
3. პლ. იოსელიანი. ცხოვრება გიორგი მეცამეტისა. თბ., 1936, გვ. 45, და სხვ.
4. ს. ყუბანეიშვილი. ამბროსი ნეკრესელი: ლიტერატურული ძიებანი, III, 1947, გვ. 225—254.
5. ლ. მენაბდე. ძვ. ქართ. მწერლ. კერები, I, 1961, გვ. 228—230, 313, 326—329 და სხვ.

მიქაელი — XVII ს-ის მხატვარი. და კალიგრაფი. მუშაობდა ნიკოლოზ კათალიკოსის (ამილახერის) დაკვეთით. მისი გადაწერილია ე. წ. ერისთვის და უჯდომელი. (ხელნაწ. ინსტ. H 98) და საბასთან ერთად — ანჩისხატი — ქამნგულანი, სამ ტომად შეკრული უშველბული წიგნი (A 30, 31, 32) — ერისთვის დაუჯდომელი პატარა წიგნია (20×14 სმ., სულ 66 ფურცელი). ანდერძი (ფურც. 61): «...აღვაწერინე წმიდა წიგნი დაუჯდომელი მისის შედეგებითა და ზიარების ლოცვანითა, შევამკე და დავახატე ამილახორის შვილმან კათალიკოზმან პატრონმან ნიკოლოზ. ქრონიკონსა: ტათ: ქელითა მიქელისათა: უფალო შეიწყალე ფრიად ცოდვილი მიქელი» (თარიღი 1681 წელია). იმ დროის ტრადიციის თანახმად, ყოველი ფურცელი სწორკუთხა ჩარჩოშია (ჩარჩო — ოქროსფერი, ლურჯი და წითელი ხაზებისგან შედგება). ნაწერი ნუსხურია. წიგნი 72 მინიატურა ახლავს. მინიატურებითა შემკული ქამნგულანიც. მაგრამ როგორც დაუჯდომელის, ისე ქამნგულანის მინიატურები სხვადასხვა ხელითაა შესრულებული (ქამნგულანში რ. შერლინგიორ ხელს არჩევს). საგანგებო შესწავლის გარეშე შეუძლებელია თქმა, რომელი მინიატურები ეკუთვნის მიქელს. რომლებიც არ უნდა იყოს მისი, იგი იმ ხანის ერთ-ერთ საინტერესო და დამახასიათებელ მხატვრად შეიძლება ჩაითვალოს, ხოლო როგორც კალიგრაფი, უეჭველად საუკეთესოთა რიცხვს შეიძლება მიეკუთვნოს.

1. ე. თაყაიშვილი, არხ. მოგზ. შენ., I, გვ. 273—274 (თაყაიშვილმა ერისთვიანთ დაუჯდომელი ნახა ქისტატურში, თავ. კიაზო ერისთვის სახლში).
2. Ф. Жордания. Опис. рукоп. Ц. М., I, გვ. 23—25
3. Р. Шмерлинг. Образцы, გვ. 66—69, таб. XXVII—XXX, XXXII.

მიქელ ბალატოზი — მოხსენებულია სოფ. აჭის (გურიაში) ეკლესიის წარწერაში, რომელიც ე. თაყაიშვილის აზრით, XVII—XVIII ს-ზე გაცილებით ძველი უნდა იყოს: «წმიდაო გიორგი... მეოხ ექმენ ნიკოლოზ აჭიელსა და გაატოზთა მიქელს და მქეციძეს». უკანასკნელი საკუთარი სახელის წაკითხვა ე. თაყაიშვილს უეჭველად არ მიაჩნია.

Е. Такайшвили. АЭРЗ, III, 1907, გვ. 15.

მიქაელ ოპიზარი — X ს-ის ოსტატი, რომლის აშენებულიც უნდა იყოს მარტვილის ტაძრის დასავლეთი ექვტერი. ექვტერს ჰქონდა წარწერა, რომელიც XIX ს-ის მეორე ნახევარში გაშქრალა. დიუბუას თანახმად, მასში მითითებული იყო თარიღი — 996 წ. (ქრონიკონი სივ—216), ხოლო მეორე წარწერა, გარედან, ექვტრის სარკმელს ზემოთ, ასე იკითხებოდა: «ქრისტე, შეიწყალე მიქელ გალატოზი ოპიზარი».

მიქელის შესახებ სხვა არაფერია ცნობილი, გარდა იმისა, რაც ამ წარწერაშია აღნიშნული (რომ ის წარმოშობით ოპიზიდან — ე. ი. კლარჯეთიდან — იყო).

ე. თაყაიშვილი. არხ. მოგზ. შენ., II, გვ. 41.

მიქაელ ჩიხუარაძე — კალიგრაფი. ცხოვრობდა XI ს-ში. მოღვაწეობდა პალესტინის ქართულ საეპარქიაში. მისი გადაწერილია იოანე ოქროპირის თარგმანება იოანეს სახარებასა (ინახება იერუსალიმის ჯვრის მონასტრის ბიბლიოთეკაში, ცაგარლის კატალოგი № 145): «ხოლო დაიწერა ქელითა გლახაჲსა და მწარედ ცოდვილისა მიქელ ჩიხუარაღისაჲთა, ლავრასა დიდსა წმიდისა მამისა ჩუჴნისა საბაჲსსა, ბრძანებითა შვეშემოსილისა წმიდისა მამისა და მოძღურისა ჩუენისა გიორგი ჯვარელისაჲთა, მეფობასა ბერძენთა ზედა მისა-ელისასა, ხოლო ქართუჴლთა ზედა ბაგრატ კუროპალატისსა...» და სხვ., ნათქვამია ანდერძში. მიქელს გადაწერაში დახმარებია მიქელ დვალი (იხ. დვალი), რომელიც აგრეთვე მოხსენებულია აქვე. არის ასეთი ცნობაც: «ოდეს ესე დაიწერა და განსრულდა, ქრონიკონი იყო სნჴ (258 + 780 = 1038). აქ მოხსენებული ბაგრატი — ბაგრატ მეოთხეა, მისაელი — ბიზანტიის იმპერატორი მისიელ IV პაულაგონიელი (მეფობდა 1034 — 1041 წლებში), საბას ლავრა — საბაწმინდის მონასტერი პალესტინაში, ქართველთა მოღვაწეობის ერთი უმთავრესი ცენტრთაგანი ბიზანტიურ სამყაროში.

ცაგარლის ცნობით, წიგნი ნუსხურითაა ნაწერი — ერთი ულამაზო ხელია, მეორე ლამაზიო. რაკი უფრო დაწერილებითი ცნობები არ გაგვაჩნია, ჩვენ არ ვიცით, რომელი ხელი ეკუთვნის მიქელ ჩიხუარაღს და რომელი მიქელ დვალს. დვალები ცნობილი კალიგრაფები იყვნენ და უფრო საფიქრებელია, რომ უკეთესი ნაწერი მიქელ დვალისა იყოს.

A. Цагарели. Сведения, вып. 2, 1889, გვ. 44.

მიქაელ ხუცეს-გალატოზი — XI ს-ის პირველი ნახევრის ოსტატი, სოფ. დიდი გომარეთის დვთისმშობლის ეკლესიის ამშენებელი. მოხსენებულია სამშენებლო წარწერაში სამხრეთის შესასვლელის თავზე: «სა-

ხელითა ღმრთისათა, მას ჟამსა იდეს ძლიერმან და უძლეველმან გიორგი აფხაზთა მეფემან შეიპყრა ზვიად მარუშინი, მაშინ ესე ბალავერი დეა ჭელითა ცოდვილისა მიქელ ხუ[ცეს] გალატოზისათა. სხვა წარწერებში მოხსენებული არიან ლიპარიტ ერისთავთა ერისთავი და «შვილნი მისნი», რაც, თვით შენობის ხასიათთან ერთად, მიგვითითებს თარიღს. მიქელ ხუცეს-გალატოზი, ალბათ, საერთოდაც დაკავშირებული იყო ბალუაშთა ძლიერ ფეოდალურ ოჯახთან, რომელიც თავის მამულებში გაცხოველებულ მშენებლობას აწარმოებდა.

E. Такайшвили. АЭРЗ, IV, 1913, გვ. 83.

მოსე ხანძთელი — კალიგრაფი. ცხოვრობდა XI ს-ის მეორე ნახევარში. მოღვაწეობდა სამხრეთ საქართველოს სავანეებში, კერძოდ, შატბერდში. 1085 წელს გადაწერა საწელიწდო, გიორგი მთაწმინდელის მიერ ნათარგმნი (ხელნაწ. ინსტ. H 1350) — საშუალო ზომის 93-ფურცლიანი წიგნი (24,5 × 18,3 სმ), ნუსხურით შესრულებული ერთ სვეტად. ნაწერი მუქი ყავისფერი მელნითაა, ლამაზი ხელით — მოსე საკმაოდ კარგი ოსტატი ყოფილა — ზოგან სინგურის სტრიქონებიც ურევია. წიგნის გაფორმება უპრეტენზიოა: მხოლოდ სინგურის უბრალო საზედაო ასოები. ბოლო გვერდზე წერია: «... ქრონიკონი ივო ტ და ე. დაიწერა მოსე ხუცისა ხანცთელისა ქელითა» (ტე—305 + 780 = 1085). ნათქვამია აგრეთვე, რომ დამკვეთმა, ვინმე ეგნატიმ, გააკეთებინა «წმიდაა ესე წიგნი საწინაჲსწარმეტყუელოა დიდებულისა ლავრისა შატბერდისათჳს». ნახსენები არიან გიორგი მეფეთა მეფე კესაროსი და მისი ძე დავით მეფე და სევასტოსი, ე. ი. გიორგი II და დავით აღმაშენებელი.

სსმ ხელნ. აღწ., III—H, გვ. 306.

ნ

ნასყიდა — XVIII ს-ის ოსტატი, რომელსაც აუშენებია გუმბათიანი ეკლესია ლეჩხუმის სოფ. მცხეთაში. აღმოსავლეთის სარკმლის საპირეში ჩართული მარჯვენა ხელის რელიეფური გამოსახულება და მხედრული წარწერა: «ხელი ნასყიდას კალატოზის ქართლელი ს». ნასყიდას მიერ აგებული ეკლესია ერთადერთი გუმბათიანი ეკლესიაა ლეჩხუმში, იგი მცირე ზომისაა, ორი გუმბათქვეშა ბურჯით. ნაშენია წინაპირჩამოთლილი ქვით, ნაკერები შეღესილია (შესამღებელია, შეკეთების დროს). აღმოსავლეთისა და დასავლეთის სარკმლები მორთულია, პირველი მედალიონებითა და მცენარეული მოტივით. მეორე — ადამიანთა, ცხოველებისა და ფრინველების რელიეფებით. ორნამენტული მოტივები და მათი კვეთა, აგრეთვე რელიეფთა შესრულება სრულიად ბრტყელია, არაპლასტიკური. თვით კედლების პერანგის ხასიათი გვიანი ფეოდალური ხანისთვისაა დამახასიათებელი. მართლაც, ბროსესთვის ადგილობრივ უთქვამთ (1848 წ.), რომ ეკლესია აგებული ყოფილა ოტია დადიანის (1728 — 1744) მეუღლის, რაჭის ერისთავის შოშიტას ასულის, გულქანის ბრძანებით. ე. თაყაიშვილი ამავე თარიღს იზიარებს. ქართლელმა ნასყიდამ, უეჭველია, მცხეთის სვეტიცხოვლის კედელზე გამოქანდაკებული ხელის მიბაძვით გამოაქანდაკა აქ, აგრეთვე მცხეთად წოდებულ სოფელში, თავისი ხელიც. თავისი დროის კვალობაზე, ნასყიდა მარჯვე და უკვე გამოცდილი ოსტატი ჩანს.

1. Brosset. Voyage, II, გვ. 33.

2. ე. თაყაიშვილი. არქეოლოგიური ექსპედიცია ლეჩხუმ-სვანეთში : 910 წელს. პარიზი, 1937, გვ. 43—44. ერმაკოვის ფოტოები: №№ 17395, 17396, 17397.

ნაშიძე, საყვარელ—მხატვარი და კალიგრაფი (?) ცხოვრობდა XV ს-ში. მისი შესრულებულია მარკოზ მახარებლის სურათი ხელნაწ. ინსტ. Q 5 ოთხთავისა. სურათი 123-ე ფურცელზეა, იგი კალმითაა დახატული, სწრაფი ხელით, ესკიზურად. გამოყენებულია მწვანე, სინგური, ყავისფერი. ზოგი რამ მხოლოდ

კონტურულადაა მოხაზული, საღებავით დაუფარავია. დიდი ოსტატობა არ ჩანს. ქვემოთ, სინგურით, კვლავ სწრაფი ხელით: «მარკოზ მახარებელო, მეოხ ეყავი საყვარელს ნაშიძეს». სურათის გარეთა ჩარჩოც სინგურისაა; თითქოს ეს ჩარჩო შემოავლო და იქვე მიაწერა. ტექსტი მხედრულია, XV ს-ის დამახასიათებელი ხლართული ხელი, რომელშიაც ასოების გადამბმელ ღელარტნილ ხაზებს იმდენივე (ან მეტი) ადგილი უჭირავს, რამდენიც თვით ასოების მოხაზულობას. შესაძლებელია, წიგნის გადამწერიც საყვარელ ნაშიძე იყოს.

სსმ. ხელნ. აღწ. Q—1, 1957, გვ. 10.

ნაწმომადმი, საბა — კალიგრაფი (ცხოვრობდა XVI ს-ში), რომელიც მონაწილეობდა ბედიანის გულანის (ხელნაწ. ინსტ. A 187) გადაწერაში ამბროსე კარგარეთელთან, გაბრიელ ლომსიანისძესა და სვიმონ გიორგიძესთან ერთად. ყოფილა ვინმე მახარებელის ძე. გულანს წერდა ბედიელი მიტროპოლიტის გერმანე ჩხეტისძის დაკვეთით. კარგი კალიგრაფი იყო, მაგრამ მისი ნაწერი (რამდენადმე კუთხოვანი ნუსხური) სიფაქიზითა და სილამაზით ჩამოუვარდება ამბროსესა და გაბრიელის ნაწერს. მისი ანდერძი 556-ე ფურცელზეა: «ნაჭოფაძესა საბას შეუნდნეს ღმერთმან. მამაჩემსა მახარებელსა შეუნდეს ღმერთმან...» და სხვ. ამისივე ხელითაა შესრულებული ფურცლები 611—644.

იხ. ლომსიანისძე, გაბრიელ.

ნიკოლასძენი — მოხსენებული არიან სოფ. განძათა (განძანი, ჯავახეთში, ბოგდანოვკის რაიონში, ფარანისა და საღამოს ტბების მახლობლად) ორი ეკლესიის წარწერებში. რამდენსავე წარწერაში იხსენიება ვინმე შალვა, რომელიც ჯერ მეჭურჭლეთუხუცესი ყოფილა (ზემო ეკლესია), შემდეგ კი მანდატურთუხუცესობაც მიუღია (ქვემო ეკლესია). იგი რომელიღაც გიორგი მეფის დროს ცხოვრობდა (ქვემო ეკლესიის წარწერა). ზემო ეკლესია უფრო ადრინდელია: მისი დასავლეთის კედლის წარწერაში ბოლოს ნათქვამია: «...ვაშენეთ წმიდა ესე საყდარი ჩუენ ქზსა და ნიკოლისძეთა». ქვემო ეკლესიის სამხრეთის კედელზე, სარკმლის მარცხნივ: «...ვაშენეთ მეორე წმიდა ესე საყდარი ჩუენ ნიკოლასძეთა. შალვას მონასა მანგლაფასა მეოხ ექმენ ღმერთო ყოველთაო». შესაძლებელია, ნიკოლასძენი მშენებელი ოსტატები იყვნენ, თუმცა ეს უეჭველი არაა. ეკლესიების შენობათა მდარე ხარისხი და მორთულობის ხასიათი მოწმობს, რომ ეს ძეგლები XIV ს-ზე ადრინდელი არ უნდა იყოს, ისინი, როგორც ჩანს, გიორგი V-ის ხანას, XIV ს-ის პირველ ნახევარს უნდა მივაკუთვნოთ.

3. ცისკარიშვილი. განძანის წარწერების შესახებ: საქართვე. სსრ მეცნ. აკად. მოაზებ, ტ. XV, № 6, 1954, გვ. 466—472.

ნიკოლოზი — კალიგრაფი. მისი გადაწერილია სახარება — ოთხთავი (ხელნაწ. ინსტ. A 1459), რომელსაც XIII ს-ის შიკაუთენებენ. გადაწერი ორჯერაა მოხსენებული: ფურც. 54, მეორე გვერდი: «ამისა მწერალსა ნიკოლოზს შეუნდენენ უფალო ღმერთო ყოველნი ცოდვანი მისნი. ამენ». ფურც. 140, მეორე გვერდი: აქ უფრო საინტერესო ცნობებია: «ყოველთა წმიდათა მადლითა შეუნდენეს ღმერთმან ნიკოლოზს ამისა მწერალსა... ღმერთმან იცის, ამისებრი ოთხთავი ქართლს არა ძეს და უმრთელესი. ამისისა სიკეთისათვის ესთენი მოვიჭირვე, რომელ ორსა წელსა ვწერე და ვამოწმე ქართულთა ოთხთავთა სიკეთისათვის». ეს ტექსტი ძალიან თვალსაჩინოდ და ფართოდაა ნაწერი, სამ აბზაცად, სინგურის სახედაო ასოებით. მისი ამგვარად მოთავსება სახარების ფურცელზე და თვით შინაარსი მოწმობს, რომ ქართველ კალიგრაფებს — ამ შემთხვევაში ნიკოლოზს — საესებით შეგნებული ჰქონდათ თავისი შრომის მნიშვნელობა და ფასი, თავისი სამოქალაქო-საზოგადოებრივი მისია. სახარება, რომლის მსგავსიც — გადამწერის რწმენით — იმხანად ქართლს არ მოიძებნებოდა, და რომლის გადაწერა-შემოწმებას იგი ორ წელიწადს მოუნდა, საშუალო ზომის წიგნია (24,2×20,5 სმ, 194 ფურცელი, ეტრატის), ნაწერია ნუსხურად, ორ სვეტად, ყავისფერი მელნით. ღამაზი, მკაფიო ხელია. სახედაო ასოების ნაწილი მელნითვეა ნაწერი, ნაწილი სინგურით. ხშირია ერთმანეთში ჩასმული ასოები, ზოგჯერ სამიც კი. ყოველი სახარების დასაწყისში ერთი სვეტის სიგანის თავსამკაულია — კიდებჩამოკეცილი სწორკუთხა ზოლი, რომელშიაც ერთფეროვანი ლენტოვანი წნულია ჩასმული; კიდებში თავსამკაულს სტილიზებული ფოთლები ასხია, ზემოდან კი, შუაში, სამ-სამი განივი ფიცრის მქონე ჯვარი ადგას. სახარების პირველი ასოებიც ორნამენტიზებულია, მაგრამ მარტივად: ასოს ტანი ადგილ-ადგილ განასკეულია, ან რკალები აქვს ასხმული, ერთს ჩიტის თავიც აბია. რამდენადაც ტექსტი ნამდვილი ოსტატობითაა ნაწერი, იმდენად თავსამკაულები და პირველი სახედაო ასოები დაუხელოვნებლად, პრიმიტიულადაა შესრულებული (მათთვის მხოლოდ მელანი და წითელი საღებავია ნახმარი).

ამ ოთხთავს 87-ე ფურცელზე, ლუკას სახარების წინ, გვიანდელი მინაწერი აქვს, რომელშიაც მოთხრობილია მისი შემდგომი თავგადასავალი. ტიპიური ამბავია: ეკლესიის სხვა წიგნებთან ერთად, ესეც «წახდა თათრობასა», მერე ვიღაცა გაყიდვას უპირებდა, მაგრამ სხვებმა დაიხსნეს. დამხსნელნი, ბუნებრივია, ღმერთს შენდობას სთხოვენ, ხოლო ყველას, ვინც კი რასმე დაუშავებს წიგნს, ან იმას, «ვინცა გამოაქუას» იგი ეკლესიას, წყევლა-კრულვას უთვლიან.

სსმ ხელნ. აღწ., A—V, 1955, გვ. 6—7.

ნიკოლოზ კატარაწისძე — შესანიშნავი კალიგრაფი. ცხოვრობდა XIII ს-ში. მისი გადაწერილია ე. წ. ლარგვისის ოთხთავი (ხელნაწ. ინსტ. A 26), იმ დროის ერთი საუკეთესო ხელნაწერთაგანი კალიგრაფიული ღირსების მხრივ. 533-ე გვერდის ბოლოს წერია: «სრულ იქმნა სრულებით წმიდაჲ ესე სახარებაჲ განგებითა და ზანდუკითა სრული და მართალი ჳელითა ნიკოლოზ კატარაწისძისაჲთა...» ეს მომცრო წიგნია (23,2×17,4), ნუსხურით ნაწერი ორ სვეტად, ყავისფერი მეღნით. ასოები საშუალო ზომისაა, დახრილი, მკაფიო, ადვილად წასაკითხი, ძალიან ლამაზი, არშიებზე გატანილი საზედაო ასოები ოქროთია შეფერილი, რაც მთელ წიგნს ერთგვარ საზეიმო იერს ანიჭებს. ასევე სადღესასწაულო იერი აქვს თავში დართულ კამარებს კანონებისთვის (8 ფურცელი). ისინი მორთული არიან ოქროსფრად, ლურჯად და წითლად შეღებილი ორნამენტული სახეებით, სვეტებზე შემოხვეული ფარდებით, მცენარეული ყლორტებით, ქოთნებში ჩარგული ყვავილებით, ცხოველებისა და ფრინველების ფიგურებით. იმავე ხელითაა შესრულებული თავსამკაულებიც კამარები და თავსამკაულები, რომლებიც გუაშის სქელი საღებავებითაა დაწერილი, აგრეთვე პროფესიონალის ხელს ამქლავნებს, მაგრამ მათი შესრულება, ოსტატობის მხრივ, წიგნის კალიგრაფიული ხარისხის დონეზე მაინც ვერ დგას. წიგნი, უჭველია, მდიდარი შემკვეთისათვის უნდა იყოს დამზადებული. მას ბევრი, ფრიად ოსტატური, მინიატურაც ამკობს, მაგრამ მათი ავტორის სახელი უცნობია.

შესაძლებელია, ამავე ნიკოლოზის გადაწერილი იყოს იერუსალიმის ჯერის მონასტრის მარხვანი (ცაგარლის კატალოგი № 77), რომელსაც ასეთი ანდერძი ჰქონია (ცაგარლის გადმონაწერი): «სრულ იქმნეს ეს სრულებით წმ. ესე მარხვანი ჳელითა ნიკოლოზ კატარაწისძისაჲთა». სხვა მინაწერებიდან ჩანს, რომ იერუსალიმში სანამ მოხედებოდა, წიგნს მძიმე თავგადასავალი გამოუვლია. ნაწერის შესახებ ცაგარელს ცნობები არა აქვს.

1. Ф. Жорданья. Опис. рукоп. Ц. М., I, 19—20.

2. А. Цагарели. Сведения, вып. 2, СПб., 1889, 26. გვ. 110, სსმ ძველ ხელნაერთა საცაეების გზამკვლევი. თბ., 1952.

ნიკოლოზ ორბისძე — გალატოზთუხუცესი, რომელსაც აუგია შორეთის მონასტრის (ასპინძის რაიონში) ერთ-ერთი მინაშენი (სამხრეთის მხრივ). შესასვლელის მარცხნივ იკითხება წარწერა: «ო რ ბ ი ს ი ე ს ნ ი კ ო ლ ო ზ ს გა ლ ა ტ ო ზ თ უ ხ უ ც ე ს ს შე უ ნ დ ვ ე ნ დ მ ე რ თ მ ა ნ ა მ ე ნ». მინაშენი XIV—XV ს-ისა უნდა იყოს.

ვახტანგ ბერიძე. სამცხის ხუროთმოძღვრება, XIII—XVI საუკუნეები. თბ., 1956, გვ. 214.

ნიკრაი — კალიგრაფი. ცხოვრობდა XII ან XIII ს-ში. ჩვენ ვიცნობთ მის მიერ გადაწერილ ერთ წიგნს — იოანე სინელის ე. წ. კლემაქსის, რომელსაც XI ს-ში ბერძნულიდან გადმოთარგმნა ექვთიმე მთაწმინდელმა. წიგნი (ხელნაწ. ინსტ. H 1659) დიდი ფორმატისაა (36,5×29 სმ), 223 ფურცლისაგან შედგება (ქაღალდია).

ნიკრას ხელით ნაწერია 16 — 215 ფურცლები (თავის თავს რამდენსამე მინაწერაში ახსენებს — ყოველთვის არშიაზე: «სულსა ნიკრასსა შეუნდვენ ღმერთმან ამენ» — ფურც. 114, 115, 171 და სხვ.), დანარჩენი — ე. ი. პირველი თხუთმეტი და ბოლო — ფურცლები — სხვა ხელითაა გადაწერილი. ეს მეორე კალიგრაფი რიგიანი ოსტატი ყოფილა, მაგრამ განსაკუთრებული რამ დამახასიათებელი ნიშანი არაფერი გააჩნია — წერს შავი მელნით, ორ სვეტად, დაქანებული, გადაბმული კუთხოვანი ნუსხურით. საზედაო ასოები ზოგი მელნითვეა ნაწერი, ზოგი სინგურით. ესა. რომ პირველ ფურცელზე ტექსტის სვეტების სიგანე სხვადასხვაა — ყუისვენ მდებარე სვეტები უფრო ვიწროა.

ამ კალიგრაფის გვერდით განსაკუთრებით მკაფიოდ ჩანს ნიკრას თავისებურება. მისი ნაწერი (ნუსხურითვე, ყავისფერი მელნით, ორ სვეტად) მოწმობს, რომ იგი დიდი ტემპერამენტისა და ფანტაზიის პატრონი უნდა ყოფილიყო, თანაც, მაინცადაშინც არ დაუდევდა საყოველთაოდ მიღებულ წესებს. ჯერ თვით ტექსტია თითქოს მოუსვენარი ხელით ნაწერი: კალიგრაფიულია, მაგრამ უფრო ძნელად წასაკითხი, ვიდრე მეორე მწერლის ხელი; სიტყვებს შორის წერტილ-მძიმეებია (ძალიან «მოქნეული» მძიმეებით), სტრიქონებს ზემოთ და ქვემოთ სხვადასხვა დამატებითი ნიშნები (ქარაგმების გარდა), ზოგი ტალღოვანი ხაზით. ზოგი აყირავებულ მძიმეებით, ზოგან პატარა წრეები შუაგულში ჩასმული წერტილით. საზედაო ასოები დიდი «გაქანებითაა» შესრულებული — ყველა ორნამენტირებულია, დიდი, ზოგი ძალიან დიდიც — ყველას კიდურები ხიშტებით აქვს, ასოს მოხაზულობა ჰორიზონტალური «თაროებითა» და ბურთულებითაა დანაწევრებული, ზოგს ფოთლები ებმის, ზოგან (სადაც შეკრული მოხაზულობაა) ადამიანის სახეა ჩახატული. არის საზედაო ასოები, რომლებშიაც მთელი სიტყვაა ჩაწერილი, სხვაგან მთელი სიტყვა გადახლართული საზედაო ასოებითაა ნაწერი. საზედაო ასოები თავისი კუდებითა და ხიშტებით ხშირად იჭრება ტექსტში.

არშიები ფართოა და ზედ უამრავი სქოლიოა გამოტანილი: ყველა წერილადაა ნაწერი, ისე, რომ ტექსტი რაღაც ფიგურებს ქმნის თავისი განლაგებით. ზოგან განლაგება მარტივია, საფეხურებით. მაგრამ ერთგან (ფურც. 181) არშიაზე მელნით ადამიანის ფიგურის მთელი კონტურია შემოხაზული და სქოლიოს ტექსტი ამ კონტურს აესებს. ამ კაცს სახე დახატული აქვს და გვერდით აწერია: «მამია ჯერა-

სიშე». ნიკრას ფანტაზიისთვის დამახასიათებელია, რომ ჯერასიშე ცალი ხელით ყაყარჯენს ეყრდნობა, მეორეში კი უჭირავს პატარა საზედაო ასო, რომლითაც ამ გვერდის ტექსტი იწყება. რამდენსამე ადგილას სქოლიოს ტექსტი ჯვარისებრ ფიგურებს ქმნის, გვხვდება არწივისა და მამლის მოხაზულებაში ჩაწერილი სქოლიოები, ერთგან კი თხისთავიანი კაცის კონტურში (ამ ფანტასტიკურ კაცს აწერია: «ფაცკაცი»). ამის გამო გვერდების გაფორმება დინამიკურია, ნიკრაჲ თითქოს სულ ვერ ეგუებოდა ვერაფერს მშვიდსა და სტატიკურს.

ყველა ეს ნახატი მხოლოდ კალმითაა შესრულებული. ნიკრაჲ კალიგრაფი კი ყოფილა, მაგრამ პროფესიონალი მხატვარი არა. მისი ნახატები უფრო ხალხური შემოქმედების ნიმუშებია. ამ უცნაური წიგნის ფურცლებზე თითქოს ხალხური ზღაპრების ფანტაზია და ხალხური იუმორიცი კია შემოჭრილი.

იშვიათად თუ მოიპებნება ხელნაწერი, რომელშიაც გადამწერის ინდივიდუალობა ასე მკაფიოდ, უშუალოდ და გულუბრყვილოდ ჩანდეს.

ნიკრაის წიგნი 1919 წლამდე ჯრუჭის მონასტერში ინახებოდა. იქიდან ე. თაყაიშვილმა ჩამოიტანა.

სსმ ზელნ. აღწ., H—IV, 1950, გვ. 96—97.

ა.

მძრანი ბაგანისძე — კალიგრაფი. მისი გადაწერილია გიორგი მთაწმინდელის მიერ ბერძნულიდან ნათარგმნი სვინაქსარი (ხელნაწ. ინსტ. S 1245), რომელსაც XIII—XIV საუკუნეებს მიაკუთვნებენ. ცხოვრობდა მესხეთში. წიგნს დართულ ანდერკში (ბოლო გვერდზე) ნათქვამია: «წმიდანო ღთისანო, ლოცვა ყავთ უღირსისა და ფრიად ცოდვილისა ოქრაჲსა გაგაჲსძისათჳს. რამეთუ ფრიადითა ჰირითა და გულისმოდგინებითა გადმოეწერე დიდითა ღუაწლითა, ღმერთმან იცის... დაიწერა... სანახებსა აწყუერისასა და საყდარსა წმიდისა ღუთისმშობლისასაო».

სვინაქსარი მოზრდილი წიგნია (31×24 სმ, 534 გვერდი, ეტრატე), შავი მელნით ერთ სვეტად ნუსხურით ნაწერი. შიგადაშიგ ტექსტშივეა გარეული სინგურით შესრულებული ასოები და სიტყვები. ბოლო ფურცლებზე თითქმის ყველა სიტყვა სინგურით ნაწერი მთავრული ასოთი იწყება და გვერდები ერთიანად წითლად დაწინწკლულს ჰგავს. წიგნი ლამაზი, თანაბარი ხელითაა გადაწერილი.

U

პაპია — XVII ს. ოსტატი, რომელმაც დაამთავრა სოფ. გორული ეკლესია დარეჯან ქსნის ერისთვის ქალის ბრძანებით (გორული — ქვემო ქართლშია, შულაერის წყლის ხეობის მახლობლად; იქ მისასვლელად უნდა გაიარო მარნეული, შულაერი, სოფლები სადახლო, წოფა და ჯანხოში; გორული ახლა ნასოფლარია). მოხსენებულია სამხრეთის კარის სამშენებლო წარწერის ზემოთ მოთავსებულ ასომთავრულ წარწერაში: «მამანო და ძმანო მოიხს[ენეთ] ოსტატი პაპია». ეკლესიის დაკვირვება გვიჩვენებს, რომ მისი მშენებლობა ორ საფეხურად შეიძლება გაიყოს: შენება, ქტიტორის წარწერის თანახმად, როსტომ მეფის დროს დაუწყიათ (1632—1658 წლებს შუა) და საგრძნობი ინტერვალის შემდეგ (იმავე XVII ს-ში) დაუმთავრებიათ რამდენადმე შეცვლილი პროექტით. პაპია სწორედ მეორე «საფეხურის» მშენებელია. გორულის ეკლესია დაქვეითების დროის ტიპიური ნაწარმოებია: როგორც შესრულების ხარისხი, ისე ჩუქურთმების შერჩევა-შეფარდება მოწმობს, რომ ჰირველი მშენებელიცა და პაპიაც ხელოსნები იყვნენ, და არა ნამდვილი შემოქმედნი. ჩუქურთმის სახეებში საგრძნობია ისლამური მოტივების შემოქონვა, რაც აგრეთვე დამახასიათებელია აღმოსავლეთ საქართველოს ზოგი იმდროინდელი ძეგლისათვის.

დ. მუსხელიშვილი. ქვემო-ქართლის ისტორიულ-გეოგრაფიული ექსპედიციის სავლე სამუშაოთა (1956—1958 წწ.) შედეგები: საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული, ტ. I, 1960, გვ. 52.

პაპუა — ქვის მჭრელი, რომელიც XVII ს-ის მიწურულში დავით გარეჯის ღვთისმშობლის გალავნის შენებაზე მუშაობდა. ბერთუბნის ეკლესიის კედელზე იყო ასეთი მინაწერი: «ქ. მოვედით ჩვენ ფარიად (sic!) ცოდვილი ქვის მჭრელი პაპუა და აფარიაშა აზარ დაყავით მარხვასა. დაიდო წელს ზ' ვიმუშავეთ გალავანი წმინდის დავითისა წინამძღრობასა მაცუტაძის ონოფრესას». წარწერის მეორე სტრიქონში ჩამატებულია არაქელას სახელიც.

დავითის ღვთისმშობლის გალავანი, რომლის შესასვლელის თავზე აღნიშნულია თა-

რილი — 1695 წ. — მორთულობითა და ფორმებით ამ გვიანი ხანის დამახასიათებელი ნიმუშია. ზუსტად არაა ცნობილი — რა ნაწილები ეკუთვნის ამ ოსტატებს და ვინაა გარეჯის საფორტიფიკაციო ნაგებობათა შორის. ეს შესასვლელიც და მისი კედელიც შეიძლება მეტ-ნაკლები საბუთიანობით მიეკუთვნოს მათ, თუ ვიფიქრებთ, რომ «გალავანი წმიდის დავითისა» სწორედ ლაერას გულისხმობს (ეს უფრო საფიქრებელია).

მეორე ოსტატის სახელი ალბათ აფრიამაა და არა აფარიაშა: ასეთი სახელი არც არსებობს. წარწერა «ანმეტია» («ფარიად»), აფარიაშას მეორე ანიც ამით უნდა აიხსნას; შ — ალბათ დამწერის უნებლიე შეცდომაა ორი ასოს — მ-სა და შ-ს — გრაფიკული მსგავსების გამო.

Г. Чубинашвили. Пещерные монастыри Давид Гареджи, Тб. 1948. გვ. 100, ტაბ. 100.

პაპუა და კოლოზა — XVII ს-ის ოსტატები, რომელთაც 1683 წ. პაპუნა ბარათაშვილისთვის ააშენეს ეკლესია ს. ტ ბ ი ს ს სასახლის კომპლექსში (ტბისი მდ. ალგეთანაა, თეთრი წყაროს რაიონში). ეკლესიის დასაფლეთის ფასადზე, ზემოთ, მოთავსებულია ორი ხელებაპყრობილი მამაკაცის პრიმიტიული რელიეფი. ფიგურების გვერდით — იარაღებია: ჩაქუჩები, გონიო და სხვ., ფიგურების თავზე, (ცალ-ცალკე) წარწერებია: «ოსტატი პაპუა», «ოსტატი პოღზა». ეკლესია ერთნაიანია, თლილი ქვის პერანგით.

ი. ც ი ც ი შ ვ ი ლ ი. ძველი საქართველოს ხუროთმოძღვრები: „დროშა“, 1952, № 4, გვ. 23.

ს

საბა—XV—XVI სს. მიჯნის ოსტატი, რომელიც ხელმძღვანელობდა სამწვერისის ტაძრის განახლებას, მერაბ ფანასკერტელი ციციშვილის ბრძანებით. ტაძრის სამხრეთის ფასადის წარწერაში ნათქვამია: «მეორედ მაშენებელსა ფანასკერტელს მერაბს შეუნდენეს ღმერთმან. ზედა მდევს ცოდვილს საბას შეუნდენეს ღმერთმან». ამავე მერაბის აშენებული უნდა იყოს ტაძრის ახლო მდებარე ციხე-სიმაგრე და ტაძრის გვერდით მოთავსებული საქვალე — აგურის მცირე შენობა, შემკული ორნამენტული კერამიკული ფილებით. შესაძლებელია, საბა რაიმე მონაწილეობას იღებდა ამ შენობათა აგებაშიაც.

გიორგი ჩუბინაშვილი. მასალები საქვერისის ტაძრის შესწავლისათვის: ქართული ხელოვნება, 2, 1948, გვ. 24.

საბა — კალიგრაფი. ცხოვრობდა XVII ს. ში. თბილელი ეპისკოპოსის იოსებ სააკაძისათვის გადაწერა ფსალმუნი (ხელნაწ. ინსტ. H 1112). ეს პატარა წიგნია (11,4×8,3 სმ, 150 დაწერილი ფურცელი, ქაღალდი, შავი მელანი, ნუსხური, ერთ სვეტად), რომელიც «მდიდრულად» მორთვის აშკარა პრეტენზიითაა შესრულებული. ყოველი გვერდი სწორკუთხა ჩარჩოშია, რომელიც ოქროსფერი, სინგურისა და ლურჯი წვრილი ხაზებისგანაა შედგენილი — ასეთი ჩარჩოები გავრცელებულია XVII ს-ის ხელნაწერებში. ის, რაც ტრადიციულად სინგურით კეთდებოდა — საზედაო ასოები, გამოყოფილი სტრიქონები — აქ ოქროთია დაფარული; სასვენ ნიშნებადაც პატარა ოქროსფერი წრეებია; ზოგი საზედაო ასო ჩარჩოს გარეთაა გატანილი, რაც სულ არ უწყობს ხელს გაფორმების მთლიანობას; წიგნის «სისქე» (ყუის მოპირდაპირე მხარე და ორი სხვა მხარეც) ყვაეილოვანი მოტივებითაა შემკული; არის თავსამკაული და მინიატურაც — დავით მეფის გამოსახულება — რომელიც გარკვეულ პროფესიულ დონეს მოწმობს. თვით ნაწერი (შვეული და არა დახრილი ასოები) კალიგრაფიული ხარისხის მხრივ საშუალოა.


სსმ ხელნ. აღწ., H—III, 1948, გვ. 99—100.

საბლუა, გაბრიელ — კალიგრაფი, ცხოვრობდა XVII ს-ში და მუშაობდა გიორგი გურიელის კარზე. მისი შეკვეთით გადაწერა თ. ვ. ე. ნ. (სელნაწ. ინსტ. A 1488), ძალიან სქელი, 626-ფურცლიანი საშუალო ფორმატის წიგნი (25,5 × 17,3 სმ), რომლის ბოლოს მიწერილია: «ქრისტე ღმერთო, შეიწყალე ამის მჩხრეკალი გაბრიელ საბლუა, ამინ». ნაწერი ნუსხურია, ორ სვეტად, მუქი ყავისფერი მელნით, სათაურები და ინიციალები სინგურისაა. ასოები ძალიან წერილია, მოკლე, ერთი სისქით შემოხაზული; ეს არაა იმდროინდელი ცნობილი კალიგრაფების ძარღვიანი, კალმის მძლავრად დაჭირებით მიღებული «გუთური» შრიფტი; არც ხელის ისეთი სიმტკიცე ჩანს, მაგრამ მაინც შთაბეჭდილება ურიგო არაა, რადგანაც ძალიან ბეჯითი და წესიერი ხელია, რომელიც არ იცვლება თავიდან ბოლომდე.

«გიორგი გურიელი და დედოფალი ელენე» ნახსენები არიან 131-ე და 132-ე ფურცლებზე.

სსმ ხელნ. აღწ. A—V, 1955, გვ. 31.

საბინაშვილი, გაბრიელ — მღვდელ-მონაზონი, კალიგრაფი, ცხოვრობდა XVII ს-ის ბოლოს და XVIII ს-ის პირველ ნახევარში. თბილელი მიტროპოლიტის ელისე საგინაშვილის ძმისწული იყო. ეტყობა, მას, როგორც კარგ კალიგრაფს, მეფის კარიც იცნობდა, რადგანაც იგი ვახტანგ VI-ის ბრძანებითაც წერდა წიგნებს. გაბრიელი დავით გარეჯის ბერი იყო და ნათლისმცემლის მონასტერში იყო დამკვიდრებული. «განსრულ-ვიყავ სოფლით ცოდვათა ჩემთა სიმრავლისათჳს, მიღტოლვილ უდაბნოდ გარესჯად, მონასტერსა წმიდისა იოანე ნათლისმცემლისასა მრავალმთასო», წერს იგი ერთ ანდერძში (ოთხთავი, სელნაწ. ინსტ. Q 85, 1719). 1707 წელს გადაწერილი კონდაკის (სელნაწ. ინსტ. A 624) ანდერძში იგი თავისი იქაური ცხოვრების ერთ ეპიზოდს მოგვითხრობს: «მე უღირსმან და ყოველთა მონაზონთა უნარჩევსმან და უცოდვილესმან მონამან ღვთისამან საგინაშვილმან მღვდელ მონაზონმან გაბრიელ, ღირს ვიქმენ და ვიგულე და აღვწერე წმიდაჲ ესე კონდაკი დავით გარეჯის ბერთუბანს ტაძარსა წმიდისა ღვთისმშობლისასა და ვიყავ სამი თუშ, აპრილი, მაისი და მთიბათვე; ოქერი იყო, არვინ იდგა, მსურდა იქ მკვიდრობაჲ, იძულეებით წარვედიოთ ოთხნი მონაზონნი ნათლისმცემლის მონასტრიდამ, იმ მონასტერში ბევრნი იყვნენ, ჩვენ არას დავაკლდებოდით, იმათ საზიანოთ არა წავსულვართ; გავეიწყრა წინამძღვარი, გავვიწყრომა კათალიკოზი დომენტი ძე ბაგრატიონისა, აღარ დავგაყენეს, იქავ ნათლისმცემლის მონასტერში მოვედიოთ, კარგად შეგვაწყნარეს წინამძღვარმა ხარიტონ და ძემან ორბელისშვილმან სვიმონ და ბესარიონ...». ბოლოს ნათქვამია,



ფურცელი კონდაკიდან (ხელნაწ. A 624). 1707 წ. გაბრიელ საგინაშვილის ნაწერი

ამ წიგნს, რომელიც დაიწერა «მეფობასა მართლისა და უძლეველისა მეფის ჰატ-რონის ვახტანგისსა...», ქრონიკონსა ტქე, უკაროს სახლში ვწერდი, ქარმან და სი-ცხემ არა მამა... [აქ სიტყვა წყდება, ალბათ, უნდა იყოს «მამასვენა»], ღეთის გუ-ლისათვის გვედრებით, ნუ მწყევთ ავთ წერისათვისო» (ამ მოთხრობასთან და-კავშირებით შეიძლება გავიხსენოთ, რომ სწორედ იმ ხანებში აღმოსავლეთ საქარ-თველოს უმაღლესმა საეკლესიო ხელისუფლებამ აკრძალა ბერების ერთი მონას-ტრიდან მეორეში გადასვლა; კერძოდ, ეს ეხებოდა დავით გარეჯასაც).

გაბრიელს, სხვა ქართველ მოღვაწეების მსგავსად, სპირად მიძიმე პირობებში უხდებოდა მუშაობა. ბევრი ხელნაწერის ანდერძიდან ჩანს, რომ ეს თავდადებული მუშაკნი არა მარტო ქართთა და სიციხით იყვნენ შეწუხებულნი: ზოგი მშვიერ-მწყურვალად წერდა, სხვებსაც — ზოგს რა უჭირდა და ზოგს რა. დავით გარეჯა-ში მუშაობას კი, იმხანად, XVIII ს-ის დასაწყისში, განსაკუთრებით ლეიანობა აძნელებდა (მიუხედავად იმისა, რომ XVII—XVIII სს-თა მიჯნა დავით გარეჯის ცხოვრებაში გამოცოცხლებისა და ახალი მშენებლობის ხანაა). ზემოთ მოხსენე-ბული ოთხთავის (Q 85) ანდერძში გაბრიელი წერს: «ვეცადე დიდად სიმრთელესა და ჯელს, მაგრამ ლეკთაგან გვეშინოდა. თურა უცბად მეწეროს, ნუ დამწყველით, გვედრებით». სხვაგან (A 130) უფრო გარკვევითაა ნათქვამი: «ამ წიგნს რომ ვწერდი, მოუჭდა ლეკის ჯარი დავით გარეჯას მკათათვის ბ-სა. ღმერთმან და წმი-დამან ღეთისმშობელმან და წმიდამან დავით დაიცვა მონასტერიო». მაგრამ წმინ-დანები ყოველთვის ვერ შეულოდნენ მონასტერს: ლეკებს იგი ბევრჯერ დაურ-ბევით და ბერებიც ამოუქლევითათ.

გაბრიელისეულ წიგნთაგან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დომენტი კათა-ლიკოსის თაოსნობით 1704—1713 წლებში გადაწერილი ქ ა რ თ ვ ე ლ ი წ მ ი ნ-და ნ ე ბ ის ც ხ ო ვ რ ე ბ ა თ ა კ რ ე ბ უ ლ ი (ხელნაწ. ინსტ. A 130 და ამისივე ნაწილი — H 1557). ეს პირველი ქართული ჰაგიოგრაფიული კრებულია. იგი შე-იცავს დავით გარეჯელის, შიო მღვიმელის, იოანე ზედაზნელის, აბიბოს ნეკრესე-ლის, კონსტანტინე ქართველის, წმ. გობრონის, ესტატე მცხეთელის, შუშანიის, ქეთევან წამებულის, დავით და კონსტანტინე არგვეთის ერისთავთა, ლუარსაბ მე-ფის, არჩილ მეფის, ექვთიმე და გიორგი მთაწმინდელების, ილარიონ ქართველის, პეტრე ქართველის, აბოს და წმ. ნინოს ცხოვრებათა აღწერას. ამ კრებულის ტი-პი დაედო საფუძვლად XVIII ს-ში შედგენილ სხვა ანალოგიურ კრებულებს. ეტ-ყოზა, გაბრიელი განსაკუთრებული სიყვარულით წერდა ამ წიგნს, განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა მას: თავისი შრომის ამბავი რამდენიმეჯერ აქვს განმეო-რებული ანდერძებში სხვადასხვა ფურცლებზე. ერთგან ნათქვამია: «გვედრებით,

ნუ დამწყევთ ავად წერისთვის, ავი დედანი მქონდა, დიაკვნის დაწერილი იყოო» (ფურც. 45).

ეს დიდი ფორმატის წიგნია (31,5×21,4 სმ, 323 ფურც.). ნაწერი ნუსხურია, შავი მელნით, ორ სვეტად. ტრადიციულად სინგურითაა შესრულებული ზოგი საზედაო ასო, ასოები და სიტყვები ტექსტში, სათაური ყოველი გვერდის ზემო არშიაზე; თავების ბოლოს ტექსტი სოლისებრ მთავრდება; სამკაულები არ არის.

კონდაკი A 624, ოთხთავი Q 85, საქმე მოციქულია Q 86 (ორი უკანასკნელი 1719 წლისა) აგრეთვე ნუსხური წიგნებია. გაბრიელს, რომელიც ფრიად გაწაფული კალეგრაფი იყო, თავისებური ხელი ჰქონდა: წერდა ძლიერ დახრილი, გადაბმული, სქელხაზიანი, «წვეტიანი» და თითქოს ცოტა მიჭყლეტილი ასოებით. მისი ნაწერი წასაკითხად ისეთი მკაფიო არაა, როგორც მაგ., ნიკოლაოზ სიონის დეკანოზისა, თუმცა კი ზუსტი და ლამაზია. A 624-ში გვხვდება სათაურები დიდი ჩართული მთავრული ასოებით — ეს სათაურები ოქროთია ნაწერი, პრეტენზიულია, გემოვნების მხრივ ვერ დგას კარგ დონეზე. Q 85-ში ჩართულია მახარებელთა სურათები რუსული წარწერებით, ბაროკულ ჩარჩოებში, გადმოსატული რომელიღაც ნაბეჭდი წიგნიდან. ეს ერთი ნიმუშთაგანია იმხანად ევროპული მოტივების შემოქონების ჩვენს ხელოვნებაში.

გაბრიელი საბუთებსაც წერდა (გვხვდება 1720-იანი წლებისაც).

1. Ф. Жордания. Опис. рукоп. Ц. М., I გვ. 139, II, 116.
2. სსმ ხელნაწ. გზამკვლევი, გვ. 117.
3. სსმ ხელნაწ. აღწ. Q—I, 1957, გვ. 98—99.
4. ე. თაყაიშვილი. არხ. მოგზ. შენ., II, 1914, გვ. 112.
5. ლ. მენაბდე. თვ. ქართ. მწერლ. კერები I, 1961, გვ. 105, 305—306 და სხვ.
6. ს. სიძე., I, გვ. 84.

საქმობარი — X ს-ის დიდი ხუროთმოძღვარი, კუმურდოს ტაძრის მამულებელი (ჯვავახეთი, ახალქალაქიდან 12 კმ მანძილზე). სამხრეთის შესასვლელის თავზე, ამობურცული ასოებით შესრულებულ სამშენებლო წარწერაში, მოხსენებულია ხუროთმოძღვრის სახელი და ტაძრის აგების თარიღი: «იოვანე ეპისკოპოსმან და დევა საძირკველი ამის ეკლესიისაა ხელითა ჩემ ცოდვილისა საკოცრისათა, ლეონ მეფისა ზმ, აღიდენ ღმერთმან, ქრონიკონსა რბდ, თუშსა მათსა, დღესა შაფათსა მთოარისსა, ერისთვობასა ზვასსა, ესე ბალავარი მან დადგა». ამგვარად, კუმურდოს შესანიშნავი ტაძრის საძირკველი საკოცარს ჩაუყრია 964 წელს (რბდ=184+780=964). მაისის თვეში, შაბათ დღეს, იოანე ეპისკოპოსის თაოსნობით. აქ მოხსენებული ლეონ მეფე — ბაგრატ III-ის დედის გურანდუხტის ძმა იყო. კუმურდოს ტაძარი — მომწიფე-



კუმურდოს ტაძარი. 964 წ. აგებულია ხეროდიოტის სკიკარის შიგერ

ბულ შუა საუკუნეთა ქართული ხუროთმოძღვრების ერთი პირველი მნიშვნელოვანი ძეგლთაგანია. გეგმით იგი ჯერ კიდევ დაკავშირებულია მრავალაფსიდიან ეკლესიათა ტიპთან, რომელიც ქართული ხელოვნების «გარდამავალი ხანის» (VIII—X სს.) ბოლო ეტაპზე შემუშავდა. მაგრამ მრავალაფსიდა ტიპი აქ უთავსდება ჯვარისებრ, წაგრძელებულ მოხაზულობას (გარედან), რომელიც ამიერიდან ვრცელდება და მკვიდრდება. მიუხედავად გეგმის ამგვარი «გარდამავალი» ხასიათისა, ხუროთმოძღვრული ფორმებისა და მორთულობის მხრივ, საკოცარის ნაწარმოები საესებით ჩამოყალიბებული და დასრულებულია: სამშენებლო-ტექნიკური თვალსაზრისით (ქვის თლა, წყობა, პროფილები), კუმურდო ერთი ყველაზე ბრწყინვალე ნაგებობათაგანია საქართველოში; მისი მორთულობა — კარნიზებისა და სარკმელთა საპირეების ჩუქურთმები — განსაკუთრებული სიფაქიზითაა შესრულებული (კვეთა ჯერ კიდევ მცირე სიღრმისაა, «გრაფიკული», არაჩვეულებრივად მსუბუქი). კედლები იშვიათი სილამაზის მოვარდისფრო ქვითაა მოპირკეთებული და ამ საერთო ფერში საკოცარი აქა-იქ გაბედულად ურთავს მკაფიო მახვილებს — ინტენსიურ, თითქმის სისხლისფერ ქვებს (ჯვარი აღმოსავლეთ ფასადზე და სხვ.). შიგნით, გუმბათქვეშა თაღების დონეზე, სამკუთხა არეებში ამ თაღებს შორის, მოთავსებულია რელიეფური ქანდაკებები, რომლებიც ლეონ მეფესა და მის დას გურანდუხტს გამოსატავს. რელიეფური თავები ფასადთა ნიშებშია ც არის, ე. ი. საკოცარი მარჯვედ იყენებს X ს-ის ქართული ხუროთმოძღვრულ-დეკორაციული ხელოვნების მთელ არსენალს და ყველა ელემენტს უქვემდებარებს ტაძრის მხატვრულ სახეს, საერთო იდეას. განსაკუთრებულ შთაბეჭდილებას ტოვებს კუმურდოში, თავისი დიდებულებითა და პარმონიულობით, ტაძრის შიდა სივრცე. მთელი ნაგებობის მხატვრული გააზრება, შენობის მძლავრი კედლების ლაღი პროპორციები, დეტალების დამუშავება, სახეების მხრივ დიდად საინტერესო ჩუქურთმები მოწმობს, რომ საკოცარი დიდი ნიჭით დაჯილდოებული, შესანიშნავი ოსტატი იყო, ერთი უდიდესი ხუროთმოძღვართაგანი ძველი საქართველოსი.

1. Е. Такайшвили. Христианские памятники: МАК, т. XII, 1909, გვ. 37—38.
2. Н. Северов и Г. Чубинашвили. Кумурдо и Никорцинда, изд. Акад. Архитектуры СССР. М., 1947, გვ. 3.
3. ვახტანგ ბერიძე. კუმურდოს ტაძარს ათასი წელი შეუსრულდა: „ძეგლი“ მეგობარი“, კრებული მეორე, თბ., 1964, გვ. 25—27.

სერაპიონ ზარზმელი — გამოჩენილი ქართველი საეკლესიო მოღვაწე, რომლის ცხოვრების დროის შესახებ სხვადასხვა აზრები არსებობს (ყოველ შემთხვევაში, იგი ადრინდელ ფეოდალურ ხანას უნდა მიეკუთვნოს. იხ. ზემოთ: გარბანელი).

ზ ა რ ზ მ ი ს ცნობილი მონასტრის დამაარსებელი. მისი ცხოვრების აღმწერი ბასილი ზარზმელი მოგვითხრობს, რომ სერაპიონი იყო «სხუთათვე თანა სათნოებათა თანა მეცნიერ... და ფრიად შემკულ წესითა ხურობისაათა». რგი მონაწილეობდა ოპიზის მონასტერში წარმოებულ ერთ-ერთ მშენებლობაში («ისხილევხოლა მდგომარედ ხუროთა თანა»).

1. აღ რ ი ნ დ ე ლ ი ფ ე ო ლ ა ლ უ რ ი ქ ა რ თ უ ლ ი ლ ი ტ ვ რ ა ტ უ რ ა. პროფ.
- კ. კ ე კ ე ლ ი ძ ი ს რ ე დ ა ქ ი ი თ ა და გამოკვლევით. თბ., 1935, გვ. 170.
2. პ. ი ნ გ ო რ ო ყ ვ ა. გიორგი მერჩულე. თბ., 1954, გვ. 340—341.

ს ი ა უ შ ი — XVI ს-ის ქართველი მხატვარი-მინიატურისტი, რომელიც ირანში მოღვაწეობდა, შაჰ-თამაზის კარზე. ლენინგრადის სალტიკოვ-შიგედრინის სახ. საჯარო ბიბლიოთეკაში ინახება მისი მინიატურა შევარდნის გამოსახულებით (არშიაზე სპარსულად აწერია: «სიაუშის ხელობა»), მეორე მინიატურა, რომელიც ნადირობის სცენას გამოსახავს, პარიზის ნაციონალურ ბიბლიოთეკაშია. ბიოგრაფიული ცნობები სიაუშის შესახებ შემოგვინახა XVII ს-ის სპარსელმა ისტორიკოსმა ისკანდერ მუნშიმ თავის თხზულებაში «ქვეყნის დამამშენებელი ისტორია აბასისა»: «სიაოშ-ბეგ ქართველი იყო მსახური განსვენებული შაჰისა. მისმა უდიდებულესობამ, შენიშნა რა მასში ნიჭი, მისცა ის მხატვრობის შესასწავლად. ოსტატ ალი მოსავერის მოწაფე იყო. როდესაც ის რამდენადმე დახელოვნდა ამ მეცნიერებაში, მისი ფუნჯის მოხდენილობამ მიიპყრო უკეთილშობილესი შაჰის ყურადღება, რომელმაც თვითონ მოჰკიდა ხელი მის სწავლებას. მისი უდიდებულესობის მოწაფედ ყოფნამ ისეთი სახე მისცა მის ოსტატობას, რომ მასზე ითქმოდა ყურანის სიტყვები — საუკეთესოდ გამოვსატე თქვენი სახეო. მან დიდ წარმატებას მიადღწია, ფრიად ნაზი ფუნჯი ჰქონდა, დეტალების დიდი ოსტატი და შეუდარებელი მხატვარი იყო. კონტურულ ხატვაში, მთების გამოსახვასა და თმის დახატვაში მას ვერც ერთი ოსტატი ვერ შეედრებოდა. იგი უნაკლოდ ხატავდა ჯგუფს («მეჯლისს»). ისმაილ მირზას დროს ის წიგნსაცავის გამგე გახდა, ხოლო მისი უმაღლესობის, ალექსანდრეს შესადარისის, დროს ის და მისი ძმა ფეროზ ბეგი... უფლისწულის სულტან ჰამზა მირზას ნდობით აღჭურვილ პირთა შორის ირიცხებოდნენ. მისი უდიდებულესობის — ღვთის ჩრდილის — დროს დიდი ხნის განმავლობაში იყვნენ ძმები ამ უკეთილშობილესი (შაჰის) სამსახურში და მათი სიცოცხლის სახეც მის ამაღლაში ყოფნის დროს მოისპო». «განსვენებული შაჰი» აქ შაჰთამაზ I არის, რომელიც თვითონაც გამოჩენილი მხატვარი ყოფილა (მეფობდა 1524 წლიდან); «ღვთის ჩრდილი» — შაჰაბას I (1587—1628 წლებში მეფობდა).

1. ვ. ფ უ თ უ რ ი ძ ე. ისკანდერ მუნშის ცნობა მხატვრის სიაოშბეგ ქართველის შესახებ: ენიშის მოამბე, III, 1938, გვ. 383—386.

2. ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, ს. ჯ ა ნ ა შ ი ა. საქართვე-

ლოს ისტორია უძველესი დროიდან XIX საუკუნის დამდეგამდე. თბ., 1943. ფერადი ტაბულა 288-ე გვერდთან. 1946 წლის გამოცემაში გვ. 359 და ტაბ. 360-ე გვერდთან.

3 Ш. Амирашавили. История грузинского искусства. М., 1963, გვ. 314.

სტიჟანი დქანოზი — კალიგრაფი. ცხოვრობდა X ს-ში, მოღვაწეობდა ოშკის მონასტერში, სადაც 977 წ. გადაწერა კრებული იოანე ოქროპირისა და ეფრემ ასურის სწავლათა, სამოთხის სახელით ცნობილი. მინაწერის თანახმად, ამ წიგნის შექმნის ინიციატორები («მომგებელნი») ყოფილან იოვანე თორნიკყოფილი (ცნობილი თორნიკე ერისთავი, რომელმაც 978 წელს ოშკშივე გადააწერინა ბიბლია — იხ. მიქაელ ვარაზეაჩესძე) და მისი ძმა იოვანე ვარაზეაჩე. «დაიწერა წმიდაა ესე წიგნი დიდბულსა ლავრასა ოშკს, საყოფელსა წმიდისა ნათლისმცემელისასა, მამობასა საბაჲსა... ქელითა სტეფანე დეკანოზისაათა და მისითავე ქელითა შეიმოსა: ქრონიკონი იყო რქჳ» (197+780=977).

წიგნი ეტრატისაა, 317 ფურცლისაგან შედგება, ფორმატი ძალიან დიდი (ცაგარლის თანახმად 8×6,5 ვერსოკზე, ე. ი. 35,6×28,9 სმ.), ნაწერია ორ სვეტად, ასომთავრულით. ნაწერის ხარისხზე ვერაფერს ვიტყვით, რაკი სათანადო მასალა არ გვაქვს — წიგნი ამჟამად ათონის ივერიის მონასტრის ბიბლიოთეკაში ინახება, (ა. ცაგარელი ამ წიგნს უწოდებს Роскошный экземпляр уникального ...письма). შემკვეთის ვინაობა გვაფიქრებინებს, ისევე როგორც ოშკიდან გამოსული ხელნაწერების ხარისხიც, რომ სტეფანე მაღალი დონის პროფესიული ოსტატი იქნებოდა.

1. А. А. Цагарели. Сведения, вып. I, СПб, 1886, გვ. 89—91.

2. ბ. ინგოროყვა. გიორგი მერჩულე. 1954, გვ. 764—765.

3. სსმ ხელნ. აღწ., А—IV, 1954, გვ. 187 (ხელნაწერთა ინსტიტუტში ინახება ამ კრებულის გადმონაწერი).

სტიჟანი ტფილალი — კალიგრაფი. ცხოვრობდა, ვარაუდით, XI ს-ში, მოღვაწეობდა იერუსალიმის ჯვარის მონასტერში, სადაც გადაწერა იოანე ოქროპირის თარგმანება მათეს სახარებასა (იქვე ინახება, ცაგარლის კატალოგი № 115). ცაგარლის ცნობით, ნაწერი ნუსხურია, მკაფიო, ცალკეული სიტყვები სინგურისაა, სამკაულები არ არის. წიგნის «მომგებელი» ყოფილა ვინმე ზაქარია.

А. Цагарели. Сведения, вып. 2, 1889, გვ. 34—35.

სტიჟანი — გადამწერი, რომელიც როსტომ რაჭის ერისთავის კარზე მუშაობდა (XVIII ს.). 1751 წელს როსტომის ბრძანებით გადაწერა სამართლის წიგნთა კრებული (ხელნაწ. ინსტ. H 1070): «დაიწერა წიგნი ესე ქრონიკონს ლთ

ცოდვილის სტეფანეს ხელითა. ქრისტეს აქეთ ჩ:ღ:ნა» (ფურც. 209). ეს მოზრდილი ტომია (211 ფურცელი, 29,4×20,5 სმ), მხედრულით ნაწერი. სტეფანე გულმოდგინედ და სუფთად წერდა, ხელიც შემუშავებული ჰქონდა, მაგრამ მაღალი ზარისხის კალიგრაფად ვერ ჩაითვლება.

სსმ ხელნ. აღწ., H—III, 1948, გვ. 63-64.

სტიფანე სარაიდარი — ხუროთმოძღვარი, რომელიც ცხოვრობდა XVIII ს-ის მეორე ნახევარში, ერეკლე II-ის დროს. 1788—1798 წლებს შუა იგი ხელმძღვანელობდა ქოლაგირის ციხის მშენებლობას. საქართველოს მეცნ. აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტში ინახება ამ ციხის ნახაზები, რომლებიც განმარტებით ბარათთან (ინსტრუქციასთან) ერთად გაუგზავნიათ სახელმძღვანელოდ სამუშაოს მწარმოებელ სტეფანესადმი (საბუთი H 2745). სტეფანე მხოლოდ მშენებლობის ხელმძღვანელი იყო და არა პროექტის ავტორი. აგებული ციხე (ბოლნისის რაიონში, სოფ. არახლოსთან, გაშლილ ვაკეზე) რამდენადმე მაინც განსხვავდება ნახაზებისაგან.

1796 წ. აღა-მამამად-ხანის მიერ თბილისის აოხრების შემდეგ, სტეფანე მონაწილეობდა თბილისის გალავნის აღდგენაში. დარჩენილია ერეკლე II-ის ბრძანება იოსებ მიშკარაბაშისადმი: «ქ. ჩვენი ბრძანება არის, მიშკარაბაშო იოსებ! მერე სარაიდარი სტეფანე, სარაიდარი ფარსადანა და ორი მოქალაქე და კალატოზები უნდა შენთან წაიყვანო და მიხვიდეთ, ქალაქის გალავანს შემოუაროთ, საცა კედლები დაქცეული არის, ის უნდა კალატოზების საზომის იარაღებით გაზომონო. საცა როგორც არის დაქცეული და ან როგორც უნდა აშენება, ის უნდა ზომით სწორეთ შეიტყოთ და დასწეროთ და მას უკან, როგორც ჩვენგან ბძანება მიეცესო, ისე უნდა გაკეთდეს. ფებერვლის იმ, ქეს უპდ. ერეკლე» (= 18. II, 1796 წ.). სტეფანე სარაიდარი მონაწილეობდა აგრეთვე დავით ბატონიშვილის სახლის მშენებლობაში თბილისის, 1801 წელს (მოხსენებულია გაწეული ხარჯის ნუსხაში), მაგრამ სახელდობრ როგორი იყო მისი მონაწილეობა, საბუთებიდან არ ჩანს.

1. ვახტ. ბერიძე. XVIII ს-ის ქართველ ხუროთმოძღვართა ნახაზები: საქართვ. სახ. მუზეუმის მოამბე, ტ. XIV—B, 1947, გვ. 227—288;

2. საქართველოს სიძველენი, ტ. III, გვ. 66.

3. მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის, წ. I, მასალები შერჩი. და გამოსცა ნ. ბერძენიშვილმა, თბ., 1938, გვ. 181—182.

სუმბატიძე აზარი — კალიგრაფი. მისი გადაწერილია ოთშთავი, ხელნაწ. ინსტ. H—86, რომელსაც XVI ს-ის მიაკუთვნებენ. ეს მომცრო ფორმატის სქელი წიგნია (206 ფ., 20,3×15,2 სმ, ქაღალდი), ნუსხურით ნაწერი ორ სვეტად, შავი

მელნით. დეკორაციულ მიდრეკილებას, თუმცა კი ძალიან ზომიერს, გადამწერა ამქლავნებს საზედაო ასოებში (ზოგი მელნითვეა ნაწერი, ზოგი სინგურით) — ერთმანეთში სვამს ან ერთმანეთს აბამს მათ (მხოლოდ ზოგან). მათი მოხაზულობაც, პალეოგრაფიულად, გვიან ხანაზე მიგვიითიებს. თითო-ოროლა ფერადი საზედაო ასო და თავსამკაულები (ყოველი სახარების დასაწყისში) — პრიმიტიულია, ხელოსნური; ნაწერი კი — მსხვილი ხაზით გამოყვანილი, მცირედ დახრილი და ნაკლებ გადაბმული ასოები — გვიჩვენებს, რომ აზარია ამ საქმის დახელოვნებული ოსტატი ყოფილა.

აზარია მოხსენებულია ანდერძში 146-ე ფურცელზე: «წმიდაო ლუკაჲ მეოხ მეყავ წინაშე ღეთისაჲ, მე სუმბატიჲეს აზარიას. და ჩემთა ღედაჲ მამათაჲ და ჩემთა მიცვალებულთა წყალობითა შენითა, ამინ, ამინ, ამინ». ა-ის უადგილო ხმარებაც მოწმობს, რომ აქ შედარებით გვიანდელ ძეგლთან გვაქვს საქმე.

სსრ ხელნ. აღწ., II—1, 1946, გვ. 66.

ტუსისშვილი, საბა — ნინოწმინდელი მიტროპოლიტი, რომელიც განაგებდა ნინოწმინდის კათედრას 1743—45 წლებიდან 1780-იანი წლების დასაწყისამდის. იყო ძმა შიოშ მოლარეთუხუცესისა. გარდაიცვალა 1780-სა და 1784 წლებს შუა. მის სახელთანაა დაკავშირებული ნინოწმინდის ტაძრის განახლება და სხვადასხვა შენობის აგება ტაძრის გალავანში. უმთავრეს ცნობებს ამ მშენებლობის შესახებ გვაწვდის თვით საბას მიერ შედგენილი საბუთი — «ანდერძისებრნი ღუწანი» — რომელშიაც აღნუსხულია მისი მოღვაწეობა ნინოწმინდის კათედრის საკეთილდღეოდ.

საბა ტუსისშვილი დიდად ენერგიული მოღვაწე ჩანს. მისი საქმიანობა არ იფარგლებოდა მარტო ნინოწმინდის ტაძრის განახლება-გამშენებით, იგი ზრუნავდა დავით გარეჯის მონასტრებზედაც, ზრუნავდა ნინოწმინდის მამულების აწეწილ საქმეთა მოწესრიგებაზე, ლეკიანობისა და შინაგანი აშლილობის გამო აყრილ და გადახვეწილ ყმა გლეხების შემოკრებასა და დასახლებაზე და სხვ.

ანდერძის თანახმად, ნინოწმინდის ძველი ტაძრის განსაახლებლად, მან დაძველებული გუმბათი ახლით შეცვალა, საკურთხეველში ახალი იატაკი დააგო, ახალი კანკელი ააშენა, ეკლესიასა და კარიბჭეს ახალი კარები გაუკეთა, იზრუნა ვალაყნის განსაახლებლად. «ეკლესიისა ამის ჩემისა გვრგვან-გუმბათი ესრეთ დაძველებულ იყო, — წერს საბა — რომ ნიადაგ შიშა შინა ვიყუძნით დაცემისათჳს. ჴელეყავ იმისად მტკიცედ განწყარებად ესრეთ, რომელ იგი, რომელიცა ძველ იყო, დამოვაქციე. და დაქციევისა ამას ზედა ჭირნი არა უმცირეს აღშენებისა იყუნეს, რომელ დიდად დაგვაშრომილა». ამის შემდეგ საბა «ამის დაქციულისა აღშენებასა» შეუდგა. ახალი გუმბათის ყელი, როგორც ჩანს, ძველის ნაშთზევე აუგიათ: «მოვჰკიდეთ ძველშენებულსა მას ყელსა და დიდად სიმაღლედ აღჰსწია ესე ჩვენგან ახალ ქმნილება, და ნივთ-მასალა მრავალნი და უჰამარანი შეილივნეს ამას ზედა». მაგრამ გამოირკვა, რომ გუმბათმა «წყალი არ შეიმავრა», რის გამოც იგი ორჯერ

დაარღვიეს და კვლავ ააშენეს. როგორც მასალის მოზიდვა, ისე ძველი, მტკიცედ ნაშენი, ნაწილების მორღვევა და, მით უფრო, ახალი გუმბათის აგება მშენებლებს დიდად გაჭირვებით. «ესე უკანასკნელი შრომა, რომელიცა მივიღე კულა დაქცევაზედ და უკეთილესად აღგებაზედ, არა ნაკლ პირველისა ჭირისა მივიღ. სამ გზის წელეპყავ მაზედ მუშაობად, და აწ რაოდენ ძალ-მედვა და ძალ-იღებოდა განვასრულო», წერს საბა. სიძნელე მრავალგვარი იყო: მასალა შორიდან მოქონდათ, იმაჲმად კი «მრავლად სხვაგან და სხვაგან დიდ-დიდნი ჯარნი მდგომარებდეს ლეკთანნი». მაგრამ უმთავრესი სიძნელე ტექნიკური ხასიათისა იყო: დიდი გუმბათის აგების ხელობა იმდროინდელ საქართველოში საერთოდაც დაქვეითებული იყო (მოიპოვება მხოლოდ თითო-ოროლა მაგალითი), მით უფრო უნდა გაჭირვებოდა ეს საბას, რომელიც, როგორც ანდერძის ტექსტით შეიძლება დავასკვნათ, თვითონვე ხელმძღვანელობდა მშენებლობას. ძნელი წარმოსადგენია, რომ მას სათანადო გამოცდილება ჰქონოდა, როგორც კონსტრუქტორს. ამ გამოუცდლობამ სათანადო შედეგიც გამოიღო: ახალი გუმბათი შეუფერებელი სიდიდისა და სიმძიმისა აღმოჩნდა. 1824 წელს იგი მიწისძვრის დროს დაიქცა, მალე დაინგრა ტაძრის კედლების ნაწილიც (გადმოცემის თანახმად, როცა საბამ აღდგენილი გუმბათი ერეკლე II-ს აჩვენა, მეფეს უთქვამს: მერწმუნე, მღვდელმთავარო, რომ ეკლესია შენ დაგინგრევი და არ აგიშენებია, საპალნე დიდი დაგიდგამს, ფეხები გამოვიცლიაო).

1774—1777 წლებს შუა საბამ ეკლესიის გალავანში, «სამრეკლოსა და ბურჯა შუა. მარნის გვერდით» აიშენა ორსართულიანი საცხოვრებელი სახლი, რომელსაც იგი სასახლეს უწოდებს. «სასახლე ესე არს ქვეითკირისა, ძირს არს სამი სახლი (ოთახი, ვ. ბ.): ორი საწოლი და ერთი დიდი, და ზედეთ სახლი სამი: თავსა და ბოლოს საწოლი, და საშუალ აივანი, ყოვლითა და სრულითა თვისითა გაწყობილებითა, და სასახლისა ამის წინარე, დაბლა და მაღლა აივნები». ამ შენობას დღემდის თავდაპირველი სახით არ მოუღწევია: XIX ს-ის დასაწყისში მას მარჯვენა ნაწილი ჩამოჭრეს და აქ მცირე სამლოცველო ჩააშენეს. საბას «სასახლე» გამოიკვლია და მისი თავდაპირველი სახე გრაფიკულად აღადგინა ლ. რჩეული-შვილმა. მან ყურადღება მიაქცია იმ გარემოებას, რომ ტუსისშვილის სახლი, თავისი ხუროთმოძღვრული ფორმებით განსხვავდება XVI—XVIII სს-თა საცხოვრებელი სახლებისგან, რომელთა გაფორმებაშიაც, მრავალ შემთხვევაში, იგრძნობოდა ირანული არქიტექტურის გავლენა. ნინოწმინდის სასახლეში, «ნაცვლად კამაროვანი, სტალაქტიტურის გადახურვისა, გამოყენებულია ბრტყელი ხის პლაფონი, კარ-სარკმელთა არა ისრისებრი გადახურვა, არამედ სწორი არქიტრაველი და სხვ., ამაში ნათლად ჩანს უფრო ძველი, X—XI ს-ის სასახლეთა, ტრადიციის

გაგრძელება». ქართული საცხოვრებელი სახლის მრავალსაუკუნოანი ხუროთმოძღვრულ ტრადიციასთანა დაკავშირებული შენობის მთლიანი აღნაგობის პრინციპიც: ოთახების დალაგება ერთ მწკრივად, ფართო კარ-სარკმლების გაჭრა მთავარი ფასადის მხარეს, აივნების გამოყენება და სხვ. მეორე მხრივ, ნინოწმინდის სასახლე ერთგვარი წინამორბედი ქართული საცხოვრებელი სახლის განვითარების უფრო გვიან, XIX ს-ში — საქართველოს რუსეთის იმპერიასთან შეერთების შემდეგ. ძალიან ძნელი გასარკვევია, რა ადგილი უჭირავს საბა ტუსისშვილის სახლს XVIII ს-ის ქართულ საერო არქიტექტურაში, ძნელია მისი ხუროთმოძღვრული «წყაროებისა» და უშუალო «წინაპრების» დადგენა, რადგანაც სათანადო შესაძარბელი მასალა ჩვენ სრულიად არ გავაჩნია.

საგანგებოდაა აღსანიშნავი, რომ საბას სასახლეში ოთახები შიგნით ოსტატურად, დიდი სიყვარულით იყო გაფორმებული. განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ხის ჭერის დამუშავება (ქვემო სართულში იგი უჯრედებადაა დაყოფილი, ზემოთ — თევზისფურა სახეებია გამოყვანილი), კედლის კარნიშების ფაქიზი პროფილები, ღრმა თახჩები, რომლებიც აქურული, მშვენიერად მოხარატებული, ხის კარებით იხურებოდა და სხვ. (1952—53 წლებში არქიტექტურის საქმეთა სამმართველომ შეაკეთა ნინოწმინდის სასახლე და მის გადარჩენილ ნაწილს თავდაპირველი სახე აღუდგინა).

1777 წელს საბა ტუსისშვილმა ნინოწმინდაშივე, მის მიერვე ამოთხრილი ჭის თავზე, ააგო «მცირე სახლი, თაღის მსგავსი», რომელსაც დღემდის არ მოუღწევია. თავის ეკლესიაში იგი სხვა წერილმან სამშენებლო საქმიანობასაც აწარმოებდა. მთელი ეს საქმიანობა, ისევე, როგორც ეკლესიის გუმბათის აღდგენა, წმინდა ტექნიკური ხასიათისა იყო. საბას, როგორც საქმის მცოდნე, გარკვეული მხატვრული აღღოს მქონე, მშენებლის სახე, არსებითად მხოლოდ მის «სასახლეში» ჩანს. სამწუხაროდ, უცნობია საბას ბიოგრაფიის ჩვენთვის საჭირო ფაქტები: არ ვიცით სად შეისწავლა მან ხელობა, სად იმოგზაურა, უნახავს თუ არა რამე საქართველოს გარეთაც და სხვ.

რომ საბა თვითონვე ხელმძღვანელობდა მშენებლობას, ეს მისი ანდერძიდან ჩანს, თუმცა იგი თავისთავს ოსტატად ან ხუროთმოძღვრად არ იხსენიებს. ს. პარნაველმა მიაქცია ყურადღება იმ გარემოებას, რომ «ანდერძში, გვირგვინ-გუმბათის მშენებლობის ვრცელ აღწერილობაში, ხუროთმოძღვარი არსად ჩანს... პასუხსაგები საკითხების გადამწყვეტი თვითონ საბა გამოდის». ამას უნდა დავუმატოთ შემდეგიც: როცა საბა მის მიერ საეკლესიო ნივთებისა და ხელნაწერების მორთვაზე, შეკეთებასა და გადაწერაზე ლაპარაკობს, იგი ყოველთვის აღნიშნავს: «ბარძიმი შე ვ ა ქ მ ნ ე ვ ი ნ ე», «ფეშხმად შე ვ ა ქ მ ნ ე ვ ი ნ ე», «ხატნი და უ-

ხატვინე», სხვადასხვა წიგნები «დავაწერინეო» და სხვ. მაგრამ როგორც კი მშენებლობაზე იწყება საუბარი, იგი მხოლოდ პირველი პირით ლაპარაკობს: ძველი გუმბათი «დამოვაქციე». «გარშემოსავლებისა ხისა ფალანგმან (ხარაჩოშ) დიდსა შრომასა მიმცა», «მრაველითა ჭირ-დებითა ფალანგი შემოვაფლე». «ქელეყავ მაზედ მუშაკობად», «განვასრულე», «ადვაშენე სასახლე», «დავდგი სახლი», «მარანიცა აღვაგე», და სხვ... მარტო ესეც არ იკმარებდა, რადგან ანალოგიური გამოთქმები ზოგ სხვა საბუთშიაც გვხვდება. მაგრამ საბას, იმავე დროს, მოხსენებული ყავს გარეჯელნი «სახასონი კაცნი», თავისი ეკლესიის ყმანი, მონასტრის ყმანი, რომელთაც «ზემორე აღწერილსა მას ეკლესიისა შენებასა ჩემისა სათნო ყოფითა ფრიად და მრავლად იმუშაკეს»; იგი იხსენიებს «შეცხობილის ალიზის მექელოვნეს»; საბა არავის არ ივიწყებს, ვინც ეკლესიის შენებისას რაიმე მონაწილეობა მიიღო, მათთვის ღმერთს ევედრება და თავის მემკვიდრეებს უანდერძებს, მათი სხენება დაიწყებას არ მისცეთო. ძნელი წარმოსადგენია, რომ მას ცალკე არ ეხსენებია ხუროთმოძღვარი, ან მშენებლობის სხვა ვინმე ხელმძღვანელი, თუკი ასეთი პირი არსებობდა. ყველაფერი ეს გვაფიქრებინებს, რომ მთელი მშენებლობის ძირითადი ხელმძღვანელი თვით საბა იყო. ეს კია, რომ სასახლის მშენებლობის დროს მას უეჭველად უნდა ჰყოლოდა დახელოვნებული ოსტატები, კერძოდ, ხის ოსტატები (ცნობები სასახლეზე მოკლეა, რადგანაც საბუთის დამატებაშია მოცემული).

1. სარაბარნაველი. საბა ტუსისვილის „ანდერძისებრნი ლუწანი“ (გამოკლევა და ტექსტი): ქართული ხელოვნება, 3, თბ., 1950, გვ. 211—236.

2. ლეოჩხელი შვილი. საბა ტუსისვილისეული სასახლე სოფ. ნინოწმინდაში: გვ. 237—247, ტაბ. 101—104.

ფარეზასძე — XIII ს-ის სუროთმოდღარი, რომელმაც ამ საუკუნის 80-იან წლებში, სამცხის მფლობელის ბექა მანდატურთუხუცესის ბრძანებით, ააგო საფარის წმ. საბას ტაძარი. მისი სახელი მოხსენებულია სარკმლის წარწერაში ტაძრის დასაველეთის კარიბჭეზე: «ს რ უ ლ ი ქ ნ ა ს ა ყ დ ა რ ი ე ს ე ს ა ძ ი რ კ უ ლ ი თ ვ ე ყ ო ვ ლ ი თ ა ფ ე რ ი თ ა ჯ ე ლ ი თ ა ფ ა რ ე ზ ა ს ძ ი ს ა თ ა . შუენდენენ ღმერთმან». წარწერის ტექსტი უეჭველად მოწმობს, რომ ფარეზასძე მთელი ტაძრის მამულებელია და არა მარტო მისი დასაველეთის კარიბჭისა. სხვა ცნობები ოსტატის შესახებ არ დარჩენილა. საფარაშივე შემონახულია რელიეფი — მამაკაცი გონიოთი და ჩაქუჩით ხელში, და წარწერით «ფარეზს შუენდენენ ღმერთმან». საფიქრებელია, რომ ეს ფარეზა საფარის მშენებლის მამაა, და რომ ფარეზასძეს თავისი ხელობა მემკვიდრეობით ჰქონდა მიღებული.

რაკი საფარის მონასტერში, რომელიც იმავე დროს გაყვლითა ერთ-ერთი რეზიდენცია იყო, მთავარი შენობა ფარეზასძემ ააგო, უეჭველია, იგი ხელმძღვანელობდა მთელი კომპლექსის მშენებლობასაც. იგი ალბათ ბექას კარის სუროთმოდღარი იყო (საფარში დარჩენილია იმდროინდელი სამრეკლო და სასახლის ნანგრევები). ფარეზასძის ნაწარმოები — წმ. საბას ტაძარი — ტიპური «გარდამავალი» ხასიათის ძეგლია: ძველ ტრადიციებზე აღზრდილი ოსტატი ბევრ რაშიმე ჯერ კიდევ ვერ აღწევს თავს XII—XIII სს-თა მიჯნის დამახასიათებელ ფორმებსა და ელემენტებს, მაგრამ მის ტაძარში უკვე მეტად საგრძნობია ამ ტრადიციებისგან მოწყვეტის ნიშნებიც. საფარის წმ. საბა, არსებითად, პირველი ნიმუშია იმ საფეხურისა, რომელიც ქართულ სუროთმოდღერებაში XIII ს-ის მიწურულიდან მუშავდება; ძეგლი მოკლებულია მთლიანობას (ფასადთა კომპოზიციების მხრივ), მის მორთულობაში, რომელიც მოტივებით ძალიან მდიდარია, — ერთგვარი მოდუნება იგრძნობა, პროფილები — დაქუცმაცებულია. საერთო მხატვრული შთაბეჭდილების მხრივ დამახასიათებელია ერთგვარი რეაქცია წინა ხანის



საფარის წმ. საბას ტაძრის წარწერა (დასავლეთ კარიბჭის სარკმელზე), რომელშიაც მოხსენებულია ხუროთმოძღვარი ფარეზასძე (შიგნითა თაღის არეში). XIII ს-ის დასასრული

ძლიერი დეკორაციულობისა და რაფინირების წინააღმდეგ. ტექნიკის მხრივ ჩუქურთმათა შესრულება მაღალ დონეზე დგას. შენობა საინჟინრო-სამშენებლო თვალსაზრისითაც დიდად გამოცდილი ოსტატის ხელს ამჟღავნებს: მის ასაშენებლად საჭირო გამხდარა საგანგებო საყრდენი კედლების ამოყვანა ციცაბო კლდის პირას. მიუხედავად ამისა, ტაძარი დღემდის, ძირითადად, დაუზიანებელია.

1. Е. Такайшвили. Археологические экскурсии, рассказы и заметки, I, 1905, გვ. 87—88 (ე. თაკაიშვილი ოსტატის სახელს „ფარელასძედ“ კითხულობს).
2. ე ა ხ ტ ა ნ გ ბ ე რ ი ძ ე. სამცხის ხუროთმოძღვრება, XIII—XVI სს. თბ., 1956, გვ. 51.

შარსაღან სარაილარი — ცხოვრობდა XVIII ს-ის მეორე ნახევარში, ერეკლე II-ის დროს. მონაწილეობდა თბილისის გალავნის აღდგენაში 1796 წ., ალა-



ლ. ღ. რის მონასტერი. მთავარი ტაძარი (წმ. საბა) აგებულია XIII ს-ის ბოლოს ხუროთმოძღვარ ფარეხასძის მიერ

მაჰმად-ხანის შემოსევის შემდეგ. მოხსენებულია ერეკლე II-ის ბრძანებაში მიშკარ-ბაშ იოსებისადმი 1796, 18. III. იხ. ზემოთ: ს ტ ე ფ ა ნ ე ს ა რ ა ი დ ა რ ი.

ფილიპე — XI ს-ის ოქრომქანდაკებული. გ. ჩუბინაშვილის მოსაზრებით, რომელიც ემყარება მრავალრიცხოვან ჭედურ ნივთთა ურთიერთშედარებას, მოღვაწეობდა ლეჩხუმში, შესაძლებელია — ცაგერში, სადაც საეპისკოპოსო კათედრა იყო. მის მიერაა შესრულებული ს ვ ი მ ე ო ნ მ ე ს ე ე ტ ი ს ხ ა ტ ი ლ ა ლ ა მ ი ს ეკლესიისა (ზემო სვანეთში). ეს ხატი, წარწერის თანახმად, «გლახაკმან ანტონი ცაგერელმან» (ცაგერის ეპისკოპოსმა) შეწირა იშხნის ეკლესიას, ალბათ, როცა იგი იშხნელად განაწესეს (მისი განახლებულია, ბაგრატ III-ის მეფობაში, იშხნის ტაძარი). ოსტატის სახელი მოხსენებულია მეორე, უფრო წვრილ, წარწერაში, რომელიც ხატზე გამოსახული სვეტის კვარცხლბეკზეა მოთავსებული: «ქრისტე

შეიწყალე ფილიპე ოქრომჭედელი». ხატი სვანეთში მოხვდა გვიან, როცა სამხრეთ საქართველოს გათურქებისას, იქედან მოსახლეობის ნაწილმა ჩრდილოეთს მოაშურა და ეკლესია-მონასტრების ქონებაც შემღებისდაგვარად გადახიზნულ იქნა საქართველოს სხვა კუთხეებში.

გ. ჩუბინაშვილი ფილიპეს მიაწერს — მხატვრული ანალიზის საფუძველზე — კიდევ ერთ ნაწარმოებს — თ ე კ ა ლ ი ს (ქვემო სვანეთშია) ღ ვ თ ი ს მ შ ო ბ ლ ი ს ხ ა ტ ს, თუმცა მას ოსტატის სახელი არ უზის (ეს ხატი დაკარგულია).

ფილიპე ერთი თვალსაჩინო ოსტატთაგანია ქართული ოქრომქანდაკელობის აყვავების ხანისა, როცა მთავარ მხატვრულ პრობლემად პლასტიკურ-სკულპტურული ამოცანების ამოხსნა დაისახა. ტექნიკური თვალსაზრისითაც მისი ნამუშევრები მაღალ დონეზეა. ორ დასახელებულ ნაწარმოებთაგან უფრო ადრინდელი სვიმეონ მესვეტის ხატი უნდა იყოს. ხატი შედარებით პატარაა (35,3 × 23სმ) მას გარს უვლის ფართო ჩარჩო: აქ, მცენარეული სახეებით შექმნილ მთავარ არშიაში, ჩასმულია მედალიონები წელზევითა გამოსახულებებით: ზემოთ — შუაში ქრისტეა, მარცხნივ და მარჯვნივ ღვთისმშობელი და იოანე ნათლისმცემელი (სამივენი ერთად ე. წ. ვედრების კომპოზიციას ქმნიან), შვეულ არეებზე ორი მთავარანგელოზი და სანი მახარებელი, ქვემოთ — პეტრე და პავლე მოციქულები. ჩარჩოშიდა (დაფერდებულ) ზოლზე თავიდან ბოლომდე ფოთლების მწკრივია.

ხატის მთავარი არე სვიმეონ მესვეტესა და ხატის შემკვეთს აქვთ დათმობილი. ოსტატს გარკვევით გააზრებული აქვს ფიგურების და წარწერების განლაგება გლუვ (უორნამენტო) ფონზე. შუაში მთელი სიმაღლე უჭირავთ სამსაფეხურიან კვარცხლბეკზე აღმართულ, ფანტასტიკური ფოთლოვანი სვეტისთავის მქონე, წახნაგოვან სვეტს და ზედ შესმულს სვიმეონს. იგი გამოსახულია en face, წელზევით, მისი შარავანი ჩარჩოს ებჯინება. მკერდის წინ სალოცველად აპყრობილი ხელებია; სვეტის მარცხნივ ანტონი ცაგერლის ფიგურაა თავისთაფხამდის, მარჯვნივ კი მთელ არეს, სვეტისთავის დონემდე, ავსებს მისივე წარწერა, შესრულებული მრგლოვანი ამობურცული მსხვილი ასოებით. ერთი წარწერა, რომელშიაც წმინდანის ვინაობაა მითითებული, ზემოთაა, სვიმეონის მსრების ხაზზე. მნახველს თვალში ხვდება ანტონი ცაგერლის ფიგურის ოსტატური შესრულება: იგი თავისუფლად დგას, შებოჭილობის გარეშე, სხეულის-სიმძიმე მარცხენა ფეხს ეყრდნობა, მეორე ფეხი უქანაა გადადგმული; ვედრებით გაწვდილი ხელები, ოდნავ შემობრუნებული ზედა ტანი და 3/4-ით ჩაჩვენები, ოდნავ ზემოთკენ აწეული სახე ქმნის ბუნებრივი მოძრაობის შთაბეჭდილებას და ერთგვარად აკავშირებს ანტონ ცაგერელს სვეტზე მოთავსებულ სვიმეონთან. ფიგურა მსუბუქია, მისი პროპორციები — სწორი. ლოყების, შუბლის, ცხვირის მოდელირება, თმისა და წვერის კულულები,

ხელები, სამოსელი მოწმობს, რომ ფილიპე სავსებით შეგნებულად ისახავდა მოცულობის სკულპტურულად გადმოცემის ამოცანას. ამასვე გვიჩვენებს სვიმონის მშვენიერი მეტყველი სახე და ჩარჩოს მედალიონების გამოსახულებებიც.

თეკალის ხატი (59×52 სმ) გ. ჩუბინაშვილს უფრო გვიანდელ და კიდევ უკეთეს ნამუშევრად მიაჩნია. ღვთისმშობლისა და ყრმის სახეები საღებავებითაა შესრულებული, სხვა ყველაფერი — ჭედურია. ფართო ჩარჩოში აქაც მცენარეული მოტივებია, მსგავსი სვიმონის ხატის ჩარჩოს სამკაულისა, და აქაც ქრისტეს, ღვთისმშობლისა და წმინდანთა წელზეებით გამოსახულებებია ჩართული (არა მრგვალ მედალიონებში, არამედ სწორკუთხა ჩარჩოებში). მთავარი გამოსახულება — ღვთისმშობელი ყრმით — იმით იპყრობს ყურადღებას, რომ «ოსტატი მარჯვედ გადმოგვცემს გრძნობას, რომელიც დედასა და ბავშვს აკავშირებს». ამ გრძნობის გამომსახველია მარიამისა და ქრისტეს თავების ოდნავი დახრა, მათი ხელების მოძრაობა. ეს «ივერიის ღვთისმშობლის» ტიპია, რომელიც დიდად განსხვავდება ბიზანტიური ოდიგიტრიის ტიპის საზეიმოდ გარინდებული ცივი ღვთისმშობლისაგან. ჩარჩოში ჩართული ნახევარფიგურები, ძალიან მეტყველი, მკაცრი სახეებით, განსაკუთრებით მკაფიოდ ამქავენებს ფილიპე ოქრომჭედლის ინტერესს სკულპტურული გამოსახულებისადმი და მის დიდ ოსტატობას.

ფილიპეს სახელოსნოში, უეჭველია, ოქრომჭედლობის ბევრი ნაწარმოები უნდა შექმნილიყო. დასავლეთ საქართველოში შემონახული ბევრი ხატი ამქავენებს მის ნამუშევრებთან ნათესაობას; ეს ხატები ალბათ მის სახელოსნოშია შექმნილი, ზოგი მათგანი, შესაძლებელია მის მიერვე.

1. ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი. ლეჩხუმ-სვანეთი, გვ. 284—286.

2. გ. ჩ უ ბ ი ნ ა შ ვ ი ლ ი. ქართული ოქრომჭედლობა, ტაბ. 90—91 (სვიმონ მესეველის ხატი), 32, 33 (თეკალის ხატი).

3. Г. Ч у б и н а ш в и л и. Грузинское чек. иск., გვ. 302—309, 240—241, სურ. 205-а (სვიმონის ხატი), 139—141 (თეკალის ხატი).

ფურცხვანძიმ, მელქან — სარქარი, რომელმაც 1669 წელს ააშენა სოფ. სხალტბის ეკლესია (სხალტბა მცხეთიდან 12-ოდე კმ მანძილზეა). მისი სახელი მოხსენებულია სამხრეთის კარიბჭის ერთ-ერთი სვეტის წარწერაში. ეკლესია მას აუგია სახლთუხუცესის შიოშის (ივანე ზედგინიძის ძის) და მისი მეუღლის თამარის ბრძანებით (ამათი სახელები და თარღი სამხრეთის შესასვლელის თავზე მოთავსებულ წარწერაშია). ეს მცირე ერთნაიანი შენობაა, დიდი თაღებიან კარიბჭით სამხრეთის ფასადის მთელ სიგრძეზე. თვით ეკლესია აგურისაა (დუღაბის სქელი შრეებით აგურის რიგებს შუა), ყოველგვარი სამკაულის გარეშე. მთავარ ყურადღებას აქ ქვის კარიბჭე იპყრობს. ფასადის მხარეს იგი მთლიანად გახსნი-

ლია: აქ სამ რვაწახანაგოვან ბოძე დაბჯენილი ოთხი ღია ისრული თალია. ყოველი ბოძის სამი წინა წახნაგი ჩუქურთმის სახეებითა და ჯვრებითაა მორთული, მორჩუქურთმებული იყო კარნიზიც, თაღებს კი ნახევარ-დისკოების მწკრივები ამკობს. შიგნით კარიბჭე მოურთვია, რიყის ქვით ნაშენი კედლები შელესილიც კი არ არის, მხოლოდ ეკლესიის შესასვლელის საპირეა მორჩუქურთმებული.

როგორც შენობის გარეგნობა (ისრული თაღების მწკრივით), ისე ეკლესიის ისრული კამარა და ზოგი სხვა დეტალი დამახასიათებელია გვიანფეოდალური ხანის ქართული არქიტექტურისათვის. მეღქანი იმ დროის ერთი რიგითი ხუროთმოძღვართაგანი იყო. მისი ნაწარმოები გარკვეულ პროფესიულ დახელოვნებას მოწმობს, მაგრამ შემოქმედების თვალსაზრისით საინტერესოს არაფერს შეიცავს.

ფურცხვანიძეები დღესაც ცხოვრობენ სხალტაში. უეჭველია, მეღქანიც იქაური იყო.

Р. Шмерлинг, В. Дюлдзе, Т. Барнавелш. Окрестности Тбилиси, 1960, გვ. 53—54.

ფხალაძეები — მშენებელი ოსტატები ჭიათურის რაიონის სოფ. სკინდორიდან, რომელნიც ბერეკაშვილების ოჯახთან ერთად (იხ. ეს გვარი), XIX ს-ში აგრძელებდნენ ძველი ქართული საეკლესიო მშენებლობის ტრადიციებს.

1894 წელს მღვდელი ი. წერეთელი წერდა ქურნ. «მწყემსში»: «სვერის და საჩხერის საბლალოჩინო ოლქში სამოცამდე სოფელია — 60.000 მცხოვრებით. ამოდენა სოფლებში მხოლოდ ორი სოფელი ქორეთისა და ჩიხისა არის დაშთენილი, სადაც ძველი პატარა ეკლესიებია, დანარჩენ სოფლებში კი ყველგან ახალი ქვის ეკლესიებია აღშენებულნი და შესაფერად შემკულნი. ახალი ეკლესიები — ზოგი ბერძენთაგან არიან აღშენებულნი და ზოგი ოსტატთ-გლეხთ ფხალაძეთაგან, რომელნიც ცხოვრობენ სოფ. სკინდორში». წერილის ავტორი ასახელებს ფხალაძეების მიერ აშენებულ ეკლესიებს. ეს ეკლესიები ყოფილა: კო რ ბ ო უ ლ ი ს წმ. გიორგი, ჯ ა ლ ა უ რ თ ი ს ა, ს კ ი ნ დ ო რ ი ს ა, ც ხ რ უ კ ვ ე თ ი ს ა და სხვ. ფხალაძეები უკეთ აშენებენ, მაგრამ ბერძენები ეშმაკობით მეტ სამუშაოს შოულობენო.

ბ ლ ა ლ. მ ლ. ი. წ ე რ ე თ ე ლ ი. წერილი რედაქციის მიმართ: ქურნ. „მწყემსი“, 1894, № 9.

†

ქაშკარაძე, გიორგი — კალიგრაფი. მისი შესრულებულია ხელნაწ. ინსტ. პატარა ხელნაწერი კონდაკი, ხელნაწ. ინსტ. H 159 (60 ფურც., 15×10,6 სმ), რომელსაც XVII ს-ეს მიაწერენ. წიგნი შავი მელნითაა გადაწერილი, მსხვილი, კუთხოვანი, რამდენადმე «გუთური» იერის, ნუსხურით. ხელი მტკიცეა, სტრიქონები და ასოები თანაბარი, ძალიან მკაფიო. გიორგი ქაეჯარაძე, რომელსაც, უეჭველია, ბევრი სხვა წიგნიც ექნებოდა გადაწერილი, იმ დროის დახელოვნებული ოსტატების რიგს შეიძლება მივაკუთვნოთ.

სსმ ხელნ. აღწ., H—I, 1946, გვ. 111.

ქარშმიძე, პაპუა — სარქარი, სახლთხუციშვილი; ქვემო ჯალის გივი ამილახერისეული ეკლესიის მშენებელი. მოხსენებულია ეკლესიის აღმოსავლეთის ფასადის წარწერაში. შენობა ერთნაეიანია, თლილი ქვის პერანგით; ტექნიკურად კარგადაა შესრულებული, მაგრამ მხატვრულად უმნიშვნელოა, როგორც დიდი უმეტესობა XVIII ს-ის ეკლესიებისა. ბევრად უფრო საინტერესოა კოშკი, რომელზედაც ეკლესიაა მიდგმული; მაგრამ კოშკი უეჭველად უფრო ადრინდელია და პაპუა ქარუმიძის ნაშენი არ უნდა იყოს. პაპუა შეგვიძლია მივიჩნიოთ მხოლოდ კარგ ხელოსნად (განსაკუთრებით იმ დროის კვალობაზე) და არა შემოქმედად.

ქველი — ხუროთმოძღვარი, რომელმაც X ს-ის მეორე ნახევარში ააგო შუბიაკის ეკლესია (თრიალეთშია; ამჟამად მოქცეულია სრამპესის ხელოვნური ტბის ფსკერზე). ერთნაეიანი შენობა განსაკუთრებით საინტერესო იყო მდიდრული მორთულობით (კარნიზებზე, სარკმელებისა და შესასვლელის გარშემო). ქველი ორ წარწერაშია მოხსენებული: ერთი — სამხრეთის ფასადზეა, ქვის წყობის ერთ-ერთ ქვემო რიგში: «სახელითა ღმრთისაითა და მკობებითა წმიდისა ღმრთის მშობლისაითა დაისუა ქვაი ესე ქველისაი. ქრისტე შეიწყალე». მეორე —

კარნიზის ქვაზეა: «ქრისტე შეიწყალე მონაჲ შენი ქველი». ლ. რჩეულიშვილი, რომელმაც გამოიკვლია ძეგლი დაფარვის წინ, მივიდა იმ დასკვნამდის, რომ ქველი, რომელმაც თავისი სახელი აღნიშნა მშენებლობის ორ მთავარ ეტაპზე, დაწყებისას და დამთავრებისას, ძეგლის მშენებელი ხუროთმოძღვარი უნდა ყოფილიყო (ხელისუფალნი — თრიალეთის მფლობელი რატი და მისი ძე, აგრეთვე ქტიტორი, რომლის ხარჯზედაც შენდებოდა ეკლესია, სხვა წარწერაში არიან მოხსენებული).

ლ. რჩეულიშვილი. თრიალეთის საერისთაოს X საუკუნის ერთი ძეგლი: ქართული ხელოვნება, ტ. 6, სერია A, თბ., 1963, გვ. 173.

შიზია — XV ს-ის ოქრომჭედელი. მის მიერაა შესრულებული სოფ. ლაბს-ყალდის (ზემო სვანეთში) მიქელ მთავარანგელოზის ხატი, შეწირული, წარწერის თანახმად, დადიან-გურიელის, სვანთ ერისთავთა ერისთვის, მანდატურთ უხუცესის შამანდავლეს მიერ (ე. თაყაიშვილის თანახმად, ეს არის შამანდავლე I, რომელიც დადიანობდა 1470—1474 წლებში). წარწერის ბოლოს ნათქვამია: «ოქრომჭედელსა ყიზიასა შეუნდვენ ღმერთმან». ხატი ვერცხლისაა, ნაჭედი (84 × 46 სმ). «მთავარანგელოზი წარმოდგენილია სრულის ტანით, საომარ ტანისამოსით და დიდის ფრთებით; მარჯვენა ხელში ამოწვდილი ხმალი აქვს...; მარცხენა ხელში ხმლის ქარქაში უჭირავს». ხატის ჩარჩო ორნამენტული სახეებითაა შემკული. ჩარჩოს მედალიონებში ქრისტეს, ღვთისმშობლისა და ნათლისმცემლის, წმ. პეტრესა და წმ. პავლეს წელსზევითი ფიგურებია. ყიზიას ნამუშევარი მხატვრული თვალსაზრისით ფრიად დაბალ დონეზე დგას, იგი აშკარა დაქვეითების მაჩვენებელია (თუმცა ამავე ხანებში გვხვდება სხვა ოსტატთა ბევრად უკეთესი ნამუშევრები, რაც მოწმობს, რომ ქართული ოქრომჭედლობის მაშინდელი საერთო დონე მაინც საგრძნობლად უფრო მაღალი იყო).

1. ე. თაყაიშვილი. არქეოლოგიური ექსპედიცია ლეჩხუმ-სვანეთში 1910 წელს. პარიზი, 1937, გვ. 392—393.

2 Г. Чубинашвили. Грузинское чек. иск., გვ. 626, სქოლიო 3.

შიშიანი, ნიკოლოზ — ცხოვრობდა XVIII საუკუნის მეორე ნახევარში. ერთხანს იყო ბერად ნათლისმცემლის უდაბნოში (დავით გარეჯაში), შემდეგ იმერეთის სოფ. ვარძიის მონასტრის წინამძღვრად და «ლიხთ და იმერთ მეფის-მის, ბატონის შვილის კარის არხიმანდრიტად». 1717 წ. მან აღადგინა ს. ვარძიის მონასტრის დაქცეული სამრეკლო. წარწერა, რომელიც სამრეკლოს სამხრეთის შესასვლელის თავზეა ამოკვეთილი, საინტერესო ცნობებს შეიცავს მშენებლობის იმდროინდელი ვითარების შესახებ. ნიკოლოზ ყიჟიანი წერს: «ოდესაც ვიხილე სამ-

რეკლო ესე დარღვეული და სრულიად შემუსვრად მიწვეული, მსწრაფლ დიდის გულმოდგინებით ვიძიე ქართლსა და იმერეთს გალატოზისა ამის შოვნად, მაგრამ ისე მსწრაფლ ვერსად ვპოე ამ სამრეკლოს მეორედ გაკეთების შემძლებელი გალატოზი. მერმე ძალითა ღვთისათა და შეწვენითა ყოველად წმინდისა ღვთის მშობლისა მარიამისითა, თვით ვიწყე მე არქიმანდრიტმა ნიკოლოზ, ხელითა ჩემითა შენებად ამისა, სადღეგრძელოდ და მუდამ გამარჯვებად ბედნიერის ხელმწიფის მეფის სოლომონისა და ძისა მისისა ალექსანდრესათვის» და სხვ. (აქ სოლომონ I იგულისხმება). ბოლოს წარწერას თარიღი უზის.

ნიკოლოზის მიერ მეორედ აშენებული სამრეკლო ორსართულიანია: კუბური ფორმის I სართულზე შედგმულია ოთხსვეტიანი ფანჩატური (წინათ, ჩვეულებრივ, სვეტების რაოდენობა მეტი იყო, XIX ს-ში კი უმეტესად სწორედ ოთხსვეტიანს აშენებდნენ: მაგ.: სავანეში და სხვ.).

გ. ცქ ი ტ ი შ ე ი ლ ი. წარწერა იმერეთის სოფ. ვარძიის მონასტრის სამრეკლოზე: მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 31. თბ., 1954, გვ. 5—9.

შავ-ზაქარია — კალიგრაფი. ცხოვრობდა XI ს-ში. მოღვაწეობდა პალესტინაში, შავი მთის ქართულ მონასტერში. მისი გადაწერილია სახარება, ხელნაწ. ინსტ. A 845. 297-ე ფურცელზე ანდერძში ნათქვამია: «დაიწერა წმიდაჲ ესე სახარებაჲ შავსა მთასა უდაბნოსა ლერწმისწვევისსა ზღვს პირსა, რომელ არს დასასრულსა შავისა მთისასა, მახლობელად სელევკიისა, ქელითა უბადრუკისა და მწარედ ცოდვილისა შავ ზაქარიაჲსითა... მადლითა და ლოცვითა მოძღუარისა ჩემისა საბა პრიოპეწმინდელისაჲთა, რომელი მკვდრ იყო მონასტერსა წმიდისა სუმეონ საკურველთმოქმედისსა. დიდი წყალობა და კეთილი ყო ჩემზედა უსასყიდლოდ უცხოჲსა ამისდა მოცთომილისა. ორკერძოვე ღმერთმან მიაგენ ნაცვალი წყალობისა ჩემისაჲ». შემდეგ შავ-ზაქარია ღმერთს ევედრება ნიკოლაოს ხუცესისთვის: «ნიკოლაოს ხუცესსა მიეცინ ღმერთმან სასყიდელი და მადლი ჩემისა კეთილისათჳს და წყალობისა: მისისა დედითა დაეწერე, რომელი მას დაეწერა გიორგი მთაწმინდელისა სახარებისაგან, რომელი გიორგი მთაწმინდელსა ბერძულთა სახარებათადა შეემოწმაო» და სხვ. («დედა» დედანს ნიშნავს: შავ-ზაქარია თავის სახარებას იწერდა ნიკოლაოს ხუცესის დედნიდან, რომელიც გიორგი მთაწმინდელისეული ორიგინალიდან იყო გადაწერილი). ბოლოს ანდერძში წერია: «და მე შემინდევით... უცბად და უმეცრად ჩხრეკისათჳს: სხვაჲ ღონე არა მაქუნდა. საფასისაგან გლახაკად ვიყავ და უსასყიდლოდ არაჲინ დამიწერდა. და ლოცვა ყავთ ჩემ უბადრუკისათჳს».

ეს «უბადრუკი და მწარედ ცოდვილი» ბერი, რომელიც ასე გულწრფელად მოგვითხრობს თავისი შრომის ამბავს და ასე გულმხურვალედ ევედრება ღმერთს ყველა იმ პირისათვის, ვინც კი ხელს უწყობდა, შესანიშნავი კალიგრაფი იყო. მისი პატარა წიგნი (16,5 X 13 სმ), ძალიან ლამაზი ნუსხურიითაა ნაწერი (ორ სვეტად, ყავისფერი მელნით) და დიდი სიყვარულითაა მორთული: არშიებზე მთავრული სახედაო ასოებია, აგრეთვე ფრიად ლამაზი, შედარებით წერილსაზოვანი, სასი-

მოვნო პროპორციისა, ზოგი სინგურით, ზოგი მელნით. სინგურით გამოყვანილ ყოველ საზედაო ასოს ზემოდან და ქვემოდან წვრილი მრგლოვანი ასოები უზის (სინგურითვე) — სტრიქონების სათვალავი: ყოველი ასეთი «ანსამბლი» — დიდი ინიციალი და უფრო წვრილი, ზედ მიმჯდარი სათვალავი ასოები — მოფიქრებულაია, როგორც დეკორაციული ელემენტი. 155—157-ე ფურცლებზე ყველა ინიციალი სინგურისაა და ყველას გვერდით უზის — წვრილი ასოებით, სინგურითვე — მუხლების სათვალავი.

წიგნს თავში დართული აქვს კანონები — 14 გვერდი. კანონების ჩარჩოები თაღების გარეშეა, საერთო სწორკუთხა ჩარჩოში, მხოლოდ ცხრილების ყოველ სვეტს ზემოთ წვრილი თაღოვანი ბოლო აქვს. ეს თავისებური «კამარები» შესრულების მხრივ სავსებით გრაფიკულია, მოხაზულია მხოლოდ ერთი (წითელი) საღებავით. მათს სამკაულს შეადგენს შვეული ზოლების ჯვარდინა ხაზები და წვრილი წრეები, აგრეთვე ფოთლოვანი მოტივები ჩარჩოების კუთხეებში გარედან. «კამარებიც» ალბათ შავ-ნაქარაის ნახელავია.

წიგნში ჩართულია ორი მინიატურა, XV ს-ში შესრულებული მხატვრის ანანიას მიერ — იხ. ანანია.

М. Джанаишвили. Опис. рукоп. Ц. М., III, гв. 59—62.

შალვა — «გალატოზთა ზედა მომევე», რომელიც ხელმძღვანელობდა რუისის ტაძრის აღდგენას ალექსანდრე I-ის დროს (XV ს-ის მეორე მეოთხედში). ეს აღდგენა საკმაოდ არსებითი იყო, რადგანაც თემურ-ლენგის დროს ტაძარი ძლიერ დაზიანდა. ალექსანდრეს ბრძანებით «კვალად აღეშენა საყდარი ესე» (წარწერა: ტაძრის დასავლეთის შესასვლელის თავზე). გ. ჩუბინაშვილის დასკვნით, ოსტატ შალვას ხელმძღვანელობით აღადგინეს აღმოსავლეთისა და დასავლეთის ფასადები, სხვა ფასადთა ნაწილები, დასავლეთის კარიბჭე; შიგნით «მოუხდათ წყობის, მოპირკეთების, თაღებისა და კამარების შეკეთება და სვეტისთავების ახლად გაკეთება». აფრების შეკეთებაც; «ამგვარად, ეკლესიის შიგნითა სახე ალექსანდრე I-ის შეკეთების შედეგს წარმოადგენს». გუმბათის ყელის ზედა ნაწილიც ამ ხანას უნდა მიეკუთვნოს. აღდგენისას იყენებდნენ ძველ ფრაგმენტებს, მაგრამ სრულიად უსისტემოდ, რის გამოც ტაძრის ფასადებზე დღეს ჩუქურთმების განლაგება ქაოსურია, ზოგი რამ ხელახლადაც გაუკეთებიათ. როგორც ახლადგაკეთებული ნაწილების ხარისხი, ისე ძველი ნაწილების გამოყენების ხასიათიც, დიდ მხატვრულ დაქვეითებას მოწმობს. შალვა ალბათ გამოცდილი ხელოსანი იყო, მაგრამ შემოქმედი ხუროთმოძღვრის უნარი მას არ გამოუჩენია (წარწერა, რომელშიაც შალვაა

მოსხენეული, ტაძრის სამხრეთის შესასვლელთანაა, მარცხნივ: «გ ა ლ ა ტ ო ზ თ ა ზ ე დ ა მ ო მ გ ე ს ა შ ა ლ ვ ა ს შ ე უ ნ დ ვ ე ს ღ მ ე რ თ მ ა ნ ა მ ი ნ ».

1. Brossel. Voyage, III, გვ. 8;
2. ე. თაყაიშვილი. არხ. მოგზ. შენ., I. გვ. 107.
3. თ. უორდანიია. ქუეობი, II, გვ. 252.
4. გ. ჩუბინაშვილი. რუისის ტაძრის ისტორიისათვის: ენობის მოამბე, V—VI 1940, გვ. 462—466.

შალვა — ოქრომჭედელი, რომელმაც მოჭედა ლარგვისის (ქსნის ხეობაში) ტაძრის ღვთისმშობლის ხატი. მრგლოვან წარწერაში, რომელიც ხატის ქვემო არშიაზეა, ნათქვამია: «ყოლად წმიდაო ღმრთის მშობელო, მეოხ და მფარველ ექმენ მომჭედს შენს შალვას (და) შურთის თემთ» (შურთის თემი და ხეობა ჯარგვისის ზემოთ ყოფილა).

მოჭედილობა საღებავებით შესრულებული ხატისთვისაა განკუთვნილი და შეიცავს მხოლოდ გარეთა ჩარჩოს (ორმაგი არშიით), ფონსა და შარავანდებს (მარიამისას და ყრმისას). მორთულობისათვის ტრადიციული მცენარეული მოტივებია გამოყენებული. შესრულების ხარისხი მაღალი არ არის. ხატს თარიღი არ უზის, მაგრამ გვიანდელი უნდა იყოს.

E. Такаишвили. АЭРЗ, V, 1915, გვ. 96 და სურ. 44.

შუარტყლელი — მოსხენებულია სერაპიონ ზარზმლის ცხოვრებაში. როცა სერაპიონის ანდერძის თანახმად, განიზრახეს ზარზმის მეორე ეკლესიის აგება, წინამძღვარმა მიქელმა «ქელოვნებით განთქმულსა კაცსა მოუწოდა... ქვეყნისაგან ბერძენთაჲსა... რომელსა თანა შემწედ აქუნდა გალატოზის სახელით შუარტყლელი და ორნივე იყვენეს მოძღუარ და მას წაველელ სიმრავლესა მუშაეთასა». ამ შენობას დღემდის არ მოუღწევია. შუარტყლელი ადრინდელ ფეოდალურ ხანაში ცხოვრობდა, (მიქელი, რომლის დროსაც მეორე ეკლესია აშენდა, წინამძღვრობდა სერაპიონის მომღვენო წინამძღვრის გიორგის გარდაცვალების შემდეგ).

1. ადრინდელი ფეოდალური ქართული ლიტერატურა. პროფ. კ. ქეკელიძის რედაქციით და გამოკვეციით. თბ., 1935, გვ. 179.
2. ვახტანგ ბერიძე. სამცხის ხუროთმოძღვრება, XIII—XVI სს. თბ., 1955. გვ. 120.

ჩაჩიკაშვილი ნიკოლოზ (? — 1810 წ.) — მღვდელი, კალიგრაფი. მისი გადაწერილი წიგნები ჩანს XVIII ს-ის ორმოცდაათიანი წლების მიწურულიდან (კურთხევანი 1758 წლისა, ხელნაწ. ინსტ. A 1465) XIX ს-ის დასაწყისამდე (თვეთა მეტყველება 1802 წლისა, ხელნაწ. ინსტ. A 1321; აქვეა, გამწერის ანდერძის შემდეგ, მინაწერი — «ნიკოლოზ მღვდელი მიიტვალა მარტსა ქორონიკონს უქმ». ეს თარიღი უდრის 1810 წელს. მგონია, აქ ჩაჩიკაშვილი უნდა იგულისხმებოდეს; ანდერძებში თავის თავს ყოველთვის ნიკოლოზ მღვდელს უწოდებდა). წერდა უმეტესად სასულიერო შინაარსის წიგნებს (ხსენებულ კურთხევაანის გარდა: კურთხევანი 1760 წლისა, A 465; 1775 წლისა, A 1354; ფსალმუნი 1778 წლისა, ანა ხანუმ ბატონიშვილისთვის გადაწერილი; ლოცვაანი და სხვ.), მაგრამ საეროც ბევრი აქვს გადაწერილი (ქსოფლიო ისტორია 1769 წ., A 657; წიგნი ისტორია — ზნეობრივი არაკების კრებული, 1793 წლისა, A 1168; ნიკოლოზ ორბელიანის ქორონიკონი, 1790 წლისა, H 90 და სხვ.). 1774—1779 წლებში მან შეადგინა და თავისი ხელით გადაწერა დიდი კრებული, რომელშიაც შესულია შაჰნამე, ჰამიანი, ყარამანიანი, ბარამიანი, ბარამგურიანი, ჩარ-დარვიშიანი, თამარიანი და სხვა სადევგმირო ჯამიჯნური თხზულებები, ნათარგმნი სპარსულიდან (A 858, 860, 999). ეს წიგნები პოპულარული იყო გვიანფეოდალურ ხანაში. თავის დროზე ერთი ცნობილი «მწერალთაგანი» იყო. წერდა მხედრულადაც და ნუსხურადაც, ტრადიციული წესების დაცვით (სინგურის სათაურები, ცალკეული სტრიქონები და საზედაო ასოები; თუ ლექსების ტექსტს წერდა — ცალკე გატანილი რითმები ან ბოლო ასოები და სხვ.). მისი მხედრული ხელი მკაფიოა, მაგრამ რამდენადმე ნერვული და ნაკლებ არტისტული, ვიდრე, მაგ., მესხიშვილების (დავით რექტორის, სოლომონის) ნაწერი იყო.

ნუსხური ნაწერიც (ქამნი S 4549, პატარა წიგნი 16×10,2 სმ, 1181

გვერდი; ს ჯ უ ლ ი ს კ ა ნ ო ნ ი 1757 წლისა, S 4963, 10,5×7,8 სმ, 516 გვერ-
დი; ლ ო ც ვ ა ნ ი H 2270, 9, 6×7,4 სმ და სხვ.) მაინცაღამაინც ლამაზი არ არის.

მისი პიროვნების დასახსიათებლად საინტერესოა ერთი გრძელი ანდერძი, რომელიც მას დაურთავს ხსენებული ცნობილი კრებულისათვის (A 860); გადაწერილ თხზულებათა ჩამოთვლის შემდეგ:

«ესენი აღვსწერე მე ცოდვილმან ჩაჩიკასშვილმან მღვდელმან ნიკოლოზ. რიგი არ იყო ჩემგან ამისი წერისა, მაგრამ ამ მიზეზით, რომ დიად შეწუხებული ვიყავი და მწუხარებისაგან გული დიად შეპყრობილი მქონდა ჩემის სასურველის შვილების და მეუღლის ამიერ სოფლით გარდაცვალებითა. ამის უკან პატრონი და ნუგეში არავენ მყვანდა და მარტოობით ვაღამებდი და მათთვის ვსწუხდი. მამულიდამ მტრისაგან გამოვარდნილი ვიყავ და სამწყსო და საყდარი არ მქონდა, რომ მით შევექცეოდი და შემემუშავა, ავდეგ და ეს მოვიგონე, ცუდაობას ესეე ვამჯობინე; ბევრი კარგი ანბავი ჩემს წყლულს გულს დაკოდილს მალამოთ დავადე და ამით უკუვიყრიდი და მწუხარება გამეყრებოდა ხოლმე. ახლა ამას გვედრებით: ვინც იხილოთ ეს ჩემი წლის ნაშრომი, ნუ მიძრახავთ და ნუცა მწყევთ, ამათ რომე ბევრი კარგი სამლოც და საეროც არის კაცთა შესამატათ. ვინც იკითხოთ და ამ წიგნს შეექცეთ, ჩემთვის შენდობა ბრძანეთ, რამეთუ ნაშრომი ესე დარჩების და ჩვენ წარვალთ. გვეედრებით, რომ ეს წიგნები ერთმანეთს არ მოაშორებოთ. ღმერთო მშვიდობაში ახმარე ამის პატრონს ძესა ჩემსა კორნილიეს და ძმასა მისსა თომასა და ცოლთა და შვილთა მისთა, რომ ჩემად სახსენებლად და იადგრად ჩემდა დარჩეს და ამაზედ მომიგონონ და არ დაიკარგოს ჩემი გვარი და სახელი. წყეული იყოს ის კაცი თუ ქალი, თხოვნით წაიღოს და ამის პატრონს დაავიწყდეს და აღარ გამოუჩინოს. წყეული იყოს, რომელსაც აქედამ ანბავი მოეწონოს და ან რვეული ამოგლიჯოს და ან ფურცელი აღმოხიოს და ან უბრალოთ არშიაზე ბლარჯვა დაუწყოს და ან ფინთად და უნაღლეულად და ნისიათ იხმაროს... კურთხეულ იყოს, ვინც ამისთანა თუ სხვა რიგი ანბის წიგნები ნახოს და ის გარდაწეროს და იმაზედ იჭირნახულოს... შესაქცევადაც დიად კარგია და ყმაწვილმანც რომ კითხვით ამგვარი წიგნები გატეხოს, მრავალს შეიმატებს და კაი სწავლულიც შეიქმნება, მრავალს ადგილს გამოიყენებს, საღმთოთ თუ საეროთ, ჭელმწიფესთან თუ ამხანაგთან. ქამნი მოხდება, რომ მრავლის წიგნის კითხვა დიდად გამოადგეს», და სხვ.

ამ ანდერძში კარგად ჩანს, რა ადგილი ეჭირა ხელნაწერ წიგნს თვით კალიგრაფის ცხოვრებაშიაც და საზოგადოებაშიაც, როგორ აფასებდნენ მას კულტურის მოღვაწენი. მძიმე სულიერი განწყობილების დროს ოსტატი წიგნის გადანუსხვას ჰკიდებს ხელს: ეს დიდად უმსუბუქებს მწუხარებას; მას სიხარულს გვრიდა რო-

გორც თხზულებათა შინაარსი, ისე, უეჭველია, წერის პროცესიც. მან კარგად იცის, რომ მისი «ნაშრომი დარჩების», რომ ასეთი შრომა საკმარისია იმისთვის, რომ მუშაი მოიგონონ, მისი სახელი და გვარი არ დაიკარგოს; მას შეგნებული აქვს წიგნის მნიშვნელობა ახალგაზრდების განათლებისათვის. წყევლაც საინტერესოა: ეტყობა წიგნებიდან ფურცლების ან მთელი რეეულების ამოხვევა ზოგ მკითხველს ჩვეულებად ჰქონია.

ნიკოლოზის შვილები კორნილიე, ანუ კორნილიოსი და თომა აგრეთვე გადამწერნი იყვნენ.

1. Е. Такайшвили. Опис. рукоп. ОРГ, II, 1906, გვ. 552—553.
2. М. Джанашивили. Опис. рукоп. Ц. М., III, 1958, გვ. 87—88.
3. სსმ და ხელნაწ. ინსტ. ხელნაწერთა აღწერანი, А, Н, S, Q სეროები.
4. ლ. მენაბდე. ძვ. ქართ. მწერლ. კერები, I, გვ. 108, 175.

ჩაბინძმე, იესე დავითის ძე (1780 — 1849) — სასულიერო მოღვაწე და კალიგრაფი, მამა ცნობილი მეცნიერის, ლექსიკოგრაფის დავით ჩუბინაშვილისა. მამამისი დავითი (გარდაიცვალა 1810 წლის 15. III). მღვდელი იყო, იმავე დროს, სტამბის საქმის მცოდნეც: როცა 1782 წელს ერეკლე II-მ თბილისის სტამბა განაახლა, დავითი მის ხელმძღვანელად დანიშნეს, 1784 წელს კი ერეკლეს კარის საყდარში განაწესეს. დავითს მეორე ვაჟიც ყავდა — ნიკოლოზი, ქართულ სიძველეთა მკვლევარი, ლექსიკონის შემდგენი, მთარგმნელი; 1845 წელს მან პალესტინაში იმოგზაურა, გადმოიღო ჯერის მონასტრის ქართული წარწერები და გადმოიხატა შოთა რუსთაველის პორტრეტი. მისი მოგზაურობის აღწერა აღ. ცაგარელმა გამოსცა.

იესე მამის კვალს გაჰყვა და სასულიერო კარიერა აირჩია. 1810 წლის 13 მარტს ბოდბელ მიტროპოლიტ იოანეს მიერ ხელდასხმულ იქნა დიაკვნად, 19 მარტს კი ნინოწმინდელმა მიტროპოლიტმა სტეფანემ მღვდლად აკურთხა. იესეს კარგი წერაჲც სცოდნია. დარჩენილია მის მიერ 1810 წლის 3 თებერვლიდან 17 ოქტომბრამდე გადაწერილი იოანე ოქროპირის თარგმანება იოანეს სახარებისა — ხელნაწ. ინსტ. S 154. ეს დიდი წიგნია (596 გვერდი, 31,2×19,7 სმ), მკაფიო, ლამაზი მხედრული ხელით შესრულებული. 592-ე გვერდზე მოთავსებულია ანდერძი, რომელიც შეიცავს ცნობებს იესეს ბიოგრაფიისა და სასულიერო კარიერის შესახებ.

ხელნაწ. ინსტ. ხელნ. აღწ. S—I, 1960, გვ. 163—164.

ჩხატარაძე, ნიკოლოზ — კალიგრაფი. ცხოვრობდა XVIII ს-ში ლეჩხუმ-ოდიშში. 1728—1758 წლებს შუა. ცაგერელი ეპისკოპოსის გრიგოლის დავალებით, გადაწერა თვენი (ხელნაწ. ინსტ. A 1470), რომელსაც 154-ე ფურცელზე ასეთი

ანდერძი აქვს: «იწერება წიგნი ესე თვენი ბრძანებითა ცავერლის გრიგოლისითა ბატონობასა დადიანის ოტიასსა და დედოფლის გულქანისითა, ქელითა ცოდვილის ბერის ნიკოლოზისითა». იმავე გვერდზე, ქვემოთ, ცალკე: «შეიწყალე უფალო მჩხრეველი ამისი ჩხატარაჲე ნიკოლოზ, ამინ» (წიგნში სხვა გადაწერთა ხელიც ჩანს; ნიკოლოზის ნაწერია 364 ფურცლამდე).

ეს პატარა ფორმატის (18,5 × 14,5 სმ) 433-ფურცლიანი წიგნია (ძალიან სქელი). მასალა ქაღალდია, ნაწერი ნუსხური, შავი მელნით ორ სვეტად, შიგადაშიგ სინგურის სათაურებითა და სტრიქონებით. ნიკოლოზი ფრიად გაწაფული კალიგრაფი იყო: ძალიან წერილად, სუფთად, თანაბრად წერს; მაგრამ მთავრულით ნაწერი სათაურები და მელნითვე გამოყვანილი თავსამკაულები მოწმობს, რომ მისი ხელობის დიაპაზონი შეზღუდული ყოფილა. მაინც საყურადღებოა, რომ XVIII ს-ში პროვინციებშიაც — ცალკეულ ეპისკოპოსთა ან მთავართა კარზე — მოიძებნებოდნენ გადაწერი ოსტატები, რომლებიც თავისი საქმის ნამდვილ პროფესიონალებად შეიძლება ჩაითვალოს. კალიგრაფების აღზრდის ტრადიცია ამ დროს მთელ საქართველოში ჯერ კიდევ მტკიცე იყო (ხელნაწერის თარიღი და, მასთან ერთად, ნიკოლოზის მოღვაწეობის დრო, ოტია დადიანის მთავრობის მიხედვითაა დადგენილი).

სსმ ხელნაწ. აღწ., A—V, 1955, გვ. 15.

ჩხაიძე, იესე — კალიგრაფი, მღვდელი, ცხოვრობდა XVII ს-ის მეორე ნახევარში და XVIII ს-ის დასაწყისში. დარჩენილია მის მიერ 1702 წელს ვინმე მღვდელ-მონაზვნის ქრისტეფორე ლიპარიტის შვილის დავალებით გადაწერილი კონდაკი (ხელნაწ. ინსტ. 1499): «დაიწერა ქორონიკონსა ტქ, სეკდენბერსა კბ. ღმერთო შეიწყალე მწერალი ამისი ჩხეიძე მღვდელი იესე» — წერია წიგნის ბოლოში, 224-ე ფურცელზე (იესეს წიგნის გადაწერა დაუმთავრებია 1702 წლის 22 სექტემბერს). ნაწერის მიხედვით იესე ჩხეიძე რიგიანი კალიგრაფი ყოფილა. მისი წიგნი, მცირე ფორმატისა (17 × 12 სმ), 227-ფურცლიანი, ნაწერია ნუსხურით ერთ სვეტად (შავი მელანი, ქაღალდი), მსხვილი ასოებით, სქლად, ძალიან გაშლილად: გვერდზე სულ 10 სტრიქონია, სტრიქონში 18—20 ასო, არშიები დიდია.

სად მოღვაწეობდა იესე და კიდევ რა აქვს გადაწერილი, არ ვიცით.

სსმ ხელნ. აღწ., A—V, 1955, გვ. 43.

С

СНМՅԱԺՄ, ნავკრატოზ — ამის «ხელმოწერილია» ხელნაწ. ინსტ. ხელნაწერები Q 39 და H 1031.

Q 39 მოქველი მთავარეპისკოპოსის ეფთვიმე საყვარელიძისთვისაა გადაწერილი და 1560-78 წლებით თარიღდება; ეს დიდი ფორმატის სქელი წიგნია (488 ფურცელი, 32×22 სმ), ნუსხურით ნაწერი, შავი მელნით, ორ სვეტად. 182-ე ფურცელზე: «ამა წიგნისა მეტაფრასისა მწერალსა ნავკრატოზს ციმცაძესა შეუნდევ უფალო ღმერთო, ამინ». წიგნი კარგი კალიგრაფიული ხელითაა ნაწერი: ასოები მსხვილია, სქელხაზოვანი, ძალიან მკაფიო. სინგურის ნაცვლად ყვითელი მელანია ნახმარი (ეს იშვიათია), ისიც ძალიან ცოტა — ინიციალებისა და სათაური სტრიქონებისათვის. საზედაო ასოებში ერთგვარი დეკორაციული «გაქანება» ჩანს: მთავრული დ კოკას ჰგავს, ზოგან რამდენიმე ასო ზის ერთმანეთში, ზოგის (მაგ. ხ-ს) მოხაზულობა ნასკვევითაა ახუჭუჭებული, და სხვ.

H 1031 ოთხთავია, სულ პატარა ფორმატისა (9,5×6,6 სმ, 270 ფურც.). გადამწერის ანდერძში ნათქვამია: «ამის მწერალსა ნავკრატოზს ცოდვანი მისნი შეუნდევ ღმერთო» (ფურც. 246). აქ გვარი არაა მოხსენებული, მაგრამ მისივე ხელით ნაწერ სხვა ანდერძში იგი ღმერთს თხოვს ვინმე ნიკოლოზ ციმცაძის ცხოვებას.

ძნელი წარმოსადგენია, რომ ამ წიგნისა და Q 39-ის მწერალი ერთიდაიგივე კაცი იყოს: H 1031 ძალიან თავისებური და უცნაური ხელითაა ნაწერი (ნუსხურით, ყავისფერი მელანი, ორ სვეტად, სინგურის საზედაო ასოებით): ასოები ძალიან წვრილია, მათი ხაზები — ძაფით, კალმის დაჭირების გარეშე. მორთვის პრეტენზია არაავითარი, მხოლოდ სინგურის საზედაო ასოებში ზოგან მეორე ასოს სვამს.

მე მგონია, ეს წიგნები ორი სხვადასხვა ნავკრატოზ ციმცაძის გადაწერილია.

სსმ ხელნ. აღწ., H—111, 1948, გვ. 31, Q—I, 1957, გვ. 46—53.

ცისკარა მწიკრალი — კალიგრაფი. ცხოვრობდა XI ს-ში, მოღვაწეობდა, როგორც ჩანს, მესხეთში. ჩვენ ვიცნობთ მის მიერ გადაწერილ ერთ წიგნს — იაკობის ქამის წირვას (ხელნაწ. ინსტ. A 86), შესრულებულს სვიმეონ ქართლისა კათალიკოსის შეკვეთით. ეს 85-ფურცლიანი მცირე ფორმატის წიგნია (19×14 სმ). მასალა ეტრატია, ნაწერი ყავისფერი მელნით, ასომთავრულით, ერთ სვეტად. სინგურით, ტრადიციისამებრ, გამოყვანილია საზედაო ასოები, სათაურები, ცალკეული სიტყვები ტექსტში. მორთულობა წიგნს არ გააჩნია, მაგრამ ძალიან ლამაზია ნაწერი: დიდი, მარტივი მოხაზულობის, კლასიკურად ნათელი და მკაფიო ასოებით, გადაუბმელად; გვერდზე სულ 14 სტრიქონია, სტრიქონში 20—23 ასო, ზოგან ნაკლებიც.

თავისი ვინაობა ცისკარას ჩვეულებისამებრ ანდერძში კი არა აქვს მოხსენებული, არამედ სხვა ხერხით: 36-ე ფურცლის წინა გვერდზე სინგურის მთავრული ასოები გარკვეული კანონზომიერების გარეშეა განლაგებული — ხან სიტყვის დასაწყისში, ხან კი შუაში ან ბოლოში. თ. ქორდანიამ შეამჩნია, რომ, თუ თავიდან ბოლომდე მიყოლებით წავიკითხავთ ამ გვერდის მთავრულ, სინგურით ნაწერ ასოებს, გამოდის «ცისკარა მწერალი». ცისკარა, უეჭველია, თავისი დროის ერთი უკეთესი კალიგრაფთაგანი იყო.

2. Ф. Жордания. Опис. рукоп. Ц. М., I, гл. 85—87.

2. სსმ ხელნ. გზამკვლევი, გვ. 125.

ჰიპათორისძე — XIII ს-ის ხუროთმოძღვარი, გუდარეხის ტაძრის მანეხელი. სამხრეთის კედლის წარწერაში ნათქვამია: «...აეშენა წმიდა ესე ეკლესია ქელითა ფრიად ცოდვილისა ზიჯაფორისძისათა სალოცველად და სადიდებელად დედოფალთ დედოფლისათჳს, რუსუდან დედოფლისა და შეილთა მისთა...» (რუსუდანის მეფობის დროის მიხედვით ძეგლი 1222—1245 წლებით თარიღდება). გუდარეხის ტაძარი ერთნავიანი შენობაა, მრავალრიცხოვანი ჩუქურთმებით მორთული. აღმოსავლეთის ფასადისთვის ოსტატს გამოუყენებია XII—XIII ს-თა მიჯნის გუმბათოვან ეკლესიებში გავრცელებული სქემა: დიდი მოჩუქურთმებული ჯვარი შუა სარკმლის თავზე, მასთან გადაბმული სარკმლის საპირე და ჩუქურთმანივე რომები სარკმლის ქვეშ. გუმბათოვანი არქიტექტურის თავისებურ «გაეღენას» მოწმობს სამკუთხა ნიშების მოტივიც, რომელიც ერთნავიანი ეკლესიებისათვის უცხაო და სულ ორიოდ შემთხვევაში გვხვდება. ზიჯაფორისძეს თავის ნაწარმოებში ახალი სიტყვა არ უთქვამს, მაგრამ გუდარეხის ტაძარი საინტერესოა, როგორც XII—XIII ს-თა მიჯნის არქიტექტურის ერთი უკანასკნელი დამახასიათებელი ძეგლთაგანი. შესრულების მხრივ იგი კარგ პროფესიულ დონეზე დგას.

E. Такайшвили. АЭРЗ, II, 1905, გვ. 21—32.

ჰუმბუჩიძე, ნიკოლოზ — კალიგრაფი. ცხოვრობდა მე-16 ან მე-17 ს-ში. მისი შესრულებულია საწელიწდო (ხელნაწ. ინსტ. H 1029), პატარა ფორმატის წიგნი (14×9 სმ, ქალაქი), რომლის ნუსხური ტექსტი ვირტუოზული ოსტატობითაა გადაწერილი. ნაწერი ძალიან წერილია, ასოები და სტრიქონები ზუსტი და თანაბარი; ორ სვეტად განლაგებულ ტექსტში შიგადაშიგ სინგურის სტრიქონები და საზედაო ასოები ურევია.

ანდერძში (ფურც. 206) მოხსენებულია გადამწერი, მაგრამ თარიღი არ არის მითითებული (წიგნს ნაწერის ხასიათით ათარიღებენ): «ამისა უცებად მჩხრეკელსა ნიკოლოზს ჭუმბურიძესა შეუნდნეს ღმერთმან... და თუ რაიმე დაეკლეს ანუ შეემატე უგუნურებით, ნუვინ დამწყველითო», წერს ნიკოლოზი, რომელიც აქ გადამ-



ვედარების ტაძარი. XIII ს-ის შუა წლები. აგებულია ხეროთომოსდვარ კვიპაფორსისა და
მიერ

წერთა მობოდიშებისა და ვედარების ძველ ტრადიციულ ფორმულას იმეორებს.
(წიგნში რამდენიმე ფურცელი — 99—110 — გაბრიელ დიაკონის გადაწერილია.
ურიგო ოსტატი არც ეს ყოფილა, მაგრამ ნიკოლოზს ჩამოუვარდება მაინც).

სსრ ხელნ. აღწ., II—111, 1948. გვ. 29.

ՆԱՏԱԼԻՄՅՈՒՆ — XV—XVI ს-თა მიჯნის კალატოზი, დ რ ბ ო ს ეკლესიის (საჩხერის რაიონი, სოფ. ჭალა) ამშენებელი 1510 წელს. ეკლესია ერთნაფიანი, ჩრდილოეთის მხრიდან სრულიად უჩვეულო დანამატი აქვს — სწორკუთხა ნაწილი, რომელიც უშუალოდ ერთვის ნავს. შენობა დაქვეითების ხანის ჩვეულებრივ ნიშნებს ატარებს. ოსტატობის დონე დაბალია.

ეკლესია აბაშ აბაშიძის აშენებულია ბეთლემის ღვთისმშობლის სახელობე — «სულისათვის მუღლისა ჩვენისა ჩიქავეძის ასულისა კეკლუცასათვის», რომელიც ალბათ აქვე მარხია (?). წარწერა დასავლეთ შესასვლელის ტიმპანშია. მის ბოლოს: «ქრისტე შეიწყალე გალატოზი ხატელიშვილი და მონა მლოცველი გიორგი» (შე ეს მინაწერი არ მინახავს და არც ფოტოსურათზე ჩანს. იქნებ სადმე სხვა ადგილასაა ეს წარწერა? ან იქნებ გ. წერეთლის შემდეგ დაიკარგა? მაგრამ ტიმპანს არავითარი ზიანი არ ეტყობა).

Г. Церетели. Археологическая экспедиция по Квиринскому ущелью: МАК, VII, М., 1898, გვ. 112—113.

ხაჩიძე, რომანოზ — კალიგრაფი. ცხოვრობდა XVI ს-ში, მთავარდიაკონი იყო. მისი გადაწერილია, «კალმასის ციხესა შინა, წმიდის დიმიტრის კარის ბჭეთა», ო თ ხ თ ა ვ ი, რომელიც ე. თაყაიშვილმა ნახა წალკის სოფელ წინწყაროში ერთი ბერძნის ოჯახში (კალმასის ციხე ტაოში იყო, ჯოროხის ხეობაში). მინაწერის მიხედვით, ოთხთავი გადაიწერა «ქრონიკონსა სკბ», ე. ი. 222-ე ქორონიკონს, ანუ 1534 წელს, «ქელითა ფრიად ცოდვილისა და უღირსისა და სულითა საწყალობელისა მთავარდიაკონისა რომანოზისითა». მერე: «ავად წერისათვის წყევასა ნუ ვინ შემამთხუშეთ ღვთის მადლსა: და რაცა დედასა შინა ეწერა, სიმართლესა ვიჭირვოდი სიგლახაკითა ჩემითა. და აწ თუ რაჲ დამეშავის ჩემითა სივაჟაკითა (sic) და ჩემითა უცნობობითა, შემინდევით თქვენის ღვთის სიყვარულისათვის.

ამისსა მწერალსა მე ჳეჩიძესა რომანოზს შემინდუნეს ღმერთმან. და მისთა დედა მამათა მამასა იოსებ ყოფილსა იოჯეკიმს შეუნდუნეს ღმერთმან» (აქედან ჩანს, რომ რომანოზის მამა ბერად აღკვეცილა, დედა კი მონოზენად). სიტყვა «სიყაქ-კაცე», რომელიც ჩვენთვის სრულიად უჩვეულოდაა ნახმარი, ალბათ, ახალგაზ-რდობას ნიშნავს. წიგნში არის ასეთი საინტერესო მინაწერიც: «ამა რვეულსა ვსწერდი კალმახის წმიდის დიმიტრის კარში მე მთავარდიაკონი რომანოზ და ბედ-ნიერი ბატონი ფილთან წართვად იჯდა და მეცა მაწვა და არ მიველ: გულით შინ-დოდა გათავება ამისი». ფილთან, ცხადია, სახელია; «წართვა» — დროის ტარე-ბას გულისხმობს, როგორც ე. თაყაიშვილი ფიქრობდა? კონტექსტით მართლაც ასე უნდა გამოდგოდეს. ყოველ შემთხვევაში, აშკარაა, რომ რომანოზს სადღაც იწვევდნენ, მაგრამ თავისი მუშაობა ვერ დასთმო.

ე. თაყაიშვილის თანახმად, რომანოზისეული სახარება ნუსხურით ყოფილა ნაწერი, ორ სვეტად, ქაღალდზე (ზომა 27×22 სმ). სათაურები სინგურისა არი-სო. თაყაიშვილი არაფერს არ ამბობს ნაწერის ხასიათისა და ხარისხის შესახებ.

Е. Такайшвили. АЭРЗ, III, 1907, გვ. 43—51.

X

ჯაბაღარი (აღი-ყული ჯაბაღარი) — XVII ს-ის ქართველი მხატვარი, რომელიც ირანში მოღვაწეობდა. ლენინგრადის სახელმწიფო ერმიტაჟში ინახება მის მიერ შესრულებული 8 მინიატურა — მეფის კარის ცხოვრებისა და ნადირობის სცენები. ერთ მათგანზე აღნიშნულია შესრულების ადგილი — ყაზვინი და თარიღი — 1674 წელი. კომპოზიციები მრავალფიგურიადია, მათი შესრულება გვიანა ირანული მინიატურის ტრადიციას არ სცილდება, შესამჩნევია დასავლეთ-ევროპული ხელოვნების ცალკეული მოტივების შექონვაც (ერთ-ერთი მინიატურა, მაგალითად, წარმოგვიდგენს მიღებას შაჰის კარზე: აუდიენციაზე მისულ პირთა შორის ერთი ევროპელიცაა, ჩაცმულობის მიხედვით, ალბათ, პოლანდიელი). მინიატურები აღჭურვილია ქართული წარწერებით, რომლებშიაც დასახელებულია, რა თანამდებობა უჭირავთ გამოსახულ მოქმედ პირთ. ამას გარდა, ქართული წარწერები, რომლებიც აღნიშნავენ ამა თუ იმ ფერს, შეინიშნება საღებავის ფენის ქვეშ («ლაქვარდი», «ყირმიზი», «ყვითელი და თეთრი» და სხვ.). მხატვარი ჯერ ნახატის კონტურს მოხაზავდა, შემდეგ დააწერდა, სად რა ფერი უნდა ესმარა და შემდეგ სათანადო საღებავს ადებდა კიდევ. შესრულების ხარისხით ჯაბაღარის მინიატურები იმდროინდელ საუკეთესო ირანულ მინიატურებს არ ჩამოუვარდება.

1. Ш. Амиранашвили. Грузия и Иран: Международный конгресс по иранскому искусству и археологии, М.—Л., 1939, გვ. 14.

2. Ш. Амиранашвили. История грузинского искусства. М., 1963, გვ. 314, 317—318.

3. ბერძენიშვილი, ი. ჯაფახიშვილი, ს. ჯანაშია. საქართველოს ისტორია. ნაწ. 1. უძველესი დროიდან XIX საუკუნის დამდეგამდე. სურ. 360-ე გვერდზე.

ჯუბინაძე, გიორგი — ოსტატი, რომელმაც 1825 წელს, ბესარიონ ჭყონდილის ბრძანებით, ააშენა მარტვილის ტაძრის სამსართულიანი სამრეკლო. აღ-

მოსაველეთის ფასადის ერთ წარწერაში მოხსენებული არიან რუსეთის იმპერატორი ალექსანდრე, სამეგრელოს მთავარი ლეონ დადიანი და თვით ჭყონდიდელი, და აღნიშნულია თარიღი. მეორე წარწერა ასეთია: «ქრისტე შეიწყალე ამისი ვალატოზი გიორგი ქართველი ჯუბინაძე». შესაძლებელია, ქართველი აქ ნიშნავდეს, რომ გიორგი აღმოსაველეთ საქართველოდან იყო.

ე. თაყაიშვილი. არხ. მოგზ. შენ., II, 1914, გვ. 44.

ჰარაბა — XI ს-ის ხუროთმოძღვარი, რომელმაც ააკო სოფელ სავანის (საჩხერის რ., ყვირილის ხეობა) წმ. გიორგის ეკლესია. მისი სახელი მოხსენებულა დასავლეთის შესასვლელის წარწერაში: «სახელითა ღმრთისაჲთა... და მამყენამე, სულითა საწყალობელი ჰარაბაჲ აღსაშენებელად წმიდის ამის საყდრისა, აღიდენ ღმერთმან გიორგი ერისთავთ ერისთავი, სალოცველად სულისა მათისათვის...» და სხვ. მეორე წარწერაში, რომელშიაც იგივე ადგილობრივი ფეოდალი — ერისთავთ ერისთავი გიორგი გულზეიადის ძე იხსენიება, აღნიშნულია ძეგლის აგების ზუსტი თარიღიც — 1046 წელი. ჰარაბას მიერ აშენებული ეკლესია ერთნაეიანია, დიდი მინაშენით სამხრეთის მხრიდან. მორთულობის მოტივები და ხასიათი მოწმობს, რომ ეს მინაშენი კარიბჭე სხვა ოსტატის მიერ უნდა იყოს შესრულებული, ალბათ ცოტა უფრო გვიან. თვით ტაძარი, მიუხედავად სიმცირისა, მომწიფებულ შუასაუკუნეთა ქართული ხუროთმოძღვრების ერთი საუკეთესო ნიმუშთაგანია: მორთულობა — სარკმელთა და შესასვლელთა საპირეები, კარნიზის ჩუქურთმები, როზეტები — მოტივებით მდიდარია, ტექნიკური შესრულების მხრივ — ოსტატური, მხატვრული თვალსაზრისით — კარგად მოფიქრებული და შეთანხმებული შენობის მარტივ ხუროთმოძღვრულ ფორმებთან. ოსტატი დასავლეთ საქართველოში აღზრდილი ჩანს: მისი ნაწარმოები, მორთულობის მხრივ, იმ წრეში ექცევა, რომლის სხვა ნიმუშებადაც შეიძლება მივიჩნიოთ კაცხის ტაძრის მეორე ფენა (გარშემოსავლელი), პატარა ონი ქვემო რაჭაში, ნიკორწმინდის აღმოსავლეთი ფასადი და სხვ. სხვა ცნობები ჰარაბას შესახებ არ მოიპოვება.

1. Brosset. Notice détaillée sur les églises de Savané et de Manglis; 1. Bullet. hist. phil., XIV, 1857, სვ. 161—168, № 11; 2. Mélanges asiatiques, III, 1859, 36-46 (ბროსეს სავანის წარწერების შესახებ მასალა დ. მელენიფთხუცესიშვილისა და ბართლომეისგან ჰქონდა მიღებული. მელენიფთხუცესიშვილი ხუროთმოძღვრის სახელს „ლუარსაბად“ კითხულობდა, რადგანაც სახელის პირველი ასო „ლ“-დ მიაჩნდა. ბროსე დაეჭვდა — ეს სახელი მაშინ საქართველოში უცნობი უნდა ყოფილიყო, აქ, ალბათ, „ლ“ კი არა „ზ“ სწერია და სახელიც „ზურაბა“ არისო.)
 2. Г. Церетели. Археологические экскурсии по Квириньскому ушелью:
 3. ვახტ. ბერიძე, სავანე: ქართული ხელოვნება, I, 1942, გვ. 91.



საენის ტაძარი. 1046 წ. აგებულია ხუროთმოძღვარ ჰარაბას შიერ

ზოგიერთი სიტყვისა და სახელის განმარტება

- ა გ ი ო გ რ ა ფ ი ა, ანუ ჰ ა გ ი ო გ რ ა ფ ი ა — საეკლესიო მწერლობის დარგი, რომლის საგანია წმინდანთა ცხოვრების აღწერა.
- ან დ რ ძ ი — ხელნაწერი წიგნის მინაწერი, რომელიც შეიცავს ცნობებს გადაწერისა და შემკეთის ვინაობის შესახებ, გადაწერის თარიღს და სხვ.
- ას კ ე ტ ი კ ა — სასულიერო მწერლობის დარგი, რომლის საგანია ბერ-მონაზონთა ცხოვრების აღწერა, მათი მოძღვრება და სხვ.
- ბ ა ზ ო ლ ი კ ა — წაგრძელებული სწორკუთხა საეკლესიო ნაგებობა, უგუმბათოდ, შიგნით ბოძების მწკრივით სივრცითი მიმართულებით იყოფა სამ ნაწილად — ნავად.
- გ ა ლ ა ტ ო ზ ი — ქვით მშენებელი, კალატოზი, ხშირად ხუროთმოძღვრის სინონიმად იხმარებოდა.
- გ რ ი გ ო ლ ლ ე თ ი ს მ ე ტ ყ ე ე ლ ი, ანუ გრიგოლ ნაზიანზელი (დაახლოებით 329 — დაახლოებით 389) — აღმოსავლეთ-ქრისტიანული ეკლესიის გამოჩენილი მოღვაწე, კონსტანტინეპოლის პატრიარქი. დიდი როლი შეასრულა ქრისტიანული სარწმუნოების ძირითად დებულებათა შემუშავების საქმეში.
- გ უ ლ ა ნ ი — ყველა საღვთისმეტყველო წიგნის კრებული, რომელიც ეკლესიის საკიროებისათვის შემუშავდა საქართველოში. შიგ თაემოყრილია „ყველა საღვთისმსახურო წიგნი, რომელნიც მორწმუნეთ სჭირიათ და რომელთაც კითხულობენ წლის განმავლობაში...“ გულანები უზარმაზარი წიგნებია — სისქითაც და ფორმატივითაც, ისე, რომ მათი ხელში დაქერც შეუძლებელია. მათი შეკვეთა ან შექმნა მხოლოდ მდიდარ ეკლესია-მოწასიტრებს შეეძლო (იხ. კ. კეკელიძე. ისტორია, I, გვ. 556).
- და ვ ე თ ნ ი. „ძველი აღთქმის“ (ბიბლიის) ნაწილი, კრებული ლექსსაგალობლებისა, რომელთაც ებრაელთა მეფეს დავითს მიაწერენ.
- და უ ჯ ლ ო მ ე ლ ი. „სავედრებელი შესხმა ყოვლად წმიდისა ღვთისმშობლისა“ (დ. ჩუბინა-წვილი).
- დ ო გ მ ა ტ ი კ ო ნ ი. წიგნი, რომელიც შეიცავს თხზულებებს ქრისტიანული სარწმუნოების დოგმატთა (უძმათერეს დებულებათა) შესახებ.
- ე გ ზ ე გ ე ტ ი კ ა — საქრისტიანო მწერლობის დარგი, რომლის საგანია ბიბლიური ტექსტის ახსნა-განმარტება.

- ე ფ რ ე მ ა ს უ რ ი (306 — 378) — ასურელი (სირიელი) ღვთისმეტყველი, მრავალ საღვთისმეტყველო თხზულების ავტორი.
- ვ ა ს ი ლ ი დ ი დ ი — (დაახლოებით 329 — 379) ქრისტიანული ეკლესიის ერთ-ერთი „მანა“, რომელმაც ბევრი რამ გააკეთა საქრისტიანო მოძღვრების უმთავრეს დოგმათა შესამუშავებლად. ქ. კესარიის ეპისკოპოსი იყო (კაბადუკიაში).
- ზ ა ტ ი კ ი, ა ნ უ ზ ა დ ი კ ი — საეკლესიო წიგნი, რომელშიაც მოთავსებულია აღდგომის ღვთისმეტყველებელი საგალობლები.
- თ ა რ გ მ ა ნ ე ბ ა — განმარტება, კომენტარები ამა თუ იმ თხზულებისა.
- თ ე ე ნ ი, თ თ უ ე ნ ი — „წიგნი რომელშიაც მოთავსებულია სხვადასხვა წმინდანისა და ღვთისმეტყველის საგალობლები“ (ქ. კეკელიძე. ისტორია, I, გვ. 564).
- ი ნ ი ც ი ა ლ ი. ს ა ზ ე დ ა ო ა ს ო — ღიდი ასო, ზოგჯერ დეკორატიულად გაფორმებული, დასპული ნაწარმობას ან მისი ცალკეული თავებისა და მუხლების დასაწყისში.
- ი ო ა ნ ე დ ა მ ა ს კ ე ლ ი (VII ს-ის დასასრული—დაახლოებით 754 წ.)—ბიზანტიელი ღვთისმეტყველი და ფილოსოფოსი, მეთაურობდა ე. წ. „ხატმებრძოლთა“ მოწინააღმდეგეებს. მისმა შეხედულებებმა ღიდი გავლენა მოახდინა შუა საუკუნეთა სკოლასტიკის შემუშავებაზე.
- ი ო ა ნ ე მ მ ა რ ხ ე ე ლ ი — სასულიერო მოღვაწე, კონსტანტინეპოლის პატრიარქი 562 — 595 წლებში.
- ი ო ა ნ ე ო კ რ ო პ ი რ ი (დაახლოებით 347—407) აღმოსავლურ-ქრისტიანული ეკლესიის გამოჩენილი მოღვაწე, ეკლესიის ერთ-ერთი „მამა“, კონსტანტინეპოლის მთავარეპისკოპოსი, ცნობილი მქვერმეტყველი.
- კ ლ ე მ ა ქ ს ი (ბერძნ. „კობე“) — ასე ეწოდება სასულიერო მწერლის იოანე სინელის ერთ თხზულებას, რომელიც რამდენიმეჯერ ითარგმნა ქართულად შუა საუკუნეების მანძილზე.
- კ ო ნ დ ა კ ი — წიგნი, რომელშიაც წირვის წესია მოთავსებული.
- კ უ რ თ ხ ე ვ ა ნ ი — სამღვდელმსახურო წიგნი. „შინაარსი მისი არის სხვადასხვა „ეკურთხევათა“ ან ლოცვათა საშუალებით განწმენდის წესი“ (ქ. კეკელიძე. ისტორია, I, 554).
- მ ა რ ხ ე ა ნ ი — წიგნი, რომელშიაც მოთავსებულია დიდმარხვის პერიოდის საგალობლები (იქვე, 562).
- მ ა ქ ს ი მ ე ა ღ მ ს ა რ ე ბ ე ლ ი (დაახლოებით 580 — 662) — სასულიერო მოღვაწე, ერთხანს ბიზანტიის იმპერატორის პონოროიუსის კარზე მსახურობდა, შემდეგ ბერად აღიკვეცა. მრავალი საღვთისმეტყველო თხზულების ავტორი.
- მ ე ტ ა ფ რ ა ს ი — მეტაფრასული რედაქცია სასულიერო მწერლობის თხზულებებისა ეწოდება ისეთ რედაქციას, რომელიც ძველ ტექსტებს შესწორებულად და განერციბილ-შემკურულად წარმოგვიდგენს (ქ. კეკელიძე, II, 479).
- მ რ ა ვ ა ლ თ ა ვ ე — ეწოდება „წმინდათა მარტვილობა-ცხოვრების კრებულს. ასეთი სახელი იმართმეპყვეა..., რომ იმაში არა ერთი ცხოვრება და შესხმაა, არამედ მრავალი“ (ქ. კეკელიძე. ქართული ჰაგიოგრაფიული ძეგლები, I, კიმენი, ტ. I, 1918, გვ. XI).
- ნ უ ს ხ ა — აქ „სიის“ მნიშვნელობით კი არ არის. როგორც ახლა ჩვეულებრივ იხმარება, არა მთავრად პირის (კოპიის), გადაწერილი წიგნის მნიშვნელობით. გადანუსხვა — გადაწერა.
- ო თ ხ თ ე დ — იგივეა, რაც სახარება, ე. ი. „ახალი აღთქმის“ წიგნების პირველი ნაწილი. შედგება ოთხი ავტორის — მათეს, მარკოზის, ლუკასა და იოანეს — თხზულებებისაგან: როცა

ეს ოთხივე ნაწარმოები ერთ წიგნშია მოქცეული, მათ თავებად მიიჩნევენ და მთელ წიგნს ოთხთავს უწოდებენ.

პ ა რ ა კ ლ ი ტ ო ნ ი — კრებული, რომელშიაც მოთავსებულია შვიდეულისთვის (იოპაბათი — კვირა) განკუთვნილი საეკლესიო საგალობლები (ყ. კეკელიძე, ისტორია, I, გვ. 561—562).

ე ა მ ნ ი — ზოგიერთი საეკლესიო ლოცვის კრებული.

ე ა მ ნ - გ უ ლ ა ნ ი — გულანის შემოკლებული რედაქცია. შეიკავს „ეამნს“ და მოკლე სვინაქსარულ ცნობებს (ყ. კეკელიძე, იქვე, 556).

ს ა დ ლ ე ს ა ს წ ა უ ლ ო — „თვეთაგან გამოკრეფილნი საკითხავნი ეკლესიაში დღესასწაულს“ (დ. ჩუბინაშვილი).

ს ა მ ო ც ი ქ უ ლ ო — „ეწოდება მეორე ნაწილს ახალი აღთქმის წიგნებისას... იმაში მოთავსებულია: საქმე მოციქულთა, შვიდი პატარა, ე. წ. კათოლიკე ეპისტოლე, 14 ეპისტოლე პავლე მოციქულისა და აპოკალიპსი, ანუ გამოცხადება იოანე ღვთისმეტყველისა“ (ყ. კეკელიძე, ისტორია, II, 386).

ს ა რ ა ი დ ა რ ი — როსტომ მეფის დროიდან (XVII ს.), როცა მოხელეთა ქართული სახელები სპარსულით შეცვალეს, ხუროთმოძღვარს ეწოდებოდა.

ს ა რ ქ ა რ ი — მშენებლობის ხელმძღვანელი, „სამუშაოთა მწარმოებელი“.

ს ვ ი ნ ა ქ ს ა რ ი — „მოკლე მოთხრობა წმინდათა ცხოვრებისაგან ან დღესასწაულთათვის“ (დ. ჩუბინაშვილი).

ტ რ ი კ ო ნ ქ ი — ჭვარისებრი გეგმის მქონე შენობა, როცა ჭვრის სამ მკლავს ნახეარწრიული მოხაზულობა აქვს (საქართველოში ამის მაგალითებია ოშკის, ქუთაისისა და ალავერდის ტაძრები).

პ ო მ ი ლ ე ტ ი კ ა — სასულიერო მწერლობის დარგი, რომელიც მოიცავს საეკლესიო ქადაგებას, ქადაგებათა შედგენის წესებს და სხვ.

Вахтанг Вуколович Беридзе
Мастера древнегрузинского искусства
Зодчие, художники, златокузнецы, каллиграфы
(На грузинском языке)

Издательство «Сабчота Сакартвело»
Тбилиси, ул. Марджанишвили, 5
1967

რედაქტორი }
კორექტორი } ა. არბელიძე

მხატვარი დ. გაბაშვილი
მხატვრული რედაქტორი დ. ღუნღუა
ტექნიკური რედაქტორი ვ. ხუციშვილი

ხელმოწერილია დასაბეჭდად 10/1 — 67 წ. ქალღმერთის
ზომა 70×90¹/₁₆. ნაბეჭდი თაბახი 17,84. სააღრიცხვო-
საგამომცემლო თაბახი 13,17.
ზე 01605. ტირაჟი 6000 შევკ. № 223.

ფასი 1 მან. 40 კაპ.

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“
თბილისი, მარჯანიშვილის 5.

ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი. თბილისი, მარჯანიშვილის ქ., 5.
Комбинат печати. Тбилиси, ул. Марджанишвили, 5